

1168  
2001

ქვირის პალიტრა




N34(63) 23/VIII.-29/VIII.2001. ფასი 60 თ.



# ილიკო სუსიუვილი მონესტერში წავიდა

SE BUSCA

**გვანცას მკვლელი  
პროკურორს  
უღბიანტუმს უყენებს**




**იძებნება**

JOSE ALEJANDRO MARTINEZ

C.I. V- 18.261091

ALIAS "EL NINRO"



**დაგფვარი ქმარი  
არ მიმიტოვებია,  
მე უმადურობის  
მსხვერპლი ვარ**

საზაფხულო „ტუსოვკა“ კუს ტბაზე  
ანუ „საილოს“ „რომაული არღაღებები“

გვ.14



<b>მინიატურა</b>	
მომიტივეთ, „ცინაწამაბნო“!	3
<b>ქიპა</b>	
ბიორბი სანაიას მკვლელი ალბათ ხარხარებს...	4
<b>ქოლეზა</b>	
გაღაწყვეტილი მქონდა: ყოფას ვუტირებ მათ, ვინც ხალხი ამ დღეში ჩააბღო-მეთქი	6
<b>ტანტი</b>	
ერთგული მკითხველი	8
<b>ტრაგედია</b>	
ილიკო სუსიშვილი მონასტერში წავიდა...	9
<b>საზოგადოება</b>	
რამ აღაფრთხილა სოსო ალავიძის ცოლისკმა	12
<b>ანტიდავარსაწი</b>	
ინფორმაციულ-შეგნებებითი კოლაჟი გონა ღვალის უბის წიგნაკიდან	14
<b>ავალუა</b>	
საზოგადოებას „პროფესიონალი დილატანტების“ კლანი მართავს	14
<b>ჟარნირა</b>	
ქალიან მიყვარს „ბაბუ“! ასეთი უფროსი ჯერ არ მყოფია	17
<b>ბელი კახისა</b>	
„ღამწვარი ქმარი არ მიმითხოვებია, მე უშაღურობის მსხვერპლი ვარ“	20
<b>ქალგაჭონი</b>	
17 წლის ვიყავი, რომ ბავთხოვდი და მაშინვე გამოვეშვილოდა კინოს	22
<b>ნუფილი აგავი</b>	
„ჩამშვები „ღუღა“	25
<b>სანადირო სეზონი</b>	
როგორც სხვა ანტიკვარიატი გადის საქართველოდან, ისე გადის უნიკალური თოფები...	26
<b>ქართველები</b>	
„ვიფიქრე, სტალინმა და ბერიამ ხვამ რომ ჩამოგვიღონ, მომენტს არ გავუშვებ და ნოეს ვნახავ-მეთქი“	28
<b>უსიქლოვობიერი თეზაუი</b>	
რას შეცვლიდით თქვენში ან სხვებში?!	31
<b>საყვარო</b>	
სახლის კერძის მაგია	32
<b>წილანაწი</b>	
ცხრა მამა ხერხეულიძე ღვლითა და ღით, მათთან ერთად 9000 ქართველი მარაბდას მოწყვეტილნი!	34

# ილიკო სუსიშვილი მონასტერში წავიდა...



– შეილი მომიკლეს, მე კი ისინი არ დამიწყველია, – გამომხილა მგლოვიარე დედამ, – ვერც დავწყველი, არ შემიძლია. ახლა ილიკოსთვის უნდა ვიცოცხლო, იმის გადარჩენა უნდა შევძლო, ვინც ჩემს შვილს ასე უყვარდა, სჭირდებოდა, ეამაყებოდა.

9

# 17 წლის ვიყავი, რომ ბავთხოვდი და გამოვეშვილოდა კინოს

ვისაც ფილმები – „მხიარული რომანი“ და „მოტივაცეს თამარ-ქალი“ უნახავს, ყველას ჩარჩა მესხიერებაში ხათუნა კოტრიკაძის პერსონაჟები. ინტერვიუს პირობად ერთი თხოვნის შესრულება აღვეუთქვი: ამდენი ხნის ღუმლის შემდეგ, საშუალება მიგვეცა, სასურველ თემაზე გამოეთქვა თავისი სათქმელი.



22

# ქალიან მიყვარს „ბაბუ“! ასეთი უფროსი ჯერ არ მყოფია



კონსტანტინე გამსახურდიას აქვს ერთი შესანიშნავი გამოთქვა: „კაცის კაცი რა კაცია?“ იცით, ამას რაგომ ვუსვამ ხაზს? მე ქალიან ბევრ აღამიანთან მიმუშავია. რა, ყველა ამ კაცის კაცი ვიყავი?

17

# „ღამწვარი ქმარი არ მიმითხოვებია, მე უშაღურობის მსხვერპლი ვარ“

ნურავინ ნუ მოითხოვს გმირობას სხვისგან – თუნდაც ის ქალები, რომლებიც მკიცხავდნენ, ჩემს მღვთმარებობაში რომ აღმოჩენილიყვნენ, შეიძლება, უფრო ადრე გვეკეთებინათ ის, რაც მე გავაკეთე. მამაკაცები ვერ გამოიგებენ. ისინი ცოლებისგან ყოველთვის მსხვერპლშეწირვას მოითხოვენ.



20

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**საგანგებო**

ოპიზარტა ნამუშავევი 35

**პოეზიის დღიურები**

ჩინელი ხილველების მისაპართს  
ნებისმიერ დროს გადმოგხვამთ 36

**სასრებლო აზრები**

აფორიზმების ენციკლოპედია 38

**ისტორია**

1924 წლის ეროვნულ-  
განმათავისუფლებელი აჯანყება 39

**პარსკვლავი**

შარლოტა რემპლინგი -  
პარსკვლავი, რომელსაც  
მეფურების შოკში  
ჩაგდება უყვარს 42

**ესკიზები**

გოგი გაბაშვილი და  
ნათხოვარი სერთუკით  
ღვთაშობის ილია  
ჭავჭავაძის პორტრეტი 44

**რომანი**

ბესიკ კეკელიძე.  
ქალი-ოგობა (გაბრძელება) 46

**ავტო**

50

**ჯანმრთელობა**

- ეოლაგრა 52
- თუ ოჯახში ჩიტი გყავთ 52
- სამკურნალო მცენარეები -  
კრაგანა 53
- ღიასახლისის კუთხე 54
- მელიტინა და რელიგია 54
- კითხვა-პასუხი 55

**კლანი**

საგლაური ანუ აგერიკის  
ერთ-ერთი ყველაზე  
სკანდალური საოჯახო  
პროცესი (დასასრული) 56

**ვიქტორიანა**

დაისვენეთ, ბაერთეთ,  
ივარჯიშეთ! 60

**სანოვრდი**

61

**პროსოპოე**

კვირის  
(27 აგვისტო - 2 სექტემბერი)  
ასტროლოგიური პროგნოზი 62

**მუსიკა**

სასიამოვნოა თუ არა  
თქვენთან ურთიერთობა 63

**კალენდრული**

ჩრდელ-ჩრდილი ამბები 64

**გარეკანზე: გიორგი შორჭულიანის კოლაჟი**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“  
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით  
გაზეთ „კვირის კალიტრის“ დამატება  
შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
რედაქტორი: გონა ტყემელაშვილი  
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი  
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32  
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

**ჩინელი ხილველების მისაპართს  
ნებისმიერ დროს გადმოგხვამთ**



ხილველები რთული ქირურგიული ოპერაციების დროს, დანასა და ნარკოზს არ ხმარობენ. ოპერაციებს პირდაპირ ნათესავებისა და მაყურებლების თვალწინ აკეთებენ. ერთ ასეთ ოპერაციას მეც დავესწარი. გაოგნებული დავრჩი...

36

**გადანწყობილი მქონდა: ეოვას ვუტიკე  
მათ, ვინც ხალხი ამ დღეში ნაგდო-მითქო**

დავით თევზაძემ გამაღიზიანა. ჯერ არაორდინარულ, „იაზვურ“ პასუხებს მცემდა, ხოლო სარეკლამო გიხარი რომ დაიწყო, მომიბრუნდა და მეკითხება - პრემერვაგიების რეკლამა თუ იქნებათ?..



6

**პარსკვლავი, რომელსაც მეფურების  
შოკში ჩაგდება უყვარს**



ფილმში - „მაქსი, ჩემი სიყვარული“ მან მაიმუნზე შეყვარებული ქალი განასახიერა. თავად მსახიობის თქმით, ეს იყო სიყვარულის მშვენიერი ამბავი, თუ როგორ ისწავლა ქმარმა, მაიმუნის წყალობით, საკუთარი ცოლის სიყვარული.

42


**ქართი-ობობა**

ნიკუმა მონათლეს, შემდეგ სტუმრები მარიკასთან სახლში საქეიფოდ წაიყვანეს. გიორგის შვილიშვილი კალთაში ჩავსვა და ეფერებოდა. როდესაც ნაცლარს შეხედა, ქალმა მგერა აარიდა. გიორგის არ ესიამოვნა, სიმთვრალე მოიმიზეზა და სახლში წავიდა.



46

# მომიწევით, „ცილნაწამენნი“!..



ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული – მგონი ჩემი პროვოკაციული მოღვაწეობაც ფინიშზე გავიდა. ასეა ალბათ: ადრე თუ გვიან, ყველა ცოდვა მოგვეკითხება და სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყოველ ხუთშაბათს რომ ათასობით კაცი კითხულობდა ჩემს ნაჯღაბნს, ხომ იყო ეს მეცხრე მცნების დარღვევა: „არა ცილს ჰრწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუთათა!“

„მოყვასსა შენსაო“ – ის ხალხი, ვისაც მე ცილს ვწამებდი ხომ მართლაც ჩვენი მოყვასი და ახლობელი ადამიანები არიან: ქვეყნის ბედზე დარდით გაჭაღარავებული პრეზიდენტი, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვაში დაძვინათევი მინისტრები და უკეთეს მომავალზე ფიქრით თავგასიებული თავმჯდომარე და წევრები.

მოკლედ, ყოველ კვირას მიუტყევებელი ცოდვის ჩაღწევა პროფესიად ვიქციე და ორმაგი ცოდვა ის არის, რომ ამაში ფულს ვიღებდი. ჰოდა, მიწია ბოლოს – ახლა საქართველოს ერთ-ერთ მთის კურორტზე უშედეგოდ ვცდილობ ჯანმრთელობის აღდგენას. ბოლოს და ბოლოს, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩემი წამალი, მთის ჰაერი, თაფლი, კარაქი და პოლივიტამინები კი არაა, „ცოდვათა ჩემთა მონანიება“ არის და ამიტომ ყველა „ცილნაწამებისადმი“ ბოდიშის მოხდით ვიწყებ „მკურნალობას“:

ბატონო შინაგან საქმეთა მინისტრო, სულგრძელად მომიტყევეთ, რამეთუ თქვენს სამინისტროს კორუფციის ბუდეს ვუწოდებდი და არც პირადად თქვენთვის დამიკლია „ქება-დიდება“. თქვენი და თქვენი თანამშრომლების ინტელექტუალურ შესაძლებლობებსაც ნულის ახლომანლო განვიხილავდი და, ცხადია, ამითაც ცილს ვწამებდით... ასევე თავზე ლაფს ვასხამდი მშობლიურ „ომონსა“ და მის შეფს, – რა თქმა უნდა, დაუმსახურებლად. ცილს ვწამებდი, თითქოს მათ სიძულვილი ამოდრავებდათ, როდესაც „ჩურჩხელებით“ უმასპინძლებოდნენ დემონსტრანტებს. არადა, მაშინაც ვიცოდი, ილიასი არ იყოს: „ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია...“ მაპატიეთ, ბატონო თემურ!

უშიშროებისა და ეკონომიკის მინისტრებო! ადამიანები, რომლებმაც მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის, სიდერ-სიმამრების დახმარებისა და ცოლისდების მიერ ლატარიაში მოგებული ავტომობილების გაყიდვით შეგროვებული ფულით სახლები ააშენეს, მე კი მათ პატიოსნებაში ეჭვი შევიტანე, ბიუჯეტის ქურდები ვუწოდე, იუსტიციის მინისტრის ჭორებს აყვევი, – შემინდეთ, ბატონებო!

არც იუსტიციის მინისტრს დავაკელი – „ჩამშვები“ და „კომსომოლა“ ვუძახე. ვაი, სირცხვილო! რატომ ხელი და ენა

არ გამიხმა! მაპატიე, მიშიკო, გაფიცებ 50 ლარიან თანამშრომლებს, რომლებიც ხელფასზე ცხოვრობენ!

ჩვენს წმინდათაწმიდა სალოცავს – საქართველოს პარლამენტსაც კი შევანე ბილწი კალამი!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პარლამენტართა უმრავლესობას ერთი ორჯერ, არც მეტი, არც ნაკლები – დებილები ვუწოდე! ღმერთო, მომკალი! მერე იყო და – სულ „ავაჭრელე“ იქაურობა: ზოგი წითლად გამოვაცხადე, ზოგი შავად და ზოგი ცისფრად. არადა, კარგად ვიცოდი, სინამდვილეში მთელი პარლამენტი უფერო და უფერულია, მაგრამ სატანა რომ შეგიჩნდება, რას იზამ...

ისიც კი ვიკადრე, რომ პასპორტიდან ეროვნების აღმნიშვნელი რეკვიზიტის ამოღება პარლამენტის ზოგიერთი ხელმძღვანელისა და მმართველი ელიტის წევრის არაქართულ წარმოშობას დაუუკავშირე... მაშინ, როდესაც, ბრმა თუ არ არის კაცი, ერთი შეხედვითაც იტყვის, თუნდაც მათი გარეგნობიდან გამომდინარე, რომ მათში წვეთი სისხლიც კი არ არის არაქართული, ხოლო მოღვაწეობასაც თუ გავითვალისწინებთ, რაღა ეგენი და რაღა აღმაშენებელი და თავდადებული...

რა ვქნა, ენა არ მიბრუნდება და კალამი არ მემორჩილება პატიება ვთხოვოთ, მაგრამ თქვენი სულგრძელობის იმედი მაქვს.

ეჰ... სულ ტყუილად მაქვს მომაკვინებელ ცოდვათა მიტყევის იმედი. ზემოთ ნათქვამი საშინელებანი რომ მეპატიოს, მთავარ ცოდვას სად გავექციევი – პრეზიდენტზე (!) წამომცდენია აყვია როშე! მან რომ შემინდოს, ღმერთი მაინც დამსჯის! მაგრამ რადგან აღსარებას ვამბობ, ბოლომდე უნდა ვთქვა: მაშვ და მარჩენალო! ხალხის გამათხოვრებაში შენ გეღებ ბრალს, სულგრძელად მაპატიე! აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვაში შენ გადანაშაულებდი, დიდსულოვნად მომიტყევე! საქართველოს უძრავ-მოძრავი ქონება გადამთიელთა ხელში რომ არის, შენი ხრიკები მეგონა, შემინდე უბირს!

P.S. სხვათა შორის, აქ, მთაში, მართლაც ნაკლებად ჩანს „მღიერთა ამა ქვეყნისათა“ საქმეები – ავიც და კარგიც. თანაც, თქვენთან შედარებით, 2000 მეტრით „ახლოს“ ვარ ღმერთთან და რაც დავწერე, იმაში გულწრფელობის ნატამალიც არის. ერთი კია, რაც აქა ვარ, არც ტელევიზია მინახავს და არც პრესას გავცნობივარ, მხოლოდ ახლა – როდესაც ჩემს „აღსარებას“ ბარში ვაგზავნი აქაური ფოსტიდან, გაზეთების პირველ გვერდებს დავხვე, ხელები „მეველებურად“ ამექავა...

**პროპოკატორი.  
ბახმარო, აგვისტო, 2001 წელი.**



გიორგი სანაიას მკვლელი ისევ თავისუფლად დადის. მისი ცინიზმი უსაზღვროა. უყურებს ტელევიზორს, კითხულობს გაზეთებს და თავისთვის ხარხარებს: რა ადვილია აკეთო აქ ცუდი საქმე — რაც გინდა და როგორც მოგესურვება. ვის გინდა მოსთხოვო პასუხი იმ ქვეყანაში, სადაც არავინ დგას მონადეების სიმაღლეზე?!



# გიორგი სანაიას მკვლელი

## ალბათ ხარხარებს...

ვის დნმ-ს იყვლევს ძებ?

### მარინა მამისაშვილი



გიორგი სანაიას საქმის გამოძიება ისევ ზოგადი ფრაზებით იფარგლება. ფაქტია, რომ სამართალდამცავები ჩიხში მოექცნენ. ჯერჯერობით, მათ არ ძალუძთ ამ მკვლელობის გახსნა. არადა, შემთხვევიდან მეორე დღესვე, ქვეყნის პრეზიდენტმა ამ დანაშაულის გახსნა პრესტიჟისა და ღირსების საქმედ გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, დღეს მათ ხელთ მხოლოდ ოთხი არაფრის მიქმელი ფოტორობოტი აქვთ, და კიდევ — თაღლითობაში ეჭვმიტანილი დათო გელაშვილი ჰყავთ, რომელსაც სანაიას მკვლელობა ვერ დააბრალებს. ერთადერთ იმედის მომცემ ფაქტორად რჩება ძებ-ს (აშშ-ის ძიებათა ფედერალური ბიუროს) დასკვნა, რომელიც შემთხვევის ადგილზე აღებული მტკრით, ასევე გენური გამოკვლევე-

ბით პასუხს გასცემს ბევრ გაუცემელ კითხვას. სხვათა შორის, იმასაც, არის თუ არა დათო გელაშვილი სანაიას მკვლელი. კულუარული ინფორმაციით, გამოძიება სწორედ ამ დასკვნას ელოდება და მისი მიღების შემდეგ, ე.წ. ნათელმხილველ გელაშვილს ან გაათავისუფლებენ, ან სანაიას მკვლელობის ბრალდებას წაუყენებენ. ამ დღეებში კი, ვაშინგტონიდან დაბრუნდნენ კრიმინალისტი სერგო ძგინიძე და ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი. არაოფიციალური ინფორმაციით, მათ ძებ-ს დასკვნები ჩამოიტანეს. სერგო ძგინიძემ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა და ისევ დუმდის ამჯობინებს, ხოლო მაია ნიკოლეიშვილი კვლავაც მიიჩნევს, რომ პროკურატურამ საზოგადოებას უფრო მეტი პატივი უნდა სცეს და ამ მკვლელობის ირგვლივ გავრცელებული უამრავი ჭორის გასაბათილებლად, რაღაც მაინც უნდა უთხრას.

— ქალბატონო მაია, რა შედეგით დაბრუნდით და საერთოდ, რა შეგიძლიათ გვითხრათ აშშ-ში თქვენი ვიზიტის შესახებ?

— მე და სერგო ძგინიძე 7 აგვისტოს გავემგზავრეთ ამერიკაში. როგორც ვიცო, სერგოს მიზანი ძებ-ს წარმომადგენლებისთვის ნივთმტკიცებულებების გადაცემა იყო. ჩემი ვიზიტი კი ითვალისწინებდა ამერიკის მხარის მიერ იუსტიციის სამინისტროსთვის კრიმინალისტური ლაბორატორიის გადმოცემას. პროგრამა შედეგბოდა ტრენინგებისგან. შესაბამისად, რამდენიმე შეხვედრა მქონდა იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო დეპარტამენტში. რაც შეეხება გიორგი სანაიას

მკვლელობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მე მხოლოდ აქედან წავიღე ნივთმტკიცებულებების ბიოლოგიური წარმოშობა — თმა, სისხლი, კანის პრეპარატი ხელზე დაწვრობის მიდამოდან და ეს ყველაფერი შეტანილი იყო სერგო ძგინიძის სიაში. ეს ნივთმტკიცებულებები წვისისამებრ, პროკურატურის დოკუმენტით გადაეცა ძებ-ს ლაბორატორიის წარმომადგენლებს. ამ გადაცემას უშუალოდ მეც ვესწრებოდი. სერგო ძგინიძეს იმ სიაში კიდევ რა ჰქონდა, არ ვიცი და, ბუნებრივია, ამ ინტერესს ვერც გამოვამჟღავნებდი, რადგან ამის უფლება არ მაქვს. იმის წარმოდგენა, რომ ვიღაც ექსპერტიზაში მონაწილეობას მიიღებდა, ეს უბრალოდ სასაცილოა, რადგან ჩვენ იმ მეთოდიკებს საერთოდ არც ვიცნობთ და არც არის მიღებული, რომ, როდესაც ერთი პასუხისმგებელი პირი მუშაობს, იქ ჩვენი წარმომადგენელიც ჩაერთოს. მე მხოლოდ ერთი შეხვედრის დროს, როგორც სამედიცინო ექსპერტმა, გვამის გამოკვლევის ფოტოსურათები ვაჩვენე მათ და რაღაც მომენტები დავაზუსტე გიორგის გვამთან დაკავშირებით.

— რა დააზუსტეთ?

— სროლის მანძილი, ის, რომ გიორგი ფეხზე იდგა და ზურგიდან ესროლეს და შემდეგ, ზურგზე რომ იწვა და ამ პოზაში დაიცალა სისხლისგან... კედლებზე სისხლის გაბნევის დამადასტურებელი ფოტოები... მათ რამდენიმე კითხვა დამისვეს და... მეტი არაფერი.

— ამერიკაში თქვენი ვიზიტის დროს საზოგადოებაში გაფრცხვანდა ინფორმაცია, რომ ძებ-ს პასუხები ამ კვირას უნდა ყოფილიყო...

— იქ ყოფნის დროს გვითხრეს, რომ შეიძლება ნაწილის პასუხი უფრო ადრე ყოფილიყო. ისიც კი გვითხრეს, თქვენს წასვლამდე თუ მოესწრო ამ ნაწილის პასუხი, გაგატანთო. თუმცა, როგორც შემდეგ სერგო ძგინიძემ მითხრა, ვერ მოესწრო. ბუნებრივია, მე პასუხს არავინ მომწვდის, ამას პროკურატურა მიიღებს, მაგრამ როდის, ვერ ვეტყვით.

— იქაური შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე, იგივე წარმოდგენილი ნივთმტკიცებულებების ფონზე, რამდენად ნაყოფიერი იქნება ძებ-ს პასუხები გამოძიებისთვის?

— ძებ რომ უზარმაზარი მასშტაბის კვლევას აწარმოებს, ამაში დავრწმუნდი. ფანტასტიკური ლაბორატორია აქვთ. დნმ-ს კვლევას რაც შეეხება, ამის კვლევის მეთოდიკა ცხოვრებაში არ მენახა. ეს არის

ნაწილაკების გენეტიკური კვლევა.

**— ამის გამოკვლევა რას მისცემს გამოძიებას?**

— პირდაპირ პიროვნებაზე გავის: ადგენს — რაღაც ქსოვილის ნაწილი ამ პიროვნების არის თუ არა. უნიკალური კვლევაა. მაგრამ მთავარია, რას მიაწვდი. მე არ ვიცი, რა მიაწოდა პროკურატურამ, ანუ რასთან რისი შედარება მოხდება.

**— გამოძიება ამას ასაიდუმლოებს?**

— გამოძიება, სამწუხაროდ, ბევრ რამეს ასაიდუმლოებს. შეიძლება, გამოძიების ინტერესებიდან რაღაც არ თქვა, მაგრამ ვთვლი, რომ საზოგადოება მეტი პატივისცემის ღირსია. მე მაგალითად, ძალიან ბევრი უხერხულობა გადავიტანე. ჩვენ გავაკეთეთ ის, რომ სამი დღის შემდეგ საზოგადოებას მივეცით ინფორმაცია, რომელიც ორი კვირის შემდეგ სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა. ამ დროს გამოძიება დუმს. საზოგადოება კი ამის შედეგად ისევ და ისევ ჩვენგან თხოულობს ინფორმაციას. ის ჭორების ტყვეობაში არ უნდა დატოვო.

**— რადგან ქორები ვახსენეთ, გიორგი სანაიას გარშემო საკმაოდ ბინძური ქორები აგორდა. უკვე აღარ არის დასაშავალი, რომ პოლიციამ და პროკურატურამ თუ სადმე „ცისფერი“ იყო, ყველა დაპატიმრა. თქვენ როგორც ექსპერტიზა, რა შეგიძლიათ ამის ირგვლივ თქვათ?**

— რა არის, იცით? მორალურ მხარესთან დაკავშირებით ზოგადად ვიტყვი: მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანს აქვს პირადი საიდუმლო უფლება, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში ის არის, რომ ამ ჭორებს არანაირი საფუძველი არ აქვს: მე და ლევან ჩაჩუას გამოკვლევის დროს არანაირი სქესობრივი კავშირის კვალი არ გვინახავს. ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად იგივე დადასტურდა. საერთოდ, ნებისმიერი მკვლელის დროს ხდება ამგვარი გამოკვლევა. ეს ჭორი გავრცელებული არც იყო, რომ ჩვენ ამ ტიპის გამოკვლევა ჩატარებული გვქონდა.

**— ამერიკაში წასვლამდე თქვენ კატეგორიულად აცხადებდით, რომ აუცილებელი იყო ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, რომელიც ქიანურდებოდა. დღეს რა მდგომარეობაა ამ მხრივ?**

— ეს ყველაფერი უკვე ამერიკაშია. აქ მითხრეს, რომ განმეორებით გამოკვლე-

ვას სჯობს, პირველადი კვლევა იქ ჩატარდეს.

**— გენერალური პროკურატურა წინააღმდეგია, რომ გიორგი სანაიას საქმეზე თქვენ ექსპერტი იყოთ და ამისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლს იშველიებს. რამდენად სამართლიანად გქვინებათ ასეთი გადაწყვეტილება?**

— ეს არის კანონის არასწორი ინტერპრეტაცია. კანონის სხვაგვარად წაკითხვის უფლება არავის აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს კანონი სამედიცინო ექსპერტის შემთხვევის ადგილზე ყოფნას არ ეხება. ეს ყოველთვის ასე იყო. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი გვამის დათვალიერებისას არანაირ დასკვნას არ გასცემს, რომლის საფუძველზეც შემდეგ შესაძლოა, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. მე იმ შემთხვევაში არ მექნებოდა მონაწილეობის უფლება, თუ ჩემი დასკვნის საფუძველზე იქნებოდა საქმე აღძრული. ამ შემთხვევაში კი, ეს ასე არ ყოფილა. შემთხვევის ადგილის დათვალიერება სულ სხვა კატეგორიაა. აქ ექსპერტი დასკვნას არ იძლევა. თუ ჩვენ ამ მუხლს ასე გავიგებთ და პროკურატურის აზრს დავყვართ, მერწმუნეთ, რომ ეს იქნება გამოძიებისთვის ძალიან დიდი ხელის შეშლა.

**— იქნებ, იმიტომ არ უნდათ საქმეში თქვენი მონაწილეობა, რომ გამოძიებას რაღაცის მიჩქმალვა სურს, რაზეც თქვენ არ გაჩუმდებით?**

— ეს უკვე სხვამ უნდა განსაჯოს. ხელს აძლევთ, არ აძლევთ — ეს ჩემი შესაფასებელი არ არის. ამას შედეგები გვაჩვენებს და პრინციპში, საზოგადოების აზრიც საკმაოდ კარგად არის ჩამოყალიბებული ამ საკითხებზე. თქვენი ნათქვამი ჩემთვის დიდი კომპლიმენტია, დიდი მადლობა, მაგრამ არ მინდა, მე თვითონ შევაფასო ეს ყველაფერი. საზოგადოებამ შეაფასოს.

**— როგორც პიროვნება, რას ფიქრობთ სანაიას საქმეში ჩართულ დათო გელაშვილზე, რომელსაც თაღლითობის მუხლი აქვს წაყენებული.**

— დათო გელაშვილზე არაფერი ვიცოდი, სანამ ამერიკაში წავიდოდი. მისი სახელი თბილისში დაბრუნების შემდეგ გავიგე. იცით, ერთი მომენტი: არსებობს უდანაშაულობის პრეზუმპცია. სხვათა შორის, მე და მიხეილ სააკაშვილს ხაზგასმით გვქონდა საუბარი, რომ ექსპერტიზის ცენტრის პირველი დანიშნულება

არის „მუშტის სამართლიდან“ გადავიდეთ მტკიცებულების სამართალზე. ეჭვის დონეზე გიორგი სანაიას მკვლელობის დაბრალვა მიუღებლად მიმაჩნია.

**— თქვენთვის იუსტიციის სამინისტროს ექსპერტის ამბულა ახალია. როგორ მიგაჩნიათ — სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებით, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი, უფრო მეტს ხომ ვერ გააკეთებდით? რაიმე შეზღუდვას ხომ არ გრძნობთ?**

— სააკაშვილის გვერდით დგომა იმას ნიშნავს, რომ სარ დამოუკიდებელი და გრძნობ ძალიან ძლიერ მხარდაჭერას. მიმაჩნია, რომ აქ შესაძლებლობა და ძალა უფრო მეტია და მეტსაც გავაკეთებ, ვიდრე დამოუკიდებელი ექსპერტობის დროს გავაკეთებდი.

**— რას ვერ გააკეთებდით, მაგალითად?**

— წინააღმდეგობას, რაც მე თუნდაც ექსპერტიზის ბიუროში შემხვდა, ვერ გადავლახავდი. ეს იყო პირველი მომენტი, როდესაც გამოძიებელ მერაბ გოგლიძეს არ უნდოდა, გვამის ექსპერტიზაში რომ მიმელო მონაწილეობა: ის ამბობდა, რომ მე უნდა ვყოფილიყავი მხოლოდ დამსწრე. როცა დამოუკიდებელი ექსპერტი ვიყავი, ძალიან ხშირად ხდებოდა ხელის შეშლა პირველადი ექსპერტიზის დროს და მერე. უკვე დაღუპულის ოჯახის ნებართვით, ექსპერტიზებზე გვამზე ვმუშაობდი, — განმეორებითი ექსპერტიზის დროს კი ინფორმაცია ყოველთვის ნაკლებია. ამ შემთხვევაში კი, გენერალური პროკურორის მოადგილეების, შოთა ასათიანისა და ვენედი ბენიძის მოსვლის შემდეგ, შესაძლებელი გახდა, რომ მე, როგორც ექსპერტს, მონაწილეობა მიმელო. საბოლოო ჯამში ეს მიხეილ სააკაშვილის დამსახურებაა. თუმცა აქვე მინდა ვთქვა, რომ რაც იუსტიციის სამინისტროში მოვედი ექსპერტად, ბოლო დღეებში განსაკუთრებით, საოცარი დაძაბულობა იგრძნობა. შეიძლება ითქვას, დამწვრის სუნი ტრიალებს. ძალიან უწყებებიდან არის პროვოკაციების მცდელობა, თანამშრომლებს საოცარი წინადადებებით მიმართავენ და არ გამოვრიცხავ, რომ რაიმე პროვოკაცია მოხდეს კიდევ. გარდა ამისა, ტონი გამოძიებელთა მხრიდან ძალიან პრეტენზიული და, შეიძლება ითქვას, მუქარის შემცველია. ისინი ცდილობენ, სისტემის დისკრედიტაცია მოახდინონ. ასეთი უწყებრივი დაპირისპირების დროს კი საზოგადოებრივი ინტერესი, სამწუხაროდ, განზე რჩება ხოლმე.

### ღარი ბრკელიშვილი

არცთუ დიდი ხნის წინ სახელმწიფო ტელევიზია ჩინოვნიკებზე დამოკიდებულ, მკაცრი ცენზურის ქვეშ მყოფ ტიპურ საბიუჯეტო ორგანოდ ითვლებოდა. დროთა განმავლობაში, ვერ ვიტყვით, რომ მთლიანად, მაგრამ ნაწილობრივ მაინც, ხალხში გაგრძელებული ეს შეხედულება გახუნდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ზენოლის კვალი პირველ არსზე მაინც შესამჩნევია, მისი ეთერიდან ხშირად, ჩინოვნიკთა არმიისთვის არც ისე საამოდ მოსასმენი მოსაზრებებიც გამოითქმება ხოლმე. ალბათ, მკითხველი დამეთანხმება, რომ ერთ-ერთი პირველთაგანი ამ პროცესში გადაცემა „ღამის მოამბე“ და, რაღა თქმა უნდა, მისი წამყვანი ინგა ბრიგოლიაა.



— ჟურნალისტიკა ბავშვობიდან მაინტერესებდა. ჩემს თამაშებში მუდმივად ფიგურირებდა მიკროფონი, ტელევიზორი და საქალაქო, სადაც ჩემი „რესპონდენტების“ „აზრებს“ ვინიშნავდი ხოლმე. მოგვიანებით, სკოლის დამთავრების შემდეგ ამ გატაცებისა თუ ოცნების დავიწყება მომიხდა. ჩემს სწავლა-განათლებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს დედაჩემი წყვეტდა. ჰოდა, მისი პირველი ახირება, ოქროს მედა-



## ბალანსიანი ბიზნესი: ყოფას ვუტირებ მათ, ვინც ხალხი ამ დღეში ჩააგდო-მითქი

ლი იყო, რომელიც, მისდა სამწუხაროდ, ვერ ავიღე. ამის შემდეგ კი, უკვე ჩემდა სამწუხაროდ, ჩემმა რეპეტიტორმა რატომღაც დაასკვნა, რომ დიდ წარმატებებს მივალწვედი მეცნიერებაში... ჟურნალისტურ განათლებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო და ფილოლოგიის ფაკულტეტზე ამოვიყავი თავი. ჩემი სტუდენტობის წლები საქართველოში ცნობილ ტრაგიკულ მოვლენებს დაემთხვა. ამას დაემატა მძიმე სოციალური მდგომარეობაც. რომელ მეცნიერულ კვლევაზეა საუბარი?! — უნივერსიტეტში მხოლოდ ჩათვლებზე და გამოცდებზე დავდიოდი ხოლმე...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სულ ორიოდე თვე ვიმუშავე პედაგოგად. გამოგიტყდებით — იმხელა სიამოვნება არ მიმიღია, რომ თვეში 14 ლარის გულისთვის ამ სფეროში დავრჩენილიყავი.

ცოტა ხანში საინფორმაციო სააგენტო „გეაში“ დავიწყე მუშაობა. ფაქტობრივად, როგორც ჟურნალისტმა ფეხი იქ ავიდგი. პრესისა არ ვიცი, მაგრამ ტელეჟურნალისტიკისთვის, ჩემი აზრით, საინფორმაციო სააგენტოში მუშაობა საუკეთესო სკოლაა: იქ სწავლობ ადამიანი „გრძელი სიტყვის მოკლედ თქმას“, რაც ტელევიზიაში აუცილებელი ატრიბუტი გახლავთ. „გეაში“ ბევრი რამ ვისწავლე. შემიძლია ვთქვა, რომ ნულიდან დავიწყე ყველაფერი: ჩემს პირველ რეპორტაჟზე პარლამენტში რომ გამაგზავნეს, ისიც კი არ ვიცოდი, რას

ნიშნავდა სიტყვა „კომიტეტი“. მაგრამ, როგორც ჩანს, დიდმა სურვილმა და მიდრეკილებამ თავისი ქნა და ამ საქმეს ძალიან სწრაფად აგულე ალღო. როდესაც „რუსთავი 2“-მა თანამშრომლობა შემომთავაზა, შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბებული ჟურნალისტი ვიყავი.

### — და იმ დროიდან აღარ დალატობთ ტელევიზიას.

— ასე გამოდის. იცით, პირველივე რეპორტაჟზე მივხვდი, რომ ჩემი მოწოდება ტელეჟურნალისტიკა იყო. პირველ რიგში, რაც მეც და სხვებსაც მოეწონათ, ეს ჩემი ხმა იყო: დღესაც მეუბნებიან ხოლმე — ისეთი ტონალობისა და ტემბრის ხმა გაქვს, ადამიანი ტყუილსაც დაიჯერებსო... „რუსთავი 2“-ზე რომ გადავედი, როგორც გითხარით, ჩამოყალიბებული ჟურნალისტი ვიყავი. მაგრამ იქ იწყებოდა ჩემი „განათლების“ მეორე ეტაპი — ტელევიზია. მანამდე ამ სფეროსთან არანაირი შეხება არ მქონია და შეიძლება ითქვას, ბევრიც არაფერი გამეგებოდა. მაგრამ იმდენად გამიტაცა, რომ ყველაფერი უმოკლეს ხანში ავითვისე...

### — ეს კარიერას რაც შეეხება. ოროდღე ნუთის წინ თქვენი მშვენიერი გოგონა — მარიამი გავიცანი. მეუღლე კი, რამდენადაც ვიცი, არ გყავთ...

— ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო... სულ პატარა — 16 წლისა გავთხოვდი, 18 წლისა კი უკვე მარტოხელა დედა ვიყავი. მას შემდეგ ასე ვართ მე და

მარიამი... იქიდან მოყოლებული დღემდე ჩემს ყოფილ მეუღლესთან არანაირი კავშირი არ მქონია. არც კი ვიცი, დღეს სად არის და რას აკეთებს და არც მაინტერესებს, სიმართლე რომ გითხრათ... მარიამსაც, მამასთან დაკავშირებული მხოლოდ გვარი შემორჩა – ის ჭითანაა...

**— კვლავ კარიერას დაგუბრუნდეთ: პირველ არხზე როგორ აღმოჩნდით?**

— წელიწად-ნახევრის შემდეგ, ერთ მშენიერ დღეს, „მიზეზთა და გარემოებათა“ გამო, რომელთაც არ დაეკონკრეტებ, გადაწყვიტე, რომ „რუსთავი 2“-ზე აღარ ვიმუშავებდი. ასეც მოვიქეცი და ამის შედეგად ერთი თვე სახლში ვიჯექი. გამიგია, ხალხში ლაპარაკობდნენ, თითქოს ზაზა შენგელიამ (ტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარე. – ავტ.) „ვერობოკა“ გამოიკეთა და „პირველ არხზე“ გადამიყვანა. საქმე კი სხვაგვარად იყო: უმუშევრად ყოფნა, სახლში ჯდომა ვეღარ შევძელი და პირდაპირ ნატო ონიანს (ნატო „მოამბის“ მთავარი რედაქტორი იყო) მივაღიქვი: მუშაობის დაწყება მინდა-მეთქი. მაშინ ზაზა შენგელიას საერთოდ არ ვიცნობდი, თუმცა, ჩემს მისაღებად რომ მხოლოდ ნატოს თანხმობა არ იკმარებდა, ესეც ცხადია. ზაზას მაშინ რეფორმები ახალი დაწყებული ჰქონდა და ასე, „შემთხვევით“ ადამიანის მიღებას „მოამბეში“ ნამდვილად არ დაუშვებდა...

**— „ლაშის მოამბე“ როგორღა შეიქმნა?**

— ამ გადაცემისა და საერთოდ, ჩემი, როგორც ტელეწამყვანის ჩამოყალიბებაში ზაზა შენგელიას ლომის წილი მიუძღვის: იოლი არ იყო სტერეოტიპების დამსხვრევა და „პირველი არხის“ დია ეთერში ჩინოვნიკების კრიტიკა. მას თვითონ არასოდეს უთქვამს ჩემთვის, მაგრამ ხშირად გამიგია, რომ ჩემი გადაცემების გამო მაღალი ეშელონებიდან მას ხშირად ურეკავენ და საყვედურობენ ხოლმე...

**— ამ გადაცემამ პოპულარობა მოგიტანათ. ხშირად გამიგია — პოპულარობა დამლელია, ზოგიერთი ცნობილი ადამიანი ცდილობს, ქუჩაში სიარულს მოერიდოს...**

— რა გითხრათ... გამოგიტყდებით, რომ ჩემთვის პოპულარობა სულაც არ

არის დამლელი. პირიქით — მოსახერხებელიც კია, როდესაც სადმე რიგს გითმობენ ან ტაქსის მძღოლი ფულს არ გართმევს... რაც მანქანა შევიძინე, ამას ავტონისპექტორებისგანაც ვგრძნობ. ამას წინათ მქონდა კურიოზული შემთხვევა: საბუთები შინ დამრჩა და პოპულარობის იმედად აღარ მივბრუნებულვარ. მაინცდამაინც მაშინ გამაჩერა ინსპექტორმა. სახეზე ღიმილგადაფენილი გადავედი მანქანიდან, მაგრამ ასევე გაღიმებული დავრჩი, რაცით რომ გადასცა — მანქანა საჯარიმოზეა გადასაყვანი, მძღოლს საბუთები არ აქვსო... რაღას ვიზამდი? შევიცხადე — როგორ, ნუთუ ვერ მცნობთ?! ინგა გრიგოლია ვარ-მეთქი! გაოცება კიდევ წინ მელოდა — უიძე, დიდი ბოდიში, მინისტრის ახლობელი ხართ, მანქანის წართმევას როგორ გაკადრებთო... თავი ვეღარ შევიკავე და ხარხარი ამიტყდა. საწყალი, გვარიანად შეშინდა — ალბათ იფიქრა, „თავის „მატორზე“ ვერ უნდა იყოსო“ და გამოიშვა... სხვათა შორის, პირადად ჩემთვის, პოპულარობა პირველ რიგში, პასუხისმგებლობას ნიშნავს — ამას განსაკუთრებით, რეგიონებში ყოფნისას ვგრძნობ ხოლმე. ამას წინათ სამტრედიოში ვიყავი. ძნელია სიტყვებით გამოხატო ის შთაბეჭდილება, რასაც გაპარტახებული სოფლების, ჩამოძონძილი და დაბეჩავებული ხალხის ნახვისას გრძნობ. ხალხი მცნობდა და, მიუხედავად თავისი მხივე მდგომარეობისა, აქეთ მამხნევებდა — მიდი, შვილო, აბა შენ იცი, ასე გააგრძელო... გამოგიტყდებით და, თბილისში რაღაცნაირ, ამალღებულ განწყობაზე დავბრუნდი... გადაწყვეტილი მქონდა: ყოფას ვუტირებ მათ, ვინც ხალხი ამ დღეში ჩააგდო-მეთქი...

**— მაგრამ ხალხი ამ დღეში, პირველ რიგში, ხელისუფლებამ ჩააგდო — იმ ხელისუფლებამ, რომლის ოფიციალურ რუპორსაც თქვენი ტელევიზია წარმოადგენს...**

— გეთანხმებით, რომ ასეა. სხვათა შორის, თავისთავად, იმაში, რომ ტელევიზია სახელმწიფო

ინტერესებს იცავდეს, ცუდი არაფერია — ამას ნებისმიერი სხვა ტელეარხიც უნდა აკეთებდეს. რაც შეეხება ხელისუფლების სამაუწყებლო ორგანოს — ცივილიზებულ ქვეყანაში ხელისუფლებაც და მისი ტელევიზიაც ხალხს უნდა ემსახურებოდეს, მისი საკუთრება უნდა იყოს. ჩვენში კი ასე არ არის. სხვათა შორის, ზაზა შენგელიას იმიტომაც ვცემ დიდ პატივს, რომ, მიუხედავად საშინელი ზეწოლისა, ყველანაირად ცდილობს, სახელმწიფო ტელევიზიას საზოგადოებრივი ტელევიზიის დატვირთვაც მისცეს. ალბათ ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში ასეც მოხდება. ჩვენ ზოგჯერ ორ დღეში გვინდა ხოლმე ყველაფრის მიღწევა, არადა, ეს არც ისე იოლია.

**— ტელეჟურნალისტიკის დღევანდელ დონეზე რას იტყვი?**

— „ალიონის“ ხელმძღვანელმა ოთარ შაორშაძემ ერთ ინტერვიუში თქვა — საქართველოში არაპროფესიული ტელეჟურნალისტიკა იდგება და ტელეწამყვანებიც არაფროფესიონალები გვყავსო... განა ეს ლოგიკური არ არის? პროფესიული ტელეჟურნალისტიკა საიდან უნდა გვქონდეს, როცა მის კეთებას ახლა ვსწავლობთ?! სწავლა კი, დამეთანხმებით, სიზმარი არ არის, რომ დაიძინო და პროფესიონალად გამოიღვიძო, — ეს ხანგრძლივი პროცესია, სადაც, სხვათა შორის, ტელეწამყვანის გარდა, ათასი სხვა ნიუანსიც არის. მეც იმავე მდგომარეობაში ვარ.



# ერთგული პკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-  
მასსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა  
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი  
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდ-  
ებათ პასუხის გაცემა...

## 1. სად მზადდება სააღდგომ- ო საჩუქარი — წმინდა ცაცხლზე თავმოყვანილი სანთლები, „პკირის პალი- ტრის“ მკითხველებისთვის?



- ა) იორდანეს უდაბნოში მდებარე წმ. გერასიმეს მონასტერში;
- ბ) თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში;
- გ) ბულგარეთში, პეტრიწონის ქართველთა სავანეში.

## 2. რისი გენეზისგან შეპარ- ილი ქუდავი ახსურავთ დიდი პრიტანეთის სამეფო გვარდი- ის ჯარისკაცებს?



- ა) ცხვრის;
- ბ) მგლის;
- გ) ლათვის.

## 3. ვილ გეიტსზე ვინივთ მეუღლე ამოგზნა: „ის ყველაზე ჰკვიანი და ... მამაკაცია“. რომელი სიტყვაა გამოტოვ- ებული?



- ა) სექსუალური;
- ბ) თავდაჯერებული;
- გ) მხიარული.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მარობაში ვარ, როგორც ჩემი კოლეგები:  
ტელეშოუს ახლა ვითვისებ და ფვიქრობ,  
პროფესიონალიზმს თანდათან ვიმაღ-  
ლებ... ეთერში ჩხუბი და აგრესია რომ  
ხდება ხოლმე, ეს გარკვეულწილად ამის  
ბრალიც არის. მასსოვს, ერთხელ ედუ-  
არდ შევარდნაძე მყავდა პირდაპირ  
ეთერში — მაშინ, არჩევნებში რომ გაიმ-  
არჯვა. ბოლო წუთზე მეუბნება რე-  
ჟისორი — კომპიუტერში გადაცემის  
„ქულიც“ წაიშალა, ტიტრებიც და სხვა  
ყველაფერიც, მზად იყავი, ყოველ წამს  
შეიძლება ეთერში ჩავრთოთ... მაშ-  
ინვე ცრემლები წამომცვივდა, მაგრამ  
თავი ხელში ავიყვანე და ყველაფერმა  
ნორმალურად ჩაიარა, თუმცა დიდი  
ნერვიულობისა და ძალების დაძაბვის  
ფასად. დღეს რომ მსგავსი რამ მოხდეს,  
გაცილებით ადვილად გავუმკლავდები  
ამოცანას...

## — ინგა, ყველაზე ძალიან რომელ რესპონდენტს გაული- ზიანებიხართ?

— ასეთი ბევრი შეიძლება იყოს, მა-  
გრამ კარგი რესპონდენტიც ბევრი მყ-  
ოლია... დავით თევზაძემ გამაღიზიანა  
ერთხელ ძალიან: ქართული არმიის დღე  
იყო თუ რაღაც სხვა სამხედრო  
დღესასწაული, და ალბათ იმის გამო,

რომ ქართული არმია ცაში არ ამიყვა-  
ნია, ჯერ არაორდინარულ, „იაზვურ“  
პასუხებს მცემდა, ხოლო სარეკლამო  
ტიხარი რომ დაიწყო, მომიბრუნდა და  
მეკითხება — პრეზერვატივების რეკ-  
ლამა თუ იქნებაო?... იმ დღეს მგონი,  
გია ბარამიძეც მყავდა პირდაპირ ეთერში  
და იმასაც ყბა ჩამოუვარდა გაოცები-  
სგან... იმ წუთში ძალიან ვინატრე, ეს  
რეპლიკა ღია ეთერში გასულიყო...  
ერთხელ ჯემალ გოგიტიძემაც გამაბრა-  
ზა — მიუხედავად იმისა, რომ ძალიან  
ჭკვიანი კაცია და ძალიან მიყვარს.  
ბათუმიდან მქონდა პირდაპირი ჩართვა  
და ისეთი მოვრალი გამომეცხადა ეთერში,  
პირში ენას ძლივს ატრიალებდა. რო-  
გორც იქნა, მოვახერხე მისი დაშოშ-  
მინება და დავემშვიდობე: რამე რომ  
მომხდარიყო ეთერში, მე დამაბრალებდ-  
ნენ — „აღორძინების“ ხალხს ღია  
ეთერში აშაყირობო...

## — „ლამის მოამბე“ „ლამის კურიერის“ კონკურენტად მო- იაზრებოდა... გიორგი სანაია- სთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— როდესაც იმ ტრაგიკულ დღეებ-  
ში მირეკავდნენ და კომენტარის გა-  
კეთებას მოხოვდნენ, საშინლად ვლიზი-  
ანდებოდი. ისეთი შეგრძნება მქონდა,  
თითქოს გიოს სიკვდილით ყველაფერი  
დასრულდა — არაფერს აზრი აღარ  
ექნებოდა... ჩვენ მართლაც კონკურენ-  
ტები ვიყავით, თანაც სასტიკი კონკურენ-  
ტები, მაგრამ ამ კონკურენციის მიღმა,  
უდიდესი კოლეგიალობა და სიყვარუ-  
ლიც იყო. როდესაც ერთი მთავარი  
თემა გვქონდა ხოლმე აღებული და  
მისი სავარაუდო რესპონდენტი ჩემთან  
მოდიოდა, გიო დამირეკავდა: „გრიგო-  
ლია, შე დამალო, შენთან მოდის, არა?“  
პირიქითაც ხდებოდა: ის რომ „წამა-  
რთმევედა“ რესპონდენტს, მე „ვლანძღვ-  
დი“: გაიხარე, სანაია, შენთან იქნება-  
მეთქი... პანკისის ხეობაზე გიო მთელი  
კვირა მაგარ სიუჟეტებს აკეთებდა. დი-  
ლაობით ვუყურებდი ხოლმე მის გა-  
დაცემებს და აღტაცებული ვიყავი.  
კვირის ბოლოს, როდესაც კვანძი უნდა  
შეეკრა ეთერში თარგამაძე ჰყავდა მი-  
წვეული. გაგიჟდა, ჩემთან რომ გამოვი-  
და... გიორგი ძალიან დამაკლდება. ვერ  
წარმომიდგენია, 3 სექტემბერს, როდე-  
საც „ლამის მოამბე“ კვლავ გავა ეთერში,  
ამ დროს გიორგი რომ აღარ გამოჩნდე-  
ბა ეკრანზე...





# ილიკო სუხიშვილი მონასტერში წავიდა...

ლელა ჭანკობაძე

კარი რომ შევალე და მგლოვიარე დი-ასახლისი შემომეგება, შევცბი. არ ველოდი, ისეთი ნაზი და სიფრიფანა ქალისაგან, როგორც ქალბატონი ნათიაა, ესოდენ დიდ სიმტკიცეს. ის ვაჟკაცივით უმკლავდება უბედურებას. მხოლოდ მისი თვალები სავე დარდით, იმედგაცრუებითა და სასოწარკვეთით ტირიან უცრემლოდ, თვალები, რომლებსაც უნდა გაეცქე, რათა მათში ჩაბუდეული სულის ტკივილი და სიკვდილის განცდა არ დაგრჩეს საშუალოდ იმ კომმარული რეალობის სურათად, რასაც ადამიანის სი-სასტიკე ჰქვია.

– შვილი მომიკლეს, მე კი ისინი არ დამიწყველია, – გამიმხილა მგლოვიარე დედამ, – ვერც დაეწყველი, არ შემიძლია. ახლა ილიკოსთვის უნდა ვიცოცხლო, იმის გადა-რჩენა უნდა შევძლო, ვინც ჩემს შვილს ასე უყვარდა, სჭირდებოდა, ეამაყებოდა. გუშინ ილიკომ მონასტერს შეაფარა თავი. ცხოვრებისა და ადამიანებისაგან მოცილებულს უნდა ყოფნა. იქნებ მონასტერში შეძლოს მოიპოვოს სულის სიმშვიდე და ძალა, ამ ტკივილს რომ გაუმკლავდეს. გვანცა მორ-წმუნე გახლდათ. მისი მოძღვარი მამა ზე-ნონი იყო.

შეუძლებელია დედის მწუხარების წარ-მოდგენა. საშინელ იმედგაცრუებას განიც-დის გვანცას დაც. თამთა გვანცაზე ერთი წლით არის უმცროსი. ისინი თითქმის ტყუპებივით გაიზარდნენ. ერთმანეთისგან და-ძალული არაფერი ჰქონიათ. ოცი ბედნიერი წელიწადი გაატარეს ერთად. ახლა კი თამთამ მის გარეშე ცხოვრება უნდა ისწავ-ლოს და მისი ხსოვნაში ვაცოცხლება შე-ძლოს. იმ სახლში, რომელშიც გვანცა გაიზარ-და და სადაც ახლა მისი სურათებია

დარჩა, შეუძლებელია კიდევ ერთხელ არ ჰკითხო საკუთარ თავს: რატომ, რატომ მოხდა ასე?

ვენესუელიდან გაზზე „ნაციონალის“ კორესპონდენტმა პაპლო აიკელმა, რომელმაც მკვლელობის მოტივად ძარცვა დაასახელა, ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა: „ბარგისიმენტო, რომელშიც ქართული ცეკვის ანსამბლი ჩამოვიდა, ლარას შტა-ტის დელაქალაქი ქვეყანაში სიდიდით მეოთხეა.

9 აგვისტოს ანსამბლმა ჟუარესის თე-ატრში გამართა თავისი მეორე კონცერტი. გრანდიოზული წარმატების შემდეგ, რომელიც ამ კონცერტს მოჰყვა, ანსამბლის წევრებმა წარმატება აღნიშნეს იმ სასტუმროში, რომელ-შიც ცხოვრობდნენ. ეს არის სასტუმრო „პრინციპესი“. ანსამბლის რამდენიმე წევრ-მა ქეიფის გაგრძელება მოისურვა და განიზრახა ალკოჰოლური სასმლის შესა-ძენად წასვლა. სასტუმროს გარსონმა (მსახ-ურმა. – ავტ.) მათ ურჩია, აეყვანათ ტაქსი, რადგან ისინი ცოტათი სამიმ ზონაში იმ-ყოფებოდნენ. მართლაც, მათ ისარგებლეს ტაქსით. იმდენ-ად ახლოს იყვნენ მისასე-ლელეები, რომ მგზავრობის საფასურად მხოლოდ 5 დოლარი გადაიხადეს. ლა-მის ორი საათი იყო. მათ ყველაფერი დაკეტული დახ-ვლათ, რადგან ის მაღაზიები, რომლებიც ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობენ, ღამით არ მუშაობენ. ამის შემდეგ ანსამბლის წევრები წავიდ-ნენ რესტორანში CALIFOR- NIA, საიდანაც უკან დაბ-

ისინი ძალიან უყვარდა გვანცას (მარჯვნივ: თენ-გიმ სუხიშვილი

სუთშაბათს, 16 აგვისტოს უკა-ნასკნელ გზაზე გააცილეს ქართუ-ლი ნაციონალური ბალეტის სოლის-ტი გვანცა შერგელაშვილი. ლამაზი, ენერგიული, ნიჭიერი და სიცოცხ-ლით სავე გოგონა გაუყურარ ტკივილად იქცა თავისი ოჯახო-სათვის. მართლაც, უკიდევანო გლოვა ვიცით ქართველებმა, მაგრამ ის სიმტკიცე, რომელსაც გვანცას დედა, ქალბატონი ნათია მერკვილაძე იჩენს, მხოლოდ ერ-თეულეებს ძალუთ: სამძიმრის სათქმელად მოსულ მეგობრებს საკუთარი ხელით მოდულებული ყავით უმასპინძლებდა, ცდილობს, მწუხარებას წუთით მაინც გაეცქეს, რათა იმ სახლში ყოფნა, რომელ-შიც ჰპეროც კი ტირის ლამაზი სიცოცხლის ასე უცაბედად შეწყვე-ტის გამო, გაუსაძლისი არ გახდეს...

რუნდნენ ისევ ტაქსით. ამ დროს აღმოა-ჩინეს, რომ სიგარეტი არ ჰქონდათ და ფეხ-ით ისევ გარეთ გაბრუნდნენ. ისინი ოთხნი იყვნენ: გვანცა, მისი მუულები და კიდევ ორი მოცეკვავე. ბანდილებმა დაინახეს, როგორ იყიდეს მათ სიგარეტი დოლარებზე. სამი ნაძირალა გამოჰყვა მოცეკვავეებს და სანამ სასტუმრომდე მივიდოდნენ, პარგასის მიუდარზე თავს დაესხა. ეს იყო 3.30 წუთი. ერთ-ერთი თავდამსხმელს ჰქონდა იარაღი „სმიტ-ვე-სონ“ – 38 მმ კალიბრის. გვანცას შეეშინდა, იყვირა და შეეცადა გაქცევით ეშველა თავისთვის. თავდამსხმელმა მას სამჯერ ეს-როლა. ერთმა ტყვიამ გვანცას მარცხენა მხარში გაუარა, მეორე მაჯაში მოხვდა, მეს-ამე – მუცელში. თავდამსხმელები გაიქც-ნენ. მოცეკვავეებს მათ ვერაფერი წართვეს. დაჭრილი ქართველებმა ტაქსით მიიყვანეს ანტონიო მარია პინედას ცენტრალურ საუნი-ვერსიტეტო ჰოსპიტალში, სადაც იგი მიყ-ვანისთანავე გარდაიცვალა. პარასკევს, 10 აგვისტოს მისი ნეშტი ლარას შტატის გუბერნატორ ლუის რეიეს რეიესის დახ-





პაბლო აიკელი

მარებით, კარაკასში გადასვენეს. შაბათს, 11 აგვისტოს კონცერტის ორგანიზატორებმა გამოანახეს საშუალება, რომ გამოემზადებინათ ორი მოცეკვავე და კუბო ფრანკფურტისა და სტამბოლის გავლით. ადგილობრივ პოლიციას სურდა ვეამის გადმოსვენება მეხიკო-მაიამის გზით, მაგრამ ეს უფრო გრძელი გზა იყო, ამიტომ მათი აზრი არ იქნა გათვალისწინებული.

რამდენიმე ჩხრეკის შედეგად, 13 აგვისტოს ღამით პოლიციამ დააკავა ერთ-ერთი დამნაშავე – ფელიქს ფიგერედო. იგი 21 წლისაა. იარაღი, რომლითაც მკვლელობა მოხდა, მასთან იპოვეს. თავად გასროლის ავტორი – ჟოზე-ალესანდრო-მარტინეს ესკობარი ძებნაში ამ დანაშაულამდეც იმყოფებოდა. მარტინეს ესკობარი ცნობილია ფსევდონიმით ელნინრო – რობერტ დე ნიროს ფილმ „რონინის“ მიხედვით. ესკობარი 25 წლისაა, ის პოლიციას არ ბარდება და თავის მოთხოვნებს უყენებს პროკურორს. სამშაბათს, 14 აგვისტოს დაუკავშირდა პროკურორს და განუცხადა: აპირებს ჩაბარებას, რადგან მის ბინაში ძალიან ხშირად აქვს ჩხრეკას ადგილი, მაგრამ მას ეშინია, რომ მოკლავენ, ამიტომ სურს პოლიციასთან მოლაპარაკება. ის კვლავაც ულტიმატუმებს უყენებს პროკურორს.

ოთხშაბათს, 15 აგვისტოს ამოიცივნეს მესამე დამნაშავე – ნეომარ სეგუნდო კამაკარო ხიმენესი. მას აქვს მეტსახელი „ნეო“, როგორც ერთ-ერთ გმირს ფილმში „მატრიცა“.

**გაზეთი „ელ ნასიონალი“.** პაბლო აიკელი – სპეციალურად ჟურნალ „გზისთვის“ (სტილი დაცულია).

თბილისში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 13 აგვისტოს



გვანცა შერგელაშვილის მკვლელის ესკობარის ლიკვიდაცია მოხდა. როგორც ხედავთ, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. უფრო მეტიც, გაურკვეველია, საერთოდ, ჩაბარდება თუ არა ვენესუელის პოლიციას მარტინეს ესკობარი.


ჩვენში გავრცელდა აგრეთვე ცნობა, თითქოს სპეცრეისი, რომლითაც ნეშტი ჩამოასვენეს, დაფინანსებული იყო. ფრანგი ჟურნალისტისა და, ამავე დროს, ფრანგული ტურისტული ფირმის ქართული განყოფილების დირექტორის ქალბატონ ლორ ჟაკეს განცხადებით, ეს ინფორმაცია არ არის სწორი: ქართველ მოცეკვავეებს, რომლებიც ვენესუელაში დარჩნენ, სურთ საზოგადოებამ იცოდეს: მათ საკუთარი სახსრები გაიღეს, რომ გვანცას ნეშტი გადმოევენებინათ ღირსეულად და არანაირ დახმარებას, როგორც საქართველოს, ასევე ვენესუელის ოფიციალური წრეების მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

თვითმფრინავი 13 აგვისტოს ღამის 4

სათზე ჩამოფრინდა. ნეშტი ჩამოასვენეს თავად ილიკო სუხიშვილმა და ქართული ნაციონალური ბაღატის მოცეკვავე ჯემალ ხუნდაძემ. სწორედ ისინი იმყოფებოდნენ გვანცასთან მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში. ანსამბლის დანარჩენი წევრები ვენესუელაში დარჩნენ: კონტრაქტი გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად.

კვირას, 19 აგვისტოს ქართულმა ნაციონალურმა ბაღატმა კარაკასში უკანასკნელი კონცერტი გამართა, რითაც დამთავრდა გასტროლები იმ ქვეყანაში, სადა გვანცა შერგელაშვილის სიცოცხლე შეწყდა. იქაურ პრესაში კონცერტებს დიდი გამოხმაურება ჰქონდა, მათ თითქმის ყველა გაზეთი აშუქებდა. აი, რას წერდა ერთ-ერთი მათგანი:

„17 და 18 აგვისტოს (პარასკევი და შაბათი) კონცერტები მიძღვნიდა გარდაცვლილი ბალერინის ხსოვნას, ამიტომაც მოჰყვა მათ სევდიანი და ცრემლებით აღსავსე წარმატება. კარაკასის ყველაზე დიდი თეატრის „ტერეზა კარენის“ თეატრის წამყვანმა კონცერტის წინ გამოაცხადა წუთიერი დუმილი. ფარდა აიწია და სცენაზე გამოვიდნენ მოცეკვავეები. ისინი იდგნენ ამაყად თავაწეულნი, ვენესუელელი მყურებელიც ფეხზე წამოდგა. მათ წუთიერი დუმილი პატივი მიაგეს გარდაცვლილის ხსოვნას. ასე გაერთიანდნენ წუთით ქართველი მოცეკვავეები და ვენესუელელი მყურებლები ერთი ტკივილის გარშემო, რომელიც ორივე მხარისათვის ძალზე მძიმე ტრაგიკულმა შემთხვევამ გამოიწვია. კარაკასის მცხოვრებლებისათვის პირველი განცდა, რაც მათ ამ შემთხვევის გამო დაუფლავა, იყო სირცხვილი. ამიტომაც გაიძახოდნენ დარბაზში: „რა სირცხვილია!“ სამწუხაროდ, ვენე-



გვანცას მკვლელი ძებნაშია... ის პროკურორს ულტიმატუმს უცხადებს

სუელაში მსგავსი შემთხვევისაგან არავინ არის დაცული, რადგან ბოლო პერიოდში კრიმინოგენული სიტუაცია მწვავე და დაძაბულია. გახეთები წერენ: ეს უკვე სამოქალაქო ომია, რადგან შაბათ-კვირას (ჩანს, უქმეებში დამნაშავეები უფრო აქტიურობენ. – ავტ.) გახშირებული თავდასხმების გამო, მარტო ბოლო ორი წლის მანძილზე 80-მდე ტურისტია დაღუპული, ხოლო 60-მდე – მკვიდრი მოსახლე.

ქართული ეროვნული ბალეტის სპექტაკლი შესანიშნავად მიიღო მაყურებელმა. აპლოდისმენტები და „ბრაგოს“ ძახილი თან სდევდა ყოველი მოცეკვავის გამოსვლას. მუსიკოსებმაც მოინადირეს მაყურებელთა გულები, განსაკუთრებით, გარბონის დამკვრელმა, რომელმაც კავკასიური ჟღერადობით აამეტყველა ვენესუელური ეროვნული სიმღერა: „ბარში მცხოვრებთა სული“. საბოლოოდ, საათნახევრიანი კონცერტის შემდეგ, მაყურებელი კიდევ ერთხელ ადგა, რათა ტაში დაეკრა ქართველი მოცეკვავეების პროფესიონალიზმისა და ნიჭიერებისათვის, აგრეთვე იმ შემართებისთვისაც, რომელმაც ყველანი აღფრთოვანებულნი დატოვა. ამ პატივისცემისა და მოწონების გამოხატვის მიზნით, კარაკასის მაყურებელმა ყვავილების უზარმაზარი გვირგვინი მოათავსა სცენის შუაგულში.“

...ყვავილები გვანცას გამორჩეულად უყვარდა. მას არ შეეძლო თურმე ამოერჩია რომელიმე მათგანი და ამბობდა – რაც მიწიდან ამოდის, რაც მიწაში ღვავდება და მზის შუქზე ყვავილობს, ყველაფერი მშვენიერიაო. ერთხელ ილიკოს თვალგახვეული ჩაუყვანია იგი ეზოში, სადაც უზარმაზარი, აყვავილებული და ფართოფოთლებიანი ხე იდგა. ყოველ ფოთოლზე ილიკოს დაუწერია: „მიყვარხარ... ძალიან მიყვარხარ“. გვანცა ისე აღფრთოვანებულია, რომ მერე კარგა ხანს იხსენებდა თურმე ამ ამბავს და ემოციებს ვერ ძლავდა.

– ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, – მითხრა გვანცას დედამ, ქალბატონმა ნათიამ, – ყოველთვის მეშინოდა ამ სიყვარულის, ცუდი წინათგრძობა მქონდა. არსად წამიკითხავს, არც მინახავს და არც მსმენია, ვინმეს ასე ჰყვარებოდა. ერთმანეთს თვალეში შეჰყურებდნენ, უერთმანეთოდ წუთითაც ვერ ძლებდნენ. მხოლოდ ერთხელ დატოვა ილიკომ: თვითონ ჰოლანდიაში წავიდა გასტროლებზე, გვანცა კი აქ დარჩა – საკურსო ჰქონდა ჩასაბარებელი და არ ეცალა. ყოველ წუთს ურეკავდა ილიკო. ვერ წარმოიდგენთ, როგორი თვალეში ჰქონდა გვანცას, როცა ესაუბრებოდა. ყურმილით ხელში, სუნთქვაშეკრული უსმენდა. თვითონ არც არაფერს ეუბნებოდა, რადგან ილიკო უყვებოდა, როგორ ენატრებოდა, როგორ უყვარდა. წასვლის წინ მითხვა:



რამაზ ნაცვლიშვილის ფოტო

ძალიან გაუფრთხილდით, საღამოობით სახლიდან არ გაუშვით, არაფერი შეემთხვესო. ვერ დავითანხმე სახლში დარჩენაზე, მხოლოდ ერთი ღამე გაათია ჩვენთან. მოვიდოდა, დაგვხვდავდა, მერე კი ისევ ილიკოს მშობლებთან გარბოდა. ძალიან უყვარდა ისინიც. მათაც საკუთარ შვილად მიიღეს. ძალიან უყვარდა ჩემი შვილი თენგიზს, ყოველთვის პატარა ბავშვივით ეფერებოდა... ერთ დღეს მოირბინა გვანცამ. აღტაცებული იყო: შემთხვევით ჩემი უჯრა გამოვალე და ვნახე – ილიკოს შიგ ყველა კანფეტი ჩაუწყვია, რომელიც მიყვარს, და ყველაზე დაუწერია: „მიყვარხარ, ცაგუ“. მოფერებით ის გვანცას ცაგუს ეძახდა...

– მის მწუხარებას ალბათ, ისიც ემატება, რომ საყვარელი ადამიანი რომ მოუკლეს, თვითონ მის გვერდით იყო...

– ილიკოს რომ რაიმე მოსვლოდა, ჩემი შვილი მაინც დაღუპული იქნებოდა: ის ვერ შეძლებდა ილიკოს გარეშე ცხოვრებას... საშინელ მდგომარეობაშია ჯემალიც. მე მესმის მათი. ისინი ფიქრობენ, რომ ვერ დაიცვენ ჩემი შვილი, მაგრამ ილიკოს დაღუპვა ჩემთვის იგივე ტრაგედია იქნებოდა. რომ იცოდეთ, როგორ უყვარდათ მათ ერთმანეთი, როგორ ხარობდნენ ერთმანეთით.

– ცოტა რამ კიდევ მიაბეთ გვანცას შესახებ.

– იცით, გვანცას არ უყვარდა თავის წარმოჩენა. მას არ მოეწონებოდა, მასზე რომ ეწერათ. ძალიან მოკრძალებული იყო. თუ გახსოვთ, ერთ დროს ქუჩებში კონცერტებს მართავდნენ. ჩვენც ვიყავით ეზოში ჩასულები – აქაც გაიმართა


წარმოდგენა. ერთმა ფოტოგრაფმა – რამაზ ნაცვლიშვილმა გვანცას ყურადღება მიაქცია და ჩუმად სურათი გადაუღო თურმე. კარგა ხნის შემდეგ, შემთხვევით შეხვედრია ქუჩაში. გაუჩერებია და უთქვამს: მე თქვენი სურათი მაქვს, მინდა, კიდევ გადავიღოთო. გვანცას უარი უთქვამს, თუმცა, ზრდილობის გულისთვის, თავისი ტელეფონი მაინც დაუტოვებია მისთვის. რამდენჯერმე დაურეკა იმ ფოტოგრაფმა და სცადა გვანცას დაყოლიება, მაგრამ უშედეგოდ... ამ ორი დღის წინ, ღამის სამ საათზე მოვიდა რამაზ ნაცვლიშვილი ჩვენთან: ქალაქში არ ყოფილა და ეს ამბავიც გვიან იმიტომ გაუგია. ქალბატონი ინგა და თენგიზი იყვნენ ჩვენთან. მათ იცნეს რამაზი – ილიკოსთან მეგობრობდა თურმე. სწორედ მან მოგიტანა გვანცას სურათი: გაუდიდება და გვისახსოვრა.

– გავიფიქრე მონასტერში თქვენც მიზრძანდებით...

– ხვალ მივიღივარ ფერისცვალების მონასტერში. გვანცას მეგობარი იყო დედა მარიამი, მასთან თავს მშვიდად ვგრძობ. მან უნდა გადამატანინოს ეს უბედურება.

– ილიკოს იქ არის?

– არა, ილიკო სხვა მონასტერში წავიდა. მას სრულიად მარტო სურს ყოფნა.



# ჩემი ალკოჰოლიანი სოსო ალავიძის ტელისკამი



გიორგი ჩიქვაშვილი

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ ჟურნალისტ აკაკი გოგიჩაიშვილთან, რომელმაც განაცხადა, რომ ყაჩაღობის ბრალდებით დაკავებულ მის ცოლისძმასთან ერთად, იმავე საქმეში ეჭვმიტანილია სოსო ალავიძის ცოლისძმაც. ბუნებრივია, ამ საკითხით დაინტერესდით (ამასთანავე, რამდენიმე მკითხველიც გამოგვეხმაურა) და თბილისის პოლიციის ყოფილი შეფის ცოლისძმას, გიორგი ჩიქვაშვილს მის სამსახურში — ოფთალმოლოგიურ კლინიკაში შევხვდით. იგი ამ კლინიკის ხელმძღვანელი, ხოლო გიორგის მამა და სოსო ალავიძის სიმამრი — აკადემიკოსი ალექსანდრე ჩიქვაშვილი მისი მოადგილე აღმოჩნდა. გიორგიმ, რომელმაც ჩემი მისვლის მიზეზი გაიგო, თავიდან დიქტიფონის გამორთვა მთხოვა: ინტერვიუს მიჩვეული არა ვარ და ძალიან ვნერვიულობო. თავის საქმიანობაზე საუბრისას კი მითხრა, რომ სექტემბერში კლინიკაში ჰუმანიტარული მისიით ცნობილი გერმანელი ოფთალმოლოგები ჩამოდიან. ცოტა ხანში კაბინეტში ალექსანდრე ჩიქვაშვილს შემოვიდა და საუბარშიც შემოგვიერთდა. მამა-შვილის ინტერვიუდან გერმანელ ექიმთა ჰუმანიტარულ აქციაზეც შეიტყობთ და საზოგადოებისთვის საინტერესო ზოგიერთ საკითხსაც მოგიხატებ ნათელი.

## გორა ტყეშელაშვილი

— გიორგი, ვისი მონვევით ჩამოდიან გერმანელი სპეციალისტები?


— კლინიკას გერმანიიდან ეწვევა თვალის ქირურგების ბრიგადა, რომელიც ძირითადად ჩაატარებს იმ ავადმყოფების მკურნალობას, დიაბეტის ფონზე რომ განუვითარდათ მწვავე ოფთალმოლოგიური ცვლილებები. მათ მოწვევასა და ჩვენით დაინტერესებას, გერმანიაში ჩემმა მოღვაწეობამაც შეუწყო ხელი.

— გერმანიაში რას საქმიანობდით?

— თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1994 წელს, მოსკოვში, ჰელმჰოლციის სახელობის თვალის სნეულებათა ინსტიტუტში ასპირანტურაში განვაგრძე სწავლა. 3 წლის შემდეგ იქვე დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. იმავე წელს მიწვეული ვიყავი გერმანიაში, ქალაქ ტიუბინგენის საუნივერსიტეტო თვალის კლინიკაში. ჩემმა საბედნიეროდ, იქ ყოფნისას თვალის გამოჩენილ ექიმებთან მომიწია ურთიერთობა, რაც ბუნებრივად მეგობრობაში გადაიზარდა. მოგვიანებით, 2000 წლის ოქტომბერში ქალაქ მიუნსტერში გადავედი, საიდანაც სულ რამდენიმე დღეა დაბრუნდი.

— საქართველოში თუ გინვედათ ხშირად ჩამოსვლა?

— იცით, გერმანელები და მით უმეტეს, გერმანელი ექიმები ძალიან შრომისმოყვარე ხალხია და მათ გვერდით რომ



ალექსანდრე ჩიქვაშვილი

რაიმე წარმატებას მიაღწიო, ძალიან დიდი და თავდაუზოგავი შრომაა საჭირო. მე კი ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს და, შეიძლება ამბიციურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ მინდა, დიდი წარმატებებიც მქონდეს. ამიტომაც იშვიათად მიწველა საქართველოში ჩამოსვლა, ისიც — მცირე ხნით.

— ახლა რაღატომ ჩამოსვდით?

— გადაწყვიტე, ამჟამად საქართველოში განვაგრძო სამედიცინო პრაქტიკა.

— ბატონო ალექსანდრე, როგორ მოხდა თქვენი კლინიკის ჩამოყალიბება?

ალექსანდრე ჩიქვაშვილი:

— თბილისის I კლინიკურ საავადმყოფოში (ყოფილი „არამიანის“ საავადმყოფო. — ავტ.) უკვე 80 წელია, რაც თვალის განყოფილება არსებობს. 1995-96 წლებში, რეორგანიზაციის შედეგად, განყოფილება შპს-დ გადაკეთდა და დღეს-დღეობით შემიძლია ვთქვა, რომ თბილის-

ში ამ დონის სულ 3-4 თვალის კლინიკა თუ არსებობს. გვაქვს საკმაოდ მაღალი დონის აპარატურა. რაც შეეხება გიორგისთვის ხელშეწყობას, ვფიქრობ, მას ისეთი ოპერაციების გაკეთება შეუძლია, რომელიც მე გამიჭირდებოდა, ამიტომ არა როგორც მამა, არამედ როგორც კოლეგა, ვაღიარებ ვარ, დავეხმარო.

— ყოველთვის მაინტერესებდა და ახლა მომეცა საშუალება გკითხოთ, ნებისმიერი სიელმე თუ იკურნება და თქვენს კლინიკაში თუ არის შესაძლებელი ამგვარი ოპერაციის ჩატარება?

გიორგი:

— ასეთი ოპერაციის ჩატარება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. თუ თქვენ ოპერაციის კოსმეტიკური ეფექტი გაინტერესებთ, შემიძლია ვითხრა, რომ სიელმე თითქმის 100%-ით იკურნება. მაგრამ აქ საქმე სხვა სერიოზულ ფაქტორებთანაც გვაქვს, რომელმაც შეიძლება საბოლოო, განკურნებას შეუშალოს ხელი. ამის ყველაზე მარტივი და თქვენთვის გასაგები მიზეზი რომ დავისახელოთ, ეს „ზარმაცი თვალის“ სინდრომია, რომელიც თვალს ნელ-ნელა ძველ მდგომარეობაში აბრუნებს.

— თქვენთან თუ ხდება რამდენიმე წამში ლაზერული სხივებით მხედველობის კორექცია?

ალექსანდრე:

— არა, ჩვენ ასეთი აპარატი არ გავაჩნია. ის საკმაოდ ძვირი — 500 ათას დოლარამდე ღირს, თუმცა თბილისში აქვთ



პაციენტთან ერთად

ეს აპარატი და მშვენიერ, საქმესაც აკეთებენ.

— რა ჯდება ასეთი ოპერაცია?

**ალექსანდრე:**

— თუ არ ვცდები, 1.000 დოლარამდე ღირს.

— გიორგი, თქვენ სათვალეს ატარებთ, რატომ არ იკეთებთ ლაზერულ ოპერაციას? რაიმე გვერდითი ეფექტები სომ არა აქვს?

**გიორგი:**

— არა, არავითარი სერიოზული გვერდითი ეფექტები არ შეინიშნება. მე ახლომხედველი ვარ და -1 მაქვს მხედველობა. ეს ოპერაცია კი ±3-დან ±15-მდე განსაკუთრებულად ეფექტური. ±15-ის ზევით, თვალი გადაგვარებულია და მკურნალობის ამ მეთოდს ნაკლებად ექვემდებარება.

— გიორგი, თვალის რაიმე სპეციფიკური დაავადებები თუ არის საქართველოში გაგრძელებული?

**გიორგი:**

— ვფიქრობ, რაიმე განსაკუთრებული დაავადება არ ახასიათებთ ქართველებს. ამჟამად ღიაბეტის ფონზე გამწვავებული დაავადების ფორმებზე იმიტომ გავაკეთეთ განსაკუთრებული აქცენტი, რომ ხშირ შემთხვევაში, ასეთ დროს ადამიანი მხედველობას კარგავს. ჩვენი პაციენტების უმეტესობას თვალი უცხო სხეულისგან აქვს დაზიანებული: ამჟამად ჩვენთან წევს ავადმყოფი, რომელსაც პნევმატური შაშხანის (ტირის თოფი. — ავტ.) ტყვია მოხვდა თვალში. ჩვენს კლინიკაში ყოფილა შემთხვევა, როცა ადამიანს ჭანჭიკი ამოვაცალეთ, თუმცა როგორ მოხვდა ეს სხეული თვალის უკან და როგორ გადარჩა ის ადამიანი, დღემდე მიკვირს.

— გიორგი, თქვენ თავად თუ ხართ დაოჯახებული?

**გიორგი:**

— 1998 წლის ივნისში დაქორწინდა ქეთევან ასათიანზე. ქეთევანის მამა არჩილ ასათიანი, ამჟამად პარლამენტის წევრი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი იყო. მყავს ერთი გოგონა მარიამი და ცოტა ხანში, კიდევ ერთი შვილი შემოგვემატება.

— ალბათ იცით, რომ აკაკი გოგიჩაიშვილმა განაცხადა: „ვერც გამიგია, მაინცდამინც აკაკი გოგიჩაიშვილის ცოლისძმის ამბით უფრო მეტად რომ დაინტერესდნენ, ვიდრე სოსო ალავიძის ცოლისძმით, რომელიც იმავე საქმეშია ექვმიტანილი?“

**გიორგი:**

— მე ახალი ჩამოსული ვარ გერმანიიდან. ხუთშაბათს, სამსახურში რომ მოვლიოდი, თქვენი ჟურნალი ვიყიდე და ინტერესით ვკითხულობდი. თქვენ მიერ ნახსენები მონაკვეთი რომ წავიკითხე, თვალებს არ დაუჯერე. საკმაოდ განცვიფრებული ვარ ბატონი გოგიჩაიშვილის ამგვარი განცხადების გამო. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში იგი განმარტავს ყოველივე ამას. სოსო ალავიძეს ერთადერთი ცოლისძმა გყავარ, რაში დასჭირდა ბატონ აკაკის ცილისწამება, ვერ ვხვდები. მინდა ეს საკითხი ცივილიზებული ფორმით გავარკვიო...

— ისე, ოდესმე თუ გქონიათ სამართალდამცავებთან საკმე?

**გიორგი:**

— თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩემი სიძე სამართალდამცავია, არანაირი ურთიერთობა არასოდეს არ მქონია. მოსკოვში სწავლის პერიოდშიც კი არ გავუწერებოვარ მილიციულებს. ჩემი თანამშრომლები მეუბნებოდნენ: Ты не похож на лицо кавказской национальности.

**ალექსანდრე:**

— იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი შვილია: საერთოდ, ადამიანს შეიძლება ბევრი ცოდვა დააბრალო, მაგრამ გიორგი მეცნიერებისთვის თავდადებული პიროვნებაა და მისთვის ასეთი ბრალის წაყენება ძალიან დიდი ცოდვაა. იმ სტატი-

გიორგი, მარიამი და ქეთევანი

ის წაკითხვის შემდეგ, პირდაპირ გეტყვით, თავიდან ცუდად გახდა, შემდეგ კი აღშფოთდა.

— ბატონო ალექსანდრე, როგორც თქვენ განაცხადეთ, საირმის გორაზე მშენებარე სახლი თქვენს სიძეს კი არა, თქვენ გეკუთვნით. როდის ამთავრებთ მშენებლობას?

**ალექსანდრე:**

— იმ სახლზე იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ აღარ მსურს გავიმეორო. ის სახლი მე და ჩემს ბიზნესმენ მეგობარს გვეკუთვნის. ადრე მეც ვბიზნესმენობდი. როდის დავამთავრებთ, არ ვიცი, რადგან შიგნით ბევრია გასაკეთებელი. შეიძლება, იქ სასტუმრო, ოფისი ან საელჩოც კი იყოს, — ჯერჯერობით არ ვიცი. რომ დავამთავრებთ, პრეზენტაციაზე აუცილებლად დაგპატიჟებთ.

— იქნებ, ახლა დაგვპატიჟოთ მშენებარე სახლში? კარგ ფოტოსურათებსაც გადავიღებდით...

— არა მგონია, ეს მიზანშეწონილი იყოს, აი, დავამთავრებთ მშენებლობას და მე პირადად დაგიკავშირდებით. ახლა კი... ბეთანიამი გვაქვს აგარაკი და იქ სიამოვნებით გაპატიჟებთ. სხვათა შორის, იმ აგარაკზეც ამბობდნენ, სოსო ალავიძის არისო, მაგრამ გეუბნებით — ჩემია. ამჟამად იქ ჩემი დიდი ოჯახის წევრები იმყოფებიან.

— თქვენი სიძე თუ ადის ხოლმე ბეთანიის აგარაკზე და თუ შეიძლება, მასაც რომ შევხვდეთ?

**ალექსანდრე:**

— რა თქმა უნდა, ადის ხოლმე. რაც შეეხება შეხვედრას, ამაზე წინასწარ ვერაფერს გეტყვით.



ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკრები:

1. სიმარტოვის შიშს მონოფობია ჰქვია.
2. არომატული ყურძნის ღვინოს მუსკატს ეძახიან.
3. ფლიბუსტიერი, კორსარი, მეკობრე — ეს სიტყვები ფაქტიურად სინონიმებია.
4. კლოუნ-კომიკოსს, რომელიც საცირკო ნომრებს შორის შუალედებში გამოდის, რუსები „კავიონი კლოუნს“ ეძახიან.

5.საბჭოთა კავშირში „გულაგის არქიპელაგი“ პირველად ჟურნალ „ОКтябрь“-ში დაიბეჭდა.

6. დევსის თასის გათამაშებაში გამარჯვებულს ვერცხლის სასალათეს გადასცემენ.

7. ბავშვის სქესის დასადგენად ულტრაბგერით გამოიხივებას იყენებენ.

8. 500 რუბლიან კუპიურაზე არხანგელსკის ღირშესანიშნაობებია გამოსახული.

9. მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკის არმია ძირითადად ტომფსონის სისტემის ავტომატებით იყო შეიარაღებული. ეს იმ ცნობილი ტომფსონის გამარტივებული ვარიანტი იყო, რომელიც ასე პოპულარული იყო განგსტერთა წრეებში. იარაღის მწარმოებლებმა ამ ავტომატს ზედმეტი, ძვირად ღირებული ზიზილ-პიპილო დეტალები მიაშორეს და მისი სერიული წარმოება დაიწყეს.

10. პოზიციური ფილოსოფიის ფუძემდებელმა ოგიუსტ კონტმა სიკვდილის წინ მატერიალური რელიგიის მოციქულად და მღვდელმთავრად გამოაცხადა თავი.

11. აფორები შვილებს საერთო „საბავშვო ბაღში“ ზრდიან და თექვსმეტ თვემდე ბუბუს აწოვებენ.

12. ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ, ფაშისტების ხელში „შკოდას“ ფირმის მიერ გამოშვებული ტანკები აღმოჩნდა. საფრანგეთის ოკუპაციის დროს გერმანიის ტანკების საერთო რაოდენობის ერთი მესამედი ჩეხური წარმოების იყო.

13. ყველაზე საუკეთესო და ძვირად ღირებულ სამხატვრო ფურჯებს კოლონოკის ბეწვისაგან ამზადებენ. ეს მტაცებელი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახს განეკუთვნება.

14. იაპონური ეროვნული ჭიდაობა ძიუ-დო სიტყვასიტყვით რბილ გზას ნიშნავს. მის შემქმნელად დ. კანო (1860-1938)



აპკლუა



საზოგადოებას „პროფესიონალი დილატანტების“ კდანი მართავს

შოუბიზნესის უცხოელი ვარსკვლავებისგან განსხვავებით, ქართული ესტრადის მსახიობთა უმრავლესობა, რაც არ უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, ზაფხულშიც კი ძლივს იცლის დასვენებისთვის, ამდენად ნელინადის 12-ვე თვე, მენეჯერებისა და პროდიუსერების დაუხმარებლად, შემოქმედებითადაც იღვნიან (და იწვიან) და უამრავ საორგანიზაციო პრობლემასაც დამოუკიდებლად აგვარებენ...


კომპოზიტორსა და მუსიკოს-შემსრულებელს რომა რცხილაძეს და მის მშვენიერ მეუღლეს ნინოს ოჯახში ვესტუმრე. სიცხით შეწუხებული „სპილო“ ოთახიდან ოთახში დაატარებდა „ვენტილატორს“.

კაკა ლომიძე

— რომა, ამ ზაფხულს თბილისიდან გასვლას არსად აპირებ?

— მე, ნინო და ცისანა სეფიაშვილი აბასთუმანში გავეგზავრებით. აბასთუმანი ჩემთვის ღმერთის საბრძანებელი ადგილია დედამიწაზე. ორი კვირა მაინც რომ არ დავისვენო, ვერაფრის გაკეთებას ვეღარ შევძლებ და ჩემი ერთგული მსმენელებისა და თაყვანისმცემლებისთვის შეპირებულ საინტერესო იდეებსა და პროექტებს ვეღარ განვახორციელებ. ნინოც შეუძლოდ გახლავთ და მასაც მოუხდება დასვენება.

— თუ არ ვცდები, ერთი საინტერესო პროექტი უკვე განახორციელეთ კუს ტბაზე, ეთნოგრაფიულ მუზეუმში შექმნილ ცენტრს ვგულისხმობ...



— ეთნოგრაფიული მუზეუმი ეკუთვნის კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების ფონდს, რომლის დამფუძნებლებიც არიან იუნესკო, გაერო და ჩვენი კულტურის სამინისტრო. მათთან ერთად, ჩვენ — მე და გია გაჩეჩილაძემ („უცნობმა“) სიამოვნებით მივიღეთ ფონდის პრეზიდენტის გურამ გაბიძაშვილის იდეა — დაგვეწყო მოქმედება მუზეუმის გადარჩენად. დღეს რა ღონისძიებებიც ტარდება მუზეუმის ტერიტორიაზე, ყველაფერი მისი პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის არის გამიზნული. 1968 წელს ააშენა ეს მუზეუმი ვასილ მჭავანაძემ და ვთვლი, რომ მე-20 საუკუნეში მსგავსი კულტურული პროექტი ჩვენში არც შექმნილა.

— როგორც ვიცი, მუზეუმის ტერიტორიაზე თქვენც აშენებთ რაღაც ობიექტებს.

— ვაშენებთ მთავარანგელოზ მიქაელ-გაბრიელის სახელობის ხის ეკლესიას — მხოლოდ ბზის მასალით. უკვე ავაგეთ დიდი ამფითეატრი და იქვე, ქვემოთ, კაკლის ხეივანში ჩვენ მიერ გაკეთებულ „ბუნ-გალოსთან“ ავაშენებ პატარა სცენა, სადაც ხეებს შორის დაკიდებულ ეკრანზე კლიპებისა და ფილმების პრეზენტაციები გაიმართება. იქვე ვაშენებთ მუსიკალურ სტუდიას და თუ მშვიდობა იქნა და ვინმემ სისულელეებით ან პროვოკაციებით ხელი არ შეგვიშალა, გააგაჩნდება ძალიან სურს, დავით კლდიაშვილის სახელობის თეატრალური ფესტივალის მოწყობა, რომელიც მუზეუმის ობიექტში ჩატარდება.

— გამიგია, საბაგირო გზის სადგურებშიც რაღაცის გაკეთება გაქვთ დაგეგმილი.

— დიახ. ამ მუზეუმს საკუთარი საბაგირო ჰქონდა, დიდი დარბაზებით. დაბლა, ერთ-ერთ მთავანში საგამოფენო დარბაზის გახსნას ვაპირებთ. ერთი სიტყვით, ამ ადგილზე, ღვთის წყალობით, ყველაფერია იმისათვის, რომ ეთნოგრაფიული მუზეუმი საერთაშორისო კულტურის ცენტრად იქცეს.

— თქვენთან მომსვლელებს, ალბათ განსაკუთრებით კაკლის ხეებზე დაკიდული ჰამაკები იზიდავთ.

— ეგ თავისთავად მიმზიდველია დამსვენებლისთვის, მაგრამ აქ ხალხი ნამდვილად ინტერესით მოდის. შესანიშნავი აქციები, კონცერტები ტარდება. სუნიშვილების ნაციონალურმა ბალეტმაც რამდენჯერმე გამართა კონცერტი ამფითეატრის სცენაზე. ყველაფერს, რასაც ეთნოგრაფიულ მუზეუმში ვაკეთებთ, „ფრეშ იარ“ — „სუფთა ჰაერი“ დავარქვით — ჩემი ალბომის სახელწოდების მიხედვით. აქ მართლა სუფთა ყველაფერი, არავინ არ ჩხუბობს, ყველა სიყვარულითაა განმსჭვალული — სტუმარიც და მასპინძელიც. ამიტომ, არავის არაფერს არ ვთხოვთ, ერთი რამის გარდა — ხელი არ შეგვიშალონ.

— ჰქონდა მსგავს პრეცედენტს ადგილი?

— აშკარად არა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში კარგს და ძლიერს ყოველთვის ებრძვიან ხოლმე, რადგან მათი არსებობა არ აწყობთ „პროფესიონალ დილ-ეტანტებს“: მათ უნდათ, რომ საქართველოში მუდმივი დაძაბულობა იყოს.

— თქვენი ღონისძიებები ალბათ მხოლოდ მანამდე გასტანს, სანამ

სიბოზა?

— ვცდილობთ, ყველაფერი ისე მოვაწყოთ, რომ შეუფერხებლად ვიმუშაოთ 12 თვის განმავლობაში. ჩვენი, უკვე თითქმის მუდმივი სტუმრების გაჩენა სტიმულს გვაძლევს. ჩვენი კარი ღიაა ყველა ნორმალური და ჯანმრთელი ადამიანისთვის.

— ნორმალურსა და ჯანმრთელში რას გულისხმობთ?

— ანსამბლ „ნატურის ხეს“ ჰქონდა ერთი არაჩვეულებრივი სიმღერა ნეანდერტალელზე. ჯემალ ბალაშვილის ტექსტში დაახლოებით ასეთი რამ არის ნათქვამი: ნეანდერტალელის დრო კარგი იყო, რადგან ქალი ქალს ჰგავდა და კაცი კაცს. აი, ამას ვგულისხმობ ჯანმრთელში და ნორმალურში...

— სექსუალურ ორიენტაციას გულისხმობთ?

— არა მარტო სექსუალურ ორიენტაციას. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ვერ გაიგო, ვისთან გაქვს ურთიერთობა. საზოგადოებას მართავს „პროფესიონალი დილეტანტები“ კლანი, ასეთები კი, მოგეხსენებათ, აზროვნებით დაბალი ღონისანი არიან და, რაც ყველაზე დიდი ტრაგედიაა, მათ აქვთ ამბიციები, პრეტენზიები და, როგორც ყველა სუსტს, არ უყვართ ძლიერები. ნახეთ, რა ხდება თეატრში, კინოში, ესტრადაზე: დღეს წინა პლანზე ის დგას, ვისაც ბევრი ფული აქვს და უცოდინარი...

— რომა, ზუსტად ერთი თვე გავიდა იმ ამბიდან, რომელმაც ძალიან გული გატყინა და გაგაოგნა. „ოპერაცია მარისუანას“ ვგულისხმობ. მაინც რა მოხდა?

— არ მინდა იმ დღის გახსენება. მდ-აბიური აზროვნების შედეგი იყო ეს ყვე-



ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკოდან:

ითვლება. მან ჯიუ-ჯიცუსა და სუმოს ყველაზე ეფექტური ილეთები შეარჩია, ჭიდაობის ტექნიკა დახვეწა, შეჯიბრის წესები დაამუშავა და ჭიდაობას სპორტული ხასიათი შესძინა. P.S. იაპონიაში მიუ-დო, როგორც აუცილებელი საგანი სასკოლო პროგრამაშია შეტანილი.



15. ალექსანდრე ჭავჭავაძე რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ის ნათლული იყო.

16. ერაყის ომის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდიოდა ტუალეტის ქაღალდი, რომლის მთელ სიგრძეზე სადამ ჰუსეინის პორტრეტები იყო გამო-სახული.

17. ინდონეზია და ცენტრალური ამერიკა ჭექა-ქუხილის მსოფლიო ცენტრებად ითვლება. წელიწადში 200-ზე მეტი დღე ამ რეგიონებში გრუნხუნ-გრაილში გადის.

18. ჭიკაოკონობას ხევესურეთში „კუ-დიან წუხრას“ უწოდებდნენ.

19. ჰურიები სამოთხის შავთვალა ტურფა ასულები არიან, რომლებიც, ყურანის მიხედვით, ალაჰმა იმ მართლმორწმუნე მუსლიმანებს აღუთქვა, რომელნიც სამოთხეში შესვლას დაიმსახურებენ.

20. ხერესი ესპანური ღვინოა. მისი სახელი ანდალუსიის ქალაქ ხერეს დე ლა ფრონტერას სახელწოდებიდან მომდინარეობს.

21. მდინარე ჭოროხს თურქეთის ტერიტორიაზე ჩორუჰი ჰქვია.

22. ლანძვან-გინების აკვიატებულ მოთხოვნებზე კობროლალია ჰქვია.

23. „ახალ მოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკულ-მართოსი, დღეს უკულმართად მოკლული, ძვეს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დავიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთ?“ გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალთ ვეღარა ნახავ!“ — ეს სიტყვები აკაკი წერეთელმა ილია ჭავჭავაძის კუბოსთან წარმოთქვა.

ლაფერი. ჩემი მეგობრებისგან ვიცი ჭორები, თითქოს მე თავის დასასხნელად, უამრავი ფული „ჩავყარე“ პოლიციაში. გამაოგნებელია... გორში დიდებულად ჩატარდა კონცერტი პროვოკაციის მეორე დღესვე და იმ ხალხს, რომელიც წინა დღეს ჩემს წინააღმდეგ აქტიურობდა, მერე თურმე იქით მოუხდა ბლომად ფულის დახარჯვა და ზოგმა თანამდებობაც დაკარგა.

**— კერძოდ ვინ?**

— მე ის კაცი არ ვარ, ვისაც ასეთი პროვოკაციებით სახელისა და ღირსების შელახვის ემინია და მტრებს ძებნას დაუწყებს ანგარიშსწორებისთვის. არც ერთი მათგანის ბედით არ დავინტერესებულვარ, უბრალოდ, ხმები მომივიდა, რომ ვიღაცებმა თანამდებობები დაკარგეს. მაღლობელი ვარ მათი: ხალხი ქუჩაში მაჩერებს და ადრინდელზე უფრო დიდი სიყვარულით მხვდება. ამ „სპექტაკლმა“ რეიტინგი ამიწია. უცხოეთში ასეთი „მოუებისთვის“ უამრავ ფულს ხარჯავენ ხოლმე, მე კი უფასოდ გამიკეთეს რეკლამა.

**— თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ ყველაფერი წინასწარ გამიზნული იყო?**

— როგორც მუსიკოსსა და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანს სხვა მიზეზი რომ ვერ მიპოვეს, ასეთი შოუ მომიწყვეს „ბალახთან“ ერთად.

**ნიწწწ:**

— დაძაბული ელფერი მიეცა ყველაფერს ტელეეკრანზე, განსაკუთრებით რომას ინტერვიუს შესავალში, როცა აჩვენეს ფოტოსურათი, რომელზეც ხელბორკილებიანი დამნაშავე აჩვენეს. რომამ გადაცემის დაწყებამდე დამირეკა — ტელევიზორს უყურეო. მანამდე მთელი დღე ვიღაცები მირეკავდნენ და მეკითხებოდნენ — რომა სად არის და როგორ არისო? სანამ მის ხმას გავ-

იგონებდი, კინაღამ გავვიყიდი: ვიფიქრე, ალბათ მოიტაცეს და პანკისში გააქანეს, ახლაკი ფულის გამოძალვის მიზნით მირეკავენ-მეთქი...

**— რაკი საუბარში თქვენც ჩართეთ, დროა გავარკვიოთ თქვენი როლი რომას ცხოვრებაში.**

**რწმმა:**

— საერთოდ, ვინც მიყვარს, იმაზე ბევრი ლაპარაკი არ შემიძლია. ვიტყვი, რომ ნინოს წყალობით სახლი ჩემთვის ტაძარია, სადაც ვისვენებ და სულიერად ვლაგდები. ნინო სულის სამებლად გაჩენილი ღვთიური ინსტრუმენტია.

**ნიწწწ:**

— ჰოდა, ამ „ინსტრუმენტს“ რომა ყველგან დაატარებს. ყოველ საღამოს მიყვარს მუზეუმში. როცა ეგ მუშაობს, მე მართლა ვისვენებ ჰამაკებში.

**— ნინო, რომას „ბუთხუზას“ მისი გარეგნობის გამო ეძახით თუ რაღაც სხვა მახასიათებლის გამო?**

— რომა დიდი ბავშვია, ის შინაგანად არის ბუთხუზა, თორემ, რაც არ უნდა დიდი და ფუმფულა იყოს ადამიანი, თუ შინაგანი სისუფთავე არ არის მასში, ასე ვერ მოეფერები.

**— თქვენი გაცნობიდან დღემდე მესმის, რომ ერთმანეთს ერთსა და იმავე სახელს ეძახით. რას ნიშნავს „დაბუჯა“, თქვენი პაროლია?**

**რწმმა:**

— ჩემს ალბომში „დაბუჯა“, სიყვარულის თემაა, რომელიც ერთი ოჯახის, ჩვენი არაჩვეულებრივი მეგობრების შვილებმა — შოთიკომ და თათომ შთაგვაგონეს. მათ საკუთარ შშობლებზე ლამისაა, უარი თქვეს, ისე გიჟდებიან ჩვენზე. მე თათულისი ვარ, ნინო კი — შოთიკოსი.

**ნიწწწ:**

— შოთიკო ძალიან პატარა იყო, ენა რომ ამოიღვა. პირველად, სახელის მაგივრად, დაბუ ღამიძასა, მერე — დაბუკა და ერთხელაც, როცა რომა გავიცანი და რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ამ ჩვენი საერთო მეგობრების ოჯახში მივედი, რომამ ჩემი მეტსახელი გაიგონა. იმის მერე თითქმის სულ დაბუკას მეძახის და მეც სიყვარულის გამოძახებულ ტერმინად მექცა ეს მეტსახელი.

**— ნინო, ამ დიდმა ბავშვმა, მუსიკალურმა „სპილომ“ რით მოგხიზლათ ყველაზე მეტად?**

— თავისი ალალი და სიყვარულით სავსე თვალებით. რომა ხომ, ჩემთან შედარებით, ფიზიკურად ძალიან დიდია, ამიტომაც მე ყოველთვის თვალებში ავყურებ მას. მაშინაც ასე იყო: პირველად, თავის უზარმაზარ ხელისფულებში სათუთად რომ მოიქცია ჩემი პაწაწა ხელები და თვალებში ჩამხედა, მაშინ ვიფიქრე — ღმერთო, ვინ არის ეს კაცი, შენ გამომიგზავნე-მეთქი?.. მართლა ღმერთმა გამომიგზავნა. ის ჩემი დიდებული მეგობარია.

**— რომა, ასეთ შეყვარებულ და მშვენიერ მეუღლესთან ერთად აბასთუმანში მუზა ნამდვილად არ მოგასვენებთ...**

— სხვათა შორის, 1991 წელს, როცა ავად გავხდი და ცხოვრების მძიმე პერიოდი გავიარე, მეგონა, ამაზე უფრო რთული და შემამფოთებელი არაფერი მოხდებოდა. მაგრამ აი, 12 ივლისს, კიდევ ერთხელ დავინახე ჩემი მტერიც და მოკეთეც და ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპის დაწყება ვიგრძენი. ახლა ვიცი, რა უნდა გავაკეთო. აბასთუმანში ერთხელ უკვე დაწვერე ალბომი, ამჯერადაც, საზოგადოებას ჩემი შემოქმედებით გავცემ პასუხს ყველა კითხვაზე. იდეაში მაქვს ქალაქური სიმღერების ახალი ალბომის გაკეთება.

**— რომა, გავიგე, ეთნოგრაფიულ მუზეუმამდე ეტლი ივლისო, მართალია?**

— ორ ცხენს მწუქიან მეგობრები. ერთი კარგი ადამიანი კიდევ, ინგლისური ეტლის ძალიან იაფად დამზადებას შემპირდა. შევბამ ცხენებს და თუ სურვილი ექნებათ, ჩვენი სტუმრები თავისუფლად ისარგებლებენ ამით.

**— „რომაულ არდადეგებზე“ რას გვეტყვი?**

— აი, ამ საზაფხულო „ტუსოვკას“, რაც კუს ტბაზე ხდება, თითქმის ყოველ საღამოს ჩემთან ერთად გატარების გამო, სტუმრებმა „რომაული არდადეგები“ უწოდეს...



ანტიკვარული მანქანების გამოფენაზე თბილისში



# ჩველები ვიყვარს „ბაბუ“! ფთხეუ გაგნთა თაბ ფბ ქნდუფ

ამ ინტერვიუზე რომ მივდიოდი, გზაში ვფიქრობდი: დამხვდება ახლა მაღალსაზურგიან სავარძელში ჩაფლული, ამ გაგანია სიცხეში ყელში ჰალსტუხნაჭერილი და მუქ პიჯაკში ჩაჭედული ლამის პირტიტველა ყმაწვილი და პირველს რასაც გაგაკეთებ, პირში მივახლი: კი მაგრამ, არ ისწრობი-მეთქი? მაგრამ არ „გამიმართლა“. კაბინეტში შესულს ხალვათად ჩაცმული, მკლავებდაკაპინებული და, ჩემდა გასაოცრად, უკვე ჭაღარაშერეული ახალგაზრდა კაცი შემომეგება... ასე გავიცანი საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ფინანსებსა და ფისკალურ საკითხებში ბიორბი ისახბძე.

## რუსუან ლებანიძე

— გიორგი, ოცდახუთი წლის ასაკში ჭაღარა ძალზე ნაადრევი ხომ არ არის?

— სხვათა შორის, უკვე 26 წლისა ვარ. 3 ავეისტოს მქონდა დაბადების დღე. ისე კი, ჩემი ჭაღარა, ალბათ, უფრო გენეტიკურია. თუმცა, ჩემი ცხოვრების ზედმეტად დაძაბულ რიტმსაც არ გამოვრიცხავ.

— მართალი გითხრათ, თქვენ ნამსახურობის საკმაოდ გრძელ სიას რომ გადავხედე, ცოტა არ იყოს, შემებრალებთ: ასე ახალგაზრდამ, ნეტავ, თავი ასე როგორ გაიმეტა-მეთქი?..

— გავიმეტე და არ ვნანობ, რადგან ვთვლი, რომ როცა ადამიანი არჩევანს შეგნებულად აკეთებს, შემდეგ მისი გაუთავებელი გადასინჯვა უნებისყოფობის შედეგია და მეტი არაფერი. ასე რომ, შესაბრალებელი ნამდვილად არაფერი მჭირს: ეს ყველაფერი ჩემი არჩევანია. ჩემი არჩევანია ჰალსტუხები და კოსტიუმებიც და ისიც, რომ ჯინსების და შორტების ჩაცმა და მანქანის ტარება მენატრება — მე ხომ მძლოლი მექსახურება. და თუ ადამიანს ეს ყველაფერი არ გინდა, ვინ გიჭერს? დაიხურე ქული, წადი და მერე გინდა ჯინსები ამოიცვი, გინდა შორტები და გინდა, სულ შიშველმა იარე...

— ხანდახან მეჩვენება, რომ თქვენნიარ ადამიანებს სიტახუვე არ გამოუფლიათ და ბავშვობიდან პირდაპირ სიტარმაგეში შედიან ხოლმე...

— მეტსაც გეტყვით: მე არც ბავშვობა მქონია. ისეთ დროში მომიწია გაზრდამ

და „გახარებაში“, რომ სამოქალაქო ომის, ჩემს უბანში, ვერაზე, ახალგაზრდა ბიჭების დაცხრილვის და ერთმანეთის „ჭრა-კერვის“ გარდა, ბევრი არაფერი მიხანავს. ჩემს თაობას უდარდებლობის მომენტი პრაქტიკულად არ ჰქონია. ასე რომ, მტრისას, ისეთი თაობა ვართ!

— ეს სიტყვები, ცოტა არ იყოს, მუჭარად ხომ არ უღერს?

— არა, უბრალოდ, ჩვენ ცხოვრებამ საკმარისად გამოგვაწართო საიმისოდ, რომ საჭირო დროს, საჭირო გადაწყვეტილებებიც თამამად მივიღოთ.

— მოდით, თავიდან თქვენს ერთ-ერთ ასეთ გადაწყვეტილებაზე — ჟურნალისტობაზე შევჩერდეთ.

— ჟურნალისტობაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და, ალბათ, კიდევ გავხდებოდი ჟურნალისტი ჩვენი ოჯახის ძალიან ახლო მეგობრის დათო ტყეშელაშვილის შეგონებები რომ არა: აქოდა, სხვა ცხოვრება მოდის, სულ მალე წინა პლანზე ეკონომიკა წამოვაო და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, კარგად მახსოვს, რომ მერვე-მეცხრე კლასში ჟურნალისტობაზე ფიქრს ნელ-ნელა შევეშვი და საბოლოოდ, სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზეც ჩავაბარე. თუმცა, მოკვიანებით ჟურნალისტიკაში მაინც მოვედი და ჯერ გაზეთ „გულანის“ ეკონომიკის განყოფილების გამგედ ვიმუშავე, შემდეგ კი ყოველთვიური დამატება „ბანკები და ფინანსების“ მთავარი რედაქტორი გავხდელი. იმავდროულად ტელევიზიაში ანალიტიკური პროგრამა „საქმეც“ მიმეყვდა...

— თქვენს ოჯახზე რას გვეტყვით?

— მყავს მშობლები და ერთი ძმა. ცოტა ხანში ოჯახში მატებას ველით. ჩემს ძმას ლაშას ცოლი მოჰყავს. მამაჩემი ქალაქის მთავარი დეკორატორია...

— ანუ ადრე გამწვანების უფროსს რომ ეძახდნენ?

— არა. ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა თავისი მერობის დროს ეს შტატი სპეციალურად შექმნა...

— მამათქვენისთვის?

— არა. ზოგადად დეკორატორის შტატის შექმნას ვგულისხმობ. დეკორატორები ჩვენს ქალაქში ისედაც თითზე ჩამოსათვლელი არიან და მამაჩემი მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული სპეციალისტია. ჩემი ძმაც მამაჩემის გზას გაჰყვა. დედაჩემი თამარ ნიჟარაძე ექიმი-უროლოგია. მე ის მთელ ქვეყანას მიჩვენებია, მარტო იმიტომ კი არა, რომ დედაჩემია... ის საუკეთესო ადამიანია და გვერდში ისე მიდგას, ბარე ორი კაცი რომ ვერ დამიდგებოდა. ჩემთვის ყველაფრის გასაკეთებლად მუდამ მზად არის, მისგან ყოველთვის აბსოლუტური ხელშეწყობა მაქვს...

— ამ განწყობით, ალბათ, ცოლის მოყვანა ძალიან გაგიჭირდებათ.

— სულაც არა. მე ბავშვობიდან დამოუკიდებლობას ვარ მიჩვეული და ჩემი ოჯახის წევრები ჩემს დამოუკიდებელ ცხოვრებაში ორგანულად ეწერებიან. თითოეულს თავისი ღირსეული ადგილი აქვს. ასევე იქნება ჩემი მეუღლეც.

— ვინმე თუ გიყვართ?

— მოდით რა ჩემს გრძნობებს, ჯერ-ჯერობით, ჩემთვისვე დავიტოვებ...

— ქალისთვის გული თუ გიტკენიათ?

— ალბათ, კი. თუმცა, ეს შეგნებულად არასოდეს გამოკეთება, რადგან ვთვლი, რომ ასეთი რამ უკვე მაგნებლობაა. უბრალოდ, არის მომენტები, როცა ქალის და მამაკაცის მოსახრებები ერთმანეთს არ ემთხვევა. მე ბევრი ასეთი მომენტი მქონია.

— ანტიმონოპოლიური სამსახურში მისვლისას განაცხადეთ, რომ ცნებები „მაფია“ და „კლანი“ ჩემთვის არ იარსებებსო. ნუთუ ქვეყანაში, რომელსაც მაფია და კლანები ლამის ცოცხლადაც ჭამენ, ასეთი რამ შესაძლებელია?

— სად არის ერთი, დამანახვეთ, რა, ეს მაფია...

— ვერ დავიჩემებ, რომ მაინცდამაინც თქვენს სავარძელში იყოს ჩაბუდებული...

— ჩემს სავარძელში ვერც ვერასოდეს ჩაბუდებს. ისე კი გეტყვით და ამ სიტყვებზე პასუხისმგებელი ვარ, რომ თუკი ქვეყანაში რაიმე უბედურება ხდება, ყველაფერი მხოლოდ ჩვენი მოუწყობელი



ინგლისში მოგზაურობის დროს

ყოფის ბრალია. ჩვენ რომ კომუნალური პრობლემები გადავწყვიტოთ, დავინახავთ, რომ სხვა მხრივ ქვეყანაში რეალური განვითარება სახეზეა.

— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, მაინც რომელ „რეალურ განვითარებაზეა“ საუბარი?

— არ გეჩვენებათ, რომ ჩვენი ქვეყანა პარადოქსებითაა სავსე? რესტორნები ერთმანეთის მიყოლებით იხსნება, თანაც, თითქმის ყველა ხალხითაა გადაჭვდილი, ქუჩებში მანქანების ტევა აღარაა, ლამის ყოველი მეორე მობილურ ტელეფონს დააწკრივებს და ძვირფას სიგარეტს ეწევა, ჩვენი ბიუჯეტი კი არანახულად მძიმე მდგომარეობაშია...

— იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ თუ, ვთქვათ, რესტორნებში ხალხი, ქუჩებში მანქანები და ჯიბეში მობილურები შემცირდება, ქვეყნის ბიუჯეტი სასწრაფოდ გაიზრდება?..

— რა თქმა უნდა, არა. წინასწარ არაფრის ანონსირება არ მიყვარს, მაგრამ თქვენ გეტყვით: დაახლოებით ორ კვირაში, მთავრობის საგანგებო სხდომაზე ანტიკორუფციული კომისია, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც ვახლავართ, ძალზე სერიოზული და ბოლომდე გაანალიზებულ-დასაბუთებული განცხადებებით გამოვა. კორუფციაზე ლაპარაკის და წერის დრო წავიდა. ახლა უკვე საქმეზე გადასვლის, მოქმედების დროა.

— ანუ მალე ქვეყანაში დიდი „ნადირობა“ დაიწყება?

— ამერიკელებს აქვთ გამოთქმა „დიდი თევზის საქმე“. ჩვენს ქვეყანაშიც „დიდი თევზების“ ანუ ბობოლების საქმე დაიწყება. სხვათა შორის, აუცილებელი სულაც არ არის, რომ ეს ბობოლა ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი იყოს. საშუალო რგოლებშიც არანაკლებ სერიოზული ბობოლები სხედან და დიდ-დიდ საქმეებსაც უმაღლეს დონეებზე წყვეტენ. და სანამ ასეთები არ წავლენ იქ, სადაც საჭიროა

ანუ ციხეში, მანამ ქვეყანაში აგრერიგად გამეფებული დაუსჯელობის სინდრომი არაფრით მოიხსნება. ოღონდ, ყოველი კონკრეტული პირის დანაშაული უთუოდ იურიდიულად, სასამართლო წესით უნდა დადასტურდეს.

— ნუთუ ამ პრობლემის გადაჭრა მართლაც ასე მარტივად გესახებათ?

— მარტივად არა, მაგრამ რეალურად კი.

— როგორ?

— რეალური მუშაობით. ოღონდ, ამ სამუშაოში ადამიანს რეალური ფულიც უნდა გადა-

უხადო, თორემ როცა ადამიანს, ვთქვათ, საბაჟოზე მუშაობაში თვეში 60-70 ლარს აძლევ და დღეში კი, ხანდახან, 10 მილიონიანი ტვირთის განბაჟებას სთხოვ, განა არ იცი, რომ პატიოსნად არ განვიბაჟებს?

— პირადად თქვენი ხელფასი რამდენს შეადგენს?

— ასე, 150 ლარამდე გამოდის.

— მერედა რაში გყოფნით?

— არაფერში.

— აბა რას შვრებით, თქვენც სხვებივით სახელმწიფო ქონებას სათქვენოდ ხომ არ „ანბაჟებთ“ ხოლმე?

— მე ოჯახი მეხმარება. ჩვენს ოჯახში ხომ ყველა მუშაობს. ნურც მეგობრების თემას გამოვრიცხავთ. მე ძალიან სერიოზულ პროექტებში დასაქმებული არაერთი მეგობარი მყავს ამერიკაში, კანადაში, გერმანიაში, რუსეთში... ჩემი ამერიკელი მეგობრები, მაგალითად, ყველანაირად მხარში მიდგანან: მათი მანქანით დავდივარ, მათი გამოგზავნილი ტანსაცმელი მაცვია, როცა მათთან მივლინებით ჩავდივარ, ფულსაც მაძლევენ და მაშინ კიდევ უფრო მეტ პრობლემას ვიხსნი...

— აგინყვიათ ცხოვრება და ეგ არის...

— იცით, რა? დღეს ამ კითხვით „როგორ ცხოვრობ?“ ნებისმიერი ჟურნალისტი, თუ მთინდომა, ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს „ვაჭვლავს“.

— მოდით, ამჯერად თქვენს „გაჭვდევას“ თავს დავანებებ და „გაჭვლელტაზე“ გკითხავთ: ჩხარტიშვილი - სააკაშვილის ინტერესთა გადაკვეთაში მოხვედრილი თავს როგორ გრძნობთ? ხანდახან მართლა ხომ არ იჩქვლიტებით?

— მეტყობა რამე? არ ვიჭვლიტები და არც ვავიჭვლიტები! იმიტომ, რომ ცხოვრებაში არ დამიკავებია ისეთი პოზიცია, სადაც სიმართლე არ არის.

— ალბათ, დამეთანხმებით, რომ ორი ასეთი რანგის ჩინოფონის დაპირისპირებასთან კავშირში მყოფი ნებისმიერი მესამე უთუოდ ერთ-ერთის კაცია...

— კონსტანტინე გამსახურდიას აქვს ერთი შესანიშნავი გამოთქვა: „კაცის კაცი რა კაცია?“ იცით, ამას რატომ ვუსვამ ხაზს? მე ძალიან ბევრ ადამიანთან მიმუშავია. ესენი არიან ბატონები: ნიკოლევიშვილი, ზაზა შენგელია, ვაჟა ლორთქიფანიძე... რა, ყველა ამ კაცის კაცის ვიყავი? მე თავად ჩემი ასოციაციაც მაქვს, სადაც ყოველი ნიჭიერი ახალგაზრდის წარმოჩენასა და სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებასაც ყველანაირად ვცდილობ. რა, ისინი კიდევ ჩემი კაცები არიან? ჩემი კი არა, საქმის კაცები არიან. მე კი, უბრალოდ, მათი ნიჭი და უნარი დავინახე და ვცდილობ, სხვებსაც დავანახო. ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც: თავის დროზე ჩემი შესაძლებლობებიც დანახეს და ამ კარუსელში ჩამაბეს. ამ მხრივ ყველაზე სერიოზული ბიძგი სწორედ ვანო ჩხარტიშვილმა მომცა და ამაზე უარს არასოდეს ვიტყვი. იმიტომ, რომ უპირველესად, კაცი ვარ და შემდეგ სხვა ყველაფერი!

— ვანო ჩხარტიშვილის მიერ იმ საბუღალტროდ „გამოჩხრეკილ“ 100 მილიონზე რაღას იტყვი, მიხეილ მაჭავარიანი რომ შეინირა?

— პირდაპირ გეტყვით: ამას არავინ შესწირვია და არც შეეწირება. მაპატიეთ, მაგრამ ის, რაც ეკონომიკის სამინისტრომ წარმოადგინა, ჯერ მხოლოდ პროექტია, თუმცა, ძალიან სერიოზული და ღირებულ პროექტია...

— ანუ ეს 100 მილიონი მართლაც რეალურად არსებობს და თვალში ნაცარს არავინ გვაყრის?

— ამაზე მარტივად ვიპასუხებთ: მაგალითად, დღევანდელი დღის მონაცემებით, დედაქალაქში მთლიანად 142 ტონა ბენზინია შემოტანილი. იცით, ეს რამდენია? დედაქალაქს 142 ტონა ბენზინი სულ რაღაც 3-4 საათს თუ ჰყოფნის. რეალურად კი თბილისში მთლიანად დღეში 1000 ტონა ბენზინი მოიხმარება. შეადარეთ ეს მონაცემები და თავად განსაჯეთ, ვინ ვის აყრის თვალში ნაცარს.

— მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელ გამოსვლას თქვენც პოპულისტურს უწოდებთ?

— მე ერთი ვიცი, როცა საქმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტს ეხება, არ შეიძლება ყველაფერი შოუმიდელი დაიყვანოს...

— თუ ამ მართლაც შოუს დონემდე დაყვანილ კანონპროექტს „უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებ-

ის შესახებ“ კანონად ქვევა ელირსა ის, როგორც თანამდებობის პირს, თქვენც შეგეხებათ. მინც რას დაგიფიქროვლიან და შეგიმონებენ?

— მე დასამალი არასდროს არაფერი მქონია. ახლაც ჩემს, უფრო ზუსტად კი ჩვენი ოჯახის საერთო ქონებას სრულად ჩამოგიფიქროვით: სახლი ვერაზე, კიდეც ერთი, მომცრო ბინა, ისიც — ვერაზე, აგარაკები საგურამოსა და გრიგოლეთში... პირადად მე მანქანა — 16 წლის „მერსედესი“ მყავს. მანქანები მამაჩემსა და ჩემს ძმასაც ჰყავთ. ერთი მანქანა საზიაროა, უფრო სწორად ჩემი მეგობრისაა და როცა ის თბილისში არ არის, ჩემი ძმა ატარებს... ერთი სიტყვით, ყველაფერი აღწესდებულია ჩამოთვლილია და ამ მხრივ, პრობლემას არც სხვას ვუქმნი და არც საკუთარ თავს. თუმცა, ვერც იმის პირობას მივცემ ვინმეს, რომ თვითლუსტრაციას მოვყვები-მეთქი. სულ 26 წლის ვარ და ჯერ განა ისეთი რა უნდა მეშოვა ან გამეკეთებინა...

— სამაგიეროდ მამათქვენი იშოვიდა: განა ქალაქის გამწვანება, ტრადიციულად, სარფიან და შემოსავლიან საქმედ არ ითვლებოდა და ითვლება?

— მერედა მამა სულ მანდ ხომ არ მუშაობდა. სხვა თანამდებობებზეც იყო. აი, ჩემი ძმა კი, გარანტიას ვიდრევი, კიდეც გააკეთებს და კიდეც იშოვის. იმიტომ, რომ ის ერთ-ერთი უნიჭიერესი კაცია და თავის საქმეში ბადალი არ ჰყავს. და თუ რამის მონობლია იარსებებს საქართველოში, ეს იქნება მონობლია დეკორატიულ გაფორმებაზე...

— ჰო, მართლა, თავის დროზე, ანტიმონობლიური სამსახურის შეფმა, თელასის აგრეროგად გამონობლისტება როგორ დაუშვიო?

— ჯერ ერთი, მე რომ ანტიმონობლიური სამსახურში მოვედი, თელასი უკვე მონობლისტი იყო. გაფორმებული იყო ხელშეკრულება, რომლითაც აღფროვანებული არასოდეს ვყოფილვარ. რაც შეეხება თელასსა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულებას, ის ჩვენი იდეა იყო და კიდეც გაკეთდება.

— მერე თელასის მუქარას რაღა ვუყო?

— მუქარა მუქარად დარჩება. ცხადია, თელასს აქვს პრობლემები, მაგრამ მომხმარებელი სულაც არ არის ვალდებული ისინი გაითვალისწინოს. მას უნდა ჰქონდეს დენი, რომელშიც ფულს იხდის და ექნება კიდეც.

— 24-საათიანი?

— უახლოეს მომავალში პირადად მე ჩვენს მოქალაქეებს ნაცნობ ამპლუაში მოვევლინები. ანუ პრეზიდენტის თანაშემწე

გიორგი ისაკაძე ძალიან დაინტერესდება ენერგეტიკის პრობლემებით, რომელთა გამოც პრეზიდენტი უკვე განგამის ზარს სცემს. და ჩვენც ყველაფერს ვაკეთებთ, რომ შარშანდელი ზამთარი აღარ განმეორდეს. მეტიც: თბილისის მოსახლეობას 24-საათიანი დენი ექნება! ეს ჩემი პირობაა და დაიმასსოვრეთ!..

— აბა მაგას რა დამავინებებს! ისე, მაინტერესებს, შინაგანად მინც უფრო რეგულაციონერი ხართ თუ რეფორმატორი?

— მე საქმის მკეთებელი ვარ. ხოლო თუ საქმეში რაღაც ასლებური ხედავ მაქვს, ჩათვალეთ, რომ შევარდნადის რეფორმატორთა ჯგუფს მივეკუთვნები.

— მართლა ძალიან ნაკითხი და განათლებული ხართ?

— არა. მეტიც: ვთვლი, რომ „ძალიან“ საერთოდაც არაფერი ვარგა. ისე კითხვა მიყვარს და შედეგიც სახეზეა — სათვალ-იანი ვარ.

— მაშ, რატომღა ამბობენ, თქვენი ტოლები რომ უბანში „აბირუავენდნენ“, გიორგი მაშინაც სახლში იჯდა და კითხულობდა და კითხულობდაო?

— საიდან მოიტანეს? მე დღემდე ჩემი უბნითა და იქაური მეგობრებით ვცხოვრობ. ბირჟა კი ჩვენი შეხვედრების ადგილი და დიდი სკოლაც იყო. ეს ყველაფერი თუ არ გაიარე, ნამდვილ ცხოვრებას ვერ ისწავლი.

— ღამის თბილისში სიარული თუ გიყვართ?

— ძალიან. თანაც, ხშირად ფეხით დავდივარ.

— არ გეშინიათ, ვინმე გასაძარცვად რომ დაგხვდეთ — ამხელა კაცის თანაშემწეა და ფული ბლომად ექნებაო?

— დამხვდება და მეც დავხვდები. ისე კი არც დაცვა მყავს და არც იარაღით დავდივარ. თუმცა, თუ საჭიროდ ჩავთვლი, ვივლი.

— იარაღი გაქვთ?

— რა თქმა უნდა. თანაც — არაერთი. თოფი უფრო მეტი მაქვს.

— ცნება „ქართული ეკონომიკა“ თუ არსებობს?

— არსებობს. შებრძანდით ნებისმიერ სუპერმარკეტში და საკუთარი თვალით ნახათ ქართულ ძეხ-

ღელაჩეში მთელ ქვეყანას მირჩვენია

ვეულს, კვერცხს, რძის ნაწარმს, სასმელებს... თბილისსა და ბათუმში უკვე ქართული თვითმფრინავები და ვერტმფრენებიც შენდება. მალე ქართული ავტომობილიც გამოვა... ასე რომ, ჩვენი ეკონომიკა მარტო ჯიხურები და ქუჩის ვაჭრობა როდია. თუმცა, ბევრს ამის დანახვა ჯიუტად არ უნდა. მერწმუნეთ, შევარდნაძე ძალიან კარგ ქვეყანას გააკეთებს და ამაში ჩვენ უნდა დავხმარდეთ. მე ასე მწამს! ხომ მაქვს ამის უფლება?

— მაგ უფლებას ნამდვილად ვერაფერს მაგართმევთ. ისე, როგორი დამოკიდებულება გაქვთ — პარტნიორული თუ ქვეშევრდომული?

— პრეზიდენტთან? ძალიან მიყვარს „ბაბუ“! — აი, ეგეთი! მე საკმაოდ ბევრ ადამიანთან მიმუშავია, მაგრამ ასეთი უფროსი ჯერ არ მყოლია. შევარდნაძე ძალიან დიდი მოღვაწეა. ძალიან თბილი ადამიანია და თავის გამოვლენის საშუალებასაც ყველას მაქსიმალურად აძლევს! უბრალოდ, ბევრჯერ ჩვენ არ ვვარგევართ. ამას, პირველ რიგში, საკუთარ თავზე ვამბობ. მე ამ კაცმა გაქანებისა და მხრების გაშლის ყველანაირი საშუალება მომცა. როგორია, 25 წლის ასაკში საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეობა?! ეს ბიოგრაფიაში უბრალო შტრიხი როდია, ეს უკვე ძალიან დიდი რამეა!

— მაგრამ, ალბათ, ამაზე მინც არ შეჩერდებით. ამიტომ მაინტერესებს, უახლოეს მომავალში, ვთქვათ ერთი წლის შემდეგ, სად და რომელ საგარძელში უნდა გეცებოთ?

— არ ვიცი. შეიძლება ერთი წლის შემდეგ რომელიმე კერძო სტრუქტურაშიც ვიყო. ისე კი, მე დღეს იმდენად დიდ სკოლას გავდივარ, რომ ყველაზე მეტად გამიხარდება თუ ერთი წლის შემდეგაც ისევ აქ, ამ საგარძელში ვიქნები. თუმცა, თავად საგარძელი კი შეიძლება გამოვაცვლევინო — ძალიან შეილანძლა და იმიტომ...



ჟურნალ „გზაში“ (№28, 12-18.VII.) დაბეჭდილ ინტერვიუს — „უბედურებაში მხოლოდ დედამ არ მიმატოვა“, ბევრი მკითხველი გამოეხმაურა. ბევრი შეძრა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ, რომლის შედეგადაც გია კობახიძემ სხეულის 80%-იანი დამწვრობა მიიღო. ჩვენს მკითხველს გიას მონათხრობიდან პატარა ეპიზოდს შევახსენებთ: „დამწვრობიდან 2 წლის შემდეგ, ჩემმა მეუღლემ განქორწინება მომთხოვა. სასამართლომ კი, ბავშვებისთვის ალიმენტის გადახდა დამაკისრა“. ამ მასალის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, რედაქციაში ასალგაზრდა ქალმა მოგვაკითხა და განაცხადა, რომ ის გია კობახიძის ყოფილი მეუღლეა. „მე უმადურობის მსხვერპლი ვარ, აქ მოვედი იმიტომ, რომ შეურაცხყოფილი ვარ — როგორც ქალი და როგორც პიროვნება. მკიცხავენ ადამიანები, რომლებიც არც მე მიცნობენ და არც იმ პირობების შესახებ იციან რაიმე, რომელშიც გიასთან ერთად ვცხოვრობდი“...

# „ღამნაკრი ქმარი არ ვიქნებოვარ, მე უმადურობის მსხვერპლი ვარ“



ჟურნალს დავხედე. იქიდან ჩემი ყოფილი ქმრის სახე მიმზერდა. კაცის, რომელიც მიყვარდა. კაცის, რომელსაც ჩემი ხელით ვაჭმევედი საჭმელს, რომელსაც ვუვლიდი და გაჭირვების ჟამს ერთი წუთითაც არ ვტოვებდი. სანაცვლოდ კი, რა მივიღე: არ მინდა ამის დაწვრილებით მოყოლა. მართლა მრცხვენია. დედას ვუამბე, რომელმაც მანამდე არ იცოდა, რომ მისი შვილისთვის ცუდად დამთავრებული საოჯახო სკანდალი პირველი არ იყო. ჩვენ სიყვარულით შევქმენით ოჯახი. თუმცა, მალევე მივხვდი, რომ შევცდი. აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები ვიყავით. მაინც მიყვარდა. ლექსებს ვწერდი. 1500-მდე ლექსი მაქვს დაწერილი. უმეტესი ნაწილი სწორედ გიას მივუძღვენი. ის კი იცინოდა, ამის გამოც დამცინოდა. მისი ერთადერთი თვისება, რაც ბოლომდე მომწონდა, ოჯახისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა იყო. გია ძალიან მშრომელი ადამიანია. არაფრის გაკეთებას არ დაგზარდებდა, ოღონდ მისი შვილები იყვნენ კარგად, მაგრამ მხოლოდ ეს არ ყოფილა საკმარისი. როდესაც რუსთავში ავარია მოხდა და გია დაშავდა, ის საავადმყოფოში მართლ არ წასულა. მასთან ერთად მეც ვიყავი. ექიმები მეუბნებოდნენ, რომ მსოფლიოში არ არსებობდა ჩემს ქმარზე უფრო მძიმე ავადმყოფი. მეუბნებოდნენ, იმდენი წამალი მომეტანა, რამდენიც დილით ეყოფოდა, რადგან საღამომდე თუ იცოცხლებოდა, არ ეგონათ. საღამოს გაცივებულები ამბობდნენ — წადით, კიდევ მოიტანეთ, ისევ სუნთქავსო... ასე გრძელდებოდა კვირების განმავლობაში... გიასთან არ ვიმჩნევდი დარდს. გამოვიდოდი რეანიმაციიდან და ვტიროდი, საკუთარ ხორცებს ვიგლეჯდი მისი ცოლივით. ეს გრძელდებოდა

## ნანა ქიბიშაური

მარიამ ჯაფარიძე ინტერვიუს დაწყებამდე შეგვიპირდა, რომ მხოლოდ თავის, როგორც ტრაგიკული ბედის მქონე ქალის ცხოვრებაზე ისაუბრებდა და შეეცდებოდა, ისედაც ათასი ტკივილით სავსე, ყოფილი მეუღლისათვის გული არ ეტკინა. თუმცა, თვითონ, თავისი ოჯახური სამზარეულოს საშუალებით გამოტანა, სწორედ დიდმა გულისტკივილმა გადააწყვეტინა. მარიამს რამდენიმე კვირა ეცალკეთ, რადგან ვიფიქრეთ, მისი სურვილი ნაჩქარევი ემოციით იყო გამოწვეული. ჩვენს მომავალ რესპონდენტს აღსარების სურვილმა მაინც არ გაუარა და ბოლოს, ეს ინტერვიუც ჩავწერეთ.

— მარიამ, როგორ გადაწყვიტეთ აქ მოსვლა? არ გეუბნენ უნებლეთ საკუთარ ოჯახზე სახალხოდ საუბარი?  
— ჯერ ერთი, ჩემი ყოფილი ოჯახი უკვე სალაპარაკო გახდა. გიას ფიცხი

ხასიათის გამო, ჩვენ მშვიდი ცხოვრება არ გვქონდა. და მეორე — უხერხულობის მიუხედავად, მაინც მინდა, ჩემი სათქმელი ვთქვა, რადგან იმ წერილის წაკითხვის შემდეგ, ხალხს ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, როგორც სინამდვილეში არ ვარ. მე გია იმის გამო არ მიმიტოვებია, რომ ის მძიმე ტრავმის გამო დასახინდრა. განქორწინება მოვითხოვე, რადგან ჩემს შვილებს ფიზიკურად და სულიერად სრულფასოვანი დედა სჭირდებოდა. ისინი ჯერ პატარები არიან. განქორწინება კი, ჩემი გადარჩენის ერთადერთ შანსად მივიჩინე. ჩემი შვილისგან ვიცოდი, რომ მამამისთან ჟურნალისტი მივიდა, მაგრამ თქვენე ჟურნალი არ მომიკითხავს მანამდე, სანამ ტრანსპორტში ორი ქალის ლაპარაკს არ შევესწარი. მათ ხელში ჟურნალი ეჭირათ და აღშფოთებულები საუბრობდნენ ქალზე, რომელმაც ქმარი გაჭირვებაში მიატოვა. სანამ ლამაზი იყო, უნდოდა და, როცა დასახინდრა. აღარ უნდა? ასეთი ქალების სინილა უნდა გაწყდესო — ამბობდნენ.

ბოდა დაუსრულებლად. ბოლოს დავაფიქსირე, რომ მეც ავად ვიყავი — სარკეში ჩახედვა არ მინდოდა: იქიდან გიჟის თვალები მიმზერდა. დამწვრობიდან ორი წლის შემდეგ გია სახლიდან ვერ გამოდიოდა, თუმცა, ტკივილები აღარ აწუხებდა. ისევ სვამდა, ამდენი ნარკოზისგან კი ნერვები უარესად გაუფუჭდა. ჯერ მცემდა, მერე კი გაწვებოდა იატაკზე და ბავშვივით ტიროდა... მე ვთვლი, რომ აბსოლუტურად პირნათელი ვარ. პირველ რიგში საკუთარი სინდისის წინაშე, ღმერთის, მისი და ჩემი შვილების წინაშე, რადგან იმ უმძიმეს პერიოდში, ვიდრე მე მას ვჭირდებოდი, წამითაც კი არ მიმიტოვებია. თუმცა, ლოგინად ყოფნის პერიოდში, როგორც ავადმყოფი, ურთულესი მოსავლელი და ძნელად ასატანი იყო. ჩხუბობდა, ყვიროდა ისე, რომ მთელ უბანს ესმოდა, ტიროდა ხმამაღლა დღეც და ღამეც. გაუსაძლისი იყო მის გვერდით ყოფნა. ხშირად თავის მოკვლის სურვილიც დამბადებია, ან სახლიდან გაქცევისა და უგზო-უკვლოდ დაკარგვის სურვილი, მაგრამ ბოლომდე ვზიდე ჯვარი, რომელიც უმძიმესი იყო და სულზეც დიდი, სისხლიანი კვალი დამიტოვა. მე იგი მივატოვე მხოლოდ მას შემდეგ, როცა განიკურნა, იქცა სრულფასოვან ადამიანად, მართალია, გარეთ არ გამოდიოდა, მაგრამ შეეძლო სიარული, მუშაობა, დამოუკიდებლად ცხოვრება. ჩემ მიერ გადარჩენილი ადამიანი მე მისპობდა სიცოცხლეს, მანადგურებდა ფიზიკურადაც და სულიერადაც. მეტუქრებოდა, ვგრძნობდი, რომ მის გვერდით ყოფნა ჩემი სიცოცხლისთვის საფრთხესაც კი წარმოადგენდა. აი მიხეზი, რამაც ჩვენი დაშორება გამოიწვია.

იმ ფაქტმა, რომ ის მივატოვე, გარკვეულწილად დადებითი როლიც კი ითამაშა. მას გაუჩნდა ბრძოლის უნარი, ცხოვრების უნარი, გამოვიდა საზოგადოებაში, დაიწყო მუშაობა, ყოველი ღონე იხმარა იმისათვის, რომ ივა კუზანოვთან მოხვედრილიყო და პლასტიკური ოპერაციები გაეკეთებინა. დარწმუნებული ვარ, მე რომ მის გვერდით ვყოფილიყავი, ის დღემდე ისეთივე უმწყო იქნებოდა, როგორც მანამდე. განქორწინებისას სასამართლომ დააკისრა ალიმენტის გადახდა, მე მისთვის არაფერი მითხოვია. ნურავინ ნუ მოითხოვს გმირობას სხვისგან — თუნდაც ის ქალები, რომლებიც მკიცხავდნენ, ჩემს მდგომარეობაში რომ აღმოჩენილიყვნენ, შეი-

ძლება, უფრო ადრე გაეკეთებინათ ის, რაც მე გავაკეთე. ყველა ქალმა წარმოიდგინოს თავი ჩემს ადგილზე და ისე განმსაჯოს. მამაკაცები ვერ გამიგებენ. მათი ფსიქოლოგია უფრო სხვანაირია. ისინი ცოლებისგან ყოველთვის მსხვერპლშეწირვას მოითხოვენ.

**— რას უსურვებდით გიას?**

— გამოჯანმრთელებას. სანამ ივა კუზანოვთან მივიდოდა, ვუბნებოდი: საზღვარგარეთ მინდა წასვლა საშუალოდ, ფულს შევაგროვებ და ოპერაციების გაკეთებაში დაგეხმარები-მეთქი, მაგრამ იმასაც ვამატებდი — ამის მიუხედავად, არ იფიქრო, როდესმე ისევ ერთად ვიცხოვრებთ-მეთქი.

განშორებიდან სამი წლის შემდეგ დაიწყო პლასტიკური ოპერაციების გაკეთება. კვლავ დავჭირდი და მე ისევ მის გვერდით ვაფხვნიდი, ვინაიდან სხვა არავინ იყო, ვინც 8-10 საათიანი ოპერაციის შემდეგ მას მოუვლიდა.

**— დედა?**

— დედამის რაჯის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს, აქვს თავისი მეურნეობა, რომელიც ვერ მიატოვა და ამიტომ მის შვილს მოუწია მარტოს გადაეტანა ოპერაციის შემდგომი პერიოდი. სწორედ ამან გადამაწყვეტინა, რომ კვლავ გვერდით დავდგომოდი. თვალუბნებულს საკუთარი ხელით კვებავდი, ხელჩაკიდებული დამყავდა შესახვევსა და საპირფარეშოში. მადლობაც გადამიხდა — საკუთარი ღედაც ვერ გამიკეთებდა იმას, რაც შენ ჩემთვის გააკეთეო. მისი ნათესავი კაცი თავისი თვალით ხედავდა ყველაფერს და ჩემს გამზრდელს ღოცავდა ჩემი გაჩენისთვის, მაგრამ მეორე ოპერაციიდან 2-3 კვირის შემდეგ, როცა გია საკუთარ სახლში ვინახულე, კვლავ ვიკამათეთ და შუა ზაფხულში გრძელსახელიანი ტანსაცმლის ჩაცმა მომიწია, რომ სხეულზე გაჩენილი სილურჯები დამემაღა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მესამე ოპერაციის დროს, როცა თქვენ გიას ინტერვიუ ჩაწერეთ, მე მასთან აღარ ვიყავი და იგი ჩვენი 13 წლის შვილის ანაბრად იყო კლინიკაში... ვიცი, რომ კიდევ ბევრი ტკივილის გადატანა მოუწევს, მაგრამ ის ტკივილი ღირს იმ სიხარულად, რასაც ყოველი ოპერაციის შემდეგ განიცდის. მინდა ყველაფერი კეთილად დამთავრდეს. ისიც მინდა, მომავალში ახალი ოჯახი რომ შექმნას და ცხოვრება აიწყოს.

**— გულწრფელად ამბობთ?**

**გული ცოტათი მაინც არ დაგნყდებათ?**

— არა, მთელი გულით ვუსურვებ ბენდიერბას.

**— თქვენც ხომ არ აპირებთ ახალი ოჯახის შექმნას?**

— არა. მე ძალიან დაღლილი ვარ. ოჯახის შენარჩუნებისთვის ბევრი რამ გადავიტანე. არანაირი სურვილი არ მაქვს ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდეს ვინმე, ვისაც ჩემი ქმარი დაერქმევა. ოჯახზეც და სიყვარულზეც ჩემი რწმენა შერყეულია.

**— თქვენი შვილები ოჯახის საერთო მდგომარეობას ალბათ ძალიან განიცდიან?**

— კი. განიცდიან. მათ ღედაც უნდათ და მამაც, ოღონდ — ცალ-ცალკე.

**— სად მუშაობთ?**

— რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პრესცენტრში ვმუშაობდი. ამჯერად კი, უმუშევარი ვარ. მაგრამ მაქვს შემოსავლის სხვა წყარო, ოჯახის წევრებიც მეხმარებიან. ბავშვებს გიაც ეხმარება. მას 150 ლარამდე პენსია აქვს, რომელიც მეტალურგიულმა ქარხანამ დაუნიშნა. წერილში მოყვანილი ფაქტი, თითქოს უბედურ შემთხვევას საწარმოო ტრავმის კვალიფიკაცია არ მისცეს, სიმართლეს არ შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ გამე ვერ დამატკიცა თავისი უდანაშაულობა, ქარხნის ღირექციამ მაინც დაუნიშნა პენსია, რომელსაც დღემდე იღებს.

**— თქვენც და გიამაც ბოლო დროს ბევრი რამ გადაიტანეთ. მაინც ვფიქრობ, რომ ორივე უბრალოდ დაიღალეთ, სიყვარული კი, მაინც არსებობს... და ის არსებობს თქვენშიც... არ მეთანხმებით?**

— მე შეიძლება, გია მაშინაც მიყვარდა, როდესაც ის მივატოვე. ამ ნაბიჯს მაინც არ ვნანობ. მაქსიმალურად ვცდილობდი ოჯახის შენარჩუნებას, მაგრამ მხოლოდ ერთი ადამიანის მცდელობით ეს არ გამოვიდა. აი, ასე დაესვა წერტილი ჩვენს ურთიერთობას.

*ამ ორმა ადამიანმა — გია კობახიძემ და მარიამ ჯაფარიძემ ბოლო წლებში, მართლაც ბევრი ტკივილი გადაიტანა. მართალია, ცალ-ცალკე, მაგრამ მაინც საერთო ტკივილი. დრო ყველაფრის მკურნალიაო, უთქვამთ. ღმერთმა ქნას, სულ მალე მათი ტკივილიც წარსულს ჩაბარდეს...*

მარინა ბაბუნაშვილი

ვისაც ქართული ფილმები — „მხიარული რომანი“ და „მოიტაცეს თამარ-ქალი“ უნახავს, დღემდე ყველას ჩარჩა მესხიერებაში ხათუნა კოტრიკაძის მომნიბლავი, ჰაეროვანი პერსონაჟები. კინოეკრანებზე ამ სურათების გამოსვლისთანავე, ის უზომოდ პოპულარული გახდა. მსახიობისადმი სიმპათია გაათქვამდა, როცა ხალხმა შეიტყო, რომ ის ცნობილი ქართველი ფეხბურთელის — ალიოშა კოტრიკაძის ქალიშვილი იყო. ხათუნა კოტრიკაძე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, მის ახალ როლებს მოუთმენლად ელოდნენ და, ბუნებრივია, მისი გათხოვების ამბავიც არავის გამოჰპარვია, მით უმეტეს, რომ „ასპარეზზე“ კიდევ ერთი ცნობილი პიროვნება, მისი მეუღლე, თბილისის „დინამოს“ მეკარე დავით გოგია გამოჩნდა...

გავიდა წლები, ხათუნა კოტრიკაძე ეკრანიდან გაქრა, მაგრამ არავის დავიწყებია. დიდი სურვილი გექონდა შეგხედროდით და ინტერვიუ ჩაგვეწერა. ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში დაგუკავშირდი, მაგრამ თავაზიანი უარით გამომისტუმრა, თუმცა იქვე დასძინა: „კვირის პალიტრისა“ და „გზისადმი“ დიდი სიმპათიები მაქვს და რომ გადავწყვიტ, ვინმეს ინტერვიუ მიცემა, პირველი თქვენ იქნებითო.

როცა იმედი თითქმის გადამეწურა, სწორედ მაშინ დამიკავშირდა და შეხვედრა დავთქვი. ინტერვიუს პირობად ერთი თხოვნის შესრულება აღვუთქვი: ამდენი ხნის დუმილის შემდეგ, საშუალება მიგვეცა, მისთვის სასურველ თემაზეც გამოეთქვა თავისი სათქმელი.

შეხვედრა წინამძღვრიშვილის (ყოფილი კლარა ცეტიკინის) ქუჩაზე მდებარე სახლში შედგა, რომელშიც თავის ცოლ-შვილთან ერთად, მისი ვაჟიშვილი ცხოვრობს. ქალბატონ ხათუნას ჩვეულებისამებრ, მეუღლე ახლდა.



# 17 წლის ვიყავი, რომ გავთხოვდი და მაშინვე გამოვეშვიდობე კინოს

— ქალბატონო ხათუნა, რაღაც განსაკუთრებული სათქმელი რომ გქონათ, ამით ხომ არ დავინწყოთ? ვიცი, ის 1991-92 წლების ტრაგიკულ მოვლენებს უკავშირდება, რის შემდეგაც საერთოდ გაერიდეთ თბილისს...

— მართალია. მე არ შემიძლო იმ ქალაქში გაჩერება, სადაც ქართველი ქართველს ესროდა. კიდევ კარგი, რომ სოფელ დილოში ერთი დაუმთავრებელი სახლი გექონდა, თორემ მოკვდებოდი, რადგან საქართველოდან წასვლაც ყოველ წარმოუდგენელია ჩემთვის და დანგრეულ თბილისში გაჩერებაც შეუძლებელი იყო.

— მერე, ოჯახის წევრებმა არ გაგინიეს წინააღმდეგობა?

— კი, მაგრამ მე ვაჯობე. დედაჩემიც გამომყვა. მამაკაცები (მამაჩემი და ჩემი ქმარ-შვილი) პირველ დღეებში არც მაკითხავდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მე, მანამდე მუდამ ყველაფრით უზრუნველყოფილი ქალი, ვერ გავუძლებდი ყოფით პრობლემებს და მალევე დავბრუნდებოდი შინ, მაგრამ ერთი კვირა რომ გავიდა, იტულებულები იყვნენ, მოეხედათ ჩვენთვის... ისეთი საშინელი იყო 1993 წლის ზამთარი, გახსენება დღესაც მზარავს. დიდძლებმა მითხრეს — არასოდეს მომხდარა, რომ ლევის ხე მოყინულიყო, იმ ზამთარს კი მოიყინა; იცით, როგორ მიჭირდა? იმდენად ელდანაცემი ვიყავი, რომ ადგილს ვერ ვპოულობდი, ვერ ვიძინებდი და სულ ვფორიაქობდი... არ დამავიწყდება 1993 წლის 2 თებერვალი, როცა მშვიდობიან მოსახლეობას ნიღბოსნებმა ცირკთან სროლა აუტყვეს. იქ მე და დედაც



ვიყავით. მაშინ კი მთხოვა დედაჩემმა: თუ ჩემი ხათრი გაქვს, აქედან წამიყვანეო. შემეცოდა და მართლაც მალე გამოვაშორე იქაურობას.

— როგორ მოხდა, რომ იქ დავით გოგიას გარეშე წახვედით?

— (იციანის). ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა „ავიწყვიტე“. მაშინ დათოს ვუთხარი: თუ იქ საარულს დამიშლი (მიტინგები ვიგულისხმე), საერთოდ დავტოვებ ოჯახს და არასოდეს გაპატიებ-მეთქი... მამამ მითხრა კიდევ: შენი ხასიათი რომ ვიცი, პირველ დღესვე უნდა მივმხვდარიყავი

— თბილისში აღარ დაბრუნდებოდით...

— **მიტინგებზე მანამდეც აქტიურად დადიოდით?**

— როცა ეროვნული მოძრაობა აზვით და, მაშინაც ხშირად დავდიოდი მიტინგებზე და მერეც, როცა იარაღიანმა მოძალადეებმა ხალხის ნებით არჩეული პრეზიდენტი გააძევეს საქართველოდან. იმ წუთებში პირადად პრეზიდენტს კი არ ვიცავდი, არამედ ჩემს (და ხალხის) ნებას, კონსტიტუციურ უფლებას. ეს იმიტომ მოხდა, რომ ზვიად გამსახურდია, როგორც ეროვნული კაცი, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამწერავთ არ აძლევდათ ხელს: განა ბუშმა არ ბრძანა ჩვენს პრეზიდენტზე: დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო?! ამის პასუხად ხომ ბატონმა ზვიადმა არაჩვეულებრივად კარგად თქვა: დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიანო... შეიძლება ასახლს არაფერს ვამბობ და არც ორიგინალური ვიქები, მაგრამ ზვიად გამსახურდია ჩემთვის ის პიროვნება გახლდათ, რომელმაც სახარება ამდღებინა ხელში: როდესაც მისი „საქართველოს სულიერი მისია“ წავიკითხე, მაშინვე დავეწაფე ბიბლიას. მე ახლა, ამ გადასახედოდან შემიძლია ორ ნაწილად გავყო ჩემი ცხოვრება: ერთია ყოვლად უნეტერესო, ფუჭად და მღორედ ჩავლილი ახალგაზრდობა უფლის რწმენის გარეშე, მეორეა დღევანდელი მიახლების პერიოდი, რომელიც 35 წლის ასაკიდან დაიწყო...

— **ნუთუ ბავშვობა და მოსწავლეობა ლამაზად არ გაგონდებთ?**

— მე მართლაც ფერადი და უზრუნველი ბავშვობა მქონდა, მაგრამ ეს მხოლოდ ოჯახიდან გამოდინარე იყო... დავამთავრე პირველი საშუალო სკოლა (დღეს ვიშაზიად წოდებული). მერვე კლასში ვიყავი, როცა რეჟისორი სოსო ჩხაიძე (სახელგანთქმული „თუში მეცხვარის“ დამდგმელი) გვესტუმრა სკოლაში: გოგონას ეძებდა თავისი ფილმისთვის „მეთხუთმეტე ზაფხული“. არჩევანი ჩემზე შეაჩერა და ასე მივიღე პირველი როლი მოკლემეტრაჟიან ფილმში. მერე, 15 წლის რომ ვიყავი, ლეილა გორდელაძემ გადამიღო ფილმში „მოიტაცეს თამარ-ქალი“. მას, მეორე წელს, „მხიარული რომანი“ მოჰყვა. სხვათა შორის, ბატონი სოსო დიმილით მეუბნებოდა ხოლმე: ხათუნა, როცა დიდი მსახიობი გახდები, ამაგი არ დამიკარგო და აღნიშნე, რომ მე აღმოვაჩინეო. დიდი მსახიობი ვერ გავხდი, მაგრამ სხვა რეჟისორებმა რომ შემამჩნიეს და ორ სრულმეტრაჟიან ფილმში გადამიღეს, ყოველთვის ხაზგასმით ვამბობ, რომ ეს ნამდვილად სოსო ჩხაიძის დამსახურებაა.

— **მერე, რატომ დასრულდა თქვენი კინოკარიერა ასე მალე?**

— (იცინის) გასაგები მიზეზების გამო...

— **გინდათ, მე გითხრათ ეს მიზეზები?**

— აბა, თქვით!

— **ამბობენ, დათო გოგია ისეთი ეჭვიანი ქმარი აღმოჩნდა, რომ კინოში გადაღებაზე კი არა, შინიდანაც აღარ უშვებდაო...**

— ეგ მართალია: 17 წლის ვიყავი, რომ გავთხოვი და მაშინვე გამოვეშვიდობე კინოს, რადგან ქმარმა კატეგორიულად მოითხოვა ეს.

— **მერე, არ დაგწყდათ გული?**

— როგორ არ დამწყდა, მაგრამ რაღა ეშველებოდა ამას?

— **ნუთუ, მამათქვენს არ შეეძლო სიძეზე ზეგავლენა მოეხდინა?**

— არა! მამა არასოდეს ერეოდა ჩვენს საქმეში. იგი ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი კაცი იყო, ნამდვილი ქართველი, რომელსაც მიანდა, რომ გათხოვების მერე ქალი ქმრის ნება-სურვილს უნდა დაჰყვეს.

— **გინდათ, მეორე ქორიცი გითხრათ?**

— რა თქმა უნდა: მაინტერესებს, რამდენად სწორი ინფორმაცია იყო ჩემზე გავრცელებული.

— **იმასაც ამბობდნენ, ხათუნა კოტრიკაძემ ვერ გაუძლო ქმრის გაუთავებელ ეჭვიანობას, მშობლებთან დაბრუნდა და ქმარმა დიდი ხნის მერე, ძლივს შეირთავა.**

— არც ეგ არის სიმართლეს მოკლებული, ოღონდ დიდი ხანი არ დასჭირვებია დათოს ამისათვის: მის ეჭვიანობას „მეორე მხარე“ აქვს — არაჩვეულებრივად მზრუნველი და ყურადღებიანი! ჩემი მეგობრები ვიყავდებოდნენ დათოზე, იგი მათთვის მამაკაცობის ეტალონი იყო (მე არ მქონდა სხვაგან მართო წასვლის უფლება, თორემ ჩვენი სახლი მუდამ საგსე იყო ჩემი მეგობრებით). არ მახსოვს, დილით რაიმე მენატრა და ის საღამომდე



კადრი ფილმიდან „მხიარული რომანი“

არ შემსრულებოდა. ჩვენ ბევრს — პრემიერებზე, წვეულებებზე — ყველგან ერთად დავდიოდით. თუმცა, წლებს თავისი მოაქვს და შედარება არც შეიძლება, ისე მოუღბა ხასიათი.

— **ახალი როლი აღარავის შემოუთავაზებია?**

— კი, იყო ასეთი მცდელობა. ირაკლი კვირიკაძე ფილმს იღებდა და უნდოდა, რომ მე მეთამაშა ერთ-ერთი მთავარი როლი. თავის მეგობარს, სოსო ჩხაიძესაც დარეკვინა, მაგრამ დედამ აუხსნა, როგორი სიტუაცია იყო. მან კი თქვა: ძალიან გული მწყდება, რომ ხათუნა ასე ჩავდა სახლშიო... რას იზამ? ქალმა ოჯახური



„მეთხუთმეტე ზაფხული“ გადასაღებად სოსო ჩხაიძემ ამ ორ გოგონას შორის არჩევანი ხათუნა კოტრიკაძეზე (მარჯვნივ) შეაჩერა



თო მოედნებზე. ათასი წვრილ-მანი მიჰქონდა ხოლმე სახლიდან. სხვას არავის ანებებდა, თავისი ხელით კრეჭდა მოედნის ბალახს... მამასთან, როგორც მწვრთნელთან, ხშირად მოდიოდა ხოლმე დათო. მამას ძალიან უყვარდა ის და ხშირად ამბობდა – საუკეთესო ფეხბურთელი დადგებაო. სწორედ ჩემს ოჯახში გავიცანი დათო გოგია. მან მამას ვერ შეჰბედა ჩემი ხელის თხოვნა, ამიტომ მშობლები მოიყვანა. მაშინ დათო 25 წლის იყო, მე – 17-ის... რამდენიმე წლის წინ,

სიმშვიდისთვის რაღაც უნდა დათმოს... საერთოდ, საკუთარ თავთან დარჩენა არასოდეს მწყინდება – მიყვარს ფიქრი, წაკითხულის გაანალიზება, ამიტომაც მართო არასოდეს მიგრძენია თავი.

**— თქვენი სპეციალობა?**

— დავამთავრე უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტი. ერთი დღეც არ მიმუშავია. მასსოვს, მამაჩემს ვთხოვე: მომეზრდა შინ ჯდომა, ეგებ, სამსახური მიმოვო-მეთქი. წარმოიდგინეთ, უარი მითხრა: თუ დათოს არ უნდა, მისი სურვილის წინააღმდეგ ვერ წავალო.

**— თქვენი მეუღლე რას საქმიანობს ახლა?**

— დათო ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი მეკარე იყო, მამაჩემი – მისი მწვრთნელი. ბიძაჩემიც (სერგო) ხომ თავის დროზე მეკარე იყო, ჰოდა, ის სულ ამბობდა: მე რომ დათოს მონაცემები მქონდა, უფრო ძლიერი ვიქნებოდიო. არ დაგავიწყდეთ, რომ ბიძაჩემი მე-20 საუკუნის საუკეთესო ქართველ მეკარედ დასახელეს... დათომ სპორტულ კარიერას 1981 წელს დაანება თავი. ხან სად მუშაობდა, ხან – სად, მაგრამ სპორტსმენები, განსაკუთრებით ფეხბურთელები ხშირად ისევ ფეხბურთს უბრუნდებიან ხოლმე. დათოც ასე მოიქცა – ის ახლა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელია – ვახტანგ კოპალეიშვილთან ერთად მუშაობს.

**— მამაზე რას მეტყვიან? საინტერესოა, მოსწავლე-ფეხბურთელმა როგორ შეჰბედა მასწავლებელ-მწვრთნელს ქალიშვილის ხელის თხოვნა?**

— მამა თავგადაკალებული იყო ფეხბურთზე. საქართველოში რაც კი საფეხბურთო ბაზაა, თითქმის ყველა მამაჩემის ამენებუელია. პატარაობიდანვე მასსოვს, როგორ ფუსფუსებდა ხოლმე საფეხბურ-

როცა მამას „დინამოს“ სტადიონის ღირექტორობა შესთავაზეს, ხელები გაასავსავა: ის ვერ აიტანდა სტადიონის ბაზრობად გადაქცევას. თანაც ნავითაა იქაურობა ავსებულ... სამი წლის წინ, როცა სამინიშნული ტკივილებით დატანჯული (ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა ყელში) გარდაიცვალა, კინაღამ გადავყვეი მის სიკვდილს: მამა უზომოდ მიყვარდა...

**— თქვენს შვილებზე გვითხარით ორიოდ სიტყვა.**

— პირველ კურსზე ვიყავი, გიორგი რომ მეყოლა. მაშინ ჩემს მშობლებთან ვცხოვრობდით, რადგან დათო სულ თამაზებზე იყო, კვირაში 2-ჯერ თუ მოვიდოდა შინ. ახლა გიორგი 27 წლის არის, ჰყავს ძალიან კარგი მეუღლე – თამუნა და პატარა მარიამი. ვაგეცინებათ და, ერთმანეთი კომპიუტერული მიმოწერით ვაიცნეს, მერე შეხვდნენ, შეუყვარდათ ერთმანეთი და დაქორწინდნენ.

**— მიკვირს, შვილიშვილს ბებიის სახელი რომ არ დაარქვეს.**

— როცა მე ველოდებოდი შვილს, ისე მიხდოდა გოგონა, ჰკუას ვკარგავდი. ყველა თოჯინა მოვრთე და „თამუნა“ დავარქვი... მერე, როცა გიორგიმ მოიყვანა ცოლი, მათი ჯვრისწერისას მივედი დეთისმშობლის ხატთან და შევთხოვე: ოღონდ გოგონა მარუქე და მარიამს დავარქმევ-მეთქი. შეისმინა ჩემი ვედრება: 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულზე შეგვეძინა მარიამი. ჩემი ქმარი მეუბნებოდა: რა გინდა, სურვილი ხომ აიხდინე – თამუნაც შემოვივიდა ოჯახში და პატარა მარიამიც გაჩუქაო...

**— გამიგია, სოფელ დილოშში საქონელსაც უვლით და სოფლის მეურნეობასაც საკმაოდ კარგად უძღვებით!**

— ეს ადრე იყო: ძროხაც გყავდა, ღორებიც და ქათმებიც, მაგრამ მერე ვეღარ გავწვდი ამდენ საქმეს. ახლანდელი ჩემი „სასოფლო-სამეურნეო“ საქმიანობა მხოლოდ ყვავილების ბაღით შემოიფარგლება.

**— ბოლოს იქნებ, ისევ თქვენს ხანმოკლე კინოკარიერას დაფიქრებდეთ? იმ სამი როლიდან რომელი იყო თქვენთვის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი?**

— სამივე ძალიან მიყვარს, მაგრამ უპირატესობას მაინც „მხიარულ რომანს“ ვანიჭებ. არაჩვეულებრივ მსახიობებთან ერთად მიხდებოდა მუშაობა: იპოლიტე ხეჩია, მეგი წულუკიძე, დოლო აბაშიძე, რამაზ გიორგობიანი, ზურაბ (კუკური) ლაფერაძე, მედეა ჩახავა – ეს ხომ იმ მსახიობთა გუნდია, რომელიც მუდამ აშშ-ვენებდა ქართულ კინოს. განსაკუთრებით იპოლიტეს გვერდით ყოფნა მიყვარდა. ძალიან თბილი და კოლორიტული პიროვნება გახლდათ. ისეთი კარგი მოყოლა იცოდა, არასოდეს მოიწყენდით მასთან... გული მწყდება, რომ ამ ორი ფილმიდან ჩემი პარტნიორები – გაა ფერაძე („მოიტაცეს თამარ-ქალი“) და რამაზ გიორგობიანი („მხიარული რომანი“) ცოცხლები აღარ არიან. ორივე ძალიან ნიჭიერი მსახიობი იყო, ბოლომდე ვერ დაიხარჯნენ, არადა, გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლოთ...

**— ბედნიერი ხართ?**

— თუ ბედნიერება მხოლოდ მატერიალურზე ააგე, რა თქმა უნდა, ვერ იქნები ბედნიერი... როცა სულიერებაზე ააგე შესწავლას, უთუოდ ბედნიერი იქნები...



ს

ოსომ დაბადების დღეზე ცოლს ორიგინალური საჩუქარი მიართვა — ლამაზი, ნისკარტკაუჭა თუთიყუში. არა მარტო ფატიმ, ბავშვებმაც ფრიად გაიხარეს, რადგან ოდესღაც აკვარიუმში მოლივლივე თევზების მერე, ფაუნის „წარმომადგენელი“ ოჯახში აღარ ჰყოლიათ. არადა, სოსოს ცოლ-შვილს ძალიან უყვარდა ცხოველები, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ბავშვებს გაართობდა. ამ საჩუქრით ოჯახის მადლიც მოისხა და ყველასგან სამადლობელი სიტყვებიც დაიმსახურა. ამ „ტაქტიკური სვლით“ ცოლს მთელი დარჩენილი სიცოცხლე სალაპარაკო ექნებოდა, რომ მეუღლემ ასეთი ორიგინალური სიურპრიზი მოუპზადა.

მხოლოდ ერთი რამ იყო დასანანი — თუთიყუში ჯერ ვერ ლაპარაკობდა, თუმცა როგორც სოსო ირწმუნებოდა, „ღუღა“ (პირველ დღესვე ასე შეარქვეს), ჯერ კიდევ პატარა იყო და რამდენიმე თვეში თავისით ალაპარაკდებოდა.

როცა ცხელი ზაფხული დადგა, დასვენების საკითხიც უმალ წამოიჭრა. გადაწყდა, რომ ფატი და ბავშვები ქობულეთში წავიდოდნენ, სამსახურიდან „ვერ მომწყდარ“ სოსოს გამართობად კი „ღუღა“ დარჩებოდა. ორივე ერთმანეთზე იზრუნებდა — სოსო დილა-სალამოს დააპურებდა თუთიყუშს, „ღუღა“ კი თავისი ფრთხილითა და ჯერ კიდევ გაურკვეველი ბერებით მარტოობას შეუმსუბუქებდა ზაფხულის სიცხეში ქალაქში დარჩენილ კაცს.

როგორც კი ცოლ-შვილი დასასვენებლად გაისტუმრა და სულ მალე სიღერდრიც უკან დაადევნა, სოსომ გადაწყვიტა, „შინაარსიანად“ გაეტარებინა დრო (სამსახურის მერე, რა თქმა უნდა!). იმდენი ჭნა, რომ მისამართგამოცვლილ ძველ სიყვარულს მიაგნო და რადგანაც ჩათვალა, ყოველდღიური წასვლა-მოსვლა ძვირი სიამოვნება იქნებოდა, გაბედა და შინაც მოიპატიჟა...

სამი კვირის მერე თბილისი ნელ-ნელა აივსო მზემოკიდებული, გარუჯული და დასვენებული ქალაქელებით. დაბრუნდა სოსოს ოჯახიც.

ბავშვები აღტაცებული იყვნენ მამას ზღვაზე გატარებული დღეების შესახებ, არანაკლებ გახარებულნი იყვნენ იმითაც, რომ თუთიყუში ალაპარაკებული დახვდათ. „ღუღა“ გამართულად ამბობდა სიტყვებს: „გამარჯობა“, „მადლობა“, „წყალი მინდა“, „ბოდიში“, „კარგად იყავი“.

როცა სუფრას მიუსხდნენ, ტელეფონმა



მარინა ბაბუნაშვილი

# „ჩამშვენი „ღუღა“

დაიწკრიალა. ხანმოკლე საუბრის მერე სოსოც მიუჯდა მაგიდას და აი, მაშინ დაიწყო ის, რაც არ უნდა დაწყებულიყო.

თუთიყუში აფრთხილდა, გალიის გისოსებს აქეთ-იქით მიაწყდა და გაისმა ფატიისთვის საზარელი (სოსოსთვის მით უფრო თავზარდამცემი) სიტყვები:

„გამარ-ჯო-ბაა, ძვირფასო... გელოდები... ნუ აგვიანებ... ერთი კვირა დაგვრჩა... გკოცნი... რა ტკბილი ხარ, სულ შენთან მინდა ყოფნა... ნეტავ, არ ჩამოვი-დოდნენ... ლამაზო და მშვენიერო, ჩემო ჟანა, ჩემო ჟანა... ჩეე-მო ჟა-ა-ნაა!“ — ბოლო სიტყვები რამდენჯერმე გაიმეორა და გააგრძელა „ჩამშვებმა“ თუთიყუშმა.

ფატიის ხელიდან ჩანგალი გაუვარდა, სიღერდს ლუკმა ყელში გაეჩხირა და ხველა აუტყდა, მერე დემონსტრაციულად ადგა, სკამი მაგიდას მიახეთქა, რუსულად ჩაილაპარაკა — **Бессовестный бабник!** და კარი გაიჯახუნა.

ბავშვები წყნარად ისხდნენ. მთლად ვერ ჩასწვდომოდნენ საქმის არსს, მაგრამ იმას კი ხვდებოდნენ, რაღაც საშინელება რომ მოხდა.

— კი, მაგრამ ეს თუთიყუში აქამდე მუხჯი იყო და ამისთანა რა აჭამე, უცებ რომ ალაპარაკდა? — მოჩვენებითი სიმშვიდით იკითხა ფატიმ, მაგრამ ამ სიმშვიდის მიღმა, აშკარა „გრგვინვა“ იმალებოდა.

— ფატი, ჩემთვის სრულიად უცნობია ის სიტყვები, რასაც, ეს შტერი თუთიყუში რატარტებს. ამ თუთიყუშების ჯიშს უნიკალური ნიჭი აქვს: პატარაობიდანვე (თუნდაც ერთხელ გაგონილს) რაც კი მოუსმენია, ლაპარაკის დაწყების დროს ყველაფერს თანმიმდევრობით იმეორებს. ასე რომ, ნერვებს ნუ აიშლი, გენაცვალე.

„შტერი შენ ხარ, შტერი შენ ხარ... პომადა ვისია? პომადა ჟანასია... ჟანა ლამაზი ქალია... ფატი უტვინია... ფატიმ სიყვარული არ იცის...“ — პროტესტის ნიშნად აყვირა „ღუღა“.

— უხ, მე შენი ჩამშვენი დედაც! — დაიღრიალა სოსომ და გალიიანად გადაუძახა მეექვსე სართულიდან.

რა ექნა საწყალ და ნიჭიერ „ღუღას“? მას ხომ კბილი არ ჰქონდა, რომ მორატრატე ენაზე დაეჭირა და ასე გაეჩერებინა?!

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი 20 აგვისტოს გაიხსნა. საზოგადოებრივი — მონადირეები პატივს სცემენ და იცავენ ტრადიციებს, მით უმეტეს, რომ საქართველოში ნადირობას უდიდესი ისტორია აქვს. ფრანგი მოგზაური შარდენი წერს: ქართველები ისრის სროლას ბავშვებს ოთხი წლის ასაკიდან ასწავლიდნენ, ამიტომაც არის, რომ ისინი გაფრენილ ჩიტსაც კი ახვედრებდნენ ისარსო... უთვალავი მტრის გამუდმებული გამანადგურებელი შემოსევების დროს ნადირობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ფიზიკური გადარჩენის საქმეში და წარუშლელი კვალი დაამჩნია ქართველთა კულტურასა და ყოფაცხოვრებას.

ჩვეულებრივ, სეზონი შაბათობით იხსნებოდა სოლმე, წელს კი რატომღაც, შაბათი ორშაბათით შეცვალეს, რამაც, ცხადია, გაუგებრობა და უკმაყოფილება გამოიწვია. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „მონკავშირის“ ვიცე-პრეზიდენტი გივი საბაშვილი ამბობს:



აზერბაიჯანი. ბელაქნის რაიონი. 1999 წელი (გივი საბაშვილი მარცხნიდან მეორე)

# საქართველოში ნადირობის ტრადიციები... საქართველოში ნადირობის ტრადიციები...

## ლელო ჭანკოტაძე

— სეზონის გახსნა მონადირეებისთვის ყოველთვის დღესასწაული იყო, ნებისმიერ მონადირეს ხომ ყველაზე მეტად უყვარს ბუნება, — მიუხედავად იმისა, რომ ის ცოცხალ არსებას კლავს. ვაჟა-ფშაველა საუკეთესო მონადირე იყო, მაგრამ მას ამავე დროს „შვლის ნუკრის ნაამბობი“ აქვს დაწერილი. ბუნების დიდი მესაიდუმლე ძალიან ხშირად ნადირობდა შველზე... ნადირობა გულს სიხარულითა და სიყვარულით ალავსებს. მონადირეს უყვარს ყველაფერი, რაც ნადირობასთან არის დაკავშირებული: მეგობრები, რომლებთან ერთადაც ნადირობს, თავისი თოფი, ძაღლი და, წარმოიდგინეთ, ის ნადირ-ფრინველიც, რომელსაც თოფს ესვრის... ასეთი ზეიმი ჩვენთვის ყოველთვის აგვისტოს მესამე შაბათს იწყებოდა სოლმე, წელს კი რატომღაც, გარემორს დაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ სეზონი ორშაბათს გახსნილიყო. ბუნებრივია მონადირეთა აღშფოთება. საქართველოში უმუშევრობა კი არის, მაგრამ უმუშევრები ვერ ნადირობენ: ამ საქმეს სოლიდური ხარჯები ახლავს...

— ე.ი. ნადირობს მხოლოდ ის, ვისაც ფული აქვს?

— ნადირობით ჩვენს ქვეყანაში ოჯახს ვერ არჩენ, ამ საქმეს შემოსავლის წყაროდ ვერ აქცევ, პირიქით — საყიდელია ვაზნები, საწვავი მანქანისთვის, საგზალსაც ხომ სჭირდება ფული. თანაც, შეიძლება, პატარა ცხოველი მოკლა ან რამდენიმე მწყერი, თორემ სპილოზე რომ ნადირობდე, ცხადია, შემოსავალიც სოლიდური გექნება... ორშაბათს მონადირეთა უმეტესობა მუშაობს, ამიტომ ბევრი მაინც შაბათ-კვირას წავიდა სანადიროდ.

### გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი ალბათ, მწერთ იხსნება?

— დიახ. მწყერია გადამფრენი ფრინველი: ზამთარში, ირანსა და თურქეთში ბინადრობს, ჩვენში დაახლოებით აპრილის პირველ ნახევარში მოფრინავს. თუ 100 მწყერი გადმოფრინდა სეზონის გახსნისთვის, მოკლე ხანში საკმაოდ იმრავლებს, რადგან ერთი ღელა მწყერი 10-12 კვერცხს დებს და 2-3 პუღობას ასწრებს. ნადირობა ძირითადად, მინდვრებსა და მოსავალაღებულ ყანებში ხდება; მწყერზე ნადირობა იოლია: დადიხარ მინდორში თოფით ხელში და...

— ერთმანეთისთვის თუ მოგირტყვიათ ტყვია?

— ასეც ხდება. შეიძლება, აფრენილ მწყერს ესროლო და კაცს მოარტყა. ეს იმის ბრალია, ნადირობა ძვირი სიამოვნება რომ არის და ვინც კი ფული იშოვავ, ყველა მონადირე გახდა.

### კარგი მონადირე რას ნიშნავს?

— კარგი მონადირე ჰქვია იმას, ვინც ბუნებას უფრთხილდება, წესიერი და ნორმალური კაცია. ვანო სარაჯიშვილი, რევაზ ლალიძე, პაოლო იაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია არაჩვეულებრივი მონადირეები იყვნენ. ჩვენი პარლამენტის დეპუტატებიდან ზოგიერთი, ვიცი, ნადირობს, მაგრამ ვერ ვიტყვი, ვინ როგორი მონადირეა. კაცთან გაჭირვება თუ არ გადაიტანე, ვერ იტყვი, როგორი გული აქვს და როგორი მონადირეა. მე ჩემი ბრიგადა მყავს, უცხოებთან ერთად იშვიათად ვნადირობ.

### ამბობენ, მონადირის ლტოლვა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ადამიანური გრძნობაა, რადგან მის დასაკმაყოფილებლად მონადირე დიდ მსხვერპლს იღებს. რას ღებულობს ის ამ მსხვერპლის ფასად?

— სანადიროდ ვიყავი წასული აზერ-

ბაიჯანში, კუტკაშენის რაიონში. სადამო ხანი იყო, ვისვენებდი. დავიღალე და ჯოხს დავეყრდენი. მერე ფიქრმა გამიტაცა. უცებ მხერა ვიგრძენი. ავიხედე და რას ვხედავ — თავზე ჯიხვი წამომდგომია: ჩემგან თხუთმეტ-ოც მეტრში იდგა. გავშეშდი, რომ გაენძრეულიყავი, მაშინვე გადახტებოდა და გაიქცეოდა. სუნს ვერ აიღებდა, რადგან ქარი მისგან ჩემკენ უბერავდა. გავისუსე. ჯიხვიც მომაჩერდა. თხუთმეტი წუთი თვალეში ვუყურე. წამწამიც არ შემრხევია. იცით, რამხელა ემოცია იყო?! ბოლოს, თოფის ფრთხილად ჩამოღება ვცადე და ჯიხვიც გადახტა და გაუინარდა... ნადირობა ბუნებრივი და კანონიერი მოთხოვნილებაა, რომლის დაუკმაყოფილებლადაც მონადირეს სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია.

**— წელს მონადირეებს დიდი თარიღი გაქვთ, მაგრამ ალბათ პომპეზურად არ აღნიშნავთ?**

— პირველი ცნობები კავკასიაში მონადირეთა კავშირის შესახებ 1891 წელს უკავშირდება: იმ გაერთიანებას „წესიერ მონადირეთა კავშირი“ ერქვა... ახლა მას საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „მონკავშირი“ ჰქვია. ნამდვილად საიუბილეო და საზეიმო ამ თარიღს ალბათ ძალზე მოკრძალებულად აღნიშნავთ.

**— რამდენ წევრს აერთიანებს „მონკავშირი“?**

— კომუნისტების დროს 80000 წევრი გვყავდა, ახლა ეს რიცხვი 12-15000-ის ფარგლებში მერყეობს.

**— ბატონო გიგი, საქართველოში ცხოველებზე ნადირობის დიდი ტრადიცია არსებობს. დღეს როგორ არის საქმე, გრძელდება ეს ტრადიციები?**

— პარალელურად, მაგრამ ფაქტია: კანონმდებლობით საქართველოში აბორიგენ ცხოველებზე და ფრინველებზე ნადირობა მხოლოდ სანადირო მეურნეობებშია დაშვებული. ეს ის ტერიტორიაა, რომელსაც ჰყავს დაცვა, სადაც ამრავლებენ ცხოველებს და ტურისტები თუ ადგილობრივი მონადირე, ნადირობისთვის გარკვეულ გასამრჯელოს იხდის. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ცხოველები არ გადაშენდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში სანადირო მეურნეობები არ არსებობს. მონკავშირის ფუნქცია, პრაქტიკულად, იკარგება, თუ მას სანადირო მეურნეობები არ ექნება. ნადირობა საკმაოდ სოლიდური ბიზნესია და მრავალი ქვეყანა, თუნდაც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები ბიუჯეტში დიდ

შემოსავლებს იღებენ. საქართველოში უნიკალური ბუნებაა. მას გამოყენება უნდა. ჩვენში კი გამოდის, რომ ხალხი უკანონოდ ნადირობს.

**— თუ არის დაფიქსირებული წითელ წიგნში შეტანილ ცხოველებზე ნადირობის ფაქტი?**

— ჩვენთან სანადირო ცხოველებიდან, რომლებიც წითელ წიგნშია შეტანილი, ძირითადად, კავკასიური ირემი, ჯვირანი და ნიამორი გვხვდება. მგონი, ჯვირანი პრაქტიკულად აღარც დარჩა საქართველოში: ბოლო ათი წლის განმავლობაში, მერწმუნეთ, ამ უნიკალური ცხოველის მოკვლის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

**— ყველაზე დიდი ცხოველი, რომელიც თქვენ მოგიკლავთ ალბათ ჯიხვი არ არის?**

— 70-80-იან წლებში სანადიროდ აზერბაიჯანში დავდიოდი ხოლმე, გროზნოს მხარეშიც, არაქსზეც, ყველაზე დიდი ცხოველი, რაც მომიკლავს, ალბათ არის ღორი, ჯიხვი, დათვი... რაც შეეხება შველს, — 15-20 წელიწადია, ამ ცხოველისთვის არ მისვრია. პატარა ბიჭი რომ ვიყავი, ვერაფრით ვხვდებოდი, როგორ შეეძლო მამჩემს აფრენილი ხობისთვის არ ესროლა. მამაც მონადირე იყო და თან ძალიან კარგი... გადაშენების პირას მისულ ცხოველს არაფრით ვესვრი. მე მგონი, ყველა ნამდვილი მონადირე ასე მოიქცევა.

**— რომელი თოფია სანადიროდ ყველაზე კარგი?**

— საუკუნის თოფებია „ჯეიმს ბერდე“ და „გოლანდ გოლანდი“. საქართველოში ბევრს აქვს ეს თოფები, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოფიან. მაგალითად, ინგლისში „ჯეიმს ბერდე“ 10.000 დოლარი და მეტიც ღირს. ჩვენთან 3-4.000 დოლარად თუ გაყიდე, დიდი საქმეა. საუბედუროდ, როგორც სხვა ანტიკვარიატი გადის საქართველოდან, ისე გადის უნიკალური თოფებიც.

**— ჩვენი დებუტატები სანადიროდ საზღვარგარეთ დადიან?**

— რა თქმა უნდა. ფული რომ მქონდეს, მეც ასე მოვიქცეოდი. კენიაში ერთი სანადირო ტური 6.000 დოლარი ღირს. ტური ნაკრძალის გადაკვეთას ან კიდევ კიდემდე გავლას ნიშნავს.

**— თოფაძეზე ამბობენ, მხოლოდ ავსტრალიაში ნადირობსო...**

მამასთან ერთად კაკაბზე ნადირობისას დავითგარეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე. 1967 წელი

— თოფაძე ნამდვილი მონადირეა. ჩვენ ერთად ვიყავით არაქსზე. იმ ნადირობისას 25 ღორი მოვინადირეთ. ეს დიდი შედეგია: 25 მწყრის მოკვლაც კი უკვე კარგ ნადირობად ითვლება... მე და გოგი სულ ორჯერ მოვხვდით ერთად, ეს კომუნისტების დროს იყო.


**— ნადირობას ყოველთვის თან ახლავს მხიარულება...**

— რა თქმა უნდა. ნოდარ ღუმბაძეს ტყუილად კი არ დაუწერია მურადას სიკვდილის სცენა: ასეთი რამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდება... წყენის მაგიერ, მონადირეებს მარცხი იუძორში გადაგვაქვს ხოლმე. ერთხელ მეგობარი ამიტყდა: სანადიროდ წამიყვანო. ვერაფრით გადავატყმევინე. მეგობარ მონადირეს, ვასიკოს ვუთხარი: წავიყვანოთ-მეთქი. გავგზავნე ბაზარში და ბოცვერი ვაყიდვინე. დავწერე წერილი: „ვასტანგ, შე ოხერო, რომ მესროდი, რა გინდოდა, რისთვის მომკალი?!“ ბოცვერს კისერზე ჩამოვკიდეთ ეს წერილი და ჩანთაში დავმალეთ... მოსახვევში ვასიკომ დაიფერა: არიქა, კურდღელი! კურდღელიც ჩუმად გადააგლო ფანჯრიდან. შინაური კურდღელი სად გაიქცეოდა? გაჩერდა იქვე და ვასტანგმაც ადგილზე გააქვავა. გავაჩერეთ მანქანა, მივვარდით ნანადირევს... გაოცდა და შეწუხდა ვასტანგი: დარგოლილი ყოფილა, ყელზე ნომერი აქვს ჩამოკიდებული. წაიკითხე, რა სწერია-მეთქი, — ვუთხარი და მანაც გაშალა ფურცელი. ხმამაღლა დაიწყო კითხვა: „ვასტანგ, შე ოხერო, რას მერჩოდი, რისთვის მომკალი?!“ გამოვვიდგა თოფით — მთელი საათი გვარბენინა... ■



ტიტო ბარამიძემ იმდენად საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრება განვლო, რომ მის მიერ ნანახი და განცდილი, რამდენიმე კაცის ცხოვრებას ეყოფა.

ბატონი ტიტო 84 წლისაა, მაგრამ ის ახალგაზრდული ნაპერწკალი, რომელიც ალბათ თან სდევდა მთელი ცხოვრების მანძილზე, დღესაც ბრწყინავს მის თვალებში.



# „ვიფიქრე, სტალინმა და ბერიამ ხეზე რომ ჩამოიქიდონ, მომინტს არ გაფუჭვებ და ნოქს ვნახავ-მეტიქი“

## ელენე ხირსელი

— ბატონო ტიტო, ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება კომუნისტების გვერდით იბრძოდით. ეს დრომ მოიტანა მხოლოდ თუ თქვენი გააზრებული, შეგნებული არჩევანი იყო?

— ეს არ იყო ვითარებიდან გამომდინარე იძულებითი ქმედება: ყოველი ჩემი ნაბიჯი იყო შეგნებული და დღემდე არ მილაღატა ჩემი პრინციპებისთვის. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მამაჩემიც კომუნისტი იყო, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. მასხოვს, 1921 წლის თებერვალში როგორ მიუძღოდა ის წინ ფოთში შესასვლელად გამზადებულ წითელ არმიას... საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, მამა შორაპნის მასხრის „ჩეკას“ უფროსის – სეროიკა ქავთარაძის მოადგილე იყო. ვცხოვრობდით ზესტაონში, „ჩეკას“ შენობაში, რომლის სარდაფშიც იყო სატუსალო პოლიტპატიმრებისთვის. მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და მასხოვს, როგორ „მასაქმებდნენ“ ხოლმე პატიმრები – ხან სიგარეტს მივუტანდი, ხანაც ვინმესთან გავეზავებოდი ხოლმე... იდგა 1924 წელი, მამა მივლინებაში იყო. ამ დროს თბილისიდან ჩამოვიდა ვინმე ლევან ლოლობერიძე, რომლის განკარგულებითაც პატიმრები (ძირითადად თავდაზნაურობა) რკინიგზის ვაგონებში ამოხოცეს. ამ ამბავმა მამაზე ძალიან იმოქმედა და მან უარი განაცხადა სამსახურზე. ამის გამო პარტიიდან გარიცხეს

და დააპატიმრეს. 3-4 თვის შემდეგ გაათავისუფლეს. 38 წელს კი, ცრუ ბრალდებით, კვლავ დააპატიმრეს. მართალია, მამა წინააღმდეგი იყო იმ უსამართლობის და სისასტიკის, რომელიც იმჟამად ხდებოდა, მაგრამ თვლიდა, რომ ამას სჩადიოდნენ ცალკეული არაპატიოსანი, არაკეთილსინდისიერი პიროვნებები, რომლებიც ჩირქს სცხებდნენ კომუნისტურ იდეას... ციხიდან მამამ წერილიც მოგვწერა, სადაც მოხივდა, არ დამეჯერებინა ცილისწამება და ცუდი არაფერი მეფიქრა ხელისუფლებაზე. მე ვიცოდი ვინც უმტრო, ვინც დაატყვერინა მამაჩემი და წლების შემდეგ – 1947-ში იმ კაცის მოკვლა მინდოდა. მალე ყელის კიბოთი გარდაიცვალა, თორემ ნამდვილად მოვკლავდი.

— ყოველივე ამის შემდეგ თქვენ არ გაგჩენიათ ხელისუფლებისადმი მტრული განწყობა?

— არავითარ შემთხვევაში. და იგივე შეიძლება ითქვას მამაზეც. დარწმუნებული ვარ, ის სიცოცხლის ბოლო წუთებშიც (თუმცა დაზვრიტეს) იღვის ერთგული დარჩა.

— ...ამასობაში თქვენც ნაშრომად და მომავალზე უნდა გეფიქრათ. რა პროფესია აირჩიეთ?

— 1936 წელს სკოლის დამთავრებისთანავე ჩავაბარე ეკონომიკის ფაკულტეტზე. სწავლის დაწყებამდე ჩველი ისევ ფოთში. იქ კი მთელი დღეები ზღვაზე ვბანაობდი და ისე გავიროუჯე, აფრიკელს ვკავდი. შევნიშნე, რომ 2-3 დღე ვიღაც

უცხო კაცი აჩრდილივით დამყვებოდა. ეს ძალიან უცნაურად მეჩვენა. თურმე კინორეჟისორი კოლია პიპინაშვილი ყოფილა, რომელიც ეძებდა კადრებს „საზკინმრეწვთან“ (ასე ერქვა კინოსტუდიას) ახალდარსებული ორწლიანი კინოსახიობთა სტუდიისთვის.

ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყო. ჩემი მასწავლებლები იყვნენ კოლია შენგელაია, ნატო ვაჩნაძე, დავით რონდელი, სიკო დოლიძე, არკადი ხინთიბიძე... 1938 წელს კოლია შენგელაიამ დაიწყო ფილმის „სამშობლოს“ გადაღება და მთელი ჩემი კურსი პრაქტიკაზე ქობულეთში გავემზავრეთ. ბატონ კოლიას ძალიან უყვარდა ფულის ხარჯვა. მის ხელში დაკეცილი ფული არ მინახავს: ფულს რომ მისცემდნენ, არც დაითვლიდა, – მოკმუნებდა ხელში და ისე ჩაიდებდა ჯიბეში.

— გამიგია, მფრინავის პროფესიასაც დაუფლებიხართ?

— 1937-38 წლებში ჩამრიცხეს მფრინავის კურსებზე. სულ მალე შეგებელი დამოუკიდებლად ფრენა, მაგრამ მე უარი ვთქვი პროფესიონალ მფრინავად მუშაობაზე, რადგან ჩემი ოცნება მსახიობობა იყო...

— დადგა 1941 წელი და თქვენ სამამულო ომში გაგიწვიეს...

— არა, მე უკვე ჯარში ვმსახურობდი (როგორც უმაღლეს დამთავრებულს, ოფიცრის წოდება მომანიჭეს) და ომის დაწყების პირველივე დღეს ჩემი დივიზია ფრონტზე გავზავნეს, მანამდე კი წითელ მოედანზე გამართულ სამხედრო დღესასწაულში მონაწილეობდა. ჩემი პირველი

და უკანასკნელი გამოსვლა ალუმზე 1941 წლის 12 მაისს მოხდა. მაშინ ვნახე სტალინი ახლოს, ტრიბუნაზე. ალუმის შემდეგ ხმა დაირხა – ჩვენს პოლკში ბატარეის უფროსად სტალინის ვაჟი – იაკობ ჯუღაშვილი მოდისო. ქართველებს, რასაკვირველია, განსაკუთრებით გაგვიხარდა, მაგრამ მაისი ისე გავიდა, არ გამოჩენილა. ერთ დღეს, სმოლენსკ-ვიტებსკის გზაზე, ფერდობზე შევჩერდით ოთხი ქართველი, ერთ-ერთმა ქვევით, გზისკენ გაგვახედა: პოლკოვნიკი და უფროსი ლეიტენანტი მოდიოდნენ – მგონი, ის ლეიტენანტი უნდა იყოს სტალინის ვაჟიო. გადავწყვიტეთ, შევემოწმებინა და ქართულად დავიწყეთ ლაპარაკი. უფროსი ლეიტენანტი ჩვენკენ წამოვიდა. საშუალო სიმაღლის, კარგი აღნაგობისა იყო, „კასკა“ გვერდულად „ავარულად“ ეხურა... მომიანლოვდა და მითხრა: „უფროსი ლეიტენანტი ჯუღაშვილი“. ხელი ჩამომართვა, მეც გავეცანი. სადაური ხარო? – მკითხა. თბილისელი-მეთქი. თბილისში რა ადგილას ცხოვრობდიო? – მკითხა, რომ გაიგო, ნახალოვკაშიო, სიცილი აუტყდა: „მე ნახალოვკაში გავიზარდე, დედაჩემის ნათესავებთან. რომ იცოდე, რამდენი მტრული გამოფრენია ნახალოვკაში!“.. სუფთა ქართულით ლაპარაკობდა, ღინჯად. მერე მითხრა – დანიშნულების ადგილზე კიდევ შევხვდებითო... ჩემი და იაკობ ჯუღაშვილის შენაერთები ერთად იბრძოდნენ. ისე მოხდა, რომ ყუმბარები გავვითავდა და ტყეში ყუმბარების სთვის გამაგზავნა. იქ კი ყუთებში, ყუმბარების ნაცვლად, სარეცხი საპონი და ატაკის ლურსმნები შეგვჩნა. გამოვბრუნდით უკან, საშინელი არეულობა დაგვხვდა, იაკობს ხელში ნაგანი ეჭირა, თავმიშველი, საყელოგადელი იდგა, გიჟს ჰგავდა. რომ ვუთხარი, რაშიც იყო საქმე, კინაღამ მესროლა... იაკობი ძალიან უბრალო, თავმდაბალი კაცი იყო, მას ვერაფრით შეატყობდი, რომ სტალინის შვილი იყო. სულ

ძალე იაკობი ტყვედ ჩავარდა... სხვათა შორის, მრავალი წლის შემდეგ, უკვე თბილისში, 80-ანი წლების დასაწყისში მისმა დამ სვეტლანა ალილუევამ მოინდომა ჩემთან შეხვედრა, რადგან იცოდა, რომ შემძლო იაკობზე ბევრი რამ შეამხნა. „ის ნამდვილი არისტოკრატი იყო, ნამდვილი ჯენტლმენი, ხომ დარწმუნდით ამაში, როცა გაიცანით“, – თვალცრემლიანი მეუბნებოდა სვეტლანა შეხვედრის დროს.

**— მას შემდეგ თქვენი გზები აღარ შეეწოდა?**

— პირადად აღარ მინახავს, მაგრამ ჩვენი გზები მაინც გადაიკვეთა. იმავე ბანაკში სადაც ვიყავი, იაკობიც იყო. მიამბეს, როგორ ამაყად ეჭირა მას თავი. თავიდან გერმანელები ძალიან კარგად ეპყრობოდნენ, ცდილობდნენ, ტკბილი სიტყვით გადაეხერხებინათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

**— თავად როგორ მოხვდით ტყვეობაში?**

— დამავალეს, რომ გერმანელებს ტყვედ ჩავვარდნოდი. ჩვენი ტყვეებისგან გერმანელები ბატალიონებს ქმნიდნენ და ჩვენს წინააღმდეგ აგზავნიდნენ. მე ქართველებსთვის უნდა გამეწია ტყვეთა ბანაკში ავტაცია, რომ ჩვენს წინააღმდეგ არ ვომათ, შეექმნათ პარტიზანული დაჯგუფებები, რამდენადაც შეძლებდნენ, ევროთ გერმანელებისთვის... 1942 წლის გაზაფხულზე შეტაკების დროს დავიჭერი და მართლა ჩავვარდი ტყვედ – ისე, რომ ხელის აწვევარც დამჭირებია. მოვხვდი პოლონეთის სამხედრო ბანაკში, სადაც მხოლოდ ქართველები იყვნენ. ჩვენ საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად გვამზადებდნენ.

**— ბევრი გამყიდველი იყო?**

— ძალიან. ბანაკში თავისუფლად ვერ ილაპარაკებდი, ყოველი მესამე „შპიონი“ იყო. მერე ბანაკი გერმანიაში, ქალაქ სელდევცში გადაიტანეს, სადაც ყველა ეროვნების წარმომადგენელი იყო, იქიდან კი საფრანგეთში გადაგვიყვანეს. იქ შევი-

ტყვეთ, რომ იყო ქართველ პარტიზანთა რაზმი, რომელსაც ჭიათურელი ოთარ იშნელი ხელმძღვანელობდა. ჩვენი დროც დადგა: ჩავატყვევ გერმანული ფორმა, მოგვცეს იარაღი. ეს იარაღი მათ მიეგუშვირეთ, დავხოცეთ მეთაურები და ტყეში გავვარდით. ეს იყო სამხრეთ საფრანგეთში, ტულუზასთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ ალბთან. პარტიზანთა რაზმის ბაზაზე შეიქმნა პირველი პარტიზანული პოლკი, რომლის მებრძოლები ძირითადად ქართველები იყვნენ. სამი ჭრილობა დასავლეთის ფრონტზე მივიღე, სამივე მარცხენა მხარეში, მეოთხე კი – საფრანგეთის ტყეში, მარცხენა ფეხში.

**— ომის დამთავრებას სად შესვდით?**

— ქალაქ ტულუზაში. ომის დამთავრების შემდეგ პარტიზანულ პოლკთან ჩამოყალიბდა მოძღვრალთა ხალხური ანსამბლი და ჯაზორკესტრი. მე ჯაზის სოლისტი ვიყავი, რუსულ სიმღერებს ვმღეროდი.

**— სამშობლოში როდის დაბრუნდით?**

— საფრანგეთში 1947 წლამდე ვიყავი. ომი რომ დამთავრდა, დავგტოვეს რამდენიმე კაცი. მე მომცეს თანამდებობა: Уполномоченный военной миссии по репатриации советских граждан. ამ სამსახურს ევალებოდა ყოფილი ტყვეების – ემიგრანტების მოძებნა და საბჭოთა კავშირში მათი დაბრუნების უზრუნველყოფა. ჩემს საბუთს რომ ვაჩვენებდი, ყველა, დაწყებული გენერლიდან, გაჭიშული იდგა ხოლმე...

**— საბჭოეთში დაბრუნების მსურველები თუ იყვნენ?**

— იყვნენ, მაგრამ ბევრიც ამერიკაში გაიქცა: ემიგრანტთა, არ გაგვასამართლონო.

**— თქვენ არ გააჩენიათ უცხოეთში დარჩენის სურვილი?**

— არავითარ შემთხვევაში! მე ამის რეალური შესაძლებლობა მქონდა. საფრანგეთში ბოლო ბრძოლების დროს დავიჭერი ფეხში და დამაწვინეს ქალაქ ალბის სამხედრო ჰოსპიტალში. იქ გავიცანი ამ ჰოსპიტლის უფროსი – ახალგაზრდა მომხიბლავი ქალი – კლოდი (მან თავი გამოიჩინა ანტიფაშისტურ მოძრაობაში). დავემეობრდით, გავვიჩნდა ურთიერთსიმათია. მე მაშინ უკვე კარგად ვლაპარაკობდი ფრანგულად. ერთხელ მოხოვა, მამამისთან წავყოლოდი. მათი სახლი ალბიდან 300 კილომეტრის დაშორებით იყო. ჩავსხვდით მის მანქანაში, რომელსაც თვითონვე მართავდა და გავემ-

ქართულ ჯამორკესტრთან ერთად გულუმაში, საფრანგეთი



ზავრეთ. მამამისი მდიდარი კაცი იყო. ფილმებში რომ მინასავს, ზუსტად ისეთი სურათი წარმოგიდგა: მათ სამფლობელოს ბოლო არ უჩანდა — პლანტაციები, 4 ჩაის ფაბრიკა. მიჯნადადით სასახლეს, გამოცვივდნენ მოსამსახურეები, შეიქნა ერთი ამბავი — კლოდი, კლოდი ჩამოვიდაო. ამ დროს შუახნის ჭლარა, სოლიდური მამაკაციც გამოვიდა. მამა-შვილი ერთმანეთს გადაეხვია. კლოდმა წარმადგინა, როგორც საქმრო... ვახშმის დროს საუბარი ქორწინებაზე ჩამოვარდა. კლოდის მამამ თქვა — 3 ფაბრიკას მოგცემთ, ერთს ჯერჯერობით მე დავიტოვებო... მე ვუთხარი — ვერ დავრჩები, კლოდი თან უნდა წაიყვანო-მეთქი. მოხუცი განრისხდა, სად უნდა წაიყვანო ჩემი ერთადერთი ქალიშვილი, ბოლშევიკების რუსეთში? სულ ყვარჯნით მსდია

ჭიშკრამდე... კლოდმაც უარი მითხრა საქართველოში წამოსვლაზე. რა მექნა — მე სულ ჩემი ფოთი და ნახალოკა მე-ღანდებოდა. ასე დამთავრდა ჩვენი რომანი.

**— საფრანგეთში ყოფნისას, ყველაზე მეტად რომელი შესვენება დაგამახსოვრდა?**

— პარიზიდან 20-25 კილომეტრის დაშორებით არის ქართველების სოფელი ლევილი, რომელიც 1921-22 წლებში საქართველოდან წასულმა ნოე ჟორდანიამ და მისმა მთავრობის წევრებმა იყიდეს. საოცარია, როგორ მიავნეს ასეთ ადგილს: აქ ბუნება ისეთივეა, როგორც საქართველოში... ერთ დღეს ნაცნობი ქართველების მოსაძებნად ვაკეზ ზავრე ლევილში. სოფელს



**ლევან ხოციავარის ფილმის „უდილომო სასიძო“ გადაღებებზე. ბელა მირიანაშვილთან და ვახტანგ ნინუასთან ერთად**

მალალი „ცოცხალი ღობე“ (ნარგავების) აქვს შემოვლელი, რომელსაც ერთადერთი ჭიშკარი აქვს. გამოვიდა შუახნის სიმპათიური ქალი, ფრანგულად მივესალმე და ვკითხე — სად ცხოვრობენ ქართველები-მეთქი? მას გაეცინა და მითხრა: ქართველი ვარ, ნენაო და შუბლზე მაკოცა. მერე ალაყაფის კარი გააღო და შიგნით მანქანით შევედი. სოფელში ერთსართულიანი იმერული სახლები იდგა, მარჯვნივ კი მხოლოდ ერთი ორსართულიანი ქვის შენობა იყო, რომელიც ჟორდანიას ეკუთვნოდა. იქვე არხი იყო, მის გაღმა კი — ვენახი, რომელიც „ქართულად“, მათუღზე იყო დამაგრებული. ბილიკზე კაცი მიდიოდა კოჭლობით და ძროხა მიჰყავდა. ჩვენმა მასპინძელმა ქალმა დაუძახა: „ვალადა, ბატონი მხედრები გვესტუმრენ“ (შევაძინე — ემიგრანტები ფორმიანებს „ბატონ მხედარს“ ეძახდნენ, უფორმოს კი „მამულიშვილს“). ის ამ ქალის მეუღლე ვალადა გოგუაძე აღმოჩნდა, ცნობილი თეთრი ოფიცერი, რომელიც ჯავშნოსანი მატარებლით ებრძოდა წითლებს. მათ სახლში მივეპატიჟეს და სუფრა გაგვიშალეს, თანდათან მეზობლებიც შემოგვემატნენ. შესვეს სტალინის სადღეგრძელო. გაგიკვირდებათ და, ისინი დიდ პატივს სცემდნენ სტალინს და საბჭოთა არმიას, როგორც გამარჯვებულებს. ნოე ჟორდანიასზე ჩამოვარდა საუბარი. ვიფიქრე, სტალინი და ბერიამ ხეზე რომ ჩამოიკიდონ, მომენტს არ გავუშვებ და ნოეს ვნახავ-მეთქი... მდელიზე, ხის ძირას იჯდა ნოე და კითხულობდა. ისე იყო გართული, ვერ შენიშნა, როგორ მიჯნადა. „გამარჯობათ, ბატონო თავმჯდომარე!“ მან თავი

ასწია — მის წინაშე საბჭოთა ოფიცერი იდგა. წამოიწია, ბრძანდებოდეთ-მეთქი და ორივე ხელი ჩამოვართვი. რა გვარი ხარო? ბარამიძე-მეთქი. გურული ხარო? (თვითონ სუფთა გურული იყო) რომელი ბარამიძის შვილი ხარო? პეტრესი-მეთქი. ჩაფიქრდა, იხსენებდა, ალბათ ხომ არ ვიცნობდიო... მას, რა თქმა უნდა, არ ახსოვდა, მაგრამ ერთ დროს, მისი გვარდიელები მამაჩემს დასდევდნენ დასაჭერად. დიდი ხანია, აქეთ ხარო? — მკითხა. 5-6 წელია სამშობლოდან ვარ წამოსული-მეთქი. „სამშობლო“ განგებ ვთქვა... როდის მიდიხარ უკანო? „ჩემზე არ არის დამოკიდებული“ — ვუპასუხე. ერთხანს გაჩერდა, ჩაფიქრდა და კარგა ხნის შემდეგ მითხრა: „წადით შინ!“ ეს რამდენჯერმე გაიმეორა. ამით ბევრი რამ თქვა... დავემშვიდობე და გამოვბრუნდი.

ერთ-ერთი სახლიდან გამოვიდა კაცი, ჩამიკრა გულში და შუბლზე მაკოცა: თქვენ ხომ არ იცით, მას როგორ ასიამოვნეთო!


**— საქართველოში დაბრუნების შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?**

— 1947 წელს დავბრუნდი საქართველოში და სულ მალე დაქორწინდი. ჩემი მეუღლის მთელი ოჯახი (ჩვენს შეუღლებამდე) მისი ძმის გამო, ციხიერში გადაასახლეს. მოხუცი შშობლები დაიხოცნენ. თინა (ჩემი მომავალი მეუღლე) და მისი უმცროსი და, როცა ორი წელია ჰქონდათ მოსახლელი, გადასახლებიდან გამოიქცნენ... სწორედ იმ პერიოდში გავიცანით ერთმანეთი, შევეუღლდით და როცა უკვე ერთი წლის ვაჟი გვყავდა, ყველაფერი გამოამარჯვდა და ჩემი მეუღლე კვლავ გადაასახლეს. ბავშვი ჩემთან დარჩა. ორი წლის შემდეგ კი, როცა მან სასჯელი მოიხდა, ჩვენი ოჯახი ისევ შეერთდა, სულ მალე კი ქალიშვილიც შეგვეძინა.

**— დაბრუნების შემდეგ რას საქმიანობდით?**

— საქართველოში დაბრუნების შემდეგ კინოსტუდიაში ვმუშაობდი. ვიყავი ცნობილი ფილმების გადაღები ჯგუფის დირექტორი, დირექტორის მოადგილე. ესენია: „ცისკარა“, „ბაში-აჩუკი“, „უდი პლომო სასიძო“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ყვავილი თოვლზე“, „ჩრდილი გზაზე“, „პალიასტომის ტბა“, „დიდოსტატის მარჯვენა“ და ა.შ. 1968 წლის შემდეგ ვმუშაობდი ტელევიზიაში. ვარ ასევე მრავალი ტელეფილმის დირექტორიც. ამჟამად კი პენსიაზე ვარ.





# რას შესვლიდით თქვენში ან სხვაში?! რას შესვლიდით თქვენში ან სხვაში?! რას შესვლიდით თქვენში ან სხვაში?!

როგორც ფსიქოლოგებმა დაადგინეს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანს ყველაზე სშირად, გამძლეობა, კეთილგანწყობა, გულახდილობა, ნებისყოფა, თანაგრძნობა და საკუთარი ძალების რწმენა არ ყოფნის. წარმოიდგინეთ, რომ ჩამოთვლილი თვისებებიდან ერთ-ერთის განვითარების საშუალება გაგიჩნდათ. მონიშნეთ იგი ცხრილის „თქვენთვის“ დანაყოფში, ასევე

წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ საშუალება. ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებიდან ერთ-ერთი, თქვენი ახლობლების უმრავლესობაშიც განავითაროთ. მონიშნეთ ეს თვისება ცხრილის „სხვებისთვის“ დანაყოფში. თქვენ მიერ შერჩეული სტრიქონის და სვეტის გადაკვეთაზე იპოვეთ ასო, რომლის მიხედვითაც შეძლებთ, დაადგინოთ თქვენთვის ფსიქოლოგიურად სრულყოფილი ტიპი.

თქვენთვის	სხვებისთვის	ბამბლეობა	კეთილგანწყობა	გულახდილობა	ნებისყოფა	თანაგრძნობა	საკუთარი ძალების რწმენა
ბამბლეობა	ა	ბ	ბ	ა	ბ	ა	
კეთილგანწყობა	ბ	დ	დ	ბ	დ	ბ	
გულახდილობა	ბ	დ	დ	ბ	დ	ბ	
ნებისყოფა	ა	ბ	ბ	ა	ბ	ა	
თანაგრძნობა	ბ	დ	დ	ბ	დ	ბ	
საკუთარი ძალების რწმენა	ა	ბ	ბ	ა	ბ	ა	

როცა ფსიქოლოგებმა მსგავსი გამოკვლევების სერია ჩაატარეს, აღმოჩნდა, რომ უმეტესობა საკუთარ თავს გამძლეობას უსურვებს, სხვებს კი – კეთილგანწყობას. სხვები ჩვენგან თანაგრძნობას, სიკეთეს, ყურადღებას ელიან. უბრალო ადამიანები უმეტესად, სხვა ფსიქოლოგიურ მიმართულებას ირჩევენ და საკუთარი თავის მიმართ სხვა მოთხოვნები აქვთ.

## შეამოწმეთ შედეგები:

**ა** — თქვენი სურვილია, რომ საკუთარ თავთან ერთად, მთელი სამყარო უფრო ძლიერი იხილოს ანუ საკუთარი თავისგან და სხვებისგანაც მეტ სიმტკიცეს მოითხოვთ.

**ბ** — გსურთ, რომ გარშემომყოფები უფრო ლმობიერი და დამთმობნი გახდნენ, თქვენ კი ასეთ გარემოცვაში საკუთარი პრინციპების განსორციელების სურვილი გაქვთ.

**გ** — თქვენი იდეალური სურვილია, უფრო რბილი ხასიათი გქონდეთ და ამით გარშემომყოფებს თვითდამკვიდრებაში შეუწყობთ ხელი.

**დ** — გსურთ, რომ თქვენც და თქვენი გარშემომყოფებიც უფრო რბილი ხასიათით გამოირჩეოდეთ, მეტ ადამიანს ჰქონდეს ლმობიერების, სიკეთისა და დათმობის უნარი.



# სახლის კ...


თუ თქვენი სახლის კარი ჭრაჭუნობს, იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებაში ყველაფერი „ჭრაჭუნით“ მიგდით — თვლიან ჩინელები და გვირჩევენ, კარის ანჯამაში გრიფელის ნაჭერი მოვათავსოთ. ჭრაჭუნი ხომ ადამიანს აღიზიანებს, გაღიზიანებული ადამიანი კი უსიამოვნებებს უფრო მძაფრად აღიქვამს.

შემოსასვლელში კარის გასწვრივ კარგია ზანზალაკების ჩამოკიდება. თუ სახლში მძიმე ატმოსფეროა, სცადეთ და ზანზალაკებს ჩამოჰკარით. სწორედ ასე ხდებოდა ძველ ინდოეთში არახელსაყრელი ატმოსფეროს განმუხტვა. მორწმუნენი იქ დღემდე ზანზალაკებს რეკენ, როცა სურთ ბუდას ან შივას მიმართონ. ითვლება, რომ ზანზალაკის ხმა ღვთაებასთან ურთიერთობის გზას ხსნის. იმასაც კი ვარაუდობდნენ, რომ ზარების რეკვით ებიდეშიების განდევნაც შეიძლებოდა. მოგვიანებით მეცნიერებმა ცხადვეს, რომ ვიბრაციის მაღალი დონე ორგანიზმის განწმენდის პროცესზე ახდენს ზეგავლენას. დღესდღეობით კი ბევრი ავადმყოფობა ულტრაბერის საშუალებით იკურნება, მაგრამ სჯობს ისევ სახლის შემოსასვლელს დავუბრუნდეთ. თუ იქ ხშირად გეწვებათ ან საერთოდ არ ანათებს ნათურა, საჩქარო ზომების მიღებაა საჭირო, თორემ სახლიდან ყოველი გასვლის და დაბრუნების დროს ცუდი განწყობა შეგექმნებათ. ჩინელების აზრით, სახლის შემოსასვლელი ჩვენი შინაგანი სამყაროს კარიბჭეა. უნდა ვეცადოთ, რომ ის თვალს ახარებდეს. მაგალითად, არაფრით არ შეიძლება შემოსასვლელში ფეხსაცმელების გროვად დახვავება. ფეხსაცმელები, სახლის ჩუსტები და ჩექმებიც ყოველთვის ლამაზად, წყვილ-წყვილად უნდა იყოს დაწყობილი. ჩინეთში თვლიდნენ,

ყველასთვის ცნობილია ინგლისური ანდაზა: „ჩემი სახლი — ჩემი ციხესიმაგრეა“ და სიმართლე რომ ვთქვათ, ინგლისელების სიმშვიდისა და ურყევი ხასიათის მთელ მსოფლიოს შურს. როგორ უნდა მოვახერხოთ, რომ ჩვენი ციხესიმაგრის კედლები მყარი იყოს და სახლის კერა კი ცხოვრებისეული მღელვარებისგან დაცული. რჩევები კი უმეტესად ქალებს გამოადგებათ, რადგან ძირითადად ოჯახური კერის დამცველად ქალები ითვლებიან.



ზანზალაკს მძიმე ატმოსფეროს განმუხტვა ძალუძს



რომ ამ სახით შეიძლება სამყაროში არსებული ორი უმთავრესი ენერჯის ინის და იანის ჰარმონიაში მოყვანა. ეს კი აუცილებელია, რათა სახლში მეუღლეებს შორის ურთიერთგაგება სუფევდეს. თუ შემოსასვლელში ქალის და მამაკაცის ცალ-ცალკე ფეხსაცმელს წყვილად დადებულს შენიშნავთ (სიჩქარეში ასევე შეიძლება მოხდეს) — უეჭველად ელოდეთ სკანდალს.

ახლა კი სამზარეულოში გადავინაცვლოთ. ცუდ განწყობაზე მყოფ ქალს კატეგორიულად ეკრძალება საჭმლის მომზადება, წინააღმდეგ შემთხვევაში საკვები თავის საუკეთესო თვისებებს დაკარგავს. იდეალურ შემთხვევაში გაზქურა არ უნდა იყოს მოთავსებული ონკანის გვერდით, რადგან წყალი აქრობს ცეცხლს, რაც ასევე შეიძლება აისახოს მომზადებულ საკვებზე.

თუ ოჯახში ჩხუბი მოხდა, სასურველია,

მის შემდეგ სამზარეულოს იატაკი მოწმინდოთ. მიიჩნევენ, რომ ამ საშუალებით ურთიერთობათა გარკვევის პროცესში დაგროვილი ენერგეტიკულ ჭკუჭყს მოიშორებთ. კიდევ ცუდი არ იქნება, თუ ოჯახური უსიამოვნების შემდეგ უბრალო ღვეზელს ან თუნდაც ორცხობილას მოამზადებთ. პურის ძალას ყველაზე მკაცრი გულის მოღობაც კი ძალუძს.

რაც შეეხება სასადილო მაგიდას, უმჯობესია, ის ოთახის შუაგულში იდგეს ოჯახის ყოველ წევრს მაგიდასთან თავისი განსაზღვრული ადგილი უნდა ჰქონდეს. ეს ურთიერთობებში თავისებურ ჰარმონიას ქნის, როცა სუფრის განწყობის შემდეგ მაგიდას დიასახლისი მიუჯდება, აუცილებელია მას ყურადღება მიაქციოთ და თუნდაც პური მიაწოდოთ. ამ მარტივი ხერხით ძველ ჩინეთში ოჯახურ კამათს წინასწარ აღკვეთდნენ. თუ-

ყვავილი	მცენარის ღეროებისგან მოქსოვილი საფენი	ბევრის	ხავერდოვანი მუქი	გვირგვინისებრი ბრწყინვალეობა თავზე
მიხსანი	ნილი	ბოტანი	სხვა	მედი
ბოლშევიკი	ბაეშვის კბილი	პანკოსანი მცენარე	ბოტანულში ჩამოშლილი ნორცე	რუსული კურხალი ქაღალდისთვის
მედი	მედი	მედი	მედი	მედი

# შეგვის



ბინის შემოსასვლელში გადამწვარი ნათურა სასწრაფოდ უნდა შეცვალოს – შემოსასვლელი თქვენი სულიერი სამყაროს კარიბჭეა და ის მუდამ განათებული უნდა იყოს

ლყური ადვენუთ, რომ სახლის ფანჯრებს არ ჰქონდეს დაბზარული მინები, რადგან ფანჯრები თქვენი სახლის თვალებია, ნუ შეხედავთ სამყაროს „დაზიანებული“ თვალით.

თუ მძიმე დღის შემდეგ, საღამოს შხაპის მიღების თავი არ გაქვთ, აუცილებელია ფეხზე მაინც გადავივლოთ წყალი. ფეხის ტერფებზე ადამიანის ყველა შინაგანი ორგანოს პროექცირება ხდება, ამიტომ აუცილებელია დღის მანძილზე დაგროვილი უარყოფითი ენერგიის მოცილება.

ჭუჭყიანი თეთრეული საბაბანოში ერთ, გარკვეულ ადგილას უნდა მოაჭროვოთ და გარეშე თვალს მორიდოთ.

საბაბანოს სარკე ყველაზე მაგიური საგანია, ის ყოველდღიურად უნდა გაიწმინდოს, რათა სიღრმე და ელვარება დაუბრუნდეს. თუ ცუდ ხასიათზე ხართ და ტირილი გინდათ, ნუ ჩაიხედავთ სარკეში. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი უარყოფითი ემოციები იქ დარჩება – არ ხდება ენერჯის გაცვლა იმ ბედნიერ და მხნე ადამიანთან, რომლის გამოსახულების დანახვაც გსურთ. ღებრესიაში მყოფი ელიზაბეტ ტელიორი არასოდეს იყურებოდა სარკეში, რათა სარკეში არეკლილ არაპარმონიულ ენერგიას მასზე ცუდად არ ემოქმედა. ეს კი ტელიორისთვის საკმაოდ რთული იყო, რადგან მისი სახლი სარკეებითაა სავსე.

ღებრესიით შეპყრობილ ადამიანებს ძალიან შეველის ფორთოხლის აბაზანა. ფორთოხლის

ქერქებს მღულარე წყალში ათავსებენ და შემდეგ ამ ნაყენს წყლით სავსე აბაზანაში ამატებენ. ფორთოხლისფერი – ძლიერი ანტიდეპრესიული საშუალებაა – ასე თვლიან ტიბეტელი მედიკოსები. სასოწარკვეთილებაში მყოფ პაციენტებს ისინი ფორთოხლისფერი ხილის – გარგარის, ჭერმის, ფორთოხლის, ვიტამინებით სავსე, მცენარეულ ზეთში შემწვარი ფორთოხლისფერი გოგრის მიღებას ურჩევენ.

გალიზიანების გრძობა საძინებელში შესვლისას აუცილებლად უნდა უკუაგდოთ, რადგან ეს მაგიისთვის ყველაზე შესაფერისი ადგილია.

არაფრით არ შეიძლება მიულაგებელ, აწეწილ საწოლში ჩაწოლა. განსაკუთრებით დიდი მონღოლებით ბალიშები უნდა აპენტოთ. სწორედ ბალიშებში გროვდება ჩვენი გაღიზიანება, ამიტომ ამ ენერჯისგან ბალიშში უნდა გაათავისუფლდეს. თუ ადამიანი ღამით არ განიტვირთა, მას შფოთიანი ძილი ექნება, სიზმრის უმაღლეს სფეროს ვერ მიაღწევს და ბედნიერების შეგრძნებას ვერ განიცდის.

უარყოფითმა ემოციამ საკუთარ თავზე რომ არ იმოქმედოს, გულმოდიგინედ დაივარცხნეთ ძილის წინ თმა.


სავარცხელზე დარჩენილი ან იატაკზე დავარდნილი თმის ცოცხით მოგვა ან დაწვა არ შეიძლება. თმა ქაღალდში უნდა შეახვიოთ და სხვების შეუმჩნეველად გადაადლოთ. ტიბეტელი მედიკოსები გვირჩევენ ბავშვს

თმა ერთი წლის ასაკში შეეჭრათ და კულული შევინახოთ. შემდგომში, ავადმყოფობის დროს ამ კულულს ბავშვს მტკივან ადგილზე მიადებდნენ ხოლმე.

ბავშვის დაძინების შემდეგ ცოლ-ქმარი დროს ერთმანეთს უძღვინოს. ინდოეთში თვლიან, რომ სიყვარულისთვის განსაკუთრებული ენების მისანიჭებლად ღამის სანათს ან აბაჟურს წითელი თავსაფარი უნდა დავაფაროთ.

და კიდევ ერთი რჩევა: თუ სახლში კატა გყავთ, ჩათვალეთ რომ ძალიან გაგიმართლათ. ძველ ეგვიპტეში კატა სახლის კერის მცველად ითვლებოდა. ტაძრის შესასვლელში სპეციალური ზვრელები იყო გაკეთებული, რათა კატებს შიგნით შესვლა სურვილისამებრ შესძლებოდათ. ოჯახში დიდი ხნით ცხოვრების შემდეგ კატა კვდებოდა და სახლის თილისმა ხდებოდა: მის მუმიას შესასვლელი კარის თავზე ნიშაში ათავსებდნენ. ძველი ხალხი ერთნაირი აზრის იყო იმის შესახებ, რომ თუ კატა გიჟივით დაქროდა სახლში, აყირავებდა და ყრდილი გზაზე გადადობილ საგნებს, ნუ იჩქარებთ ცხოველის დასჯას, ის კეთილ საქმეს სწადის. იმ მსტრალურ ცხოველებს განდევნის, რომლებიც ცუდ გავლენას ახდენენ თქვენს სახლზე. მოკლედ, გაუფრთხილდით კატას, რომლის ადამიანის საუკეთესო მეგობრად ითვლებოდა.

თუ ფეხსაცმელები წყვილად და თანაბრად დაღებულნი, ე.ი. ისინი და იანი პარმონიანობა მოყვანილი



რთ- ან- ღმი	<i>[Signature]</i>	მის დმო- თი- ეგვ	<i>[Signature]</i>	ფრანტი მომ- ერს- მირქი	ცენსლსასროლი იარაღი	საყოფაცხოვრებო ნივთების შესამოწმებ- ლი ხელსაწყო
თი	მიწისქვეშა საკომუნი- კაციო ნაგებობა	იაპო- ნური თეატრი	<i>[Signature]</i>	წერილი (მომკვლევული)	ჩაის დეფუსტაგორი	

# 1625

წლის ხარების დღესასწაულზე მარტყოფის ველზე ქართველებმა სასტიკად გაანადგურეს შაჰ-აბასის ლაშქარი. მარტყოფის დამარცხებამ საფუძვლიანად შეარყია ირანის ძლიერება. თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი წერდა: „ორმოცი წლის მანძილზე ირანს არ განუცდია ასეთი დიდი ზარალი“. ამ გამარჯვებამ გააერთიანა ქართლ-კახეთი, ქართველთა გამარჯვებამ შაჰისაგან დაპყრობილი სხვა ხალხებიც გაამხნევა და „ყველგან შფოთი გაჩნდა“. ამ ფაქტს კი ვერასდროს შეურიგდებოდა მძვინვარე შაჰ-აბასი. გააფთრებულმა ირანის მბრძანებელმა უზარმაზარი სპარსელთა ურდო დაძრა საქართველოსკენ. ირანელთა ორმოცდაათათასიანი ლაშქარი ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით მარაბდის ველზე დაბანაკდა. ქართველები თავისი ოციათასიანი ლაშქრით კოჯორტაბახელის მიდამოებში განლაგდნენ.

იღგა 1625 წლის ივლისი. ქართველებმა არ ისმინეს მარტყოფის ომის გმირის – გიორგი სააკაძის შეგონება: მტერი გაცილებით ჩვენზე მეტია. ამასთან კარგად გამაგრებული ბანაკი აქვთ. ჩვენი მცირერიცხოვანი მხედრობით მარაბდის გაშლილ ველზე ბრძოლა შეცდომა იქნება. ირანელები სიცხეს მიჩვეული ხალხია და ბრძოლა ისე არ გაუჭირდებათ, როგორც ჩვენ. მტერი კოჯორის ვიწროებში შემოვიტყუოთ. აქ მას უფრო ადვილად დავამარცხებთო. ისევ თავი წამოყო ქართველთა ამპარტავნებამ: „რაც მალე შევუტევთ, უკეთესია, მტერს დილის სიგრილეშივე დავამარცხებთ“ – ასე ბჭობდნენ ფიცხი თავადები. მეფე თეიმურაზ პირველმაც წინდაუხედავად უკუაგლო სააკაძის რჩევა.

გათენდა 1 ივლისი. ბრძოლის წინ სამღვდელთა ქართველთა ჯარი აზიარა. რუსულმა ეპისკოპოსმა დალოცა ქართული მხედრობა და თვითონაც, აბჯრით შეჭურვილი მეწინავე რაზმში ჩადგა. ქართველებმა დროშას ცხრა ძმა ზე-



## ცხრა ძმა სერსულიძე დედითა და დით, მათთან ერთად 9000 ქართველი მარაბდას მოწყვტილნი! ხსენების დღე 16 აგვისტო

რხეულიძე დაუყენეს დარაჯად.

შეტევა გარიჟრაჟზე დაიწყო. ქართველთა ლაშქარმა პურის ყანებში სწრაფად იარა და მტერს რომ მიუახლოვდა, ცოტა შეისვენა. ეს შესვენება ლაშქრის მობილიზაციისათვის გამოიყენა მტერმა. ქართველებს არანაირი სამხედრო ფანდი არ გამოუყენებიათ. ისა-ხან ყორჩიბაში მაშინვე მიხვდა, რომ ქართველთა ლაშქარს ამჯერად აღარ მეთაურობდა გიორგი სააკაძე.

ყორჩიბაშს სამ რიგად დაეყენებინა მეთოფენი: უკან – აქლემზე მსხლმინი, შემდეგ ცხენოსანნი და ბოლოს, ქვეითნი. ... შესვენების შემდეგ ქართველები უშიშრად გაექანნენ მტრისაკენ, მაგრამ იგრიბალა ყიზილბაშთა თოფებმა და ქართველთა მოიერიშე ნაწილები ტყვიამ მოცელა. დანარჩენნი უკვე

ხმალდახმალ ეკვეთნენ ირანელებს. ქართველთა ლომგულობამ მტერი უკუაქცია, მაგრამ გამოცდილმა მთავარსარდალმა ისა-ხან ყორჩიბაშმა არ დათმო ბრძოლა. ამასობაში აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგი შაჰბენდუხანიც მოვიდა მაშველი რაზმით... შედრკენენ სიცხით გათანგული ქართველები. ამას ზედ დაემატა ერთი საბედისწერო შემთხვევა: მძიმედ დაიჭრა თეიმურაზ მუხრანბატონი. ქართველთა შორის კი სწრაფად გავრცელდა ჭორი მეფე თეიმურაზის სიკვდილის თაობაზე. ამ ამბავმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ქართველთა მხედრობა – ეს ზომის დასასრულს ნიშნავდა. გვიან მიხვდნენ ქართველები საბედისწერო შეცდომას. შეთხელდა ივერიელთა რიგები.

გალომებული იბრძოდა მარაბდის ომში გიორგი სააკაძე. მუზარადიც კი მოიხადა, რათა ირანელებს ეცნოთ და შეშინებოდათ, მაგრამ ვეღარც მან შეძლო ბრძოლის ბედის წაღმა შემოტრიალება.

ბევრი სახელოვანი გმირი დაიღუპა მარაბდის ომში: დავით ჯანდიერი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი. ეპისკოპოსნი – რუსთველი და ხარჭაშელი. ცხრა ძმა ხერხეულიძის ხელში გაიარა ქართულმა დროშამ, ცხრა ძმა გმირულად დაეცა მარაბდის ველზე. შემდეგ ნაბოლარამ – ერთადერთმა დამ იპყრა დიდგორისა და ბასიანში გამოვლილი დროშა და როდესაც იმანაც ჩაიშლდა, დედამ აღმართა ქართველთა უკვდავების სიმბოლო – ბაირალი. მარაბდის ომში დაიღუპნენ აგრეთვე ცხრა ძმა მახაბელი, შვიდი ძმა ჩოლოყაშვილი... ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა რჯულისა და სამშობლოსათვის თავგანწირული მამულიშვილები.

„მარაბდის ველზე სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისთვის თავდადებულნი, ქრისტესა ღმერთსა ევედრებით, რათა უვნებლად დანიცვას ღვთივდაცული ერი ჩვენი და წმინდა ეკლესია მისი“.

მოამზავა ნინო ტარყაშვილმა

ელენე სალარიძე

„ქრისტე: შეიწყალე ოქრომჭვლედი ბექაი ობიზარი“ – იკითხება წყაროსთავის სახარების ყდაზე, რომელიც ტბეთის ეპისკოპოსმა იოანე საფარულ-მტბევეარმა მოაჭვდევინა ქართული ოქროქანდაკების უზადო ოსტატს.

XII საუკუნის დასასრულის ეს ნამუშავე, რომელიც ერთ მხარეს ვედრების, ხოლო მეორე მხარეს ჯვარცმის გამოსახულებით არის შემკობილი, არცთუ ისე დიდი (თითოეული გამოსახულების ზომაა 20 X 13 სმ). ოთხთავის მოლოჭვას ორასი დრამის ვერცხლი დასჭირვებია, 20 დრამისა კი ოქრო და თვალმარგალიტი. 23 დრამაც გასამრჯელოდ მიუღია ხელოსანს. თუმცა კი ვერაფერი შეედრება იმ დიდებას, რომლითაც შემკული ყოფილა ბექა ობიზარი, წინამორბედიც რომ ჰყოლია – ბეშქენ ობიზარი.

ისტორიული წყაროები საკმაოდ ძუნწ ცნობებს იძლევა ამ ორი განუმეორებელი ოსტატის შესახებ. წოდება ობიზარს კლარჯეთში მიეყვართ და, საფიქრებელია, რომ ორივე მათგანი სამხრეთ საქართველოდან იყო. ბეშქენის ერთადერთი ნამუშევარია ფამთასვლას გადარჩენილი – ბერთის სახარების ვერცხლის ყდის მოჭვდილობა ვედრებითა და ჯვარცმით. როგორც ხელოვნებათმცოდნე გურამ ჯავახიშვილმა გვითხრა, იმდენად შთამბეჭდავია მოჭვდილობის ორნამენტული ნაკვეთები, იმდენად დახვეწილია ქრისტეს, მარიამისა და იოანეს ტრადიციული ფიგურები, არშეიხვებ შესრულებული რელიეფური ასომთავრული წარწერებიც კი, რომ უდავოა, იმ პერიოდის საქართველოში ოქრომჭვდილობის სკოლა ზენიტში იყო. მაგრამ თუ აღნიშნულს ბექასეულ ანჩისხატის შემკობის ოსტატობას მივუსადაგებთ, თამამად შეიძლება თქმა, რომ ხელთა გვაქვს შდეგრი. სამწუხაროა, რომ ბექა ობიზარი ქართული ხელოვნების დიდი ეპოქის უკანასკნელი წარმომადგენელთაგანია.

იმდენად ახლობელი იყო ქართველი კაცისათვის ბექა და ბეშქენ ობიზარების ხელოვნება, რომ მათ ძმებად აღიქვამდნენ, რაინდების შარავანდედით ამკობდნენ და დღესაც, თუ ოქრომჭვდილობის რაიმე საყურადღებო ნიმუშს იხილავენ, თუნდაც ახალს, უნდათ იგი ობიზართა ნახელავს შეადარონ...

მკითხველს, ბუნებრივია, ბერთის სახარების ახლანდელი ნავსაყუდიელიც აინტერესებს. ერთხანს იგი გელათის მონასტერში ინახებოდა, ამჟამად კი საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაუნჯებული (ბექასეული წყაროსთავის სახარებასთან ერთად). „ოქროპირისა ნივით-



ბექა ობიზარი: წყაროსთავის სახარების ყდა

# ობიზართა ნამუშავევი

... ბერთისა და წყაროსთავის სახარებიან ნაკითხულ ლოცვანს სხვა სიბლი ექნება

თა“ და „ბეშქენ ობიზარისათა ხელითა“ მოჭვდილ წიგნს ასეთი წარწერაც ამშვენებს: „დეკანოზო, გვედრებე, რომელ ესე სახარება დიაკონთა სათრეველად არა შეჰქმნა და უეკლეიოდ დამესა არასადა გაარებდე. და უკუეთუ ვინმე სენაკსა შინა დაიდვას, ესემცა წმიდანი მახარებელნი მრისხანენი არიან მისნი“...

კომენტარს თავს ავარიდებთ, მაგრამ ერთს კი დავმენტ, რომ ურიგო არ იქნებოდა, დროდარო გამოგვეტანა ფონდებში და ექსპოზიციებზე დავანებული ეროვნული საუნჯენი...

ღიან, ბეშქენის ერთი, ხოლო ბექას ორი ნაკეთობაა საუკუნეებს გამოღწეული.

ცალკე მსჯელობის საგანია ანჩისხატის მაცხოვრის ხატის მოჭვდილობა. ამ ხელთუქმნელი ხატის ჩამოტანა საქართველოში ანდრია მოციქულის სახელს უკავშირდება. ამდენად გასაგებია ის განუზომელი პატივი ხატის მონუქურთმებისა, რომელიც მხოლოდ ვანთქმული ხელოვანის წილხვედრი უნდა ყოფილიყო და ეს პატივი მეფე თამარის ნებით იოანე ანჩელმა ბექას მიავო.

ანჩისხატის ბექასეული ჩარჩო (104 X 70 სმ) მცენარეული ჩუქურთმებითაა მორთული ადგილ-ადგილ სკულპტურული ფიგურებით, რომელთაგანაც ვედრების კომპოზიცია იკვრება. გამოკვეთილად იკითხება ჩუქურთმა, რომელიც ორნამენტულ ფონს უქმნის მარიამისა და ნათლისმცემლის ფიგურებს.

ანჩის მონასტერში დავანებული ანჩისხატი მოგვიანებით სამცხის ათაბაგთა ოჯახის საკუთრება გამხდარა. სამცხის გათ-

თრების შემდგომ პერიოდში (ბედის ბორბალმა ანჩის მონასტერი თურქეთში მოაქცია) ხატი თბილისელ ვაჭარს ჩამოუტანია და დომენტი კათალიკოსისთვის მიუყიდა. კათალიკოსს მცირე ეკლესიაში დაუსვენებია (დღევანდელ ანჩისხატში).

ამჟამად ანჩისხატი (ვერცხლის ნაკეთობა, მოქრული, უნატიფესი ჭედური კვეთით შესრულებული ბექასეული ჩარჩოთი, ძვირფასი ქვებით შემკული მაცხოვრის გამოსახულებით) საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია, სადაც იგი საიმედოდ არის დაცული.

ანა დელოფლის ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ თამარის დროს „იყო მდიდარ ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“. ისიც ხომ ცხადია, რომ ოთხთავი ყოველი ოჯახისთვის წმიდათაწმიდა შემამკობელი იყო. ამდენად, არც ის არის გამორიცხული, რომ ბექა და ბეშქენ ობიზარების ოქრომქანდაკელობის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში მთელ ქვეყანაში იქნებოდა მიმოფანტული.

ერთი მათგანის ნაშთისთვის ექვთიმე თაყაიშვილს მიუკვლევია წალკაში, სოფელ წინწყაროში, თურქეთიდან მოსული ბერძნის ოჯახში. ეს ანჩის სახარება ყოფილა. ხელნაწერის ბოლოს სოფრომ მწიგნობრის ანდერძში აღნიშნული ყოფილა: „მოვაჭვდინე ღმრთისა მიერ კურთხეულს, ღირსსა ოქროის მქანდაკებელსა ბექასა“...

და ასე, ვინ იცის, ქართველ ოქრომქანდაკებელთა – ბექა და ბეშქენ ობიზარების ნამუშავევი როდის და საიდან შეგვაცხსენებს თავს...



# ჩინელი ჰომეოპათის მისამართს ნაბიჯიერ დროს გადმოვსჯამ...

## აკაკი გვგენაშვილი

გამონათქვამი მაღა ვამაში მოდისო, ზუსტად ჩემზეა ზედგამოჭრილი. კომერციულ საქმიანობაში მოგებაზე მეტად, მოგზაურობა მიზიდავს და რაც უფრო მეტი ქვეყანაში მიწვევს ჩასვლა, მით უფრო მეტი ახალი ადგილების მონახულებას ვესწრაფვი... ირანსა და პაკისტანში მოგზაურობის შემდეგ (იხ. „გზა“, №№30,32) ისევ ჩემს მეგობარს – მარინას მივაღებე და კვითხე: ჩინეთში როდის მივდივართ-მეთქი?

– პაკისტანში აღფრედა კინადამ სცემე და ახლა გინდა, მე გამომშრო სისხლი? – გამიხსენა „ძველი ცოდეკი“ მან.

– შენ თუ ჩემსა და აღფრედას შორის მტყუან-მართალს ვერ არჩევ, სჯობს, აწი საქმეებს ცალ-ცალკე მივხედოთ... – აღვმფოთი.

– შენ რა ბუტია ყოფილხარ! გაგეხუმრე... – დამამშვიდა მარინამ და დასძინა: – ჩინეთში კი მიხდა წასვლა, მაგრამ ტურისტულმა ფირმამ მგზავრობა გააძვირა და არ ვიცი, რა ვქნა...

– იქნებ, მოსკოვის გავლით წავიდეთ? იქ მძაკეები მყავს, ყველაფერს დავაზუსტებ და შეგატყობინებ... – ვოვა გამახსენდა, ვისთან ერთადაც კორეაში ვიყავი.

მართლაც, მოსკოვიდან წასვლა უფრო იაფი ჯდება და ერთ კვირაში მე, მარინა და რამდენიმე ქართველი და რუსი კომერსანტი უკვე ცხელ ყავას მივირთმევდით ჩინეთში მიმავალ თვითმფრინავში... ამჯერად ჯგუფს ვოვა არ გამოაყოლეს. ჩემს თხოვნაზე, წამოსულიყო, მიპასუხა:

– ძალიან დაკავებული ვარ, სამაგიეროდ, ისეთი ჯგუფი მთავრდება, რომ

ყბილსაც კი დაიწყებ... – ეს მითხრა და გვერდით ოთახში გამიყვანა, სადაც ჩინელი მანდილოსანი გამაცნო. სილაამაზეს ყოველთვის ვაფასებდი, განსაკუთრებით ქალისას, მაგრამ როშმერი შუნგის მშვენიერებამ ნამდვილად შოკში ჩამავლო: კარგა ხანს გაოგნებული ვუყურებდი...

## შორეული წარსულიდან დღევანდლამდე

დღევანდელი ჩინეთის ტერიტორია რამდენიმე ათასი წლის წინათაც იყო დასახლებული ადამიანებით. მდინარე ხუანხეს ნაპირებზე იღებს სათავეს ჩინური სახელმწიფო, რომელმაც ჩრდილოეთით მდინარე ამურამდე მიაღწია, აღმოსავლეთით მთელი სანაპირო დაიკავა და დასავლეთით ცენტრალური აზიის სტეპებამდე გაიჭიმა... ჩინელები იმ ხალხთა რიგს მიეკუთვნებიან, ვისაც უნსოვარი დროიდანვე მაღალ დონეზე ჰქონდათ განვითარებული მეცხოველეობა და მიწათმოქმედება... ოთხი ათასი წლის წინაც კი, ჩინეთში უკვე რამდენიმე უდიდესი ქალაქი არსებობდა, სადაც ამუშავებდნენ ხეს, ქვას, რკინასა და ფაიფურს. ჩინეთში მაგნეს მეთოდს, როგორ უნდა მოიპოვო ბუნებრივი გაზი და ნავთობი. ამ ქვეყანამ შესძინა კაცობრიობას კომპასი, ჯოგრიტი, ქალაღი, აბრეშუმი და დენთი...

სწორედ ჩინეთში დაიბეჭდა მსოფლიოში პირველი წიგნი, რომელიც 868 წელს გამოვიდა და ახლა პეკინის ხელოვნების მუზეუმში ინახება. ხოლო 900-იანი წლებიდან, ქვეყანაში გაზეთის გამოშვება დაიწყო. პირველ ჩინურ გაზეთს „ღიზინ ბაო“ („ქვეყნის ამბები“) ერქვა.

ბეჭდვის ხელოვნება ჩინეთიდან ჯერ

აზიის სხვა ქვეყნებში, ხოლო შემდეგ ევროპაში გავრცელდა. მეცნიერებისა და კულტურის განვითარების შედეგად ჩინეთმა კაცობრიობას უამრავი უნიკალური ძეგლი აჩუქა. მათ შორის სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს დიდ ჩინურ კედელს, რომლის სიგრძე 6000 კილომეტრს აღწევს.

ჩინეთის სიმდიდრე ბევრ მომთაბარე ტომებს იზიდავდა, რაც გაუთავებელი ომების საფუძველი ხდებოდა. ყველაზე დიდი ზიანი ქვეყანას მონღოლმა დამპყრობლებმა მიყენეს. ჩინგის ხანმა თითქმის მთელი ჩინეთი დაპყრო და 200 წლიან ბატონობას დაულო სათავე. ამ 200 წლის მანძილზე მონღოლებმა თითქმის ყველაფერი დაანგრეს და ნახევარზე მეტი მოსახლეობა ამოჟუჟეს...

XIX საუკუნეში ჩინეთი დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა. თუ საუკუნის დასაწყისში ინგლისი ეკონომიკური ბერკეტებით მოქმედებდა, ბოლოს უკვე აშკარა სამხედრო ძალით დაუპირისპირდა, რაც სასტიკი შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა. 1940 წლიდან ჩინელმა კომუნისტებმა, საბჭოთა კავშირის დახმარებით ინგლისელების განდევნა შეძლეს და სოციალიზმის „შშენებლობა“ დაიწყო. დღეს ჩინეთში „კომუნისტური კაპიტალიზმი“...

## ჩუნცინი

ყოველ დღით, ადრე ჯგუფის წევრები ვიკრიბებოდით და სავაჭროდ ქალაქის სავაჭრო ობიექტების საწყობებში დავდიოდით. ვუკეთავდით სასურველ ტანსაცმელს, ვფუთავდით და გასაგზავნად ვამზადებდით. ამ პროცესს დიდი ენერჯია მი-

ჰქონდა და სადამოსთვის ყველას ერთი სული ჰქონდა, როგორმე სასტუმროს ნომრამდე მიეღწია და დაესვენა... გამონაკლისი მე ვიყავი: დასვენების ნაცვლად, როზმერისთან ერთად, ქალაქის დასათვალიერებლად დავდიოდი.

— რა არის, ბიჭო, რას გიგავს თვალეები?... ცოლი მაინც არ გყავდეს სახლში... — მითხრა ერთ დღეს მარინამ.

— რეებს „უბერავ“ გაგიყუდი, მარინა?... უბრალოდ, ქალაქს მათვალაიერებინებს... — შემეტყო გაბრაზება.

— რაღა მაგ გომბეშოსთან დადიხარ, სხვა ვერავინ ნახე?..

— ჩინური თქვენ არ იცით და „შმოტკების“ მეტი არაფერი გაინტერესებთ, თანაც ოთახიდან ვერ გამოგაყოფინეთ ცხვირი... საქმეს არ გიფუჭებთ და რას მსაყვედურობ?..

— არა, უბრალოდ შემეცოდე, გადაიღლები... — აღურსიანად და ოდნავი ირონიით მითხრა მარინამ და მკითხა: — მაინც რას ათვალაიერებთ ამისთანას, ღამის სამ საათამდე, რომ არ მოდიხართ?

— კაცმა მოინდომოს და აქ იმდენი რამეა სანახავი, მთელი ცხოვრება არ გეყოფა...

როზმერის მამა ჩინელი ჰყავდა, ღელა — რუსი. ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა და ამ ქვეყნებში თავისუფლად დადიოდა. საკმაოდ ერუდირებული და განათლებული გოგონა იყო. ტურისტულ ბიუროში მუშაობდა და ბევრი ქვეყანა ჰქონდა შემოვილილი. საერთო ინტერესები გამოვნახეთ და ცნობისმოყვარეობით ვათვალაიერებდით ქალაქს.

ყოველ დიდ ქალაქს თავისი ზბილი აქვს. ჩინელები თავიანთ ქალაქებზე ასე ამბობენ: თუ არ მოხვდი პეკინში — ვერ მიხვდები, რომ ცუდი თანამდებობა გაქვს. თუ ვერ მიაღწიე ხაინამდე — ვერ შეიტყობ, რომ ჯამრთელობა არ გივარგა. თუ არ ეწვიე შანხაის — ვერ გაიგებ, რომ სულელი ხარ. თუ არ ჩახვედი გუანჩჟოუში — ვერ იგრძნობ უფულობას და ბოლოს, თუ ნამყოფი არ ხარ ჩუნცინში — ვერ მიხვდები, რომ უნდა გიხაროდეს მზის ამოსვლა.

ქალაქი ჩუნცინი მდინარე იანცის ნაპირზე მდებარეობს. ეს ყველაზე ღრუბლიანი ქალაქია მსოფლიოში: თუ ლონდონში წელიწადში 96 დღეა ღრუბლიანი, ჩუნცინში ეს ციფრი 166-ს აღწევს. ამბობენ, აქ ზამთარში დაბადებული ლეკვი მხოლოდ სამი თვის შემდეგ ნახულობს პირველად მზეს, ამიტომ მისკენ მიიწვეს და უყვებს, რადგან არ იცის, რასთან აქვს საქმე — რა საშიშროებას უქადის... ოფი-

ციალური მონაცემებით, ქალაქში 20 მლნ ადამიანი ცხოვრობს, არაოფიციალურით — 30 მლნ. ეს მოსახლეობით მეორე ქალაქია მსოფლიოში, მეხიკოს შემდეგ. არავინ იცის, რატომ მოგროვდა აქ ამდენი ადამიანი, მაგრამ ფაქტია: სიტყვა „ჩუნცინი“ „ორმაგი წარმატების ქალაქს“ ნიშნავს.

ეს ჩვეულებრივი თანამედროვე ქალაქია, სადაც მრავლად არის ცათბუჯენი. ფართო ავტომანქანატრასებითა და ხუთვარსკვლავიანი სასტუმროებით აქ ვერავის გააკვირვებ. მოძრაობა ძალზედ ინტენსიურია და სხვა ჩინური ქალაქებისთვის დამახასიათებელ ველოსიპედებსაც იქ ვერ ნახავთ... ჩუნცინი ხმაურიანი ქალაქია. ქალაქის მკვიდრი ამბობენ, აქ უფრო მეტი ხმაურია, ვიდრე თვით ნიუ-იორკშიო. ჩინელებს ეს ძალიან მოსწონთ. ისინი ხშირად გაიძახიან: როდესაც გარშემო ხმაურია, სულის სიმშვიდეს გრძნობ, ვინაიდან გარშემო ბევრი ხალხია და საშიშროება არ გემუქრება, ხოლო როცა ხმაური არ არის, ე.ი. უბედურებას უნდა ელოდო...

ჩინელები, ფაქტობრივად, ყველგან ვაჭრობენ. შევაჭრება მაღაზიაშიც ხდება, თუმცა საქონლის ფასი განსაზღვრულია, მაგრამ შეგიძლია დააკლებინო. მთავარია, არ მოგერიდოს. ერთხელ როზმერიმ გამაკვირვა: მას ბავშვის შარვალი მოეწონა და გამყიდველს ფასი ჰკითხა. გამყიდველმა 50 იუანი დაუფასა. როზმერიმ თვალის დაუსამხამებლად 10 იუანი შესთავაზა... ვერ წარმომედგინა, თუ ასეთ ლაპარაკს აზრი ექნებოდა, მაგრამ გამყიდველი 15 იუანზე დათანხმდა...

გაგონილი მქონდა, ქვეყანაში ჯიბიგრიბი ბლომად არიანო, მაგრამ ამდენი სიარულის მიუხედავად, მე ისინი არსად შემიძინევია... ქალებსაც მშვიდად შეუძლიათ ისეირნონ: „შებმას“ არავინ დაუწყებს და მით უმეტეს, შეურაცხყოფას არ მიაყენებს. ჩინელი კაცები ოდითგანვე მორიდებულიობით გამოირჩეოდნენ.

საინტერესოა, რომ საქმიან ქალებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია, მეტსახელად ცისის ეძახიან. ცისი ჩინეთის იმპერატორის ქვრივი იყო, რომლის 40 წლიანი ბატონობის განმავლობაში, ვერც ერთმა მამაკაც-

მა ვერ წაართვა ქვეყნის მართვის სადავეები...

ჩინელები ერთი საინტერესო თვისებით გამოირჩევიან: თუ რაიმე კონფლიქტურ სიტუაციას შეესწრებიან, ნებისმიერი საქმე ავიწყლებათ და თვალყურს ადევნებენ გათამამებულ სცენას — თუმცა, არასდროს არ ერევიან. საერთოდ, მშვიდი ხალხია, იშვიათად იჩენენ აგრესიულობას და წამოჭრილ პრობლემებსაც წყნარად წყვეტენ ხოლმე. იმ იშვიათ შემთხვევაში, თუ ორ ჩინელს შორის სერიოზული ჩხუბი მოხდა, ისინი სამუდამოდ მტრებად დარჩებიან. აქედან გამომდინარე, ისინი პირდაპირ არ „ეგვანებიან“ ერთმანეთს და საქმეს დიდხანს არჩვენ ხოლმე: მასხოვს, ერთხელ, დილით საავტომობილო ავარიას შევესწარი და სადამოს, იმავე ადგილას რომ გამოვიარე, საქმის გარჩევა კიდევ გრძელდებოდა...

### რას არ გაიგებ და ნახავ კაცი ჩინეთში?

კუ ჩინეთში ბედნიერების სიმბოლოა. კუს გამოსახულებას განცალკევებით იშვიათად ნახავთ: „ჩვეულებრივ, წყვილი ან მთელი ჯგუფი გამოგეცხადებათ“. ჩინელი კუს ორს ან უფრო მეტს ყიდულობს: მან იცის — რამდენ კუსაც შეიძენს, იმდენი ბედნიერება მიუკაჯუნებს კარზე... კუსადმი მოწიწების მიუხედავად, მისგან დამზადებული კერძი ყველაზე სასურველია ჩინელისთვის. კუს ხარშავენ სწრაფად — საამისოდ 5-6 წუთია საკმარისი. კუს ხორცი ზოგს გველისას ახსენებს, ზოგს ქათმისას... ჩინელები ამბობენ, რომ ის სექსუალურ პოტენციას აძლიერებს...

— რა არის, როზმერი, კაცები ისეთი სუსტები გყავთ, რომ კუს ხორცი ბევრი უნდა ჭამონ?... — გავვხუმრე ერთხელ ჩემს მეგზურს.



# რეაქციონარული უაზრობა



ნუ აღვითაცებს დიდება, ნურცა პირისპირ ქებანი.

**არჩილ მეფე**

რჩევის თხოვნა — უდიდესი ნდობაა, რაც შეიძლება კაცმა კაცის მიმართ გამოიჩინოს.

**ფრენსის ბეკონი**

სისულელეა შეუდგე იმის გაკეთებას, რისი ღონეც არ შეგწევს. გააფუჭებ.

**ნიკოლოზ ჩერნიშევსკი**

არ უძებნია კალთა მფარველის, არც თავხედურად არ იწევს მთაში. ძლიერი კაცი შეიწვეს არ ელის, საყრდენს პოულობს საკუთარ თავში.

**ბეროვი**

დაბნეულად ლაპარაკი ყველას შეუძლია,

დალაგებულად ლაპარაკი — ცოტას.

**გალილეო გალილეი**

სიბრძნის დაუფლება გვამაღლებს და გვაქცევს ძლიერ, დიდსულოვან ადამიანად.

**იან ამოს კომენსკი**

მძულს უეცი, სხვათა მასწავლებელი.

**კასია**

გულითადი მეგობრისთვის სიცოცხლესაც ვკარგავთ, მაგრამ მტერი და მოყვარე გაარჩიე კარგად.

**ჯამი**

ჭკვიანი კაცი ხშირად ჩქარობს, მაგრამ ნაჩქარევად არაფერს აკეთებს.

**ფილიპ ჩესტერფილდი**

— ეგ რა არის — შენ ახალდაქორწინებული ჩინური ოჯახი უნდა ნახო: ქვაბებით ჭამენ... — ეშმაკურად გამიღიმა როზმერი.

— ახლა კი მივხვდი, რატომ არიან ჩინელები მსოფლიოში ყველაზე მეტნი... ორივეს გულთანად გაგვეცინა...

ჩინეთზე საუბრისას, არ შეიძლება გვერდი აუვართ საყოველთაოდ ცნობილ ჩინურ მედიცინას. ჩვენი აფთიაქებისგან განსხვავებით, იქაური აფთიაქი მინი-ბოტანიკურ ბაღს უფრო მოგაგონებს: დახლები ათასნაირი მცენარეულობითა და ფესვებით არის სავსე. ჩინელები ქიმიურ აბებზე მეტად, ბუნებრივ საშუალებებს ენდობიან. აფთიაქებში აუცილებლად მოჭრათ თვალს გამხმარ ხოჭოებს, გველებს, რქებს და სხვადასხვა ცხოველის ტყავს. ამას ყველაფერს თავისი დანიშნულება ჰქონია...

— აკაკი, ისეთი რაღაც მინდა გიჩვენო, რომ ჩინეთი სამუდამოდ დაგამახსოვრდებოდა... — მითხრა ერთ დღეს როზმერი.

— მაინც რა არის ასეთი?

— ხილერები გაგივია?

— ქილერი? როგორ არა...

— ქილერი კი არა — ხილერი. ეს არის ადამიანი, რომელიც უდანოდ აკეთებს ოპერაციებს... — ამიხსნა როზმერი. უამრავი კითხვა გამიჩნდა. როზმერიმ თქვა — მოსმენილს დანახული სჯობსო და იქ წამიყვანა, სადაც ისეთი რამ ვნახე — ფოტოაპარატი რომ არ მქონოდა, იმის უტყუარობას ჩვენში არავინ დამიჯერებდა.

ექიმებისგან განსხვავებით, ხილერები რთული ქირურგიული ოპერაციების დროს, დანასა და ნარკოზს არ ხმარობენ. ოპერაციებს პირდაპირ ნათესავებისა და მყურებლების თვალწინ აკეთებენ. ერთ ასეთ ოპერაციას მეც დავესწარი. გაოგნებული დავრჩი...

15-ოდე მაყურებელი ვიყავით. საოპერაციო ოთახსა და ჩვენ შორის შუშის კედელი იყო, რაც იმის საშუალებას გვაძლევდა, რომ ყველაფერი მკაფიოდ დავვე-

ნახა. იმ დღეს ოთხი ოპერაცია უნდა ჩატარებულიყო. მე და როზმერის მარტო ერთზე დავვრთეს დასწრების ნება, ვინაიდან სხვა პაციენტებს ბევრი ნათესავი ჰყავდათ და მათ არ უნდოდათ, უცხოებიც ყოფილიყვნენ...

ოპერაციას ერთი ხილერი და მისი დამხმარე ასრულებდნენ. საოპერაციო მაგიდაზე ახალგაზრდა ქალი დააწვინეს. მას ხის ვჯარი დააკავებინეს, რამდენიმე სიტყვა უთხრეს და საქმეს შეუდგნენ. ხილერმა თითები დააჭირა მუცელზე. უმაღლესი სისხლმა ამოხეთქა, ხილერის მუშტმა პაციენტის მუცელში შეაღწია... ხილერმა მუცლიდან პატარა ხორცის ნაჭრების ამოღება დაიწყო... სანახაობა იმდენად შემზარავი იყო, მაგრამ ამავე დროს იმდენად დიდი იყო ინტერესი, რომ ბოლომდე მედგრად გაუძელი. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მწოლიარე ავადმყოფი სრულიად ფხიზლად იყო და მშვიდად აკვირდებოდა მთელ ამ პროცესს...

ხილერებს ძალიან ბევრი პაციენტი ჰყავთ და მკურნალობაც ძვირი ჯდება. ისინი თავიანთ სამკურნალო საიდუმლოებებს არ ამჟღავნებენ, მაგრამ ფაქტია, რომ მათ ხალხი ენდობა და ჩვეულებრივ ექიმთან მისვლას, ხილერებთან მკურნალობას ამჯობინებს...

როცა მარინას ნანახის შესახებ მოვუყვები, არ დამიჯერა. იმდენად გაგაბრიყვა იმ გომბეშომ, რომ „ფოკუსნიკები“ ექიმებისგან ვერ გააგრიყვიათ?! ფოტოსურათები რომ ვაჩვენე, მაინც არ იჯერებდა: „ოპტიკური“ ტყუილიაო. გინდ დამიჯერეთ, გინდ არა — ხილერები ადამიანებს მართლა მკურნალობენ და ვინც მათ ნახვას მოინდომებს, ნებისმიერ დროს შემიძლია მათი მისამართები გადავცე...

ძალიან საინტერესო ქვეყანაა ჩინეთი. ყველას ვურჩევ: თუ იქ წასვლის შანსი ჩაგივარდებათ ხელში, აუცილებლად გამოიყენეთ: დარწმუნებული ვარ, ძალიან კმაყოფილი დარჩებით... ■



### კახა მაისურაძე

## 1924 წლის აჯანყების მომზადება

1924 წლის აჯანყებისთვის მზადება, 2 წლით ადრე ხევესურეთის აჯანყების ჩახშობისთანავე დაიწყო. ამჯერად მთავარი პასუხისმგებლობა საფრანგეთში გადახვეწილმა ემიგრანტულმა მთავრობამ აიღო. 1922 წლის ნოემბერში პარიზიდან ჩამოვიდა ნოე ჟორდანიას მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი ნოე ხომერიკი. ჩამოსვლისთანავე ის სათავეში ჩაუდგა აჯანყების მზადებას და პრაქტიკულად, მომავალ მეამბოხეთა ერთპიროვნული წინამძღოლი გახდა.

როგორც ამბობდნენ, იგი დამოუკიდებლად, „დიქტატორულად“ ფლობდა და მართავდა სიტუაციას, „დამკომიც“ კი, (დამოუკიდებლობის კომიტეტი – აჯანყების ორგანიზაციის ცენტრალური ორგანო) თითქმის საკუთარ აპარატად აქცია. ნოე ხომერიკის აქტიური ძალისხმევით მნიშვნელოვნად გაძლიერდა „დამკომთან“ არსებული „სამხედრო კომისია“, სადაც ხომერიკმა გვერდში ეროვნულ-დემოკრატი, მომავალში გამოჩენილი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ამოიყენა. თუმცა ის „ჩეკამ“ (ბოლშევიკთა სადამსჯელო-საგანგებო კომისია) ძალე დააპატიმრა და იგი მეორე ეროვნულ-დემოკრატი – გიორგი წინამძღვრიშვილმა შეცვალა.

1923 წლის აპრილში გაიმართა „დამკომის“ „საიდუმლო სამხედრო ყრილობა“, რომელზეც აჯანყების საერთო გეგმა შემუშავდა. ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, აჯანყების მთავარი სტრატეგიული სამიზნეები თბილისი და ბათუმი უნდა ყოფილიყო. ამავე ყრილობაზე წაიკითხეს და მიიღეს ფიცის ტექსტი, რომელიც შემდგომ „დამკომის“ წევრმა სოლომონ ზალდასტანიშვილმა კახეთში მყოფ ქაქუცა ჩოლოყაშვილს გაუგზავნა. ქაქუცამ იგი მაშინვე მიაღებინა თანამებრძოლებს და აქედან წარმოიშვა მათი საისტორიო სახელი – „შეფიცულნი“...

1923 წლის შემოდგომაზე შეთქმულთა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა: ნოემბერში „ჩეკამ“ მათ კვალს მიაგნო. 9 ნოემბერს თვით ნოე ხომერიკი დააპატიმრეს. დაპატიმრებული ხომერიკის ადგილი მისმა უახლოესმა თანამებრძოლმა გოგიტა ფალავამ დაიკავა, რომელმაც აქტიურად განაგრძო წინამორბედის საქმი-

საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციამ ქართველი ერის მძლავრი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია. თავდაპირველად, ეროვნულ-განმათავისუფლებელ გამოსვლებს ქვეყნის ცალკეულ კუთხეში პქონდა ადგილი (1921 წლის სვანეთის და 1922 წლის ხევსურეთის აჯანყების შესახებ იხ. „გზა“ №20,24), მაგრამ მათი დამარცხების შემდგომ ნათელი გახდა, რომ დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღდგენა ცალკეულ მხარეში ლოკალიზებული გამოსვლებით შეუძლებელი იყო. საქართველოს ბუდი მოლოდ ერთიან მოქმედებას უნდა გადაეწყვიტა.



ქაქუცა ჩოლოყაშვილი (მარჯვნივ) შეფიცულებთან ერთად

# 1924 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება

ანობა. ფალავასთან და „დამკომის“ სამხედრო კომისიასთან ერთად, აქტიურად მოქმედებდა „დამკომის“ პოლიტიკური ხელმძღვანელობაც. პირველი თავმჯდომარის ნიკოლოზ ქარცივაძის დაპატიმრების შემდეგ, ახალმა თავკაცმა კოტე ანდრონიკაშვილმა (სოც-დემოკრატი) და მოადგილემ იასონ ჯავახიშვილმა (ერ-დემოკრატი) ფუნქციებიც გაიანაწილეს. პოლიტიკურ მუშაობას ხალხში სწორედ ესენი – თავმჯდომარე და მოადგილე ედგნენ სათავეში. სამხედრო-საომარ საქმეებს კი „სამხედრო კომისია“ – (გ. ფალავა, ვ. ნოღია, გ. წინამძღვრიშვილი და ს. ზალდასტანიშვილი) განაგებდა. კომისიის წევრები დაუკავშირდნენ სამაზრო პოლიტიკურ ორგანიზაციებს, სამხედრო ყაიდაზე მათი გარდაქმნის მიზნით. რეგიონში შეიქმნა შესაბამისი სამხედრო ქვეკომისიები, რომლებიც თავიანთ უბნებში ხალხს აღრიცხავდნენ და „ხუთეულებად“, „ათეულებად“ და „ასეულებად“ აყალიბებდნენ. მაგალითად, თბილისში ასეუ მუტი ასეთი ათეული ჩამოყალიბდა, რომელიც

პარტიული ნიშნით იქმნებოდა: 40-40 ათეული – მენშევიკებმა და ეროვნულ-დემოკრატიებმა ჩამოაყალიბეს, დანარჩენი – ფედერალისტებმა, ესერებმა და „სხიველებმა“ (სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან 1921 წლის 11-12 თებერვალს გასული ჯგუფი).

თეილი საქართველო საძოქელო რაიონებად დაიყო. რაიონებში დაინიშნნენ სარდლები და მათი თანამეშვეები და იქვე, სამხედრო მეთაურებთან, – „დამკომის“ პარტიული წარმომადგენელნი.

თავდაპირველად, აჯანყება 1924 წლის თებერვალში დაინიშნა. მაგრამ, ეს გეგმა ვერ განხორციელდა: სწორედ თებერვლის შუა რიცხვებში „ჩეკამ“ ერთიმეორის მიყოლებით, დააპატიმრა „დამკომის“ სამხედრო კომისიის თავმჯდომარე და წევრები: გოგიტა ფალავა, გიორგი წინამძღვრიშვილი და ნაპოლეონ კახიანი. ცენტრალური სამხედრო კომისია ფაქტობრივად, მთლიანად ჩაყარდა. მისი ფუნქციები თბილისის ქვეკომისიამ (ვანო ნოღია და სოლომონ ზალდასტანიშვილი)

გადაიბარა.

1924 წლის მაისში საზღვარგარეთიდან ფარულად ჩამოვიდნენ ემიგრანტული მთავრობის წევრები – ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი და ვლასა მგელაძე. ივნისის ბოლოს, „დამკომმა“ მიიღო ნოე ჟორდანიას წერილი, რომელიც აჯანყების დაწყების ფაქტობრივ ღირებულებას წარმოადგენდა, ხოლო მისი განხილვიდან უმოკლეს პერიოდში – ივლისის დამდეგს შედგა „პარიტეტული კომიტეტის“ („დამკომის“ მეორე სახელწოდება) სხდომა. სამხედრო კომისიის წევრის სოლომონ ზალდასტანიშვილის მოხსენების თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყების ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომელსაც 600 მეომარი ჰყავდა, დასავლეთ საქართველოში კი ძალები ამგვარად განაწილდა: გურიას გამოჰყავდა 700 კაცი, სვანეთს – 600, სამეგრელოს – რამდენიმე ასეული, ბათუმს – 300 უიარალო. თბილისში იმედოვნებდნენ 500 შეიარაღებული მენშევიკის, 150 ეროვნულ-დემოკრატიისა და 60 ესერის (სოც-რევ-ოლუციონერი) გამოყვანას.

ზალდასტანიშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდით, აჯანყებულებს 10-11 ათასიანი სამთავრობო ჯარი დაუპირისპირდებოდა. ივლისის დამდეგს შედგა „პარიტეტული კომიტეტის“ მეორე სხდომა, რომელზეც სოციალ-დემოკრატებმა და ეროვნულ დემოკრატებმა მიაღწიეს საბოლოო შეთანხმებას აჯანყების ვადების შესახებ. დაინიშნა აჯანყების დღე – 17 აგვისტო და მთავარსარდალი – გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე. გამოსვლა სხვადასხვა რეგიონში ერთ დღეს, ერთსა და იმავე დროს, ხელისუფლებისთვის მოულოდნელად უნდა დაწყებულიყო. თბილისიდან 20 კილომეტრზე, ნახშირგორასთან, ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის შეფიცულებით უნდა დაბანაკებულიყო. იქვე უნდა მისულიყვნენ მიხეილ ლაშქარაშვილი, გიორგი ნაცვლიშვილი და ელიზბარ ვაჩნაძე, ქართლისა და კახეთის სხვადასხვა რაზმით. აჯანყებულები, ცაგურიას მეთაურობით, ვაზიანში განლაგებულ 120 ზარბაზნიან რუსულ არტილერიას უნდა დაუფლებოდნენ და იქიდანვე, ნავთლუღის გზით შემოჭრილიყვნენ თბილისში. პარალელურად, უნდა განხორციელებულიყო შეტევა მანგლისის მხრიდანაც. მაგრამ საოკუპაციო ხელისუფლება – „რევკომი“ და „ჩეკა“ არ მჯდარან გულხელდაკრეფილები. 7 აგვისტოს – ე.ი. აჯანყების დაწყებამდე

ათი დღით ადრე, „ჩეკამ“ დააპატიმრა ვალიკო ჯუღელი – დაგეგმილი აჯანყების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, იმ დროს უკვე ერთნაირად აღიარებული და პოპულარული, როგორც საქართველოში, ისე ემიგრანტ ქართველობაში.

ჯუღელი პირველად დაჰკითხა რუსმა „ჩეკისტმა“ მოროზოვმა, რომელმაც პატიმარს აჯანყების გეგმაც კი უჩვენა, ვილაც შინაურისგან გაცემული... ჯუღელმა საპატიმროში თვითმკვლელობა სცადა: აღესილი კოვზითა და ჟანგისგან შეჭმული ლურსმნით მარცხენა ხელის არტერია გადაიჭრა, მაგრამ მიუსწრეს და სიკვდილი არ დაანებეს. ჯუღელის მეორე დაკითხვა უშუალოდ „ჩეკას“ უფროსის მაშინდელმა მოადგილემ ლავრენტი ბერიაშვილმა ითავა. „რამდენიმე დღით გამოთავისუფლეთ პატიმრობიდან; დამალვივით საწამლავი, სამი დღის მერე რომ იმოქმედებს – და სისხლის ღვრა აღარ იქნება საჭირო“, – უთხრა ჯუღელმა ბერიას, რომელმაც ეს წინადადება უარყო. მაშინ ჯუღელმა რამდენიმე წერილი გაუგზავნა „დამკომს“ და ხვეწნითა და მუდარით მოუწოდა, ხელი აეღოთ აჯანყებაზე: „აქ ყველაფერი იციან; ვილაცამ გაგვცა – ჩვენ შორის მოლაღატენი ყოფილან; ახლა გემუდარებით არ ჩაიდინოთ ის, რაის ყველაზე დიდი ენთუზიასტიც მე ვიყავი“. პასუხად „დამკომმა“ დაადგინა, რომ შეეწყვიტა ყოველგვარი კავშირი ვ. ჯუღელთან და მისგან გამოგზავნილი წერილიც უკანვე გაუგზავნა.

ამასობაში კი ბოლშევიკებიც მოსალოდნელი გამოსვლების თავიდან ასაცილებლად სათანადო ზომებს ღებულობდნენ. „რევკომის“ ბრძანებით, მანევრებზე გამზებული ჯარი სასწრაფოდ თბილისში დაბრუნდა, ქალაქს ალყა შემოარტყა და გზაჯვარედინები დაიკავა. საგანგებო წესებით, ქალაქიდან გასვლაც და შემოსვლაც სასტიკად აიკრძალა. მთელ ქალაქს მოდებული პატრული იჭერდა ყველას, ვინც საეჭვოდ მოეჩვენებოდა. რეპრესიებმა მოიცვა ბათუმიც: შეიპყრეს აჯანყების ყველა საგარეულო მეთაური, მათ შორის გენერალი ფურცელაძე. გურიაში ადგილობრივ მეამბოხეთა სარდალი გენერალი ყარალაშვილი დაატუსაღეს.


ასეთ ვითარებაში გამარჯვების რწმენა შეერყა თვით აჯანყების მთავარსარდალს – გენერალ სპირიდონ ჭავჭავაძეს. მან სამხედრო კომისიის წევრი ზალდასტანიშვილი იხმო და სთხოვა, „დამკომის“ წინაშე ასეთი წინადადებით წარმდგარიყო: ასეთ პირობებში საომრად



სოლომონ ზალდასტანიშვილი

გამოსვლა შეუძლებელია და ხელი ავილოთო. „დამკომის“ თანათავმჯდომარემ იასონ ჯავახიშვილმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ჭავჭავაძის განცხადებით განრისხებულმა ერთხანს მისი მთავარსარდალობიდან გადაყენება და მის ადგილზე ჩოლოყაშვილის დანიშვნაც კი მოითხოვა, მაგრამ „დამკომმა“ საბოლოოდ დაადგინა, მთავარსარდალის პოსტზე კვლავ გენერალი ჭავჭავაძე დარჩენილიყო. პარტიები აჯანყების მოწყობის საკითხზეც განსხვავებულ აზრს გამოთქვამდნენ: აჯანყებას მხარს უჭერდნენ სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ დემოკრატები და ესერები, „სხიველები“ კი მერყეობდნენ. ფედერალისტების წარმომადგენელმა სამსონ დადიანმა, რომელიც აჯანყების წინააღმდეგი იყო, პროტესტის ნიშნად სხდომაც კი დატოვა დემონსტრაციულად.

ბოლოს, „ერთმხრივად“ დადგინდა, რომ აჯანყება რამდენიმე დღით მაინც გადავადებულიყო და შიკრიკებიც მაშინვე დაიგზავნა ადგილებზე. 15 აგვისტოს სოლომონ ზალდასტანიშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკში გაემგზავრა. ბანაკი კი თითქმის ავსებული იყო მოლაშქრეებით. საერთოდ, ქაქუცას 600 მეომარიც საკმარისად მიაჩნდა თბილისის დასაუფლებლად: ერთ ღამეში გავრეკავ რუსებსო – დარწმუნებით ამბობდა იგი. მაგრამ ახლა, როცა ზალდასტანიშვილმა არასახარბიელოდ შეცვლილი მდგომარეობა აცნობა და აჯანყების დღის გადატანის გარდაუვალობაც შეატყობინა, „ქაქუცას გული გაუფუჭდა. დაღონდა, მაგრამ მაინც ბოლოს, იძულებული იყო „დამკომის“ და მთავარსარდალის დადგენილებას



ნოე ხომერიკი

დამორჩილებოდა“ (ნ. კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, 1996 წ.), თუმცა, აჯანყების ოქტომბრამდე გადადებს თვლიდა მიზანშეწონილად. „მანამ გლეხკაცი პურსა და ღვინოს არ დააბინავებს მათი ხელახლა გამოყვანა მეტად გამძლელება“, – აღნიშნავდა იგი.

ეს წინადადება გაიზიარა ზალდასტანიშვილმაც და აღნიშნული მოსაზრებითვე წარუდგა „დამკომს“. 24 აგვისტოს შეიკრიბა „დამკომის“ ბოლო სხდომა და დაადგინა: აჯანყება გადაეტანათ არა ოქტომბრამდე, ქაქუცას წინადადებისამებრ, არამედ რამდენიმე დღით და 17 აგვისტოს ნაცვლად, 29 აგვისტოს ღამის 2 საათზე დაეწყოთ.

## 1924 წლის აჯანყება

იმთავითვე ტრაგიკული ეს აჯანყება საბედისწერო გაუგებრობით დაიწყო – 29 აგვისტოს 2 საათის ნაცვლად 28 აგვისტოს 2 საათზე ე.ი. ზუსტად ერთი დღე-ღამით ადრე! და, რაც მთავარია, არა ერთსა და იმავე დროს სრულიად საქართველოში, არამედ მხოლოდ ჭიათურაში!..

ერთბაშად საყვირების სმამ შეარყია მდინარე ყვირილას ხეობა; მთელი ქალაქი, ჭიათურის მუშები და ახლომასლო სოფლების გლეხობა ერთ მთლიან ნიაღვრად, ეროვნული დროშების ფრიალით აცხადებდნენ საქართველოს გათავისუფლებას და დამოუკიდებლობის აღდგენას... ეს ამბავიც, აჯანყების წინამძღოლებზე ადრე, საოკუპაციო ხელისუფლებამ შეიტყო. სერგო ორჯონიკიძემ, საქართველოს ოკუპაციის „გმირმა“, მაშინვე ორივე

გზით – ხმელეთით და ჰაერით – ჯავშნოსანი მატარებლითა და თვითმფრინავით მიუსია ჭიათურას ჯარი. მთელ საქართველოში კომუნისტურმა ხელისუფლებამ საგანგებო წესები გამოაცხადა. სანამ „დამკომელები“ მაინცდამაინც 29 აგვისტოს გათენებას უცდიდნენ, „კომუნისტ ოკუპანტებს“ ერთი დაკვრით უკვე მოთავებული ჰქონდათ ჭიათურის კონტრრევოლუციის ლიკვიდაციაც და ყოველი ახალი გამოსვლის სასიცოცხლო წერტილიც (ნ. კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“).

29 აგვისტოს კი აჯანყება დაიწყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, მაგრამ ეს ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გამოსვლა მაინც ერთიან წინამძღოლობას მოკლებული და ამდენად, სწორედ ცალკეულ კუთხედ ლოკალიზებული აღმოჩნდა. სწორედ ამან მისცა საშუალება ორჯონიკიძეს, მოგვიანებით, მოსკოვში გამართულ საგანგებო პარტიულ პლენუმზე დიდი ამბით დაეტრახახა – მთელი ამ აჯანყების ლიკვიდაცია სამ დღეში მოვითავებოთ... მართლაც, 29 აგვისტოსვე ღამით, კახეთის ყველა ეროვნული ორგანიზაციის ხელმძღვანელი შეიპყრეს და დახვრიტეს. თბილისზე ორმხრივი შეტევის საომარი გეგმაც 29-შივე ჩაიშალა. პოლკოვნიკ ცაგურაის შენაერთმაც ვერ მოახერხა ვახიანის რუსული არტილერიის ხელში ჩაგდება. ცაგურიამ პატარძელის მილიციის განიარაღება სცადა, იქაც ვერაფერს გახდა და ბოლოს, გაწვილებული თბილისში მართლმართო გამოეცხადა სამხედრო კომისიის წევრ ზალდასტანიშვილს: სამაგიეროდ, ვახიანის რუსულმა არტილერიამ აჯანყებულებს შეუტია. დასავლეთიდან დაგეგმილი იერიშიც თავიდანვე განწირული იყო. ქაქუცასთან შეუთანხმებლად აჯანყების ვადის გადატანამ თავისი სავალალო შედეგი გამოიღო და დანიშნულ დღეს მის ბანაკში დაგეგმილი 600 მეომრის ნაცვლად, სულ 40-დან 60-მდე კაცი ძლივს გამოცხადდა. ამ მცირე რაზმით ჩოლოყაშვილი ჯერ მანგლისისკენ დაიძრა, შემდეგ დუშეთს მიაშურა. დუშეთი აიღო, იქიდან ზემო კახეთში გადავიდა, მერე გარდაბანში... კიდევ 10 დღე უტრიალა გარშემო თბილისს, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა და იმანაც საზღვარი გადალახა და თურქეთს შეაფარა თავი. ამასობაში აჯანყების ცეცხლი მოსდებოდა გურაის, იმერეთს, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს, მან გან-

საკუთრებულ მასშტაბს გურიაში მიაღწია და აჯანყების მეთაურის – გენერალ ყარალაშვილის დაპატიმრებამაც არ შეანელა საბრძოლო სულისკვეთება. იბრძოდა ყველა – დიდი და პატარა, კაცი და ქალი. აჯანყებულთა ხელში იყო გურიის ორი ცენტრალური – ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონი. 31 აგვისტოს მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს ოზურგეთზეც. მაგრამ ბოლოს, ისინი ბათუმიდან და სამტრედიიდან ჩამოსწრებულმა წითელმა რაზმებმა შეაჩერეს. 2 სექტემბერს კი უკვე აჯანყებულები მოაქციეს ალყაში წითლებმა, თუმცა ალყა მალე გაარღვიეს და ტყეებსა და მთებს შეაფარეს თავი.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა იმერეთშიც, სამეგრელოშიც, სხვა რეგიონებშიც.

სექტემბრის დასაწყისიდან თვით აჯანყების ორგანიზატორი მთავარი ორგანო „დამკომი“ გაანადგურეს. 4 სექტემბერს მცხეთაში შეიპყრეს მისი თავმჯდომარე კოტე ანდრონიკაშვილი და მდივანი იასონ ჯავახიშვილი. უკვე მეორე დღეს ისინი აიძულეს, კომუნისტურ პრესაში გამოექვეყნებიათ განცხადება, სადაც აჯანყებას ავანტიურად, ზოლო თვით „დამკომს“ დაწვლილად აცხადებდნენ.

ამრიგად, ბოლშევიკურმა საოკუპაციო რეჟიმმა კვლავ გაიმარჯვა. აჯანყება სისხელში იქნა ჩახშობილი. აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდნენ. მარტო სამეგრელოში, საშა გეგეჭკორის უშუალო ბრძანებით, 500-მდე კაცი დახვრიტეს. ტიპური იყო სენაკის მახრის კომუნისტი მეთაურის დაგითაის სიტყვებიც: „თითოეულ კომუნისტს ღვინოსავით გვეწყუროდა, გვესვა აჯანყებულთა სისხლი“...

სიმხეცის უპრეცედენტო მაგალითი ჭიათურაშიც ჩაიდინეს: ტყვეები სატვირთო მატარებლის ვაგონებში შერეკეს და ტყვეიამფრქვევით ერთიანად ამოჟლიტეს. ალბათ ამით იყო აღფრთოვანებული სერგო ორჯონიკიძე, როდესაც ტრაბახით აცხადებდა: „ამ ვაჟბატონებმა, აჯანყების გმირებმა“ ოდნავ გაგვაწმენდინეს თოფები“... იმდროინდელი „ცეკას“ მდივანი, ეს „გონებრივი საღისტი“ მიხეილ კახიანი გაზეთ „კომუნისტში“ იკვებნიდა: უხერხემლო მენშევიკებმა დატუსაღებული ერთი ჩვენი ამხანაგის დასჯაც ვერ გაბედეს, მაშინ როდესაც ჩვენ მათი ამხანაგები ათასობით დახვრიტეთო. ბოლშევიკების ამ „გმირული სიმტკიცის“ შედეგად, 1924 წლის აჯანყებას მინიმუმ 4 ათასამდე ქართველი პატრიოტის სიცოცხლე შეეწირა.

# შარლოტა რემპლინგი

## პარსკვლავი, რომელსაც მაყუარებლის შოკში ჩაშვებენ უოკში ჩაშვებენ უყვანს



შარლოტას უყვარს მაყურებლის შოკში ჩაგდება და თვლის, რომ ეს მსახიობის ბუნებაში ძევს. „ყოველ ჩვენგანში ზის ექსპიციონისტი, – ამბობს შარლოტა, – სხვაგვარად როგორ შევძლებდით სცენაზე გამოსვლას? თუ მსახიობს თვითკმაყოფილება არ ახასიათებს და ყველა საშუალებით ყურადღების მიპყრობას არ ცდილობს – არც ღირს ეს საქმიანობა შემდგომშიც განაგრძოს“.

თავის დროზე ბევრი არ ურჩევდა რემპლინგს ამ ფილმებში მონაწილეობას: თვლიდნენ, რომ ეს როლები დამლუბვლად იმოქმედებდა და დაანგრევდა მის შემდგომ კარიერას, მაგრამ ქალმა არჩევანი თავად გააკეთა და არც შემცდარა. მიუხედავად იმისა, რომ ახლა 70-იანი წლები არ არის და რეჟისორებიც ბევრად უფრო პროვოკაციულ ფილმებს იღებენ, „ღამის პორტიე“ დღემდე იწვევს ზოგიერთებში უსიამოვნო განცდებს.

შარლოტა რემპლინგი 1945 წლის 5 თებერვალს დიდი ბრიტანეთის ქალაქ სტერმერში დაიბადა. მამამისი ბრიტანეთის არმიის პოლკოვნიკი იყო. ქალიშვილის მიერ შემდგომში შესრულებული როლები პოლკოვნიკს შოკს ჰკვირდა. ცხოვრების გარკვეული პერიოდი მამის სამსახურის გამო ოჯახმა საფრანგეთში გაატარა. იქ შარლოტამ ფრანგული ენის შესწავლა დაიწყო.

შარლოტა ბავშვობაში მომღერლის კარიერაზე ოცნებობდა, ამიტომ, ინგლისში დაბრუნების შემდეგ, საშუალებას ხელიდან არ უშვებდა და დასთან – სარასთან ერთად ზეიმებსა და დღესასწაულებზე მღეროდა.

პოლკოვნიკ მამას მოთმინების ფიალა

მამის ავესო, როცა ორივე დამ ღამის კლუბიდან მიიღო მიწვევა. მამამ ქალიშვილები მდივან-რეფერენტის კურსებზე გააგზავნა.

შარლოტას მდივან-რეფერენტის უსახური სამუშაოს პერსპექტივა არ ხიბლავდა და ამიტომ თავისი კარიერა მოდელირებით დაიწყო – ერთ-ერთ სააგენტოში მივიდა და სულ მალე წარმატებასაც მიაღწია.

მოდელად მას დიდხანს არ უმუშავია. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, მან თავი მთლიანად კინოს მიუძღვნა. შარლოტა თვლის, რომ ადრე მოდელი გოგონები ტანსაცმლის უკეთ წარმოჩენას ცდილობდნენ, ახლა კი მხოლოდ საკუთარ თავს წარმოაჩენენ, ვარსკვლავური სახელის შექმნისკენ მიიღებენ. სამაგიეროდ, მსახიობს სილამაზე არ მოეთხოვება. მთავარი – ნიჭია.

რამდენიმე ეპიზოდური როლის შესრულების შემდეგ, შარლოტამ სამეფო სკოლაში, დრამატული ხელოვნების კურსებზე გადაწყვიტა სწავლა.

21 წლის იყო, როცა მისი და – 23 წლის სარა მოულოდნელად გარდაიცვალა სისხლის ჩაქცევით. ეს უმძიმესი დარტყმა გოგონამ დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოიშუშა.

1972 წელს შარლოტა თავის მენეჯერს – ბრაიან საუთკომბს გაჰყვა ცოლად და ვაჟი – ბარნაბი შეეძინა.

1976 წელს შარლოტამ წვეულებაზე კომპოზიტორი ჟან-მიშელ ჟარი გაიცნო და სულ მალე ბრაიანს დაშორდა. თავად ჟან-მიშელმა კი რემპლინგის გამო მუუღვლე და ქალიშვილი მიატოვა.

1977 წელს ჟან-მიშელსა და შარლოტას ვაჟი – დევიდი შეეძინათ, წვეილი

„ღამის პორტიე“ ვარსკვლავი შარლოტა რემპლინგი რისკიანი ქალის სახელით არის ცნობილი. თითქმის ოცდაათი წლის წინ ლილიანა კავანის ფილმში ის მაყურებლის წინაშე გრიმის წყალობით, ძალიან დამახინჯებული სახით წარდგა, რათა საკონცენტრაციო ბანაკის ტყვე ქალი განესახიერებინა, ახლა კი ისევ გარისკა და ფრანსუა ოზონის ფილმში — „ქვიშის ქვეშ“ მიიღო მონაწილეობა — მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მის გმირს აუცილებლად მას მიამსგავსებდნენ. სიუჟეტის მიხედვით, არცთუ ისე ახალგაზრდა ქალი ბოლომდე არ არის დაარწმუნებული, მისი ქმარი ზღვაში დაიხრჩო, თუ უბრალოდ მიატოვა ქალი. ცხოვრებაში კი 56 წლის შარლოტა რემპლინგი არცთუ ისე დიდი ხნის წინ ქმარს, კომპოზიტორ ჟან-მიშელ ჟარს დაშორდა. შარლოტა არც ცდილობს დამალოს, რომ ის და მისი ფილმის გმირი რალაციტ მართლაც ჰგავნან ერთმანეთს და მას ეს სრულიად არ აღელვებს.

ერთი წლის შემდეგ შეუღლდა და ბედნიერ ქორწინებაში 20 წელი გაატარა. ისინი ვერსალში, უზარმაზარ სახლში ცხოვრობდნენ.

თუმცა, 1997 წელს რემპლინგმა დიდი ცხოვრებისეული დარტყმაც მიიღო. ის და ჟარი დაშორდნენ, კაცი საცხოვრებლად ვერსალში დარჩა, შარლოტა კი პარიზში გადავიდა.

უკვე ოცდახუთი წელია მსახიობი პარიზში ცხოვრობს, მაგრამ თავს ნამდვილ ინგლისელად მიიჩნევს.

თავისი ერთ-ერთი რთული როლი შარლოტამ ნავისა ოშიმას ფილმში – „მაქსი,

### რემპლინგის ახალი შეყვარებული – ბიზნესმენი ჟან ნოელ ტასე



ჩემი სიყვარული“ შეასრულა. მან მაიმუნზე შეყვარებული ქალი განასახიერა. თავად მსახიობის თქმით, ეს იყო სიყვარულის მშვენიერი ამბავი, თუ როგორ ისწავლა ქმარმა, მაიმუნის წყალობით, საკუთარი ცოლის სიყვარული.

ფილმში „ანგელის გული“ შარლოტას, ჯადოქრობით გატაცებული ქალის როლი ერგო. თავად მსახიობსაც უსიტყვოდ სჯერა ჯადოქრობის. თურმე წინათ ის ხშირად აკითხავდა ქალს, რომელიც საოცრად კარგად მკითხაობდა ტაროს კარტის მეშვეობით. შემდგომში შარლოტა შეშინდა, რადგან ქალის წინასწარმეტყველება ზუსტად უხდებოდა ხოლმე. ამჟამად მსგავსი რამ მას აღარ იტაცებს და აღარ ცდილობს გაიგოს, თუ რა ელის მომავალში. „სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ იმას მოვისმენ, რისი მოსმენაც მსურს, – აღიარებს მსახიობი, – იქნებ, კარტმა უსიამოვნება მიწინასწარმეტყველოს? შემძლია კი წყნარად ვიცხოვრო უბედურების მოლოდინში? არა, ამჟამად ჩემთვის სულიერი სიმშვიდე უფრო მნიშვნელოვანია“.

„ანგელის გულში“ შარლოტას პარტნიორობა სკანდალური ხასიათით განთქმულმა მიკი რურკმა გაუწია. მასზე სხვადასხვაგვარი ჭორი დადიოდა, მიკის ჩხუბისთვის უწოდებდნენ და ამბობდნენ, რომ ის ალკოჰოლს ეტანებოდა.

შარლოტა კი მიკი რურკს მომხიბლავ ყმაწვილად მიიჩნევს და ამბობს, რომ გადაღებების დროს მათ შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდათ. „სიამართლე გითხრათ, არ ვიცი, როგორია ის ახლა. მაშინ ნამდვილი შფოთისთავი იყო – სულ ცდილობდა, ვინმესთვის რაიმე დამტკიცებინა. ეს უცნაურობა და უხეშობა ახალგაზრდული მაქსიმალიზმია, – ამბობს მსახიობი, – ყოველ შემთხვევაში, მე მას ასე ვაფასებდი. გული მწყდება, რომ ბოლო წლებში მიკი თვალთახედვის არედან დაგვარგე, არც კი ვიცი, რას საქმიანობს. სადღაც წავიკითხე, რომ კრივის შესახებ გადაღებულ მცირეტიუვეტიან ფილმებში მონაწილეობს. საწყენია: ის ნამდვილად ნიჭიერი იყო, გული მწყდება, რომ ეს თვისება ბოლომდე ვერ გამოავლინა“.

შარლოტა რემპლინგს შონ კონერისთან ერთადაც მოუხდა გადაღება. რურკისგან განსხვავებით, შონს უმწიკვლო რეპუტაცია აქვს: დახვეწილი მანერები, თუმორის შესანიშნავი გრძობა, ელეგანტურობა, ჭკუა, მომხიბვლევლობა...

რემპლინგი კი ამბობს, რომ შონი ცხოვრებაში ისეთი არ არის, როგორც ეკრანზე. თუკი კინოში კონერი ყველასგან აღიარებული სექს-სიმბოლოა, ცხოვრებაში ის ოდნავ მოსაწყენი პიროვნებაც კი ყოფილა. „ვერ ვიტყვი, რომ შონი ძალიან მას-

ვილგონიერი და მომხიბლავია, როგორც ამბობენ, – ამბობს შარლოტა, – გაცივებს ვერ ვძალავ, რა სასწაულის მოხდენა შეუძლია კინოკამერას და რამდენად დიდია განსხვავება რეალურ ადამიანსა და მის მიერ გასახიერებულ გმირს შორის“.


შარლოტა რემპლინგს დესპოტიზმით განთქმულ რეჟისორთან – ვუდი ალენთანაც მოუწია მუშაობა. ამბობდნენ, რომ ალენი მსახიობებს სცენარს გადაღების დღეს აკითხებდა და აიძულებდა, უსიტყვოდ აეტანათ მისი უემური ხასიათი.

შარლოტა და ვუდი ალენი ერთად 80-იან წლებში მუშაობდნენ. მათ გადაღებებზე ძალიან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ და ვუდი ალენიც წყნარი ახალგაზრდა იყო. რეჟისორის გარდასახვის მიზეზად კი შარლოტა მის ცოლს – მია ფეროუსა და იმ სკანდალს ასახელებს, რომელიც პრესაში ვუდისა და მისა გაფრისა და მისა მიერ ნაშვილები გოგონას გამოატყდა.

სერთოდ, შარლოტა თვლის, რომ ადამიანთა პირადი ცხოვრების პრობლემები ხალხის სამსჯავროზე არ უნდა იყოს გამოტანილი.

სხვა მსახიობებისგან განსხვავებით, შარლოტა არ მალავს, რომ რეგულარულად დადის ფსიქიატრებთან. თვლის, რომ საჭიროა, თავისი გამოცდილებით სხვებსაც დაეხმაროს. „ადამიანებმა უნდა იცოდნენ, როგორ დააღწიონ თავი რთულ სიტუაციებს. მე არასოდეს შემშინებია იმისი, რომ სხვებისთვის მომთხრო, რატომ წავედი კინოდან, რომ ძალიან მიჭირდა ბოლო შეიდი წლის განმავლობაში და რომ მხოლოდ უკანასკნელი ოთხი წელია, რაც ჩემს ცნობიერსა და ქვეცნობიერს შორის ჰარმონიის დამყარება შევძელი. იმედი მაქვს, ამას შევინარჩუნებ კიდევ“.

2000 წელიც მსახიობისთვის რთული აღმოჩნდა. ახალი წლის დამემე კი თურმე გარკვეული გარდამავალი ეტაპის როლი შეასრულა. მსახიობი თავის ცხოვრებაზე, საკუთარ თავზე ფიქრობდა, თავისებურად ახდენდა ფასეულობათა გადაფასებას. ამიტომაც 2001 წელს რომანტიკულად – ზღვაში ჩაკარგულ კუნძულზე შეხვდა.



შონ კონერისთან ერთად ფილმში „მარლოსი“



მიკი რურკთან ერთად ფილმში „ანგელის გული“



შარლოტა და ჟან-მიშელ ჟარი – 1993 წ.



ვაჟიშვილ – დევიდ ჟართან ერთად

# გიგო გაბაშვილი და ნათხოვარი სწიფით დაშთაჲრბელი ილია ჭავჭავაძის პორტრეტი

## ლელა ჰიყაშვილი

ზუსტად არავინ იცის, რა არის ადამიანის ილბალი ან უილბლობა. ზოგჯერ უზრუნველყოფილ ცხოვრებას მოაქვს უბედურება, ზოგჯერ პირიქით – დუხვირ ყოფას... მაგრამ არის განცდა, რომელიც ადრე თუ გვიან, ყველას ეწვევა – ეს ტკივილია, სულიერი ტკივილი. ალბათ ასეთი ტკივილით დაიწყო იმ ხელოვანის ცხოვრებაც, ვისზეც ახლა გიამბობთ. არ ვიცი, გაუხარდათ თუ ეწყინათ მისი დაბადება: იმ ამბის არც ერთი მომსწრე დღეს ცოცხალი აღარ არის... უფრო მეტად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არ გაეხარდებოდათ: „უკანონო შვილებს“ სიხარულით არ ხვდებიან – მით უმეტეს იმ დროს, 1862 წელს. „თბილისის მღაბიო მოქალაქეს თამარ ივანეს ასულ ნარეკლიძეს დაებადა უკანონო შვილი, რომელიც, რამდენიმე თვის შემდეგ საიდუმლოდ მონათლეს. დაბადების წიგნში ჩაიწერა მხოლოდ სახელი – გიორგი“.

აი, ასე... ცხოვრების ურთულესი ლაბირინთის სათავეში აღმოჩნდა პატარა ბიჭი... უმწყო, ღარიბი... ბიჭი, რომელსაც გვარიც კი მოსაპოვებელი ჰქონდა... მხოლოდ 1868 წელს „მეინიჭა გვარი – გაბაშვილი და თბილისის სახელმწიფო პალატამ იგი ჩარიცხა „მოხარკე მოსახლეთა“ შორის“.

გიგო გაბაშვილი...

მამამისი თბილისის დეპუტატთა პალატის თანამშრომელი ივანე გაბაშვილი იყო. 1865 წელს იგი ქოლერისგან გარდაიცვალა. საზოგადოებისგან მორალურად გარიყული საბრალო ქალი დღე და დამე ქარავდა, რომ შვილი ერჩინა. შეძლებისდაგვარად, განათლების მიღებაშიც დაეხმარა: თბილისის რეალურ სასწავლებელში მიაბარა... სწავლობდა ისე, დღეს რომ იტყვიან – ვაი, იმ სწავლასო! მხოლოდ ხატვის, ტანვარჯიშის და გეოგრაფიისადმი იჩენდა ინტერესს. სხვა საგნებს ვერ სწავლობდა. ხშირად ერთსა და იმავე კლასშიც რჩებოდა. განსაკუთრებით, საღვთო სჯული სძულდა: „მე სრულებით არ მაინტერესებდა საღვთო სჯულის გაკვეთილები. ვერაფრით ვერ გამეგო, რატომ უნდა ვმჯდარიყავ და მომესმინა ზღაპრები იმაზე, თუ როგორ ელოდებოდნენ უდაბნოში მყოფი ისრაელნი ციურ მანანას. ჩემი გული უფრო მტკვრისაკენ, სუფთა ჰაერზე მიმიწვედა“. გიგო ხატავდა, მთელ დროს თამაშს, ბანაობას, თევზაობას ანდომებდა. გაკვეთილებს აცდენ-



ილია ჭავჭავაძის პორტრეტი

და... ერთხელაც, ჩვეულების თანახმად, მტკვარში ჩავიდა საბანაოდ, ტანსაცმელი კი ნაპირზე დააწყო... ალბათ მიხვდით, რაც მოხდა: ნაპირზე ამოსულ პატარას ტანსაცმელი ადვილზე არ დახვდა. რა უნდა ექნა? დედიშობილა წასულა შინისაკენ... თუმცა, მაინც არ დაანება თავი მტკვარზე სიარულს. სწავლა არ ახსენდებოდა. დედამისიც, იძულებული გამხდარა, გიგო თბილისში მცხოვრები ერთი უცხოელის ოჯახში, დროებით მიეზარებინა. აქ ის მისივე ასაკის ორ სხვა ბავშვთან ერთად იზრდებოდა და გერმანულ და ფრანგულ ენებს ეუფლებოდა.

გავიდა ხანი. თამარ ნარეკლიძე პოლკოვნიკ ივანე რეჩკოვს გაჰყვა ცოლად. როგორც ჩანს, ოჯახმა მატერიალურად ცოტა ამოისუნთქა. გიგო შინ დააბრუნეს... 1887 წელს დედა ტუბერკულოზმა იმსხვერპლა.

სასწავლების დამთავრების შემდეგ თბილისის სასამართლო პალატის ერთ-ერთ უწყებაში დაიწყო მუშაობა „თავისუფალ“ მხაზველად. პარალელურად ხატავდა... გიგო გაბაშვილი პირადად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს. მათი ურთიერთობის შესახებ არტურ ლაისტიც წერდა. დიდი ილიას „ივერიაში“ სისტემატიურად იწერებოდა გიგო გაბაშვილის შემოქმედების შესახებ. მაგალითად, რამდენიმე ციტატას მოვიყვან: „შემდეგი სასიამოვნო ამბავი მოვიდა ვარძიიდან: ყველას გაეგონება, რომ ვარძიის მონასტერი ნაშრომ-ნაღვანია ჩვენთა წინაპართა. აქ ერთის ქართველის მინდობილობით მოვიდა ახალგზარდა მხატვარი ბ-ნი გაბაშ-



გიგო გაბაშვილი თავის სახელოსნოში. 1936 წელი

ვილი. მხატვარს გაუკვირდა და სთქვა: მთელს ვარძიის გეგმას, ეკლესიის მხატვრობას გარედამ თუ შიგნიდან და მეფეთა სურათებს, რაც უნდა მხატვარი იყოს და როგორც უნდა იშრომოს, ორს თვეს ვერ შეასრულებსო, თუ კი სულ მთლად გადაჰხატავსო. მუშაობას კიდევ შეუდგა, რასაც გააკეთებს, ვაცნობებთ მკითხველებს გაზეთის შემწობით...“ (1886. №169) ან კიდევ: „ბ-ნი გაბაშვილი ზაფხულისათვის საქართველოში აპირებს მოსვლას და აქ უნდა დაიწყოს ხატვა დიდი სურათისა, სურათს სახელად ერქმევა „ქელები“, ანუ როგორც ჩვენში ამბობენ, ალაპი, რომელსაც გადაიხდინან ხოლმე მიცვალებულის სულის მოსახსენებლად“ (1887. №58).

გიგო გაბაშვილის ოცნება, ილია ჭავჭავაძის პორტრეტის დახატვა ყოფილა, მაგრამ დიდ ერისკაცს ვერ შეჰბედა თურმე პოზირების თხოვნა... და აი, 1907 წელს, როგორც ექნა, გადალახა მორიდება. ილია დათანხმდა, რამდენიმე შეხვედრაც მოხდა. გიგო გაბაშვილს მხოლოდ სერთუკი და მარჯვენა ხელი დარჩა დასახატი... მხატვარმა შეწყვიტა მუშაობა და დროებით ყუბანში გაემგზავრა. რა იცოდა, რომ ცოცხალს ვეღარ ჩამოუსწრებდა ილიას?.. მისი პორტრეტის დასამთავრებლად ისეთი ნატურის პოვნა იყო საჭირო, ვინც აღნავობით, კანის ფერით ემსგავსებოდა ილიას. ბოლოს მიაგნო და აირჩა თბილისში მცხოვრები, ეროვნებით სერბი პოლკოვნიკი შკაბიცი. ამ უკანასკნელს ჩააცვა დავით სარაჯიშვილისგან ნათხოვარი სერთუკი, რომელიც ილიას სერთუკის მსგავსი იყო და პორტრეტი დაამთავრა. სხვათა შორის, პორტრეტის ეს ნაწილი ძალიან სუსტია...

1885 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღეს თავისუფალ მსმენელად. უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა, თვითონ გიგო გაბაშვილი უამბობდა ახლობლებს: „კვირების განმავლობაში გარდა დიკის პურისა და ჩაისა, არაფერს ვჭამდი, მეტად ცუდად ვიციმვედი, ზამთარში, სუსხიან ყინვაში საციოდავი და ძველებური საზაფხულო პალტოთი დავდიოდი...“

მიუხედავად იმისა, რომ აკადემიაში სწავლის დროსაც ხელი შეეშალა, 90-იანი წლებისთვის გიგო გაბაშვილი უკვე სახელმწიფო მხატვარი იყო. მოგზაურობდა, ხატავდა, მონაწილეობდა გამოფენებში. აღიარება მოიპოვა არა მარტო სამშობლოში, არამედ საზღვარგარეთაც. მაგალითად, გერმანულ გაზეთ AUGSBURGER ABENDZEITUNG-ში აღტაცებული გამოხმაურება მოჰყვა მიუნხენში მოწყობილ გაბაშვილის გამოფენას: „გამოფენაში მონაწილეობა მიიღო ერთ-მა ახალმა, ნიჭიერმა ორიენტალისტმა მხატვარმა, აკადემისტმა გ. გაბაშვილმა... განსაკვირვებელია არტისტული შესაძლებლობა, ჰარმონია, რომელიც მოცემულია არქიტექტურისა და ცხოვრების თავისებური განწყობილების ოსტატურად განსახიერებაში“.

არჩილ ჯორჯაძეს კი, მაგალითად, გიგო გაბაშვილის შემოქმედება ნაკლებად მოსდოდა თვალში. თავის წერილში ის აღნიშნავდა: „თითქო რყევაშია ჩვენი მხატვარი, თითქოს ეძებს თავის თავს და ჯერ კიდევ ვერ გაუკაფავს საკუთარი გზა“. ეს წერილი დიდ გულისტკენად დარჩენია გიგო გაბაშვილს.

მატერიალური მდგომარეობა აიძულებდა, ხშირად პირდაპირ სახელოსნოდან გაეყიდა ნახატები, ისე რომ ხალხისთვის არ ეჩვენებინა, გამოფენაზე კი არ გაეიტანა. ძალიან ბევრს მუშაობდა. ამბობდა – ვერ წარმომიდგენია ცხოვრება ჩაუხრელი შრომის გარეშე: საბოლოოდ, სრულყოფილი განათლება მიიღო, იმდენად ბევრს კითხულობდა. ხშირად იმეორებდა ხოლმე: ხელოვნება და განათლება განუყოფელი მეგობრები არიანო...

გიგო გაბაშვილი კარგად უკრავდა. ერთ-ერთი თანამედროვე იხსენებდა: „მხატვარი თვითონაც კარგად ფლობდა ვიოლინოსა და ნეაპოლიტანურ ინსტრუმენტს ე.წ. „სკავინოს“. თითქმის ყოველ-

დღე მუშაობდა, შემდეგ სმენით უკრავდა ვიოლინოზე. მას შეეძლო 2 საათის განმავლობაში სულ ახალ-ახალი რამეები დაეკრა: ხალხური სიმღერები: ქართული, რუსული და გერმანული. სხვადასხვა ოპერის ნაწყვეტები. შებინდებისას, როცა იგი მუშაობით დაიღლებოდა, თავის ვიოლინოს აიღებდა და მე „კონცერტზე“ მიმიხმობდა ხოლმე. ეს კონცერტი მუდამ იწყებოდა „ბაგარიული“ მუსიკით, რომელსაც თვითონვე თხზავდა და „გაბაშვილის მარშს“ ემახდა. შემდეგ უკრავდა სხვადასხვა ხალხურ სიმღერებს, რომელთაგან მას ყველაზე მეტად უყვარდა ერთობ ნაღვლიანი გერმანული სიმღერა VERTASSEN... კონცერტი ყოველთვის თავდებოდა ილია ჭავჭავაძის ტექსტზე შექმნილი სიმღერით „გაზაფხული“.

ძალიან უყვარდა ცხოველები და ფრინველები. ის ყიდულობდა სკვინჩებს, ჟიჟივებს უშვებდა სახელოსნოში და ხარობდა მათი ფრენით. მერე გაულებდა ფანჯარას და უშვებდა.

გულისხმიერი და სათნო ადამიანი გახლდათ. ერთხელ მასთან მივიდა სტუდენტი, გვარად ბილანიშვილი და უთხრა: ჩვენი სტუდენტი ტოფაძე დღითი დღე ღნება; იგი ღარიბი მშობლების შვილია, შინიდან დახმარებას ვერ ღებულობს; ახლა, ერთ სამუშაოს სთავაზობენ, მაგრამ არა აქვს ადგილსამყოფელი, სადაც ამ შეკვეთას შეასრულებდა, რადგან რაღაც ბნელ გალიაში ცხოვრობსო... გიგო გაბაშვილმა სთხოვა, ეს სტუდენტი მასთან მიეყვანათ. როცა ტოფაძე მიუყვანეს, უთხრა: „მე მარტოკა, მოწყვნილი ვმუშაობ ხოლმე ისეთ დიდ სადგომში, როგორც ჩემი სახელოსნოა. გავიგე, რომ თქვენ შეკვეთა უნდა მიიღოთ. მოიტანეთ თქვენი ტილო და ჩემთან შეასრულეთ შეკვეთა. მოლბერტსა და საღებავებს ნუ მოიტანთ, რადგან მე ბევრი მაქვს“. ამ ამბის შემ-



ავტოპორტრეტი

დეგ გავიდა წლები. ტოფაძე მძიმედ დაავადდა. გიგო გაბაშვილთან მივიდნენ და უთხრეს: უკანასკნელ დღეში მყოფი თქვენი ყოფილი სტუდენტი თქვენს ნახვას ითხოვსო. მართლაც, ბოლო წუთებში მიუსწრო: ტოფაძეს ლაპარაკი აღარ შეეძლო, აგონიაში იყო, ხელით ანიშნა გაბაშვილს, ახლოს მოდიო. როცა უკანასკნელად დაიხარა ოსტატი შეგირდის საკოცნელად, ტოფაძემ გაიღიმა და ყურში ჩაუჩურჩულა: „შენი ჭირი...“

1936 წელი... გიგო გაბაშვილი თითქოს სიკვდილისთვის ემზადება. სადილზე მოიწვია მეგობრები. ერთ-ერთ მათგანს გამოუტანა 1884 წელს ფარში დახატული პორტრეტი-მონასში თვით გიგო გაბაშვილისა, რომელიც საგანგებოდ ჰქონია შენახული და ნაღვლიანი ხმით უთხრა: ამას შენ უკეთ შეინახავო. სამი დღის შემდეგ ბათუმში გაემგზავრა, იქიდან ცხისძირში...

1936 წლის 28 ოქტომბერს, ღამით გულის შეტევით გარდაიცვალა. თავის ოთახში იპოვეს ხალათითა და ცალი ფეხსაცმლის ამარა. როგორც ჩანს, ძალიან მოულოდნელად დაატყდა სიკვდილი თავს. ცოტა ხნით ადრე კი, სინანულით უთქვამს

ახლობლებისთვის: „ახალგაზრდობა იმიტიც არის კარგი, რომ მაშინ სიკვდილზე არასოდეს არ ფიქრობენ“...

ასეთი გზა განვლო პატარა ბიჭმა, რომელმაც მთელი ცხოვრება გაჭირვებისა და დაბრკოლებების გადალახვაში გაატარა, მაგრამ დიდი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის შედეგად, მხატვარი გახდა – დიდი ქართველი პორტრეტისტი, რომლისგანაც ბევრი შემოქმედი ბავშვობაში ხელოვნების ანბანს სწავლობდა... ■

ალავერდობა



მეზობელმა ოთხი ათას დოლარად ავტოფარეხი შეიძინა. ნოტარიუსთან და ტექნიკურ ბიუროში სპეციალური ქაღალდების გაფორმების შემდეგ, ნანას თანხა ჩაუთვალეს. ცამეტი აბრილი იდგა, როდესაც ნანა გიორგისთან მივიდა და ათასი დოლარი მისცა.

– სწორია, – ფული გადათვალა გიორგიმ, – აქედან ნაწილი ჩვენს შვილიშვილს მოვანთლავ, ვალებს გაეისტუმრებ, ცოტას ჩავემშობლები და ფაფუ ფული. ამქვეყნად ფულს ფასი არა აქვს, წყალივით მიდის, – ნანას შეხედა, – არ ჩამოვორდები?

– ჩემნარი ქალი ასე დოლარი ღირს, გადამიხადე და ჩავევორდები.

– ტოროს ლუმბ, კიდევ რა გინდა? – სიცილით ჰკითხა გიორგიმ ყოფილ ცოლს. ნანამ გაიხადა და საწოლში შეწვა.

– გოგო, ათასი დოლარი კიდევ მომეცი და შენს ბიძაშვილს, აჩიკოს ჩაუტან. ბოლოს და ბოლოს, მაგისი სახლის ავტოფარეხი გავყიდეთ. ცოლია, ციხეში ჩაღაპა ბიჭი.

– არ შემოიძლია, ვალები მაქვს მისაცემი, – უპასუხა ნანამ.

სადამოვებოდა, როდესაც ქალი თავისი მშობლების სახლში წავიდა.

მეორე დღეს ნანას ქალთა კონსულტაციაში ელზამ მიაკითხა, ქალური პრობლემები აწუხებდა. მეგობარმა გასინჯა და მკურნალობა დაუნიშნა.

– რა ჰქენი, ფული მიეცი? – ჰკითხა ელზამ.

– ჰო, ათასი დოლარი მივაშავე.

– რაო, რა თქვა?

– სისულელეებში აპირებს დახარჯვას.

– სულელია და აბა, რას იზამს? ისე, რა ჭკუაზეა?

– ძალიან ხშირად სვამს, თვალებს ქვემოთ იმხელა ტომრები ჰკიდია, რომ შეგეშინებდა.

– ეგ კი, მაგრამ ვინმეს ხომ არ ხვდება?

– არა, რას ამბობ, როგორც თვეში ანკესზე, ისე მყავს დათრეული, საწოლის სურვილსა და ენერგიას გამუდმებით ვაცლი. ასე, ნელ-ნელა და ბოლოს, ამდენი სმისგან წაიქცევა, მეც ეგ მინდა, რომ წაქცეული და გაუბეღურებული ვნახო.

– მეტის ღირსია, რაც მაგან ცხოვრება გავიმწარა, მეტის ღირსია, – გადაულაპარაკა ელზამ მეგობარს.

– რომ მეკითხები, ვინმეს ხომ არ ხვდება? ვის რად უნდა ასეთი კაცი, ღლით და ჩხუბისთავი, უფულო და არაფრის მაქნისი.

– მართალი ხარ, – დაეთანხმა ელზა, – ზამთარიც გავიდა, ასე რომ, ნებისმიერ დროს შეგიძლია თავიდან მოიშორო და ერთი კვადრატული მეტრიც არ მისცე.

– ჯერ ფსკერზე კარგად ჩაეშვას, მერე პანდური და მისი ჯვანი, ბოლომდე უნდა მოვსპო.



ბესიკ კეკელიძე

# ქალი-თბილისი

– ლამარას და თამუნას კონფლიქტი კიდევ აქეთ?

– თამუნა გამუდმებით ეჩხუბება, აღარ შემოიძლია, სულ მამამისის სასიათი აქვს.

– რას იზამ, უნდა მოითმინო. როცა სახლიდან გაუშვებ, მერე ზუბალაშვილებზე გადადით და თქვენს გემოზე იცხოვრეთ.

– ასეც მოვიქცევი.

– წავიდი, აბა, კარგად იყავი, – წამოდგა ელზა და გასასვლელი კარისკენ გაემართა. გიორგიმ როდესაც გამოიღვიძა, რუსთაველზე ჩაირბინა, ასდოლარიანი დაახურდა და მაღაზიებს მიაშურა. როგორც აღმოჩნდა, მის სიძესაც ვალები ჰქონდა. გიორგიმ ორივეს თანხა გაისტუმრა და სახლში დაბრუნდა. უფროს ქალიშვილს დაურეკა:

– მარია, შენს ქმარს არც ერთ მაღაზიაში ვალი აღარ აქვს, დღეს გავეუსტუმრე.

– გამაღობ, მამა, – კმაყოფილმა მოუგო მარიკამ.

– ახლა მომისმინე, მოდი, პატარა მოვანთოლო.

– როდის?

– დღეს ცამეტა, თექვსმეტში.

– მოვასწრებო?

– მე და ვანო ბაზარს მოვითავებთ, შენ ნათლები გააფრთხილე და ყველაფერი მოესწრება.

– კარგი, ახლა შენთან ჩამოვალ და პროდუქტების სია შევადგინოთ.

ერთ საათში გიორგიმ და ვანომ ბაზარი მოითავეს. ხორავის დიდი ნაწილი მარიკასთან აიტანეს, ხოლო ნაწილი გიორგის სახლში დატოვეს. გიორგიმ ნანას სამსახურში დაურეკა:

– ნანა, სამსახურიდან გამომარე, ბავშვის ნათლობისთვის რაღაცების მომზადებაში მომეხმარე.

– რა უნდა გავაკეთოთ?

– ზეთისა მოსახარში, ჩაქაფული და ოჯახურია გასაკეთებელი.

– კი, მაგრამ ნათლობა როდის არის?

– კვირას, თექვსმეტში.

– მერე, დღეს რატომ უნდა გავაკეთოთ? ჩაქაფული თხუთმეტში გაკეთდება, თვეს ნათლობის დილას მოვხარვავ და ოჯახურსაც თექვსმეტში გავაკეთებ.

– კარგი, – დაკიდა ყურმილი გიორგიმ და მაღაზიაში სიგარეტის საყიდლად გავიდა.

სადარბაზოში მეზობელი შეხვდა.

– გენადის გაუმარჯოს, – მიესალმა გიორგი.

– გაუმარჯოს, – ხელი ჩამოართვა მეზობელმა.

– გენო, რა შეწუხებული სახე გაქვს?

– სასწრაფოდ ასე დოლარი მჭირდება, სულ ერთი კვირით და ვერსად ვიშოვე.

– რა პრობლემაა, – ჩაელიმ გიორგის, – ერთი წუთი მომიცადე, – სახლში შებრუნდა და მეზობელს ასდოლარიანი გაუწოდა, – გამომართვი.

– აუ, ჯვიგარი ხარ, – სახე გაუბადრა გენადის და ფული გამოართვა, – გიორგი, ერთ კვირაში აუცილებლად მოგცემ.

– კარგი, – დაეთანხმა გიორგი და სიგარეტის საყიდლად მაღაზიისკენ გასწია. სახლში როდესაც შებრუნდა, სამზარეულოში რადიო ჩართო, ლუჩანო პავაროტი „კარუ-

ზოს“ მღეროდა. სიმღერას აუწია, სიგარეტს მოუკიდა და ფიქრში ჩაიძირა. ეს სიმღერა ნანას დაბადების დღეს ასრულებდა, როდესაც გიორგიმ კასეტაზე მარტო „კარუზო“ ჩააწერინა და მთელი საღამო ამ შესანიშნავი სიმღერის სმენაში გაატარეს. გიორგი სულელით მიმტკეპელი იყო და ყოფილი ცოლის მოლობა, მისკენ შემობრუნება და თითქოსდა ნორმალური ურთიერთობა ოჯახური სიტუაციის აღდგენისკენ უბიძგებდა. როდესაც სიმღერა დამთავრდა, იგრძნო, რომ ამდღე ბულ ხასიათზე იმყოფებოდა, პატარა ოთახში გავიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა, რამდენიმე ასდოლარიანი ვიბეში ჩაიღო და რუსთაველზე დაეშვა. სამხატვრო სალონში შევილიშვილისთვის შეინდისფერი ჩოხა-ახალუხი და ტექვი შეიძინა, მერე ქალიშვილთან წავიდა. ნიკუმას ჩოხა მოაზომეს, აზიური ჩექმები ჩააცვეს, თავზე თეთრი კალმუნის ქუდი ჩამოაფხატეს.

– ვახ, ნაღდი კაცია, – ეცინებოდა გიორგის პატარა ბიჭზე.

კვირას დილაუთენია ნანამ გააღვიძა. თვეში მოხარშეს და ოჯახური გააკეთეს:

– გოგო, რას ჩქარობ? – გაკვირვებულმა ჰკითხა გიორგიმ.

– საქმე მაქვს, მქჩარება, – მიუგო ნანამ.

– სად მიდისხარ, დღეს ნიკუმას ვნათლაუთ.

– არა, აუცილებელი საქმე მაქვს.

– ეკლესიაში არ იქნები?

– ვერ მოვალ, თუ მოვასწარი მარიკასთან სახლში ამოვალ, – ქალი კარისკენ წავიდა, – აბა, თქვენ იცით, – მიამხა გიორგის და გავიდა.

გიორგიმ გაურკვევლობისგან მხრები აიჩჩა, თავი აქეთ-იქით გააქანა:

– დაა, – ჩაილაპარაკა და ქალიშვილთან დარეკა, – მამა, ვანო ჩამოვიდეს და რაღაცებს გამოგუბან. ჰო, ერთ საათში ეკლესიაში ვიქნები, – დაკიდა ყურმილი. სკამზე ჩამოჯდა და ნანას საქციელით განცვიფრებული ჩაფიქრდა, უნდოდა ახსნა მოეძებნა, რატომ არ ესწრებოდა ბებია შვილიშვილის ნათლობას, მაგრამ ვერავითარი მიზეზი ვერ მოხსნა. კარზე ზარი გაისმა.

– ვანო, მოხვედი? – სიძე შეიპატიჟა გიორგიმ, – აი, ამ ქვამზე ის ლანგარი დადე და სახლში აიტანე. დროზე მოემზადეთ, ტამარში არ დაგავიანოთ.

ნიკუმა მონათლეს, შემდეგ სტუმრები მარიკასთან სახლში საქეიფოდ წაიყვანეს. სტუმრები უკვე იშლებოდნენ, როდესაც ნანა მოვიდა. გიორგის შვილიშვილი კალთაში ჩაესვა და ეფერებოდა. როდესაც ნაცოლარს შეხვდა, ქალმა მხერა აარიდა. გიორგის არ ესაძინა, სიმთვრალე მოიმიზეზა და სახლში წავიდა.

დილით ნაბახუსევზე თავი სტკიოდა. მაღაზიაში ლუდის დასალევად გავიდა, ერთი ბოთლი გაასწვინა და მოიყუდა.

– გიორგის გაუმარჯოს, – მოესმა ზურგს უკან.

ბოთლი ტუჩებიდან მოიშორა და შეტრიალდა:

– ვა, ვიას გაუმარჯოს, – მიესალმა თავის უბნულ ასაკოვან მამაკაცს.

– პანშელიაზე ხარ?

– კი, ცოტათი, – ჩაეღიმა გიორგის.

– მეც, გუშინ მანქანა გაყვილე და აღვნიშნე.

– მომილოცავს, ის ჯვართი რომ მოიშორე, ლულს დალევ?

– ახლა, საჭეთთან აღარ ვზივარ, დავლევ, – უპასუხა ვიამ.

– წამოდი ჩემთან და იქ ჩავუჯდეთ, თვეში მაქვს, ლულს ავიღებ და პანშელიაზე კაცურად გამოვიდეთ.

– კარგი, – დათანხმდა ვიამ.

გიორგიმ რამდენიმე ბოთლი ლუდი იყიდა და ორივენი სახლის გზას გაუყვნენ.

– გუშინ მანქანების ბაზრობაზე ნანა შემხვდა, – სხვათა შორის, გადაულაპარაკა ვიამ.

– რას აკეთებდა, რა უნდოდა? – გაიკვირა გიორგიმ.

– ეგ და მამამისი იყვნენ, ნანამ მანქანა იყიდა.

– რაა?

– ნანამ გუშინ მანქანა იყიდა.

– მაგის დედა... ახვარი დედაკაცი, – გამწარებულმა ჩაილაპარაკა გიორგიმ, – ყველა და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდა, ოღონდ თავისი გაისწოროს და ყველაფრის მკადრებელია.

– კი მაგრამ, რა მოხდა? – გაიკვირა ვიამ.

გიორგიმ ბინის კარი გააღო და ორივენი სამზარეულოში შევიდნენ. მაგიდაზე მოხარული ზუთხი თევზით დადგა:

– არაყს დალევ?

– თუ გინდა ას-ასი ჩაუუფინოთ.

გიორგიმ კარადიდან არყის ბოთლი გამოიღო, გაჩქურაზე ჩაქაფული დადგა და სტუმარს არაყი ჩამოუსხა:

– რა მოხდა, ჩემო ვიამ და ეგ ქალი მაგარი უსინდისია.

– რატომ?

– მაგის ბიძაშვილს, აჩიკოს ხომ იცნობ?

– კი, ბავშვი რომ იყო მასსოვს, იმის შემდეგ სულ სროკუნა...

– ჰოდა, – გააწყვეტინა გიორგიმ, – ამ ბინის ავტოფარეხი გაიყიდა, ოთხი ათასი დოლარად, მე ათასი მომცა, სამი თვითონ დაიტოვა. როდესაც ვუთხარი, რომ ეს ბინა აჩიკოსია, ბიჭი ციხეში ჩაღება, ათასი დოლარი მომეცი და ჩავუტან-მეთქი, იცი, რა მიპასუხა?

– რა?

– ვალები მაქვს და ვერ მოგცემო, თვითონ კი წავიდა და მანქანა იყიდა.

– შენი ფულით წასულიყავი აჩიკოსთან.

– ეჰ, ჩემი ფულით ვალები გავისტუმრე, შვილიშვილი მოვნათლე და თითქმის აღარც

დამრჩა. იცი, რა მაკვირვებს, აჩიკო ჩემი კი არა, მაგის ბიძაშვილია, ძმაო და როგორ ჰკიდა ფეხებზე, – ჩაქაფულის ქვაბი გიორგიმ მაგიდაზე გადმოდგა, – მაგრად მომეშალა ნერვები, თქვი რამე, – მიმართა ვიას.

– ადამიანის ღირებულებას კეთილგონიერება და სამართლიანობა წარმოადგენს, – სასმისი ასწია ვიამ, ანუ რამდენად შეუძლია საკუთარი ვნებების, მისწრაფებებისა და სურვილების რეგულირება. ყოველი ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე სამყაროში საკუთარ თავს ეძებს, ეძინა იმის, რათა სამყარომ თავად არ დაეკარგოს იგი. ადამიანი ბოროტდება, როდესაც სამყარო მას კარგავს, ან თვითონ ეკარგება სამყარო და იწყებს სულიერიდან მატერიალურის სიღრმეში დაშვებას. ნანას იფიქრა მოუკიდა, მატერიალურის ფსკერზე დაეშვა. ირგვლივ ხედავს, რომ უამრავი ქალი ზის საჭეთთან და რითია სხვაზე ნაკლები? არაყის ჩამორჩა, მანქანა შეიძინა, მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რის და ვის ხარჯზე და რის სანაცვლოდ მოუჯდება საჭეთ, მთავარია, რომ მანქანა იქნას და დანარჩენი მას არ ანაღვლებს. და აგრეთვე, მატერიალურის ფსკერზე დაშვებულები აუცილებლად კარგვენ ჭეშმარიტ სიყვარულს. არადა, უსიყვარულოდ ადამიანი ცოცხალი ვგამია. ისინი ეძებენ ოქროს შუალედს, ეძებენ, ეძებენ და ამ გაუთავებელ ძებნაში თამაშობენ, თამაშობენ სხვის როლს. სცენარის ავტორიცა და მსახიობიც თავად არიან, როლს ირგებენ და გაქაფულები ქვეყნიერებას თამაშით ქაფავენ. სასაცილოა – გაქაფული ქვეყნიერება, არა? – გიორგის გადახედა სტუმარმა.

– სასაცილოა, აბა, რა არის, – დაეთანხმა მასპინძელი.

– მაგრამ არსებობს სინდისი, რომელიც ყველას საკუთარი აქვს, რომელიც ყოველთვის მართალია. უბედურებაა, რომ ძალიან ბევრი მის ხმას ყურს არ უგდებს.

მოდ, ყველა კეთილგონიერ და სამართლიან ადამიანს გაუმარჯოს, – ვიამ სასმისი გამოცალა, ჩაქაფული გადაიღო და მიაცილა.

– გაუმარჯოს, – უღიმიამოდ ჩაილაპარაკა გიორგიმ და არაყი გადახუხა. თვეში გადაიღო, ჩანგლით პატარა ნაჭერი მოგლიჯა და ჩაბინა.

– ისე, მარტო ყოფნას რამდენი ხანი აპირებ? – ჰკითხი შეავსო ვიამ.

– არ ვიცი, ყველაფერი მომეზრდა.

– აი, მე, სამოც წელს მიღწეული კაცი ვარ, ძმაო, ჩემი პირველი ქორწინებაც უღებლო გამოდგა. გავეშორდი ცოლს, ხელმეორედ დავოჯახდი და მოვისვენე. დასანერგვი, გიორგი, უნდა დანერგეს, ასაკში შედიხარ, შენც გინდა ბედნიერება, გახარება.

– ვიცი, ვიამ, – ნაღვლიანად მიუგო გიორგიმ.

– აწი, ნანას მორჯულება შეუძლებელია. შენ მას აღარ სჭირდება, თვითონ აპირებს

ცხოვრების გზის გაკვლევას და ქალი ამას როცა გადაწყვეტს, მასთან ურთიერთობა აღარ შეიძლება.

— რა შეიძლება არ ვიცი, მაგრამ მაგ ნაძირალასთან ურთიერთობა, მე აღარ შემოძლია, ყველაფერი მომეზრდა, — გიორგიმ ჭიქა ასწია, — გაგვიმარჯოს, — მოუჭახუნა სტუმარს და დალია.

რამდენიმე საღებავრემლოს მერე გაა მასპინძელს დაემშვიდობა და სახლში წავიდა. გიორგიმ მაგიდა ააღაგა, თავის ოთახში შევიდა და საწოლზე წამოწვა:

— „როგორ ყველაფერი გასულურთა და გაბაბაბურა ამ ქალმა, მაგისთვის ქმარი აღარაფერს წარმოადგენს“, — გამწარებული გიორგი ფიქრს მისცემოდა, — „ოცი წლის ცოლქმრობის მანძილზე მაგისგან ერთხელ ვერ დავიმსახურე შექება, თანადგომა, ჩემი მისამართით სულ პრეტენზია ისმის. როცა ფული მქონდა და კარგად ვაცხოვრებდი, მამინ შედარებით კარგი ვიყავი, ახლა, როცა დამერხა — ფეხებზე დამიკიდა, გამუდმებით ჩემს გათელვას ცდილობს.

არც ვიცი, ცოლი რა სიტყვით ეფერება ქმარს, უბრალოდ, შენ გენაცვალეო, ერთხელ არ უთქვამს, ნუთუ ამ ხნის მანძილზე მაგისთვის არასოდეს ვყოფილვარ საყვარელი ადამიანი? საშინელი ცივისისხლიანი, უსიყვარულო და უგულო არსება.

ბავშვებს მამას აკარგვინებს. როგორ, ამხელა ამაგი წყალში უნდა გადამიყაროს?“ — სივარულს მოუკიდა გიორგიმ და ფანჯარასთან მივიდა, — ყველაფერის მკადრებელი ქალი! — კბილებში გამოცრა და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შეხვდა.

რამდენიმე თვეა, რაც ამ წვეილმა სახელდახელო დახლი მოაწყო და ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობას მიჰყო ხელი. ორივენი აფხაზეთიდან ლტოლვილები იყვნენ, გიორგის მათი ურთიერთდამოკიდებულება აკვირვებდა. ეტყობოდათ, რომ საშინლად უჭირდათ, მაგრამ მოუსხედავად ამისა, ცოლი გამოუმეობით ქმარს თვალბრუნებით შესცივინებდა. ზამთარში, სიცივეში, ქუჩაში მტრედებოვით იყვნენ ერთმანეთთან ჩაკრულნი, გამუდმებით ეალერსებოდნენ ერთურთს.

გიორგი დიდი ხნით ქვავდებოდა ფარდის უკან და მოსიყვარულე-მოალერსე ცოლ-ქმარს თეთრი შურით უცქერდა. ცოლისგან მას ასეთი სითბო არასოდეს უგრძობნია. თავში რაღაცამ გაუელვა, სამზარეულოში შევიდა, ჩაქაფული პატარა ჯამში გადმოიღო, ზემოლან თევში დააღო, თევშივე ზუთხი დააღაგა, პურის რამდენიმე ნაჭერი გადააფარა და ლტოლვილ ცოლ-ქმარს გაუტანა:

— ბესო, — მიმართა ახალგაზრდა კაცს, — გუშინ შვილიშვილი მოვნათლე და აი, ეს მიირთვი, — გაუწოდა საჭმელი.

— დიდი მადლობა, გიორგი, — გაუღიმა ბესომ და გამოართვა.

გიორგი სახლში შებრუნდა. ტელეფონს მექანიკურად გადასწვდა და მერის ნომერი აკრიბა:

— მერი, გამარჯობა, გიორგი ვარ, — ხმაზე ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა, — შენთან შეხვედრა მინდა, სალაპარაკო მაქვს.

— რომელზე შეხვედრით? — ქალს მოულოდნელობისგან ხმა დაეკარგა, ორი სიტყვა ძლივს ამოღერდა.

— სამზე უნივერსიტეტის წინ, გეცლება?

— კი, სამზე შეხვედრით, — დაკიდა ყურმილი მერი.

გიორგიმ საათს შეხედა. პირველი დაწყებულიყო. აბაზანაში შევიდა და წვერის პარსვას შეუდგა:

— შვიდიდან ძალღურ სიმარტოვეს წერტილი უნდა დაეუსვა, — თავის თავს გადაულაპარაკა და სარკის წინ დადგა.

როდესაც საკუთარ ორეულს თვალბრუნებით უყურებ, რატომღაც გგონია, სინდისი შემოგცქერისო, აზრი ყოველგვარი ტვირთისგან გეხსნება, თავისუფლდება და თავს დაგტრიალებს, ორეულის სიმართლეში ეჭვი არ გეპარება და თვალდასუქული ენდობი.

გიორგი გრძობდა, რომ ცხოვრების ასე გაგრძელება შეუძლებელი იყო, საკუთარი წარსული, უფრო სწორად, ნანასთან ურთიერთობა აღიზანებდა, საკუთარ თავს აზიზღებდა და განვილილ წლებს საშინელი სიზმრად აღიქვამდა. მას ცოლი სჭირდებოდა, არა როგორც დაუძინებელი მტერი, არამედ, როგორც მეგობარი.

გიორგი უნივერსიტეტთან მერის შეხვდა. ბაღში თავისუფალი სკამი მონახეს და დასხდნენ.

— მერი, მე შენთან დამნაშავე ვარ, ძალიან არასწორად მოგეცქი, — თავი ჩაღუნა გიორგიმ, — ხელი რომ გთხოვო, ცოლად გამომეცები?

— გიორგი, მე შენ მიყვარხარ, — ამით ქალმა ყველაფერი თქვა.

— მივეშაღოთ და აპრილის ბოლოს, ჯვარი დავიწეროთ. ამ დღეებში სახლში გამოვივლი და შენებს დაველაპარაკებ.

— კარგი, — დაეთანხმა მერი.

— წამო, პირდაპირ კაფეში გადავიდეთ, ყავა დავლით, — წამოდგა გიორგი.

— წავიდეთ, — ხელკავი გაუყარა ქალმა, — გიორგი, კიდევ სვამ?

— ამ შვიდი თვის მანძილზე რომ არ გამოეფრინა, ვსვამდი.

— ვიცი, მე ყველაფერი ვიცი, — ჩაილაპარაკა მერი.

ჭკავჭკავადის გამოხრი გადაკვეთეს და კაფეში შევიდნენ. ცოტა ხანში გიორგი მერის დაემშვიდობა და თავისი მშობლებისკენ გასწია. სახლში მამა დაუხვდა:

— მამა, ცოლი მომყავს, — გამარჯობის სანაცვლოდ, ახარა მშობელს.

— ვინ? — მოულოდნელობისგან გაკვირვებული დარჩა მამაკაცი.

— მერი, ორი წლის წინ, იდიოტურად

რომ დავმორდი.

— მშვენიერი ოჯახის შვილია, ძალიან კარგი გოგოა. მადლობა დმერთს, რომ აზრზე მოხვედი. შენც ხომ გინდა ნორმალური, ადამიანური ცხოვრება. აი, ნახე, როგორ მოისვენებ, დამშვიდდები, დაწყნარდები. შენი და ნანას ერთად ცხოვრება უბრალოდ არ შეიძლება, ასაკში შედიხარ, კი არ ახალგაზრდავდები, შენც ხომ გინდა, თავი ბედნიერად იგრძნო. დრო გავა და ბავშვებიც შემოვირიგდებიან, ისინიც მოისვენებენ, ადენ გაუთავებელ აყალმაყალს, რომ არ მოისმენენ. როდის აპირებთ?

— თვის ბოლოს, ოცდაცხრა შაბათია და ჯვარს დავიწერო.

— დმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო, — დალოცა მშობელმა.

დღეები გარბოდნენ, როგორც გარეული ცხენების რემა. გიორგი მთელი სხეულით გრძობდა თავისი გადაწყვეტილების სისწორეს. გამუდმებით ამაღლებულ ხასიათზე იმყოფებოდა. მერის მშობლებთან მივიდა და გადაწყვეტილება შეატყობინა. მოილაპარაკეს, რომ ოცდაცხრა აპრილს ჯვარს დაიწერდნენ. გიორგიმ მერის ბეჭედი გამოართვა, რათა საჭირწილო ბეჭედი იმავე ზომის ეყიდა.

სახლში დაბრუნებულმა მეზობელ გენადის გასესხებული ასი დოლარი გამოართვა. საღებავზე „ოქროს ბირფაზე“ მერისთვის საჭირწილო ბეჭედი იყიდა. როდესაც შინ მიბრუნდა ნანას დაურეკა და საღამოსთვის ელზასთან ერთად დაიბარა, შემდეგ უბნელი გაა მონახა და სთხოვა, რომ შვად საათზე მასთან მისულიყო.

— რაშია საქმე? — დაინტერესდა ვია.

— ისეთი არაფერი, ცოლი მომყავს და ბინიდან მივდივარ. მინდა, რომ ჩემი და ნანას საუბარს დაესწრო, თორემ მაგ ქალს არაფერში არ ვენდობი.

— კარგი, ძმაო, შვიდზე შენთან ვიქნები.

გიორგისთან ყველაზე ადრე ვია მივიდა. თხუთმეტ წუთში ნანა და ელზაც მასთან იყვნენ.

— ვია, უკაცრავად, სასაუბრო გვაქვს და თუ შეიძლება, დავგტოვე, — ნანამ მიმართა ვიას.

— არა, ვია არსადაც არ წავა, ჩვენს საუბარს უნდა დაესწროს, — უპასუხა გიორგიმ და ყველანი სასტუმრო ოთახში შეიყვანა.

ნანა და ელზა დივანზე ჩამოსხდნენ, ხოლო ვია და გიორგი სავარძლებში მოთავსდნენ.

— რაზე დავგვიძახე, რაშია საქმე? — ცნობისმოყვარეობა აღბეჭდვოდა ნანას სახეზე.

— სალაპარაკო მაქვს.

— მე და შენ ვერ ვილაპარაკებდით?

— არა, ჩემი შენთან ნათქვამი სხვანაირი გაგრძელებას პოულობს. ამიტომ მინდა, რომ ორმა ადამიანმა მოგვისმინოს.

— გისმენ, რა ხდება? — ჩაეღიმა ნანას.

— მოკლედ, შენთან ურთიერთობას წერტილი დავუსვი, ასეთი ცხოვრება აღარ

შემიძლია. თვის ბოლოს ცოლი მომყავს, – თვალბრუნებით შეჰყურებდა გიორგი ნანას, რომელსაც მოულოდნელობისგან სახეზე ღიმილი შეეყინა. იგი ყოფილი ქმრისგან ასეთ საქციელს არ ელოდა.

– მერე, რა გინდა? – ძლივს ამოღერდა ორი სიტყვა.

– რა მინდა და, – ჩაფიქრდა გიორგი, სახეზე ხელი მოისვა და საუბარი მშვიდად განაგრძო, – სახლიდან ერთი ნემსი არ მიმაქვს, აგარაკსაც ბავშვებს ვუტოვებ. ცხოვრებას თავიდან ვიწყებ, ამიტომ მე და შენი მოლაპარაკების თანახმად, ამ ბინის კომპენსაციის სახით, ექვსი ათასი ლოლარი გადამიხაღე...

– გიორგი, – გააწყვეტინა ელზამ, – ხომ იცი, რომ ხანდაზმულობის ვადა გასულია და ამ ბინიდან აღარაფერი გვრგება.

– ელზა, რატომ? – ჩაეცინა გიორგის.  
– იმიტომ, რომ განქორწინებიდან სამი წელი გავიდა.

– ვერ ვიქებ ადვოკატს, – იქედნურად მიმართა გიორგიმ, – ხანდაზმულობის ვადა ითვლება იქიდან, როდესაც განქორწინებას მშანის ბუროში გააფორმებ, აი, მაგ დროიდან. მე და ნანა განქორწინდით იანვრის თვეში, მაგრამ ეს ყველაფერი ივლისის თვეში გავაფორმე, მშანის ბუროდან განქორწინების მოწმობა ივლისში ავიღე, ასე რომ, ჩემო ელზა, მე კიდევ სამი თვე მაქვს. ბოლოს და ბოლოს, მეც თურისტი ვარ და კანონებში მშვენივრად ვერკვევი, – სივარეტს მოუკიდა გიორგიმ და ელზას გამარჯვებული იერით შეხედა. გრძობდა, რომ ოჯახის დანგრევამ, ამ ქალს დიდი წვლილი მიუძღვოდა. ეზიზღებოდა ნასიმზარი, ფულის ტომრად ქცეული ღვინო, – ნანა, ხომ გაიგე რას ვითხოვ? ამ თანხაზე ისედაც ვიყავით მოლაპარაკებულები, ხომ ასეა?

– კი, – დაეთანხმა დივანზე ნაცემივით მიმჯდარი ნაცოლარი.

– მე არ ვთხოვ ამ ბინის გაყიდვას, იმიტომ, რომ აქედან აჩიკოსაც ერგება წილი.

– აბა, საიდან მოვიტანო? – ძლივს ამოღერდა ნანამ.

– ეე, ჩემი პრობლემა არ არის. შენს მშობლებს დაელაპარაკე და ერთად გადაწყვიტეთ, – გიორგი პატარა ოთახისკენ წავიდა და აგარაკის გადაფორმებაზე, განცხადება გამოიტანა, – მებაღეობაში ეს განცხადება წარადგინე და აგარაკს შენს სახელზე გადამოაფორმებენ, – გაუწონდა ფერდაკარგულ ქალს, – რას იზამ ფულზე?

– მოგცემ, ცოტა ხანი მაცადე, – ძლივს გასაგონად ამოიღულღულა ქალმა.

– მოკლედ, მოვილაპარაკეთ, – წამოდგა გიორგი, – ოცდაცხრამი სახლის გასაღებს მეზობელთან დავტოვებ და გამოართვი.

– კარგი, – დაეთანხმა ნანა და გასასვლელი კარისკენ ელზასთან ერთად გაემართა.

– ნანა, – გასძახა გიორგიმ.  
– რა იყო?

– ისე, ჩემს ჯვრისწერაზე გეპატიუები. პირველ სათზე, სამებაში ვიწერ ჯვარს და შეეძლია, მოხვიდე. ერთმანეთს მტრებად ხომ არ დავშორდებით, ცივილიზებულიად ვიმოქმედოთ, – ორინოულად ლაპარაკობდა გიორგი. ნანას არაფერი უპასუხია. კარგი გამოალო და ელზასთან ერთად გავიდა.

– თან მეცოდება, უტყვიან ქალია, – მიმა-



რთა გიორგიმ ვიას.  
– ეჰ, ძმაო, ადრე თუ გვიან მწარედ ინანებს, მაგრამ გვიან იქნება. მაგას სწორი მრჩეველი არავინა ჰყავს, ეს ელზაც მაგარი შებურტყილი ვიდაცაა.

– მაგ ქალს მიუძღვის ჩენი ოჯახის დანგრევამ დიდი წვლილი. ჰკვიანი ქალი ორმოცი წლის ასაკში, სამი შვილით, უქმროდ თავს არ დაიტოვებს, – სინანულით ჩაილაპარაკა გიორგიმ.

– ასეა, – დაეთანხმა ვია და წამოდგა, – ისე, იცოდე, ნანა არაფრის მომცემი არ არის, – კარისკენ გაემართა სტუმარი, – გიორგი, კარგად იყავი.

– კარგად, ვია, – დაემშვიდობა გიორგი. ჯვრისწერის წინა დღეს გიორგიმ პატარა ოთახი დააწკრიბა, შემდეგ სააბაზანოში შევიდა, კაფელი, ხელსაბანი და სააბაზანო გახვნა, ლინოლეუმი სველი ტილოთი მორეცხა, ჭურჭული კარადაში შეაწყო, მაცივრის კარი გამოალო და მაცივარი გაწმინდა. მალაზიაში გავიდა და ხორავი შეიძინა. მაცივარი მოაწესრიგა, ხორცი საყინულეში შედო, პური საპურეში ჩადო, შემდეგ აივანი მიალაგა.

ველა ყვავილს წყალი დაუსხა, ხელი

გადაუსვა და მოეფერა. გულის სიღრმეში იქაურობის მიტოვება უჭირდა, უბავშვებოდ მომავალი ვერ წარმოედგინა, მაგრამ მისდამი ნანას დამოკიდებულებიდან გამოძინარე, თავის საქციელს ამართლებდა.

მოსადამოვდა. თავისი ძველი ტანსაცმელი კარადიდან გამოაღაგა, შეფუთა. გარეთ გაიტანა და ნაგვის ბუნკერში მოისროლა. სახლში დაბრუნდა და მამამისთან დარეკა:

– მამა, ჩემთან გამოდი, ტანსაცმელს გავატან.

– კარგი, მოვლივარ. რამდენიმე წუთში გიორგის მამამისმა მიაკითხა.

– სახლიდან რამე მოგაქვს?

– არაფერი. ჩემი ტანსაცმელი და ეს ჯუჯა ხე, რომელიც ძალიან მიყვარს, წაიღე.

– ხვალე ჯვრისწერაზე რას იცვამ?

– ხვალისთვის ჩასაცმელი კარადაში მაქვს შეკილული.

– წავედი, ხვალე თორმეტისთვის გამოვივლით.

– კარგი, ხვალამდე, – მშობელი გააცილა გიორგიმ. სამზარეულოში შებრუნდა, სკამზე ჩამოჯდა, სივარეტს მოუკიდა და ნანასთან ოცწლიანი ურთიერთობა თავიდან ბოლომდე მესსიერებაში ქარავანივით ჩაატარა. ერთადერთი, უძამოდ დარჩენილი ბავშვები ეკოდებოდა, თორემ ნანასთან საშუალო განმარტებას არ ნანობდა, პირიქით, გრძობდა, რომ მერი ის ქალი იყო, ვისთანაც გიორგი ბედნიერი იქნებოდა.

გონებაში ფიქრი უღვლდა. უცნობი მომავალი აკრთობდა და ამავდროულად საინტერესო ბურუსში ხვევდა. ძნელია შეუცნობადისკენ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ უბედურებისგან გაქცევის სურვილი იძულებულს გხდის, ახალი ნაბიჯის გადასადგმელად. ცხოვრება ისე გიწოვს როგორც გვაღვსისგან გამომშრალი მიწა წყალს, გმთანთქავს და ყოველწამიერ ახალ სიურპრიზს გიმზადებს.

სამზარეულოში გიორგის თავს დაათინდა. აბაზანაში შევიდა, წვერი გაიპარსა, შხაპი გადაივლო. პატარა ოთახში სამინაო მარგალი და მისიური სკამზე გადაკიდა, ჩუსტები სკამის ქვეშ შეაყურა და ჩაცმას შეუდგა. როდესაც ჩაიცვა, ყველა ოთახი დაიარა, ყველაფერს დაემშვიდობა, მათ შორის თავის სიმარტოვესაც და პატარა ოთახში შებრუნდა. თერთმეტი ხდებოდა, როდესაც კარზე ხარი გაისმა. გიორგიმ გაალო. მის წინ ნანა იდგა. ერთი წამით ყოფილ ცოლს თვალებში შეხედა და დიდი სინანული ამოიკითხა:

– რისთვის მოხვედი?

– მე მეგონა, რომ უკვე წასხვედი, – უპასუხა ნანამ.

– როცა წავალ, გასაღებს მეზობელს დავუტოვებ – კარი ცხვირწინ მიუხურა გიორგიმ.

# Saab-მა ახალი ტიპის ძახა შექმნა



რომელიც შეიძლება მოლიანად მოხსნათ და ამგვარად, კუპე როდსტერად გადააქციოთ. თუ კიდევ უკანა სავარძელსაც დაკეცავთ, ავტომობილი ღია პიკაპად გარდაიქმნება. და მაინც, 9X-ის ასეთი მკვეთრად გამოხატული კონცეპტუალობის მიუხედავად, ის „სააბის“ ავტომობილების ყველა საფირმო ნიშანს ინარჩუნებს.

ამ მოდელის შექმნას მაიკლ მაიერი ხელმძღვანელობს, რომელიც 14 წლის მანძილზე „მერსედესში“ მუშაობდა. მისი თქმით, 9X-ის დიზაინის შექმნისას დამპროექტებლები „სააბის“ მარკის ისტორიაზე, კერძოდ, წარმოებაში 1974 წლამდე არსებულ მოდელზე – SONETT-ზე იყვნენ ორიენტირებულნი. მაიერის რწმენით, საწარმოო სპექტრში სრულფასოვანი სპორტული კუპის აღორძინება დადებითად იმოქმედებს „სააბის“ იმიჯზე და ამ მარკის მანქანების რეალიზაციის გაზრდას შეუწყობს ხელს. კომპანია უახლოესი ხუთი წლის მანძილზე გაყიდვის გაორმაგებას გეგმავს, უახლოეს პერიოდში ის SAAB 9-3-ის ახალი თაობის გამოშვებას აპირებს.

SAAB-მა გამოაცხადა, რომ სექტემბერში, ფრანკფურტში ახალ კონცეპტუალურ ავტომობილს – 9X-ს წარმოადგენს. ეს მოდელი შევედური კომპანიის განვითარების უახლოესი ეტაპების სურათს გადაშლის და ამდენად, ფირმის თავისებური ნიშან-სვეტის როლს შეასრულებს. „სააბის“ წარმომადგენელთა თქმით, 9X არა უბრალოდ

მორიგი ავტომანქანა, არამედ მოდელების შექმნისადმი პრინციპულად ახალი მიდგომის მაჩვენებელი იქნება. ის ერთდროულად რამდენიმე ტიპის ძარას გააერთიანებს, მათ შორის – კუპეს, როდსტერს, სედანსა და პიკაპს.

ახალი მანქანა ორკარიანია, მცირე ზომის უკანა სავარძელი და მოლიანად მინის სახურავი აქვს,

## სპორტული ავტომობილები აიხზე გადაწყავთ

ბრიტანული კომპანია AC, რომელიც კლასიკურ სპორტულ ავტომობილებს აწარმოებს, სექტემბერში ახალ კუპეს – MAMBA-ს წარმოადგენს, რომელიც COBRA-ს ბაზაზე იქმნება. ამ მანქანის მთავარ თავისებურებას „ფორდის“ 4,0 ლიტრიანი 190 ცხ.ძ-იანი ძრავა წარმოადგენს, რომელიც აირზე იმუშავებს. ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილი 68.500 დოლარი ეღირება. კომპანიის ხელმძღვანელის ალან ლუბინსკის თქმით, ამ მანქანის მეშვეობით ფირმა თავის პოტენციურ მომხმარებელთა წრის გაფართოებას იმედოვნებს. „დარწმუნებულნი ვართ – ჩვენი კლიენტები მხარს დაუჭერენ იმას, რომ კომპანიამ „სუფთა“ ავტომანქანის წარმოებას მიჰყო ხელი.

თუმცა, აირის ვერსიის გარდა, ბუნებრივია, ფირმა ჩვეულებრივ – ბენზინის „მაბასაც“ გამოუშვებს –



230 ცხ.ძ. და 350 ცხ.ძ. მქონე ძრავებით. ეს უკანასკნელი – V8 ტურბოდრავით აღჭურვილი ვარი-

ანტი, BLACK MAMBA-ს სახელწოდებით გამოვა და 84.300 დოლარი ეღირება.

**ღ**იდი ფინანსური სიძნელების მიუხედავად, უახლოეს ორ წელიწადში „კია“ თავისი სამოდელო რიგის არა მარტო მთლიანად განახლებას, არამედ გაფართოებასაც აპირებს. 2003 წლისთვის საავტომობილო ბაზარზე ახალი ყველგანმავალი, წარმომადგენლობითი ავტომობილი და მცირე კლასის მოდელი გამოჩნდება. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ მანქანას ევროპასა და აშშ-ში გასაყიდად ამზადებენ.

ახალ რიგში პირველი, მინი-ვენო KARNIVAL II იქნება, რომლის დებიუტი უკვე სექტემბერში შედგება, გაყიდვა კი, წელს – ოქტომბერში დაიწყება. ამ მანქანას განახლებული წინა და უკანა მხარე და სალონი ექნება. რაც შეეხება ძრავებს – მას 2,5 ლიტრიანი, 150 ცხ.ძ-იანი, ყველა ეკოლოგიური ნორმის ფარგლებში მოქმედი ბენზინის და 2,9 ლიტრიანი, 144 ცხ.ძ-იანი ტურბოდიზელის ძრავები ექნება.

2002 წლის დამდეგისთვის კომპანია გამოუშვებს დიდ, მდიდრულ ყველგანმავალს, რომელიც M-კლასის „მერსედესს“ გაუწევს კონკურენციას – ყოველ შემთხვევაში, ამას თვით „კიას“ წარმომადგენლები ამტკიცებენ. ეს ავტომობილი აღჭურვილი იქნება 2,5 ლ-იანი დიზელის ძრავით



## KIA-მ „მეხსედესთან“ გაჯიბხება გადაწყვიტა

(140 ცხ.ძ.), 2,4 ლ-იანი ბენზინის ძრავით და V6 ტიპის 3,5 ლ-იანი ძრავით (195 ცხ.ძ.). ყველგანმავლის ყველა სახეობას სრულამძრავიანი, ელექტრობლოკირებით აღჭურვილი რთული ტრანსმისია ექნება. მისი სავარაუდო ფასი, 30.000 დოლარია.

ავტოსამყაროში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია 2002 წლისთვის ძრავების რიგის

გაზრდასაც აპირებს, რომელიც CARENS-ისა და SHUMA II-თვის არის გათვალისწინებული. პირველს 2,0 ლ-იან ტურბოდიზელსა (110 ცხ.ძ.) და 1,6 ლ-იან ბენზინის ძრავს (102 ცხ.ძ.) ჩაუდგამენ, მეორეს კი – 1,8 ლ-იან ბენზინის (110 ცხ.ძ.) და 2,0 ლ-იან ტურბოდიზელს, რომლითაც აქამდე CARENS-ი იყო აღჭურვილი. ■

## Mitsubishi-ს ახალი EVO

კომპანია თავისი სუპერაღჭურვილი ავტომობილების რიგს აფართოებს. როგორც ავტომოყვარულებისთვის კარგად არის ცნობილი, EVO-ს ტიპის მანქანების საკმაოდ მოკრძალებული გარეგნული იერის მიღმა, ნამდვილი სარბოლო ბოლიდების ძრავები იმალება, რომელსაც 270-280 ცხ.ძ. აქვს. კომპანიის მესვეურთა განცხადებით, ამ მოდელების რაოდენობა კიდევ ერთით გაიზრდება – სექტემბერში, ფრანკფურტში ის GT EVO VII-ს წარმოადგენს, რომელიც სახელგანთქმული EVO VII-ის პირდაპირი გაგრძელება იქნება. ახალ მოდელს ტურბოდრავი ექნება, რომელსაც 280 ცხ.ძ-იანი ძრავითა და სრულამძრავიანი ტრანსმისიით აღჭურვავენ. სტანდარტული მოდელისგან მას მძლავრი წინა სპოილერი, დიდი უკანა ანტიფრთა და კაპოტში დიდი ჭრილი განასხვავებს. სტანდარტულ კომპლექტაციაში ავტომობილს კონდი-

ციონერი, სრულყოფილი ელექტროპაკეტი, სპორტული სავარძლები და უამრავი სხვა ტექნიკური სიკეთე ექნება.

ამ მოდელის გარდა, ვარაუდობენ,

რომ ფრანკფურტის ავტოსალონზე „მიცუბიში“ ახალი „პაჯეროს“ კონცეპტსაც წარმოადგენს, რომელიც პარიზი-დაკარის უახლოეს რბოლაშიც მიიღებს მონაწილეობას. ■



# პოდაგრა

## რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამანაშვილი

პოდაგრას ხალხში ძველი დროიდან არისტოკრატთა დაავადებას უწოდებენ. მის განვითარებას უკავშირებენ ისეთ პროდუქტთა რეგულარულ მიღებას, როგორებიცაა: მშრალი წითელი ღვინო, შამპანური, პურინებით მდიდარი საკვები: ხორცი, თევზი, ღვიძლი, თირკმლები, მჟაუნა, ისპანახი, ბოლოკი, ბარდა, ლობიო, შაშხი, შოკოლადი, ყავა.

მაგრამ მიზეზი მხოლოდ საკვები როდია. პოდაგრა სისტემური დაავადებაა: მისი მთავარი გამოვლინებაა – ქრონიკული ართრიტი (სახსრების ანთება), რომელიც ნებისმიერ სახსარს აზიანებს; გამწვავების პერიოდებში სახსრებში ტკივილი მწვავედაა, კანი წითელდება. პოდაგრის განვითარების მიზეზია პურინული ცვლის დარღვევა, რის შედეგადაც სისხლის შრატში მატულობს შარდმჟავას დონე, ხოლო მისი მარილების კრისტალები ლაგდება ხრტილებში, სასახსრე ჩანთებში, მყესებში, თირკმლებში. ორგანიზმიდან შარდმჟავას გამოსვლას აფერხებს მძიმე ტრავმები, ფიზიკური გადაძაბვა, ზოგიერთი წამალი – ჰიპოთიაზიდი, ფუროსემიდი, აცეტისალცილის მჟავა (ასპირინი)...

პოდაგრის კომპლექსურ მკურნალობაში იყენებენ ისეთ ნივთიერებებს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმიდან შარდმჟავას გამოყოფას.

ავადმყოფმა უნდა შეზღუდოს პურინებით მდიდარი პროდუქტები. არ შეიძლება ალკოჰოლის მიღება, რადგან იგი აფერხებს თირკმლით შარდმჟავას გამოყოფას. საკვებად კარგია რძე, რძის პროდუქტები, კვერცხი, ფაფები, მოხარშული ბოსტნეული, სტაფილო, ხილი, ბრინჯი, შაქარი, თეთრი პური. საჭიროა სითხის დიდი რაოდენობით (არანაკლებ 2 ლ დღეში) მიღება, მინერალური წყალი.

ამასთან, ისარგებლეთ „სეზონური წამლებით“.

ტყის მარწყვი – მისი სამკურნალო ფასეულობის შესახებ ბევრმა არაფერი იცის. იგი აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს. განსაკუთრებით სასარგებლოა ცოცხალი კენკრის წვენი, რომელიც ზაფხულის დასაწყისში შეგიძლიათ მოამზადოთ. და უნდა მიიღოთ უზმოზე 4-6 სუფრის კოვზი. ხოლო სამომავლოდ უნდა გააშროთ ფოთლები და ნაყოფი, რომლისგანაც შემდგომში ნაყენს დაამზადებთ: 2 სუფრის კოვზ ნედლეულს დაასხამთ 1 ჭიქა მღუღარე წყალს და დადგამთ მღუღარე წყლის ორთქლზე 15-20 წთ. მიიღეთ ჭამამდე 15-20 წუთით

აღრე, 3-ჯერ დღეში.

ზოგიერთ ავადმყოფში ტყის მარწყვი ალერგიულ რეაქციას იწვევს. ასეთ შემთხვევაში პრეპარატის მიღება უნდა შეწყვიტოთ.

**აბაზანები.** ხელისა და ფეხის სახსრების პოდაგრული ტკივილის დროს მეტად სასარგებლოა მცენარეული აბაზანები. მათი გაკეთება საჭიროა ყოველდღიურად ძილის წინ. წყლის ტემპერატურა უნდა იყოს 38-39 გრადუსი, პროცედურა გრძელდება 30 წთ და მეტი.

● საღბის აბაზანა. 100

გ საღბის ფოთლებს დაასხით 6 ლ მღუღარე წყალი და 10 წთ-ით აღუდეთ ნელ ცეცხლზე. შემდეგ შეაგრილეთ 38 გრადუსამდე და ნაყენში მოათავსეთ მტკივნეული სახსარი.

● გვირილის აბაზანა. 100 გ გვირილის ყვავილებს შეურიეთ 200 გ სუფრის მარილი (შეგიძლიათ ზღვის მარილიც); ნარევის დასხით 10 ლ მღუღარე წყალი. დაელოდეთ მის შეგრილებას 38 გრადუსამდე. ეს აბაზანა განსაკუთრებით ეფექტურია, როცა პოდაგრული სახსარი მტკივნეული და შეშუპებულია.

**მცენარეული ნაყენები** (შარდმჟავასა და მისი მარილების გამოსატანად). ეფექტის მისაღწევად საჭიროა მათი მიღება 3 ლიტრამდე დღეში. შეარჩიეთ გემოვნების მიხედვით.

● შავი მოცხარის ფოთლების ნაყენი. 25 გ ნედლეულს დაასხით 0,5 ლ მღუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წთ და მიიღეთ 1/2 ჭიქა 4-5-ჯერ დღეში.

● თირკმლის ჩაი. ერთი სუფრის კოვზ ნედლეულს დაასხით 1 ჭიქა მღუღარე წყალი, დადგით 20 წთ, მიიღეთ 1/2 ჭიქა დღეში ჭამის წინ.

● გოგნარი (დიდგულა). 10 გ ნედლეულს დაასხით 0,5 ლ მღუღარე, დადგით 30 წთ, მიიღეთ 1/2 ჭიქა 4-5-ჯერ დღეში ჭამისგან დამოუკიდებლად.

სახსრის ტკივილის დროს მასზე დაიდეთ კომბოსტოს ფურცელი. ეს ტკივილს შეგიმსუბუქებთ.



# თუ ოჯახში ჩიზი გყავთ



ისინი ძალიან ხალისიანები, კონტაქტურები და ლამაზები არიან. ბავშვებისთვის ჩიზებს მშობლები გაცილებით ხშირად ყიდულობენ, ვიდრე კატებს და ძაღლებს, მაგრამ ყოველთვის უნდა გავსოვდეს, რომ მათ სიამოვნების გარდა, არაერთი უსიამოვნების მოტანა შეუძლიათ. ამიტომ საჭიროა, დავიცვათ უსაფრთხოების წესები და თუ თქვენი თუთიფეში ავად გახდება, დროზე უნდა შენიშნოთ და საჭირო ზომები მიიღოთ.

ყველაზე გავრცელებული სნეულებანი, რომლებიც თქვენმა ბუმბულიანმა მეგობარმა

შეიძლება მოგიტანოთ, არის სალმონელოზი და კოლიბაქტერიოზი.

როგორ დავადგინოთ? თუკი ამჩნევთ, რომ თქვენი ჩიზი მოწყენილია, ახველებს, კუჭი აქვს აშლილი და, ამავე დროს, ოჯახის რომელიმე წევრს გამოუვლინდა ნაწლავური ინფექცია, სასწრაფოდ მიმართეთ არა მხოლოდ ექიმს, არამედ ვეტერინარსაც, რადგან საფარაულოა, რომ დაავადების მიზეზი ჩიზია. საბედნიეროდ, ორივე დაავადება განკურნებადია, თუ დროს არ დაკარგავთ.

გაცილებით სასიფათოა ტუბერკულოზი. მისი გადატანა შეუძლია ყველა

სახეობის ჩიტს, მაგრამ განსაკუთრებით საშიშა ტროპიკული ქვეყნებიდან ჩამოყვანილი ფრინველები – მათ შორის თუთიყუშები.

როგორ დავადინოთ? გახსოვდეთ, ჩიტებს აქვთ ტუბერკულოზის მხოლოდ ღია ფორმა, რომელიც ძალიან საშიშა გარემომცოფოთათვის, მაგრამ ხშირად იგი შეუმჩნეველად, ღუნედ მიმდინარეობს, არ არის გამოხატული კლინიკური ნიშნები. ძირითადი სიმპტომები ამ დროსაც ღიარება (კუჭის აშლა) და ხველაა, მაგრამ არსებობს ტუბერკულოზის ერთი სპეციფიკური ნიშანი თუთიყუშებში. ეს არის კანის ინფექცია, რომლის დროსაც ჩიტს ნისკარტზე უჩნდება რქოვანი გამონაზარდი.

ფსიტაკოზი (ორნიტოზი) კიდევ ერთი დაავადებაა, რომელიც თუთიყუშს და მის პატრონს ემუქრება.

როგორ დავადინოთ? ადამიანს გამოუვლინდება სასუნთქი გზების (ფილტვების) ინფექცია, რომელიც ვრის ან ბრონქოპნევმონიას გვაგონებს. ჩიტს კი აღენიშნება სახსრების დაზიანება, მოღუნება, ძილიანობა, უმაღლობა. თვითმკურნალობა დაუშვებელია.

გახსოვდეთ, რომ ეს საშიში დაავადებები, რომლებიც საერთოა ჩიტისა და ადამიანისათვის, შესაძლოა, ფრინველიდან არა მარტო მის პატრონს, არამედ სხვა ადამიანებსაც გადაეღოს. დაავადებული ჩიტის პატრონი ხდება ავადმყოფობის მატარებელი და ავრცელებს ინფექციას, ხდება საშიში გარემომცოფოთათვის.

დაბოლოს, თუ ალერგია გაქვთ, ნუ იყოლიებთ სახლში ჩიტებს. გალიის დალაგებისას ჰაერში წარმოქმნილ მტვერს შეუძლია კანის გამონაყრის, სურდოს, ცემინების, თავის ტკივილის, მძიმე შემთხვევებში კი – ცხელების (ტემპერატურის მომატება) და ანაფილაქსიური შოკის გამოწვევა.

### ვეტერინარის რჩევები

● მორბილი ჩიტები, რომლებმაც უკვე გადაიტანეს სხვადასხვა დაავადება, გამოჯანმრთელების შემდეგაც ორგანიზმში კიდევ დიდხანს ატარებენ ბაქტერიებს და შეიძლება იქცნენ „ნელი მოქმედების ბომბად“. ამიტომ უმჯობესია, შეიძინოთ ახალბედა – 1,5-3 თვის ჩიტი.

● ჩიტის შექენისას კარგად დააკვირდით გალიის მეზობლებს – ყველა უნდა იყოს ჯანმრთელი და მხიარული. თუ რომელიმე თუთიყუშში მოწყენილი ზის მამასადაძე, დაავადება ახლოსაა.

● პირველი ერთი თვის განმავლობაში ჩიტი ცალკე, კარანტინში უნდა გყავდეთ. ამ პერიოდში დარწმუნდებით, რომ იგი ჯანმრთელია და არ არის ლატენტური (ფარული) ინფექციის მატარებელი.

● ნუ გეყოლებათ ჩიტები სამზარეულოსა და საძინებელში.

● ნუ გამოუშვებთ თუთიყუშს საფრენად ოთახში. უმჯობესია, უყილოთ ღიდი გალია.

● გალია რეგულარულად უნდა წმინდოთ სველი ტილოთი და კვირაში ერთხელ გააკეთოთ დეზინფექცია ქლორამინის ხსნარით (იყიდება აფთიაქებში).

● ჩიტის საკვები შეინახეთ დახურულ კარდაში პოლიეთილენის პაკეტით.

● დაბოლოს, არავითარ შემთხვევაში არ აჭამოთ თუთიყუშს „პირიდან ნისკარტში!“ ეს ძალიან სარისკოა.

## სამკურნალო მცენარეები

### კრაზანა

კრაზანა მრავალწლიანი ბალახია, ლამაზი ყვითელი ყვავილებით. ის უნდა ეტებოთ ტყის მდელოებზე, ვზისპირზე, ბუჩქნარში. ყვავილობს ივნის-აგვისტოში და ამ დროს უნდა მოაგროვოთ ბალახი, ისე, რომ არ შეეყვეთ გახევებული ღეროები. გააშრეთ სხეულზე, ღია ჰაერზე. ფარმაკოლოგიური მოქმედება.

კრაზანა შეიცავს სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს და გააჩნია მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური თვისება. ყველაზე აქტიური ნაერთებია ფლავონოიდები, რომლებსაც აქვს სპაზმების მომხსნელი მოქმედება სანაღვლე გზების, ნაწლავების, სისხლძარღვების და შარდსაღვლების გლუვ კუნთებზე. ისინი აუმჯობესებენ ნაღვლის გადმოღინებას, ეწინააღმდეგებიან შეგუბებით პროცესებს ნაღვლის ბუშტში და ამგვარად იცავენ ორგანიზმს კენჭების წარმოქმნისაგან. ფლავონოიდები ხსნიან აგრეთვე ნაწლავურ სპაზმებს, აღადგენენ ნორმალურ პერისტალტიკას, აუმჯობესებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მონელებით ფუნქციას.

კრაზანა ხსნის სისხლძარღვთა, განსაკუთრებით კაპილარების სპაზმს, აუმჯობესებს ვენური სისხლის მიმოქცევას და ზოგიერთი შინაგანი ორგანოს სისხლით მომარაგებას, უმატებს



შარდვას შარდსაწვეთების კელის მოღუნების და თირკმლის ფილტრაციის მომატების შედეგად.

კრაზანას აქვს ანტიანთებითი და ანტიმიკრობული მოქმედებათა მთელი რიგი, ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი მიკროორგანიზმების მიმართ. მცენარე ზრდის აგრეთვე კუჭის სეკრეციას.

### გამოყენება

კრაზანას პრეპარატები ფართოდ გამოიყენება პირ-ხახის, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, თირკმლის დაავადებათა დროს. პირში სავლებად ნაყენს იყენებენ ღრძილების ანთების, სტომატიტების დროს; კომპრესების სახით – სისხლმდენი, ინფიცირებული ჭრილობების დროს.

კრაზანის აქვს ფოტომაქსიზილიზებული მოქმედება ე.ი. იგი ზრდის ადამიანის და ცხოველთა მგრძობელობას მზის სხივების მიმართ. ამის გამო იგი გამოიყენება კანის თეთრი ლაქების სამკურნალოდ.

კრაზანის პრეპარატები გამოიყენება სანაღვლე გზების ფუნქციური დარღვევების, ჰეპატიტების, ნაღვლის შეგუბების, ნაღვლის ბუშტის ანთების, ნაღვლკენჭოვანი დაავადების საწყისი სიმპტომების, დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტების, თირკმლების ფუნქციის დაქვეითების, თირკმელ-კენჭოვანი დაავადების დროს.

ნახარშის მომზადების წესი: მომინანქრებულ ჭურჭელში, 1 1/2 სუფრის კოვზ დანამცეცებულ მცენარეს დაასხით 1,5 ჩაის ჭიქა მღუღარე წყალი, მოთავსეთ მღუღარე წყლის ორთქლზე 30 წთ. გადმოღვით, შეაგრილეთ, გაწურეთ და შეინახეთ გრილ ადგილას არა უმეტეს 2 დღისა.

მიღება: 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამამდე 30 წთ-ით ადრე. არსებობს აგრეთვე კრაზანის სპირტიანი ნაყენის სააფთიაქო ფორმა, რომელიც ფართოდ გამოიყენება სტომატოლოგიაში. 40 წვეთი ნაყენი უნდა ჩაავსეთოთ ნახევარ ჭიქა წყალში და გამოვივლოთ პირში, ყელში – მითითების მიხედვით. ■



### ინგილოური კერძები ფლავი ქათმით

ავილოთ ოთხი ჭიქა ბრინჯი. გავარჩიოთ და გავრეცხოთ. ჩავყაროთ აღუღებულ მარილიან წყალში და ვხარშოთ. მალიძალ კოვზით გავსინჯოთ, რომ არ გადაიხარშოს, ოდნავ ხარშვა რომ დააკლდება, გავწუროთ თუშფალანგზე.

ქვაბში ჩავლოთ ორი სუფრის კოვზი კარაქი და გავაღწოთ. გადმოვდგათ ცეცხლიდან. შიგ ჩავყაროთ: ორი სუფრის კოვზი ბრინჯი (მოხარშული), ადრე მომზადებული ორი თავი მოხრაკული ხახვი, სამი კვერცხი, ერთი კოვზი მანონი და ავურიოთ ერთმანეთში. ეს ნახავი გავშალოთ ქვაბის ძირზე. შუაში ცოტა ადგილი

შეინახოთ ქათმისთვის. მცირე ზომის ქათამი გავასუფთავოთ, მკერდზე გადავჭრათ, მოვაყაროთ მარილი, ზურგით დავლოთ ქვაბის ძირზე და ერთი კოვზი კარაქიც ქვეშ ამოვუღოთ, რომ კარგად დაიბრაწოს. ზედ დავაყაროთ მოხარშული ბრინჯი. დავახუროთ სახურავი და დავდგათ ნელ ცეცხლზე. ვატრიალოთ ქვაბი, რომ ქვაბის ძირის ყველა ნაწილს ხვდებოდეს ცეცხლი და ქათამი იბრაწებოდეს.

ყოველ სუთ წუთში ავხალოთ ხუფი და გადავწუროთ წყალი. ასე დავტოვოთ ნელ ცეცხლზე ნახევარ საათს. მერე გადმოვიღოთ ცეცხლიდან. გავაღწოთ კარაქი, მოვასხათ ფლავზე კოვზით, ქვაბის ძირზე იქნება შეწითლებული ფაფაჭყელა (ქერქი), რომელიც უნდა დავაღწოთ ფლავს, მერე გადმოვაბრქვაოთ ფაიფურის სინზე და ისე მივიტანოთ სუფრაზე.

### ვაზის ფოთლის გოლმა

ავილოთ სამასი გრამი ღორის მსუქანი ხორცი, ამდენივე ძროხის ხორცი და გავატაროთ ხორცსაქვებში. ორი თავი ხახვი დავჭრათ დანით ძალიან წვრილად. ნახევარი კონა ქინძი და ოხრაწუში, ერთი ჩაის ჭიქა ბრინჯი, თითო ჩაის კოვზი ხმელი სუნელი, მარილი, აჯიკა ერთმანეთში ავურიოთ, ყველაფერი ცომივით

ავხილოთ, ვაზის ფოთოლზე დავლოთ თითო სუფრის კოვზი ფარში და მრგვალად შევახვიოთ. ქვაბის ძირზე დავლოთ 2-3 ნაჭერი ძვლიანი ხორცი, ზევიდან დავაწყოთ ტოლმა. ზედ დავამხოთ პატარა თევზი, დუღილის დროს რომ არ დაიშალოს, დავასხათ ერთი ჭიქა (ან ცოტა მეტი) წყალი და ვაღულოთ ნელ ცეცხლზე ერთი საათი. სუფრაზე ცხელი მივიტანოთ.

### დოვლა

ჭიქა-ნახევარი ბრინჯი გავარჩიოთ და გავრეცხოთ, ჩავყაროთ მომინაქრებულ საშუალო ზომის ქვაბში. ჩავახალოთ ორი კვერცხი და ერთი წუთი ვთქვიფოთ ბრინჯთან ერთად. ერთი ლიტრი მანონი ჩავასხათ ორლიტრიან ქილაში, დავამატოთ წყალი ისე, რომ ავსებას ცოტა დააკლდეს, დავახუროთ პლასტმასის სახურავი და ვდღვიბოთ ხუთი წუთის მანძილზე. დო დავასხათ ბრინჯს. დავუმატოთ კიდევ ერთი ლიტრი წყალი და მოვურიოთ. დავდგათ ცეცხლზე და განვაგრძოთ მისი მორევა აღუღებამდე (რომ არ აიჭრას). ერთი კონა ნიახური, ნახევარ-ნახევარი კონა ქინძი და კამა დავჭრათ წვრილად. დავუმატოთ აღუღებულ წვნიანს. ჩავაყაროთ ერთი სუფრის კოვზი მარილი. ვაღულოთ 20-30 წუთი. მიერთვით ცხლად.

## მედიცინა და რელიგია

კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე კულტურა, მეცნიერება გარკვეული ფილოსოფიური მოძღვრების საფუძველზე ყალიბდებოდა. სიბრძნის სიყვარული იყო ყოველთვის განმსაზღვრელი ნებისმიერი სფეროს წინსვლა-განვითარებისა. ფილოსოფია წარმოადგენს რელიგიის სხეულს. რელიგია მოიცავს ფილოსოფიას, მაგრამ ფილოსოფიის მიღმა, რელიგიის მთლიანობაში კიდევ არსებობს რაღაც უფორმო და უსხეულო, უთქმელი და დაუწერელი წყარო ჭეშმარიტებისა, რომლიდანაც თითოეული იმდენს დაღვევს, რამდენადაც მოწყურებულია, რამდენადაც დაქანცულია ჭეშმარიტების ძიებაში.

მედიცინა მეცნიერების ის დარგია, რომელიც ყველაზე მეტ რელიგიურ საფუძველს საჭიროებს, რადგან ადამიანის სხეული არ არის რაღაც ცალკე აღებული ნივთი, არამედ ადამიანი თავისი სხეულით და სულით არის ერთი არსება, შექმნილი მსგავსად და ხატად უფლისა. მედიცინა არასოდეს ყოფილა დაშორებული რელიგიას და ფილოსოფიურ აზროვნებას. თუ გადავავლებთ თვალს მედიცინის ისტორიას უძველესი დროიდან, პრაქტიკული მედიცინა ყოველთვის ინტერესდებოდა უფრო გლობალური პრობლემებით: რა არის დაბადება, გარდაცვალება, რა არის სიცოცხლე, რა არის მიზეზთა მიზეზი ავადმყოფობისა საერთოდ და არა კონკრეტულად. რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ თანამედროვე მედიცინა ადამიანის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებების შესწავლის მწვერვალებს იპყრობს. დღეს თითქმის ატომების დონეზეა ცნობილი ის რეაქციები, რომლებიც ჩვენს ორგანიზმში მიმდინარეობს, ის კანონზომიერი ცვლილებები, რომელიც სხვადასხვა ნორმალურ თუ პათოლოგიურ პროცესს ახასიათებს, მაგრამ ეს რეაქციები და

პროცესები ხომ შედეგია, მიზეზი კი სულ სხვა განზომილებაშია საძიებელი.

წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ოქრომჭედელი ცეცხლში ჩააგდებს ოქროს და მანამ არ ამოიღებს, ვიდრე არ იხილავს სიწმინდეს მისსა. ასევე ღმერთი განსაცდელს მოუვლენს კაცთა და მანამ ამყიფებს ესრეთ, ვიდრე იგინიცა არ განიწმინდებან. არ იქმნებან ნათელი და ვიდრე ამგვარ განსაცდელისაგან არა ჰპოვებენ სარგებელსა. უკეთუ ოსტატმა უწყის, რამდენ ხანს უნდა დაჰყოს ოქრომ ცეცხლში, რომ არ წახდეს და არ დაიწვას ზომაზე მეტად, მას ღმერთმა უფრო მეტად აღარ იცის, რამდენ ხანს ამყოფოს კაცი განსაცდელში? ოღეს იხილოს განწმინდა კაცთა, მაშინდა დაიხსნას ისინი განსაცდელისაგან, რათა არ დაეცნენ ესოდენი გვემისაგან. ნუ მივეცემით დრტვივასა და ნუ ვიქნებით სულმოკლენი, თუ მოულოდნელი უბედობა დავატყდებოდა და თავი ჩვენი მივეცეთ სოფლის მცოდნესა, რათა მან განწმინდოს სულნი ჩვენნი, რამეთუ ჩვენი სიკეთისათვის და განსაცდელისაგან ხსნისათვის იქმს იგი ყოველივეს. მრავალგზის ცეცხლში გამოვლილ ოქროს ემსგავსება სული, განსაცდელგამოვლილი და განწმინდილი ტანჯვასა შინა.“

გავისხენოთ მაცხოვრის სიტყვები, მის მიერ განკურნებულთა მიმართ თქმული: „შენმა რწმენამ განკურნა“ (მათე 9.22). „თქვენი რწმენისამებრ მოგეგოთ“ (მათე 9.29), „გამხნევი, შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები“ (მათე 9.2). ამრიგად, ცოდვილი ცხოვრების შედეგი – ავადმყოფობა, უნდა გახდეს დასაბამი რწმენისა, რომელიც განკურნების საფუძველია. ჭეშმარიტების გზაზე რწმენით მიმავალნი არ იღლებიან.



# პასუხი

**კითხვა: თავი დავანებე სიგარეტის წევას და დავიწყე წონაში მატება. 3 თვეში მოვიმატე 9 კგ. არ მინდა მოწვევა, მაგრამ არც გასუქება მინდა. რა გქნა?**

**პასუხი:** თქვენი გადაწყვეტილება სიგარეტის გადაგდების თაობაზე საკლებით მართებულია. სიმსუქნეს კი უნდა ებრძოლოთ. ნაკლები ჭამით, მეტი იმოძრავეთ, ივარჯიშეთ, ირბინეთ. დააწესეთ განტვირთვის

დღეები. რთულია პირველი თვეები, თუ გაუძეულით, მერე შედარებით იოლად წავა საქმე.

**კითხვა: დილაობით მაქვს ხოლმე სახის შეშუპება. მასწავლეს – ფუროსემიდი დალიეო შარდმდენი. მართლაც, ასე მოვიქეცი. შეშუპება თითქოს ცოტა შემიმცირდა, მაგრამ ფუროსემიდის დალევის შემდეგ გული ცუდად მიხდება. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** თქვენი შეკითხვა მეტად პრობლემური და დამაფიქრებელია. ის, რაც ხდება ჩვენ ირგვლივ, ყოველდღე დაუშვებელია. არ შეიძლება, ვაიძულოთ ადამიანები, რომ არ მივიდნენ ექიმთან და არჩიონ თვითმკურნალობა. შექმნილია პარადოქსული სიტუაცია: პაციენტები დარჩნენ უექიმოდ და ექიმები – უპაციენტოდ. და მაინც, დაჟინებით გთხოვთ, ნუ დალევთ თვითნებურად თქვენთვის სრულიად უცნობ პრეპარატებს, რომელთა მოქმედების მექანიზმი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს თქვენ წარმოგიდგინათ. მათმა დაუდევარმა გამოყენებამ შეიძლება მივიყვანოთ ისეთ შედეგებამდე, რომელთა გამოსწორება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

ფუროსემიდი მართლაც გახლავთ შარდმდენი საშუალება. მისი დალევისას ორგანიზმი გამოყოფს დიდი რაოდენობით სითხეს, მაგრამ ამავე დროს, შარდთან ერთად კარგავს კალიუმის კათიონს, ამიტომ ამ პრეპარატის ხანგრძლივად და უკონტროლოდ მიღება დაუშვებელია. იგი გამოიწვევს კალიუმის დონის დაქვეითებას სისხლში; კალიუმი კი აუცილებელია გულის კუნთის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და მისი ნაკლებობა მიოკარდიუმის დისფუნქციას იწვევს. ჩვეულებრივ, ფუროსემიდთან ერთად ინიშნება კალიუმის მარილები (ასპარაკამი, პანანგინი), რათა შეივსოს დანაკლისი. და მაინც, ამ პრეპარატის ყოველდღიური, ხანგრძლივი მიღება არ შეიძლება, რადგან ეს დაარღვევს მინერალური ცვლის ბალანსს. ამიტომ, რომ ფუროსემიდის დალევის შემდეგ, გული ცუდად გიხდებათ – ეს მხოლოდ გაფრთხილებაა. თუ არ გაითვალისწინებთ ჩვენს რჩევებს, შედეგი გაცილებით უფრო სერიოზული იქნება.

ახლა კი, მეორე მომენტი – გჭირდებათ თუ არა საერთოდ ეს პრეპარატი? ნუთუ შეიძლება ასე დაუჯეროთ არაპროფესიონალ მრჩეველს?

შეშუპება შეიძლება მრავალი ფაქტორით იყოს გამოწვეული. შესაძლოა, ეს სულაც ალერგიული რეაქცია იყოს რაიმე გამძლეზიანებელზე. ან იყოს თირკმლის მწვავე ან ქრონიკული პათოლოგია (თირკმლისმიერი შეშუპება თავდაპირველად დილაობით უპირატესად სწორედ სახის არემია ხოლმე გამოხატული). არ არის გამორიცხული აგრეთვე გულის უკმარისობა. ნებისმიერ შემთხვევაში თქვენ გესაჭიროებათ დასაბუთებული, ჩამოყალიბებული სამკურნალო ტაქტიკა.

თქვენ უნდა გაიკეთოთ სისხლისა და შარდის საერთო

ანალიზი. თუ გაქვთ გულისმხრივი ჩივილები, დაგჭირდებათ კარდიოგრაფის გადაღებაც. და ამ გამოკვლევათა პასუხებით მიმართეთ ექიმს საკონსულტაციოდ.

**კითხვა: კომპიუტერთან მუშაობისას ძალიან მტკივნეულად თვალები. არადა, ეს ჩემი სამუშაოა. რას მირჩევდით?**

- პასუხი:** ჩვენი რჩევაა:
1. ყოველი ნახევარსაათიანი მუშაობის შემდეგ თვალები დაასვენეთ 5 წთ-ით მაინც – მოაშორეთ ისინი ეკრანს და გაიხედეთ შორს.
  2. კომპიუტერის ეკრანი უნდა იყოს დახრილი და არა ვერტიკალური.
  3. თვალსა და ეკრანს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 60 სმ-ისა.
  4. არ შეიძლება ჩაბნელებულ ოთახში მუშაობა.
  5. ეცადეთ, ნუ იმუშავებთ გადაბმულად 3 სთ-ზე მეტს.
  6. შეიმოწმეთ მხედველობის სიმახვილე ოკულისტთან და თუ გესაჭიროებათ სათვალე, დროულად შეიძინეთ იგი.

**კითხვა: მყავს 4 თვის პატარა. ძალიან ჭირვეულია. ვაწოვებ ბუძუს. მეუბნებიან, შესაძლოა, ყური სტკიავთ. არის თუ არა რაიმე სპეციფიკური ნიშანი ყურის ტკივილის დასადგენად?**

**პასუხი:** ჩვილ ბავშვებში არცთუ იშვიათია გარეთა ყურის ანთება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვის ყოველი ტირილი ყურის ანთებას დავებრალოთ.

ყურის ტკივილი, როგორც გართულება, ყველაზე ხშირად გვხვდება ხოლმე ზემო სასუნთქი გზების რესპირატორული დაავადების, გაცივების დროს, როცა ხანის ლორწოვანის შემუპების გამო, ხდება სასმენი ზვრელის სანათურის დახშობა. ეს პროცესი უფრო ჩქარდება ხოლმე, როცა პატარა ხანგრძლივად წოვს ბუძუს.

გარეთა ყურის ანთების ძირითადი სიმპტომია ინტენსიური ტკივილი; ბავშვი თავს აქნევს, ცდილობს, ხელი მოიკიდოს მტკივნეულ ყურზე, ბუძუს ჩადებისას, ერთი-ორი მოწოვის შემდეგ, უფრო ხმამაღლა იწყებს ტირილს. იმის დასადასტურებლად, ნამდვილად სტკიავთ თუ არა პატარას ყური, პედატრები გასინჯვის შემდეგ ასეთ მეთოდს იყენებენ: უნდა დააჭიროთ ცერა თითი გარეთა სასმენი ზვრელის წინა სახურს (ყურის ნიჟარის ზრტლოვან წანაზარდს). ბავშვი უეცრად შეკრთება და, საშინელი ტკივილით შეწუხებული, იწყებს ისტერიკულ ტირილს.

ასეთ დროს პატარა საჭიროებს სითბოს. თუ ტკივილი ძლიერია, საჭიროა, შეეუმსუბუქოთ მდგომარეობა: ყურში აწვეთებენ ზომიერად შემთბარ 1-2 წვეთ სპირტს, ასმევენ ანალგინს შესაბამისი დოზით, ტავეგილთან ერთად.

**კითხვა: რატომ არის დაკავშირებული კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის გამწვავება სეზონურობასთან?**

**პასუხი:** წყლული კუჭის ან ნაწლავის ლორწოვანი გარსის დეფექტია. გამწვავებას თან ახლავს შეშუპება, ანთება, ტკივილი. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მკურნალობა, დიეტა და იმუნიტეტის გაძლიერება. დიეტა და ექიმის დანიშნულების შეუსრულებლობა სეზონურობასთან არანაირ კავშირში არ არის, მაგრამ იმუნიტეტის დაქვეითება კი სწორედ გაზაფხულისა და შემოდგომისთვისაა დამახასიათებელი.

# საზღაური ანუ ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური საოჯახო პროცესი

დასაწყისი იხ. „გზა“ №33

იმ დღიდან, რა დროსაც არ უნდა მისულიყო ქალიშვილის სანახავად გლორია მორგან ვანდერბილტი, მას მუდამ ბავშვების გარემოცვაში ხედავდა. დედა ღრმა სავარძელში ჩაეფლობოდა, მოიკუნტებოდა და მხოლოდ ასე – შორიდან შეეძლო, ეცქირა თავისი გოგონასთვის. შვილთან ასეთი შეხვედრების საშუალება მაინც რომ ჰქონოდა, ის იძულებული გახდა, პარიზიდან მისთვის საძულველ მანკეტენის ბინაში გადასულიყო. თვეში ორჯერ, გლორია მორგანი დოქტორ ლოურენსს მიმართავდა, ის კი უცვლელად, დაუჩინებლად იმეორებდა, რომ ნიუ-იორკის ჰაერი ბავშვისთვის მავნებელი იყო – მაშინ, როდესაც ლონგ-აილენდისა, ზედგამოჭრილი იყო მისთვის. ამას რომ ამბობდა, ექიმი ყოველთვის საყვედურით სავსე თვალებით უყურებდა ახალგაზრდა დედას – ისე, თითქოს მისთვის გაუგებარი იყო, რით ვერ ჩასწვდომოდა ამას ქალი...

გლორია მორგანს თანდათან უღვივებოდა იმის შეგრძნება, რომ ის რაღაც უხილავ ხაფანგში იყო მოხვედრილი. ეს გრძნობა კიდევ უფრო განუმტკიცდა მას მერე, როცა დედამისმა ნენი მორგანმა, რომელიც თითქოსდა რთული სიტუაციიდან ქალიშვილის გამოსაყვანად ევროპიდან ჩასულმა,

მოულოდნელად განუცხადა – შენს ადგილზე რომ ვიყო, პატარა გლორიას ქალბატონ უიტნისთან სამუდამოდ დავტოვებდი და სანაცვლოდ... ფულად კომპენსაციას მოვთხოვდი... „დარწმუნებული ვარ, ჰერტრუდა უარს არ გეტყვის!“ – სწრაფად დასძინა მან. „შენ, დედაჩემი, ღვიძლი შვილით ვაჭრობას მიჩრჩევ?!“ – გაოცებულმა წარმოთქვა გლორია.

ნაცნობი ადვოკატის რეკომენდაციის შესაბამისად, გლორია მორგან ვანდერბილტმა შეიტანა პეტიცია, თავისი შვილის მეურვედ და, ამავე დროს, მისი ქონების განმკარგველად დანიშვნის თაობაზე. განცხადების შეტანიდან სამი დღეც არ იყო გასული, როცა მას დაურეკა ჰერტრუდა უიტნიმ და სასიხარულო ამბავი აუწყა: როგორც იქნა, ექიმებმა ნება დართეს გლორიას, ზაფხულის ბოლო თვე დედის სახლში გაატაროსო. უფროსი გლორია ჭკუაზე არ იყო სიხარულისაგან. მან სათამაშოებითა და ათასგვარი საჩუქრით აავსო გოგონას ოთახი, ევროპიდან ჩამოტანილი მისი საყვარელი ძველი სათამაშოებიც ჩაამწკრივა – კლოუნი კოკო, ელფის მსგავსი რობინ ჰუდი, წვეროსანი მერლენე ტონი... ყველაფერი ამის ხილვისას 9 წლის გოგონამ სიხარულისაგან ხტუნვა დაიწყო და კოცნა და კოცნა დედამისი: „რა



21 წლის გლორია ვანდერბილტმა თავისი ხუთმილიონიანი ქონების დაპატრონებისთანავე, მისი სულ ცოცხალი ოჯახი გაშრდა განიშრასა

ბედნიერებაა, დედიკო, ამიერიდან სულ აქ ვიცხოვრებ, ხომ ასეა?“

... დედა-შვილის ბედნიერება სამი დღე გაგრძელდა. მეოთხე დღეს უმცროსმა გლორიამ, ძიძასთან ერთად, პარკში, ჩიტების დასაპურებლად წასვლა ისურვა. საღამოს 7 საათზე უფროსი გლორიას სახლში ტელეფონმა დარეკა და ჰერტრუდა უიტნიმ, ჩვეულებისამებრ თავაზიანი ხმით ბრძანა: „გოგონა ჩემთან არის. პარკში მოულოდნელად, შეტევა მოუვიდა – ისტერიკაში ჩავარდა, გაჰყვიროდა, რომ დედასთან დაბრუნების ეშინია და მხოლოდ ჩემთან წამოსვლაზე იყო თანახმა“. ამ საუბრიდან ერთ საათში უფროსი გლორია უკვე უიტნის „ოქროს სასტუმრო ოთახში“ იყო. „დაუყოვნებლივ უნდა შევხვედ ჩემს ქალიშვილს!“ – თქვა მან. ამ დროს მის გულს ბავშვები გაჰქონდა, ყელში კი ბურთი ებჯინებოდა. „რასაკვირველია!“ – უშფოთველად, ჩვეული თავშეკავებით უპასუხა ჰერტრუდამ.

დედის დანახვისას გოგონა ხელიდან დაუსხლტა მოსამსახურეს და შეშინებულმა ყვირილი მორთო: „არ მომიხლოვდეს, მას ჩემი მოკვლა უნდა!“ უფროს გლორიას ისეთი შეგრძნება



ჰქონდა, თითქოს ვიღაცას ხელში აეღო მისი გული და ნელ-ნელა უჭერდა... ეს იყო გულის პირველი შეტევა, რომელიც იმ დღიდან დასჩემდა და სიკვდილამდე აღარც ასვენებდა.

1934 წლის შემოდგომაზე გამართულ სასამართლო პროცესზე მოსამართლე კვირუმ მისის მორგან ვანდერბილტს აუწყა, რომ მის მეურვეობას ორი ადამიანი ეწინააღმდეგება: ესენი არიან – ჰერტრუდა უიტნი და... ნენი მორგანი. გარდა ამისა, ქალბატონმა უიტნიმ თავადაც შემოიტანა სარჩელი, რომელშიც ითხოვს, რომ მეურვედ სწორედ ის – ჰერტრუდა უიტნი დანიშნონ...

„ე.ი. თქვენ ამტკიცებთ, რომ თქვენს ქალიშვილს არ შეიძლება მივანდოთ თავისი შვილის მეურვეობა? – ეკითხებოდა ქალბატონ ნენი მორგანს მოსამართლე. – კეთილი ინებეთ და აგვიხსენით – რატომ?“. ქალბატონი მორგანი, რომელიც ხელით საკმაოდ მოზრდილ ჯვარს აწვალებს, აცხადებს: ყველაფერს, რასაც ის სასამართლოს აუწყებს, მხოლოდ და მხოლოდ მისი „შვილიშვილის სიმშვიდის შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე“ იქნება. მტკიცებულებანი? რასაკვირველია, მას აქვს იმის მტკიცებულებანი, რომ მისი ქალიშვილი საფრთხეს უქმნის აღნიშნულ ინტერესებს. მაგალითად, ერთხანს უფროსი გლორია პრინც გოგენლოხზე დაქორწინებას აპირებდა – იმისთვის, რომ „უფრო მოხერხებულად დაეცინცლა პატარა გლორია ასთვის მამისეული ქონება...“ „სულ ეს არის, რაც თქვენი ქალიშვილის წინააღმდეგ შეგიძლიათ გვითხრათ?“ – იკითხა მოსამართლემ. ქალბატონმა მორგანმა თითქმის ჩურჩულით უპასუხა: „არ შემიძლია, ამდენი ხალხისა და პრესის თანდასწრებით ვილაპარაკო ესოდენ სამარცხვინო რაღაცები ჩემი შვილის შესახებ... თუ აუცილებელია განცალკევებით გეტყვი...“ ამის შემდეგ, პატარა ოთახში, მოსამართლეებისა და ოჯახის წევრთა თანდასწრებით, ჩურჩულითა და პირზე ხელაფარებით – ისე, თითქოს მეზობელს ეჭორავებოდა, – ქალბატონმა მორგანმა ბრძანა, რომ გლორია რეგულარულად ტოვებდა ამერიკაში თავის ავადმყოფ გოგონას და თავისი სიამოვნებისთვის მიემგზავრებოდა ევროპაში, რომ მის საძინებელში მუდამ შეიძლება

მიაგნო უხამსი შინაარსის ლიტერატურას, მაგრამ ყველაზე საშინელი ის არის, რომ... ნენი მორგანმა, ისე, თითქოს ვინმე აძალბებდა და სიტყვა-გამოთქმათა შერჩევაც კი უჭირდა, სასამართლოს მოუყვა ერთი „საშინელი სცენის“ შესახებ, რომელიც მისი მეორე ქალიშვილის – ტელმას ვილაზე, 1927 წელს დატრიალდა: შუალაშობ ნენი მორგანს გაეღვიძა და გლორიას საძინებლის შეღებული კარიდან დაინახა, როგორ მისცემოდა მისი შვილი „აკრძალულ და ღვთისგან დაწყვეტილ სიამოვნებებს“ პრინც გოგენლოხთან ერთად, რომელიც ღმერთმა უწყის, საიდან გაჩნდა სახლში... „რამდენად ფართოდ იყო გაღებული კარი, ქალბატონო მორგან, რომ ესოდენ მკაფიოდ დაინახეთ ყველაფერი? თქვენ ხომ, თითქოს, ახლომხედველი ბრძანდებით?“ – გესლიანად იკითხა უფროსი გლორიას ადვოკატმა ნათან ბურკანმა...


რამდენიმე დღეში გლორია მორგან ვანდერბილტმა სასამართლოს ჩვენება მისცა, და საჯაროდ განუდგა დედას: გლორიამ „მოწმე მორგანს“ (იმ დღიდან მხოლოდ ასე მოიხსენიებდა მას) იმაში დასდო ბრალი, რომ ის ორი წლის მანძილზე ფულს ართმევდა ქალბატონ უიტნის, რომელიც სან-

აცვლოდ დაჰპირდა იმას, რომ ყველაფერს გააკეთებდა რათა „გლორია ახლოს არ მიჰკარებოდა თავის შვილს“ და „მოწმე მორგანი“ განსაკუთრებული სიუხვითაც დააჯილდოეს იმისათვის, რომ ის შვილის წინააღმდეგ გამოსულიყო სასამართლოში. თავისი სიტყვები გლორიამ დოკუმენტაციითაც განამტკიცა: მან სასამართლოს წარუდგინა დაჭმუჭნილი საფინანსო ხელწერილი, რომელიც დედის ერთ პენუარში იპოვა. მან აგრეთვე განაცხადა, რომ „მოწმე მორგანმა“ თავის დროზე თავისი ქმარიც გაძარცვა – როდესაც მოტყუებით, მთელი მისი ქონება მიითვისა და გაანიავა, და რომ მას, გლორია მორგანს ახლა იმის ეჭვის საფუძველიც აქვს, რომ ამ ქალმა ხელიც შეუწყო მამამისის უეცარ სიკვდილს, ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ სასამართლო ამ საქმის საგანგებო გამოძიებითაც დაინტერესდება... ეს სიტყვები რომ გაისმა, გლორიას და – ტელმა წამოხტა და სახეზე ხელეფარებული, სასამართლო დარბაზიდან გავარდა. თავად გლორია, რომელიც მანამდე მედგრად იდგა, უეცრად გაფითრდა და, გონწასული, იატაკზე დაეცა.

ამ თითქმის შექსპირისეული ტრაგე-

17 წლის გლორია ვანდერბილტისა და პასკალე დე ჩიკოს ქორწილი, 1941 წ.





**უიგ კუპერთან ქორწინება (რიგით მეოთხე) გლორიასთვის ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა: მათ ერთად 15 ბედნიერი წელიწადი გააგარეს**

დიის ბოლო აქტისთვის ჩამოიყვანეს მისი მთავარი „დამნაშავე“ – ათი წლის გლორია ვანდერბილტი. პრესის მუშაკებს დარბაზის დატოვება სთხოვეს. როცა მხოლოდ „ახლობლები“ დარჩნენ, მოსამართლემ გოგონას მიმართა: „ისურვებდი თუ არა, გლორია, სამუდამოდ წამოსულიყავი მამიდაშენის, ჰერტრუდა უიტნისაგან და დედაშენთან – გლორია მორგან ვანდერბილტთან დასახლებულიყავი?“ გოგონამ ელვისებური მზერა სტყორცნა მამიდას, მისი გამამხნეველი დიმილი დაიჭირა, შემდეგ დაძაბულობისგან გაფითრებულ დედას ჩააშტერდა და სწრაფად და მკაფიოდ წარმოთქვა: „არ მიყვარს და მეშინია დედაჩემის – გლორიასი და მამიდა ჰერთან დარჩენა მსურს“. ხმა თვით მრავლისმნახველ მოსამართლე კვირუსაც კი გაეზარა: „მინც რატომ გეშინია დედაშენის?“ გოგონამ დაუყოვნებლივ უპასუხა: „იმიტომ, რომ მცემდა ხოლმე და მარტო მტოვებდა.“

ყველას მზერა გლორია მორგან ვანდერბილტისკენ იყო მიმართული: ყველა ელოდა, რომ მას შეტევა მოუვიდოდა. დარბაზში მყოფი ექიმიც სრულ მზადყოფნაში იყო... მაგრამ უფროს

წელიწადი გავიდა, მისი გახსენებისას გლორია ვანდერბილტს ჟრუანტელმა დაუარა. მას მკაფიოდ ახსოვდა, იმ დილით მამიდა ჰერტრუდამ როგორ აჩუქა ზღაპრული სილამაზის სათამაშო კოშკი, რომელზეც გოგონა სულ ოცნებობდა, და კიდევ – ორი საუცხოო პატარა პონი, – მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მას არ დაევიწყებოდა ის სიტყვები, რომელიც სასამართლოში სათქმელად ბებია ნენიმ დაახვირებინა. თუმცა, ის მამინ ათი წლის იყო, მან შესანიშნავად იცოდა, რომ ძალიან უყვარდა დედამისს და ის თითქმის არ დააკარებდა, რომ მას სიცრუეს ასწავლიან, და აიძულებენ, რადგან მამიდა ჰერს სძულს დედამისი; ცოტა მოგვიანებით გლორია მორგან ერთი რამე მთელი სიგრძე-სიგანით გაითვითცნობიერა: მამიდა ჰერტრუდას წარმოდგენაც არ უნდოდა, რომ მისი ძმის ქვრივს, რაიმე შეხება ჰქონოდა გოგონას მეგობარობასთან და საერთოდ, ვანდერბილტების ქონებასთან. რა ჩიტიც იყო მისი მამიდა და რამდენად „ბევრს“ ნიშნავდა მისთვის საყვარელი ძმისშვილი, გლორია მორგან საბოლოოდ მისი სიკვდილის შემდეგ გაიგო: ათეულობით მილიონიანი ქონებიდან ჰერტრუდა უიტ-

გლორიას სახეზე რაღაც უცნაური განდგომილის გამომეტყველება აღბეჭდვოდა. „მესმის, გლო, რომ ეს პასუხი დაგაზვიანებინეს, – მშვიდად დაიწყო მან, – შენ თავად კარგად იცი, რომ ეს სიცრუეა. თუ არ მოინანიებ, ღმერთი ოდესმე ძალიან მკაცრად დაგსჯის... ოდესმე, დიდი ხნის შემდეგ, მამინ, როცა შენ თვითონ იქნები დედა...“ ამ სიტყვებზე გლორია მორგანს ხმა გაეზარა და მან სამჯერ გადაიწერა პირჯვარი.

... თუმცა ამ საშინელი სცენის შემდეგ უკვე 50

წელი გლორიას მხოლოდ უწვრილესი ოქროს სამაჯური დაუტოვა.

მაგრამ სასამართლოდან მოყოლებული, უმცროსმა გლორიამ, თავისივე უსაქციელობისთვის დედის მიმართ გულში წყენა ჩაიხვია – იმისთვის, რომ დედამ ვერ მოახერხა მისი დახსნა, რომ წაართვეს ნორმალური ბავშვობა, მამიდა კი არასოდეს მოჰფერებია... სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, თვეში ორჯერ დედასთან შეხვედრისას გლორია მუდამ ცდილობდა, რაღაცით ეწყენინებინა ან დაემცირებინა იგი – ეს რაღაც ავადმყოფურ მოთხოვნებზე ექცა. მაგალითად, მას სიამოვნებას ანიჭებდა დედისთვის იმ საზიზრობათა მოყოლა, რასაც მასზე მამიდამისის სახლში ლაპარაკობდნენ, ჰერტრუდა უიტნის მამულში დაბრუნებისთანავე კი, დედაზე უამრავ სისულელეს რომავდა: თითქოს მასთან ნაირ-ნაირ მამაკაცებს ხედავდა, დედა მას გამუდმებით უყვიროდა და ხშირად დადიოდა რაღაც საქმეებზე, მას კი მოსამსახურეს უტოვებდა...


მხოლოდ ახლა, 64 წელს მიტანებული გლორია მთელი სიცხადით მიხვდა, თუ რა საშინელ როლს ასრულებდა მშობელი დედის მიმართ, იმასაც, რომ ტყუილი იყო, თითქოს დედამისს არ აინტერესებდა იგი: სინამდვილეში ის თავად ჰკრავდა მას ხელს და განუდგა თითქმის ისევე, როგორც ბებიამისი – ნენი მორგანი. აკი, ბებიამისს – ამის აღმოჩენისას გლორიას სისხელი გაეყინა ძარღვებში – საშინელი აღსასრული მოუშადა გამჩნმა: ის ჭკუაზე შეიშალა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გარდაიცვალა, უკანასკნელი სამი წელიწადი არ ასვენებდა საშინელი ჰალუცინაციები – თითქოს საკუთარი შვილები უპირებდნენ მოკვლას...

როცა საქმის უკანასკნელი ტომი ჩაათავა, გლორია ვანდერბილტმა აღმოაჩინა, რომ სიცოცხლეში პირველად მას ტრადიციულმა გვაროვნულმა თავშეკავებამ უღალატა: ბიბლიოთეკაში ჩამოკიდებულ დედის დიდ პორტრეტთან მისულს ტირილი აუვარდა. უკვე 20 წელი გავიდა, რაც დედამისი ცოცხალი აღარ იყო და მას აღარ შეეძლო დანაშაულის გამოსყიდვა.

... 1988 წლის ზაფხული ფაციფუცით დატვირთული უნდა ჰქონოდა: გლორია ვანდერბილტი თავისი სამკა-

ულების კოლექციის ევროპაში წაღებას აპირებდა. 22 ივლისის ცხელ დღეს მასთან, მანჰეტენის ბინაში, აშკარად რაღაცით დაღონებული კარტერი მივიდა: „დედა, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რამდენიმე დღე შენთან რომ დავრჩე? მე და ანმა წავიჩხუბეთ და მარტო ყოფნა არ მინდა.“ ცხადია, გლორია არ იყო წინააღმდეგი. მათ, ჩვეულებისამებრ, საოჯახო სადღესასწაულო ვახშმის მენიუ შეადგინეს, მერე ქალბატონი ვანდერბილტი რაღაც საქმეების მოსაგვარებლად გაიქცა. შინ რომ დაბრუნდა, შვილი ბილიოთეკაში, დივანზე დაძინებული დახვდა. გვერდით რომ მიუჯდა, ჩურჩულით ნათქვამი მისი სიტყვები გაიგონა: „ისევ ბებია მესიზმრა“. გლორიას უკვე ნაცნობი მწვავე წინათგრძობა დაეუფლა, მაგრამ უმაღლესი იგი... საძინებელ ოთახში სამოსს იცვლიდა, როცა მოულოდნელად კარტერი შემოვიდა. „სად არის? სად არის იგი?“ – მონოტონურად იმეორებდა ვაჟი. შეშინებული გლორია შვილს დააკვირდა და მიხვდა, რომ მას ეძინა. გლორია მიუახლოვდა მას, მოეხვია და როგორც პატარა ბავშვს, ისე დაუწყო ხვეწნა: „კარტერ, გაიღვიძე, ეს მე ვარ, დედაშენი, კარტერ, გაიღვიძე“. მაგრამ ის მოულოდნელად უხეშად დაუსხლტა და ოთახიდან გავარდა. შეშინებული დედა შვილს დაეღვენა. კარტერი

**გლორია შვილებთან – კარტერთან (მარჯვნივ) და ანდერსონთან ერთად**



ბინის მეორე სართულზე – ბილიოთეკისკენ მივბოდა, სადაც აქამდე ეძინა. გლორია ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ დაუძლეველი, საშინელი გრძნობის შავი ტალღის ქვეშ ექცეოდა. „კარტერ, გაჩერდი! უნდა დაგელაპარაკო! კარტერ!“ როცა ბილიოთეკაში შევარდა, მან დაინახა, რომ კარტერი აივნის ტერასის დაბალ ქვისრიკულებიან მოაჯირზე იჯდა, იქ, საიდანაც თავად გლორიას უყვარდა ხოლმე მდინარის ხედით ტკობა. ვაჟის თვალები გამოწვევით იყო ანთებული. „არ გაბეღო ახლოს მოსვლა!“ – არაადამიანურად დაიდრიალა მან. გასროლისმაგვარმა ყვირილმა თითქოს დამბლა დასცა გლორიას: მან კართან დაიწყო წრიალი და აივანთან მისვლას ვერ ბედავდა. „სად არის?“ – უეცრად, კვლავ ნელა წართქვა კარტერმა გაუგებარი ფრაზა. გლორიამ პანიკური შიში დაძლია, მოულოდნელად დიდი ნახტომი გააკეთა, შვილს ფეხში სტაცა ხელი და შეეცადა, მოაჯირიდან გადმოეცურებინა. კარტერმა უხეშად მოიშორა იგი. ზაფხულის კრიალია ცის ფონზე ნათურებით მოციმციმე შვეულმფრენი გამოჩნდა. გლორიას გონებაში გაუელვა, რომ სადღაც უკვე უნახავს ეს შვეულმფრენი... წამში კარტერი უკვე ქვასავით ვარდებოდა ცათამბჯენის მეთოთხმეტე სართულიდან...

ის კვირაობით აღარ გამოდიოდა სრულიად ჩაბნელებული ოთახიდან, უბედურებით გაოგნებული და მომხდარის გააზრების სურვილით შეპყრობილი გლორია ვანდერბილტი ცდილობდა, დაეძლია ჰალუცინაციის მაგვარი აზრი, რომელიც მას მოახლოებული სიგიჟის ნიშნად ეჩვენებოდა: მისი შვილი დედამისმა მოკლა, რომელმაც სიკვდილიდან 23 წლის შემდეგ იძია შური თავის ქალიშვილზე. „მე ხომ მზად ვიყავი, შევრიგებოდი დედას, მზად ვიყავი მომენანიებინა მის წინაშე...“ –



განუწყვეტლივ ფიქრობდა გლორია.

ერთხელ, როცა საკუთარ თავთან ბრძოლამ დაღალა, გლორიამ ჩამოვლიჯა დედის პორტრეტები კედლიდან და ისტერიკულად დაუწყო მათ თელვა, მერე უჯრიდან მისი წერილები ამოიღო და ბუხარში შეუძახა. ახლობლებს ემინოდათ, რომ მწუხარებისგან ჭკუაზე შეცდებოდა...

... „კარტერ, არ ვიცი, როგორ დავიწყო ეს წერილი. მაპატიე, რომ ისევ ცოცხალი ვარ – ცოცხალი, აგერ უკვე ათი წელია შენი სიკვდილის შემდეგ. მაშინ ეს იმიტომ გადავიტანე, რომ გადავწყვიტე: აი, გადავიხდი ყველა ვალს და მერე უმაღლესი შვილს მივეყვებო-მეთქი, მაგრამ ვალი მეტისმეტად ბევრი აღმომაჩნდა... თუმცა, შენ იქ ალბათ უკვე ყველაფერი იცი. ადამიანები, რომლებიც მხარში ამომიდგნენ მომხდარის შემდეგ, ჩემი სულიერი მამა – ყველანი დამენმარნენ გამეცნობიერებინა, რომ მხოლოდ დედასთან შერიგების შემდეგ შემიძლია, შევურიგდე საკუთარ თავს და გავიზარო ყველაფერი, რაც მოხდა. ახლა უკვე ვიცი, რომ ამ ქვეყანაზე ყველაფერი ერთმანეთზე გადაჯაჭვულია და ყველაფერს ამ სამყაროში თავისი უხილავი მიზეზები აქვს. ბოროტებას მხოლოდ ბოროტება მოაქვს. კარტერ, მე სრულიად სხვა ადამიანი გავხდი, ამასთან – რა მკრეხელურადაც არ უნდა უღერდეს ეს შენს მერე – ახლა უფრო მეადვილება ცხოვრება. თითქოს შენ მოგეზლო ჩემი ცოდვებისათვის“.



დაიხვეწეთ, გაეჩუმეთ, იპაჩუიეთ!



ეს თამაში ერუდიციაზე, ინტუიციასა და აზარტზეა აგებული. თუ ეს ყველაფერი გახასიათებთ, აუცილებლად გამოსცადეთ თავი და გონების გავარჯიშების შემდეგ, წარმატების მიღწევა არც ერთ სხვა თამაშში არ გაგიჭირდებათ! თითოეულ კითხვაზე მოცემული ოთხი პასუხიდან, თქვენი აზრით, სწორი მონიშნეთ. თავის შემონიშნება არ გაგიჭირდებათ, გამოიჩინეთ თქვენთვის დამახასიათებელი დაკვირვებულობა და პასუხები იქნებ, ამ გვერდზე იპოვოთ ყიდევ...

1) რომელი ფერი არ არის ცისარტყელას ძირითად ფერებს შორის?

- ა) მწვანე; ბ) წითელი; გ) იასამნისფერი; დ) ყვითელი.

2) რა ეწოდება მაღალი კლასის ტანსაცმლის მაღაზიას?

- ა) ბათინკი; ბ) მინი-მარკეტი; გ) ბუტიკი; დ) ბუტკო.

3) რა ჰქვია ადამიანს, რომელიც საკვებად არ იყენებს ხორცის პროდუქტებს?

- ა) ვეგეტარიანელი; ბ) კანიბალი; გ) პურიტანი; დ) გურმანი.

4) რა ჰქვია თუჯის სადნობ ლუმელს?

- ა) მარტენი; ბ) კონვერტერა; გ) დომნა; დ) სათუჯე.

5) რა ტიტული ჰქონდა დონ კიხოტს?

- ა) კავალერი; ბ) სენშალი; გ) შევალიე; დ) იდალგო.

6) რა ეწოდება მინის ნაკვეთის ან შენობის გირაოდ ჩადებას გრძელვადიანი სესხის მისაღებად?

- ა) კაბალა; ბ) ფრანჩაიზინგი; გ) ლიზინგი; დ) იპოთეკა.

7) რომელ ქვეყანაში მდებარეობს ქალაქი ანტვერპენი?

- ა) ნიდერლანდებში; ბ) დანიაში; გ) გერმანიაში; დ) ბელგიაში.

8) ჩამოთვლილი წითელი ღვინოებიდან რომელია ნახევრად ტკბილი?

- ა) თელიანი; ბ) საფერავი; გ) ახაშენი; დ) მუკუზანი.

9) ჩამოთვლილთაგან რომელ ქვეყანას აქვს ყველაზე დიდი ფართობი?

- ა) ავსტრალიას; ბ) ჩინეთს; გ) აშშ-ს; დ) კანადას.

10) მონღოლები კუმისში (ცხენის რძეში) სურნელებისთვის და გასაცივებლად აგდებენ:

- ა) ბაყაყს; ბ) წურბელას; გ) ხვლიკს; დ) მორიელს.

11) საქართველოში ნამყოფი იყო:

- ა) სტაინბეკი; ბ) კაფკა; გ) სარტრი; დ) აპლაიკი.

12) რის კოლექციას აგროვებს ფილუმენი?

- ა) ღია ბარათების; ბ) ასანთის კოლოფების; გ) სამკერდე ნიშნების; დ) ვიმპელების.

13) რას წარმოადგენს შემდეგი ჩამონათვალი — დროგანის ყვითელი, ხარისულა, ფრანცისი, ესპარენის ბიგარო, ბაგრატიონი და ელტონი?

- ა) ღვინოების სახელწოდებებს; ბ) ბლის ჯიშებს; გ) ნამცხვრის დასახელებებს; დ) უცნობი მხატვრის ტილოებს.

14) საიდუმლო საუნჯე, სოსროვი და შირინი, ლეილ-მაჯნუნანი, შვიდი მზეთუნახავი, ისკანდერ-ნამე — ეს ნაწარმოებები დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიჰამი განჯევის კალამს ეკუთვნის. რომელი ქართველი მწერლის თანამედროვე იყო იგი?

- ა) შოთა რუსთაველის; ბ) სულხან-საბა ორბელიანის; გ) ალექსანდრე ჭავჭავაძის; დ) გალაკტიონ ტაბიძის.

15) ვის ეკუთვნის სიტყვები ერთი ადამიანის სიკვდილი ტრაგედიაა, ბევრის — სტატისტიკა?

- ა) სტალინს; ბ) დე გოლს; გ) ეიზენშაუერს; დ) ლენინს.

16) მესიკოში ჩადენილი მდინარე:

- ა) კონჩოსი; ბ) გვადალკვივორი; გ) ებრო; დ) საერთოდ არ ჩადინება.



# კვირის (27 აგვისტო - 2 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

## კალნუღი - 24/VIII-23/IX



კვირის დასაწყისი არც ისე სახარბიელო იქნება, ამიტომ ეცადეთ, სამსახურიდან ხუთშაბათამდე გაითავისუფლოთ თავი. სამაგიეროდ, შემდეგ სრულ „საბრძოლო მზადყოფნაში“ უნდა იყოთ: კვირის დამლევსთვის დიდ ფინანსურ წარმატებას მიაღწევთ.

## სანსი - 24/IX-23/X



ყურადღება მიექცეოთ ჯანმრთელობას და არავითარ შემთხვევაში არ გადაიღოთ ფიზიკურად ინტელექტუალურ სფეროში შევიძლიათ აქტიურად იმოქმედოთ და წარმატებაც გელით. ამავე კვირაში დიდი შანსი გაქვთ პოპულარული იყოთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს შორის.

## ღრიანკალი - 24/X-22/XI



ეს კვირა თქვენთვის გაურკვევლობის ვითარებაში ჩაივლის - უახლოესი საღამოს გეგმით დაწყებული, ბიუჯეტისა და კარიერის საკითხებით დამთავრებული. ნუ გადადგამთ მკვეთრ ნაბიჯებს და შეეცადეთ, მინიმუმით დაკმაყოფილდეთ. კვირის ბოლოსთვის თქვენს ჰორიზონტზე დიდი ხნის დაკარგული მეგობრები გამოჩნდებიან.

## ეველდოსანი - 23/XI-21/XII



თქვენი ავტორიტეტი განუხრელად იზრდება! მთელი კვირის მანძილზე ენერგიული, იღბლიანი და ძალზედ ქედმაღალიც იქნებით. შეეცადეთ, ზრდილობის გულისთვის მაინც სთხოვთ გარშემოყოფთ მხარდაჭერა, რათა არავის ატყინოთ გული. მით უმეტეს, რომ მხარში ღვომა კვირის ბოლოსთვის მართლაც დაგჭირდებათ.

## თხის რქა - 22/XII-20/I



ეს კვირა უხვი იქნება შეხვედრებით „მაღალ დონეზე“ და ვიზიტებით სხვადასხვა ინსტანციაში. ამასთან დაკავშირებით გაითვალისწინეთ რჩევა: ნუ გამოიჩენთ მაქსიმალიზმს რაღაც უპირობო სამართლიანობის არსებობის მტკიცებისას! თქვენი სწრაფვა სიმართლის დადგენისაკენ კარგს არაფერს მოგიტანს, უფრო მეტიც - შეიძლება გავნოთ კიდევ...

## პერწყული - 21/I-19/II



ხიდეების დაწვის, ყველა დაძველებული ნივთისა და საერთოდ, წარსულის მოშორების სურვილი შეგიპყრობთ. ამას საფუძველიც აქვს, მაგრამ მაინც გირჩევთ, დიდი დაკვირვებით გადაადგოთ თითოეული ნაბიჯი: არის საშიშროება ისეთი რამ (ან ვინმე) დაკარგოთ, რაც (ვინც) ნამდვილად გჭირდებათ.

## თაგზუბი - 20/II-20/III



თუ რაიმე ნიღაბს ატარებთ, დროა ჩამოიხსნათ: დროა გაბეჯულად გაუსწოროთ თვალი თქვენ წინაშე არსებულ პრობლემებს და ბედის ყველა გამოწვევას უპასუხოთ. არ შეუშინდეთ ძალიან მძიმე საქმეებთან შეჭიდებასაც კი: შეიძლება, თავიდან გაჭირვებით, მაგრამ საბოლოოდ, მაინც გაუმკლავდებით. ოღონდ მთავარია, ზურგი გაიმაგროთ: ახლობლები აუცილებლად ამოვიდებიან მხარში.

## პერქი - 21/III-20/IV



სავერდოვანი სეზონის სიკეთით ტკბობის შანსი გეძლევათ: მოსალოდნელია ხანმოკლე მოგზაურობა - ალბათ ზღვისპირეთში. ამის გარდა, რომელიმე გავლენიანი პიროვნების მფარველობის ქვეშ იქნებით, რაც სარგებლობას მოგიტანს. საერთოდ, ამ კვირაში ადამიანებთან ურთიერთობის გააქტიურების მოთხოვნილება გავეზრდებათ.

## პერქი - 21/IV-21/V



ამ კვირაში, სამსახურის საქმეებზე მეტად, საოჯახო საზრუნავით იქნებით დაკავებული: გამორიცხული არ არის, რომ ან ბინა გამოიცვალოთ, ან რემონტს მიჰყოთ ხელი. ყველა შემთხვევაში, თქვენ წინაშე არსებული ამოცანების გადასაწყვეტად, ფიზიკური დატვირთვა არ აკლებათ. ამის გამო, უახლოესი მეგობრების დახმარება არ გაწყენდათ.

## პარნოხი - 22/V-21/VI



კვირის დასაწყისიდანვე შეამჩნევთ ცვლილებების მოთხოვნილებას, რამაც სრულიად განსხვავებული შედეგი შეიძლება მოგიტანოთ. ახალ ადამიანებთან მოგიწევთ კონტაქტის დამყარება, ამავე დროს, ენერგიულად დაიწყებთ არსებულ წრეში ურთიერთობათა ხელახალ შეფასებას და შეცვლას.

## პირნოხი - 22/VI-22/VII



ეს კვირა მეტისმეტად დატვირთული შეიძლება გქონდეთ, განსაკუთრებით - ადამიანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ნუ შემოვიტყობებით, თუ ერთდროულად ბევრი თხოვნით მოგმართავენ, ნუ დაიშურებთ ნურც რჩევებს, ნურც ფინანსებს. გამოიჩინეთ დიდსულოვნება და ეცადეთ, რაც შეიძლება იშვიათად თქვით უარი, ოღონდ ისე, რომ საკუთარ თავს არ ავნოთ.

## ლოქი - 23/VII-23/VIII



იმ ლომებს, ვინც პირადი ცხოვრების მოწესრიგებას აპირებს, ეს კვირა კარგ შანსს მისცემს, ამიტომ ხშირ-ხშირად გამოეწვევთ სადღესასწაულო სამოსში და ხალხში იტრიალოთ: რაც უფრო მეტ წვეულებას გამოჰკრავთ ხელს და ურთიერთობა გექნებათ ბევრ ადამიანთან, მით უფრო მეტი შანსი გექნებათ წარმატების.

# სასიაშროვნო თუ არა თქვენთან ურთიერთობა

თუ გგონიათ, რომ კარგი მოსაუბრე და კარგი მეგობარი ხართ, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენთან ურთიერთობა ადამიანებს ძალიან მოსწონთ. არიან ადამიანები, მათთან ურთიერთობა ყველას პირველივე ნუთიდან ღლის. თუ უფრო ყურადღებით დააკვირდებით გარშემომყოფებს, უამრავ ასეთ ადამიანს აღმოაჩნებთ. ქვემოთ მოყვანილი ტესტის საშუალებით კი სცადეთ გაარკვიოთ, როგორი ხართ თავად.

ქვემოთ ჩამოთვლილ შეკითხვებს უპასუხეთ „დიახ“ ან „არა“.

- 1) მოსმენა უფრო გიყვართ თუ საუბარი?
- 2) შეგიძლიათ თუ არა, უცნობ ადამიანთან ურთიერთობისას მოძებნოთ სასაუბრო თემა?
- 3) ყოველთვის ყურადღებით უსმენთ თუ არა მოსაუბრეს?
- 4) გიყვართ თუ არა რჩევების მიცემა?
- 5) აგრძნობინებთ თუ არა მოსაუბრეს, რომ მისი საუბრის თემა ნაკლებად გაინტერესებთ?
- 6) ღიზიანდებით თუ არა, როცა არ გისმენენ?
- 7) გაქვთ თუ არა საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხზე?
- 8) ჩაერთვებით თუ არა საუბარში, თუ ლაპარაკი თქვენთვის აბსოლუტურად უცნობ თემაზე მიმდინარეობს?
- 9) გიყვართ თუ არა



ყურადღების ცენტრში ყოფნა?

10) შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ რაიმე

სამი ნივთი, საგანი, რომელიც საკმაოდ ვრცელი და ყოველს მომცველი ინფორმაცია გაქვთ?

11) ხართ თუ არა კარგი ორატორი?

## დააჯამეთ ძულაბი

ყოველი დადებითი პასუხისთვის 1), 2), 3), 6), 7), 8), 9), 10) და 11) კითხვებზე დაიწერათ თითო ძულა.

1-3 ძულა: ძნელი სათქმელია – იმდენად უტყვი ადამიანი ხართ, რომ სიტყვასაც ვერ დაცდენინებენ, იმდენად გიჭირთ ადამიანებთან ურთიერთობა, რომ ყველა გაგირბით, მაგრამ ფაქტია: თქვენთან ურთიერთობა ადამიანებს არ სიამოვნებთ, შეიძლება ითქვას, რომ უმძიმოთ კიდეც. ამაზე კი ნამდვილად ღირს დაფიქრება!

4-6 ძულა: შეიძლება, ძალიან კარგი ურთიერთობის უნარით არ გამოირჩევით, მაგრამ ყოველთვის ყურადღებიანი და სასიამოვნო მოსაუბრე ხართ. შეიძლება დაბნეული ადამიანის

შთაბეჭდილება დატოვოთ, როცა შესაბამის განწყობაზე არ ხართ, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში მყოფი, გარშემომყოფებისგან გადამეტებულ ყურადღებას ნუ ითხოვთ.

7-9 ძულა: ძალიან სასიამოვნო მოსაუბრე ხართ და თქვენთან ურთიერთობა ადამიანებს ადვილად შეუძლიათ. მეგობრები თქვენ გარეშე უბრალოდ, ვერ ძლებენ. ეს კი ნამდვილად კარგია. მხოლოდ ერთი კითხვა იბადება: უმეტესად, თამაში ხომ არ გიწევთ, თითქოს ცხოვრებას სცენაზე ატარებდეთ?



### ქალაღ-ბეტონის დაგვიანებული აღიარება


ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს უჩვეულო მასალით – ე.წ. ქალაღ-ბეტონით ნაშენი სახლები. პლანეტაზე ხეტყის მზარდი დეფიციტის ვითარებაში მშენებლებს გააჩნდათ მასალა, რომელიც, სხვათა შორის, ჯერ კიდევ 1928 წელს გამოუგონიათ. გამოგონება, ასე ვთქვათ, ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან სიტუაცია დღევანდელისგან დიამეტრიულად საპირისპირო იყო: ქვეყნად უამრავი ხეტყე იყო, ქალაღ-ბეტონი კი დეფიციტს წარმოადგენდა. ქალაღ-ბეტონი ან, როგორც მას ამერიკელი გამოგონებლები ეძახიან, – ფეიფაკრიტი (ფეიფა – ქალაღი, კონკრეტი – ბეტონი) მიივიწყეს. სპეციალისტთა აზრით, ახლა მას დიდი მომავალი აქვს, უბირველესად იმიტომ, რომ უამრავი ღირსებით გამოირჩევა: მსუბუქია, საუცხოო თბოსაიზოლაციო მახასიათებლები აქვს, სინოტივის შემთხვევაშიც კარგად ინარჩუნებს ფორმას, ძალიან გამძლეა და ადვილად მზადდება: გაზეთის ან სხვა ქალაღის წვრილ ნაჭრებს, წყალს, ცემენტსა და სილას ურევენ და სპეციალურ ფორმებში (15X25X40 სმ) ასხამენ. მშრალი ბლოკი 4,5 კგ-ს იწონის.

### ჩასახვენებელი – ქიხით

ასეთი იდეა წამოაყენა ირლანდიელმა მეწარმემ რომან მასეიმ, რომელმაც რამდენიმე წლის წინ მუყაოს სასახლეები გამოიგონა. მასეის გამოთვლილი აქვს, რომ ამით ჭირისუფლის ხარჯები დაახლოებით 2,5 ათასი დოლარით (ცხადია, ირლანდიური ფასებით) მცირდება. იდეა კი, კონკრეტულად ასეთია: მიცვალებულს ერთიმეორეში ჩადგმულ ორ სასახლეში ჩასახვენებენ – შიდა, იაფფასიანი მასალისგან არის დამზადებული და სულ 150 დოლარი ღირს, გარეთა კი – ძალიან ძვირფასი, მუხის არის. გამოთხოვების შემდეგ ის იხსნება და სარიტუალო ფირმას უბრუნდება. რომან მასეის პროექტით, ის 20-ჯერ მაინც შეიძლება გაქირავდეს, შემდეგ კი – შეღავათიან ფასად გაიყიდება.

### აღსახება ინტეხნეტით დაუშვებელია!

ასეთი ვერდიქტი გამოიტანა რომის კათოლიკურმა ეკლესიამ, რომელიც თავისთავად ღვთის სიტყვის ინტერნეტით გავრცელების დიდ შესაძლებლობებს არ უარყოფს. ამის მოტივად როგორც თეოლოგიური, ისე წმინდა წყლის ტექნიკური პრობლემა სახელდება – აღსარების საიდუმლოება შეიძლება დაირღვეს: ამ დროს ხომ მორწმუნე ძალიან ბევრ პირადულ ინფორმაციას ამჟღავნებს, რომელიც უცხო პიროვნების ხელში მოხვედრისას ვინმემ შეიძლება ბოროტად გამოიყენოს. სამაგიეროდ, მსოფლიო ქსელში კათოლიკეებს შეუძლიათ, წმინდა ანტონიოსის სახელზე აღავლინონ ლოცვა: შემდეგ ამ გზით მიღებული ფაილები დისკეტაზე გადაიწერება და ქალაქ პალუის ტაძარში, წმინდანის განსახვენებელთან დაიდება. ტაძრის მსახურთა აზრით, მათ წასაკითხად წმინდა ანტონიოსის კომპიუტერი არ სჭირდება: ვინღ ქალაღი იყოს, ვინღ დისკეტა – მისთვის სულერთია...



**ქრისტიანი „გზა“ ახსნაღვს კონკრეტს „ორიგინალური რუბრიკა“**

**ნავისიერი ჟურნალისტს (ბრატურნალისტსაც) ჟურნალია წარმოადგინოს ჟურნალის გვირდის ან რუბრიკის ორიგინალური ვარიანტი.**

**კონკრეტში გაბარჯივებულავი უზრუნველყოფილნი იქნებიან სტაგილური სასახურით (შესაძლებელია ერთჯერადი ანაღვლაურებაც). რუბრიკის იღავა და შინაარსი ბთხოვთ წარმოადგინოთ წერილოვით, რაღაშტინაში, ან გაბოგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საჭმის“) საფოსტო მუთავის საშუალებით.**

**ინფორმაციისთვის დარეკით: 33-50-32**

**რედაქცია მადლობას მოახსენებს ყველას, ვინც ჩვენს განცხადებას გამოეხმარა და ახალ წინადადებებსაც მადლიერებით მიიღებს.**

## ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა ელუარდ შევარდნაძემ და ვლადიმერ პუტინმა.

**ვულოცავთ ბატონ ელუარდს და ბატონ ვლადიმერს და ვუსურვებთ წარმატებებს!**

### თავი გაგზრდია, ალგათ მკუანს მოგვიგაბა...

(მკითხველის გვარი, სახელი)  
  
(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაგარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (28 აგვისტოს) 13 საათამდე.



„ფანტაზიის“  
თავი პეგორლი.  
ჯღაბითი ჯიშის  
მედიცინა...



„ფანტაზიის“  
მედიცინა

ადრე მზე  
ჩრდილოეთიდან  
ამოდიოდა

6 39/30

**გვ. 6**  
**რატომ გახდა**  
**ინგა გრიგოლია**  
**მარტოხელა დედა?**

